საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ა. ღეჭავა

ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში

„მეცნიერება"
თბილისი
1970

9 c (41)
ლ 506

ნაშრომში „ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში" ნაჩვენებია ჩრდილო კავკასიის მდგომარეობა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და ის რთული სოციალ-პოლიტიკური ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩრდილო კავკასიაში.

ნაშრომი ასახავს ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლას შინაგანი კონტრრევოლუციის „წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს წარმოდგენილი იყო გ. ბიჩერახოვის სახით, და ამ ბრძოლაში ქართველების, კერძოდ ალ. გეგეკორის რაზმის მონაწილეობას.

ნაშრომში საარქივო დოკუმენტებზე, სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებებზე დაყრდნობით და იმ ვრცელი ლიტერატურის საფუძველზე, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ არსებობს, ნაჩვენებია, ერთი მხრივ ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა და ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მოლალატური პოლიტიკა, რომელიც ხელს უშლიდა დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას.

1—6—4
120 — 1970

წინასიტყვაობა

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით ახალი ერა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში. მან უაღრესად დიდი როლი შეასრულა ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების, მათ შორის კავკასიის ხალხების ისტორიული განვითარების ბედის გადაწყვეტაში. სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ამ ხალხებმა სისხლის ფასად მოიპოვეს და დაიცვეს საბჭოთა ხელისუფლება შინაგანი და გარეგანი კონტრრევოლუციის ძალების ხელყოფისაგან.

კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციურმა თანამეგობრობამ. იგი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ საბრძოლო თანამეგობრობის შესწავლა საბჭოთა ისტორიული მეცნიერების საპატიო ამოცანაა.

ჩრდილოეთ კავკასია სამოქალაქო ომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბნად გადაიქცა. შინაგანი კონტრრევოლუცია და ინტერვენტები მას საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში ერთ-ერთი ძირითადი პლაცდარმის როლს აკუთვნებდნენ.

სწორედ აქ, ანტანტის იმპერიალისტების მხარდაჭერით, შეიქმნა და მოქმედებდა დენიკინის „მოხალისეთა არმია". ჩრდილოეთ კავკასიაში მძვინვარებდნენ გენერლების კორნილოვის, ალექსეევის, კრასნოვის, პოკროვსკის, მამონტოვის, შკუროს და სხვათა ბანდები. აქვე იყრიდა თავს რევოლუციის მიერ რუსეთის შიდა რაიონებში განადგურებული ოფიცრობა, ჩინოვნიკები და საბჭოთა ხელისუფლებით უკმაყოფილო ელემენტები.

ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია იმ ბრძოლისა, რასაც რუსეთის მშრომელი მასები სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე ეწეოდნენ შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ.

ქართველმა და ჩრდილო კავკასიის ხალხებმა, მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხებთან ერთად, თავისი გმირული ბრძოლით არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს სოციალისტური რევოლუციის მატიანეში.

ჩვენ მიზნად დავისახეთ გვეჩვენებინა, ერთი მხრივ, ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა და მათი ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, საქართველოს მშრომელთა ბრძოლა დენიკინელთა ავანტიურის წინააღმდეგ და საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ფაქტიურად ხელს უწყობდა კონტრრევოლუციას.

შრომის შესავალი ნაწილი ეთმობა წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვას. I თავში გაშუქებულია ჩრდილოეთ კავკასიის მდგომარეობა დენიკინელთა ავანტიურის წინ. ნაშრომის II თავში ნაჩვენებია დენიკინელების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა და ის გმირული ბრძოლა, რასაც ქართველი რევოლუციონერები ეწეოდნენ ჩრდილო კავკასიის ფრონტებზე რუსი და მთიელი ხალხების მხარდამხარ შინაგანი და საგარეო კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. შრომის III თავი მიძღვნილია საქართველოს მშრომელების ბრძოლისადმი დენიკინელების წინააღმდეგ. ამ თავში განხილულია საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება დენიკინელებისადმი, საქართველოს მშრომელთა გამოსვლები დენიკინელთა ავანტიურის წინააღმდეგ და ჩრდილოეთ კავკასიელი რევოლუციონერების მოღვაწეობა საქართველოში. IV თავი მიძღვნილია დენიკინელების დამარცხებისა და ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისადმი. შრომა მთავრდება დასკვნით, სადაც შეჯამებულია კვლევის ძირითადი შედეგები.

შესავალი

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

ჩრდილო კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობის საკითხის შესწავლის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ვ. ი. ლენინის შრომები, პარტიული ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების დადგენილებები და კომპარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეთა შრომები.

აღნიშნული საკითხის შესწავლის საქმეში გარკვეული სიძნელეებიც გვხვდება. საქართველოს მენშევიკური მთავრობის არქივების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით კი ის ფონდები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხებიან, განადგურებული ან გატაცებულია მათ მიერ. ამასთან ერთად, იგრძნობა პერიოდული პრესის მასალების ნაკლებობაც. იმდროინდელი ბოლშევიკური პრესის დიდ ნაწილს, რომელიც მოიცავს მასალებს აღნიშნული პერიოდის ისტორიისათვის, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ასეთივე მდგომარეობაა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების (ორჯონიკიძე, გროზნო, ნალჩიკი, მახაჩყალა) არქივებში. გამონაკლისს შეადგენს ქ. ორჯონიკიძის (ჩრდ. ოსეთი) არქივები, სადაც მრავლადაა სამოქალაქო ომის წლებისადმი მიძღვნილი მასალა. მათ შორის არის მასალები, რომლებიც აშუქებენ ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველთა აქტიურ მონაწილეობას დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მიუხედავად ამ სირთულისა, საქართველოს, მოსკოვისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების არქივებში დაცული მასალები, სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებები და ამ პერიოდისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე საქართველოს

მშრომელების გამოსვლები დენიკინელების წინააღმდეგ და საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ამ ამბებისადმი.

საქმეს რამდენადმე აადვილებს ის გარემოება, რომ ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად გამოიცა დოკუმენტების კრებულები, რომლებიც მიეძღვნა საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას[1].

აქ მოყვანილი დოკუმენტები კარგად ახასიათებენ დენიკინის ანტიხალხურ რეჟიმს და კავკასიის ხალხების ბრძოლას მის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კრებულებში მოცემული დოკუმენტური მასალა სრულად ვერ ასახავს ბოლშევიკების მიერ დენიკინის ზურგში გაჩაღებულ პარტიზანულ ბრძოლას, მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის სათანადოდ შესასწავლად.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული მასალებიდან განსაკუთრებით საინტერესოა ფ. 50 და ფ. 51. მათში თავმოყრილია მასალები, რომლებიც კარგად ახასიათებს საქართველოს მენშევიკური მთავრობის საქმიანობას სამოქალაქო ომის წლებში, საქართველოს მენშევიკურ მთავრობასა და „მოხალისეთა არმიის" წარმომადგენელთა შორის წარმოებულ მოლაპარაკებათა ანგარიშებს, მიმოწერას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს შორის. აქვეა მასალები, რომლებიც ეხებიან 1920 წ. 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის დადებულ ხელშეკრულებას.

ამავე ფონდებში უხვადაა მასალები, რომლებიც ასახავენ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობას და მის ხელმძღვანელ როლს. დასახელებულ ფონდებში შემონახულია მოწოდებანი, პროკლამაციები და სხვა ხასიათის მასალა, რომლებშიც მხილებულია საქართველოს მენშევიკური მთავრობის მოღალატური საქმიანობა. ისინი მოუწოდებენ ამიერკავკასიის მშრომელებს საერთო მტრის — დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

---

[1] Борьба за победу Советской власти в Грузии (документы и материалы 1917—1921 гг.), Госиздат «Сабчота Сакартвело», Тб., 1958; Борьба за Советскую власть в Чечено-Ингушетии (1917—1920 гг.), Сборник документов и материалов, Грозный, 1958; За власть Советов в Кабарде и Балкарии. Документы и материалы по истории борьбы за Советскую власть и образование Кабардино-Балкарской автономной области (1917—1922 гг.), Нальчик, 1957; Борьба за Советскую власть в Северной Осетии (1917—1920 гг.), Документы и материалы. Орджоникидзе, 1957; Борьба за установление и упрочение Советской власти в Дагестане 1917—1921 гг. Сборник документов и материалов. Москва, 1958, და სხვ.

იმავე არქივის ფ. 1160 შეიცავს მასალებს 1919 წ. თებერვალში ელადიკავკავის დენიკინელების მიერ დროებით დაკავების შემდეგ პარტიული ამხანაგების საქართველოში გადმოსვლის შესახებ. ამავე ფონდში დაცული მასალა ასახავს საქართველოს მენშევიკურ მთავრობასა და დენიკინს შორის არსებულ უთანხმოებას მთელ რიგ საკითხებში და ინგლისელ იმპერიალისტთა საქმიანობას, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ ამ უთანხმოებათა თავის სასარგებლოდ გამოყენებას.

ფართოდაა გამოყენებული საქართველოს ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივის შემდეგი ფონდები: 11, 12, 13, 24, 28, 50, 51[c], 757/ბ[1ა]

ამავე არქივში გავეცანით საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომების სტენოგრაფიულ ანგარიშებს (1919-1920 წწ.). უნდა ითქვას, რომ მიუხედავად აღნიშნულ ფონდებში დაცული მასალების სიმრავლისა და მათი მნიშვნელობისა, ზემოთ აღნიშნულ ფონდებში დაცული მასალები მეტად მკრთალად ასახავენ ქართველ რევოლუციონერთა მოღვაწეობას ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის წლებში, კერძოდ მათ მონაწილეობას დენიკინელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში დაცული მასალებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ფ. 12798.

აქ თავმოყრილია სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებები, გაზეთების „ვოლნა", „ერთობა" და „სოციალ-დემოკრატის" მთელი რიგი ნომრები, რომლებიც ძვირფას მასალას შეიცავს აღნიშნულ პერიოდზე მომუშავე მკვლევართათვის. ამავე ფონდის მასალები მოიცავს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების მიმართვებსა და პროკლამაციებს საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელებისადმი, რომლებშიც მოუწოდებენ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

აქვეა დაცული ფ. 85 — ფილიპე მახარაძის პირადი ფონდი, რომელშიც უხვადაა მასალები ჩრდილოეთ კავკასიაში მისი მოღვაწეობის შესახებ. ამ ფონდში დაცული მასალები პირების სახით ინახება ქ. ორჯონიკიძის (ჩრდ. ოსეთი) არქივებში.

[1ა] უკანასკნელ ხანამდე ეს ფონდები დაცული იყო საქ. ორცს არქივში, ხოლო შემდეგ გადაეცა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივს.

ამავე არქივში დაცული მასალებიდან აღსანიშნავია ჯ. ხუტულაშვილის ავტობიოგრაფიის ხელნაწერი.

გარდა ზემოთ აღნიშნული ფონდებისა ჩვენ მიერ გამოყენებულია არქივის შემდეგი ფონდები: 3, 14, 40, 64.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივთან შედარებით მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივის მასალები უკეთ აშუქებს ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლასა და მხარეში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის საქმეში ქართველთა მონაწილეობას.

მოსკოვის არქივებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტარქივი.

არქივის ფ. 124, ანაწ. 1, რომელსაც ეწოდება „ძველი ბოლშევიკების საკავშირო საზოგადოება", დაცულია სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებები (ნ. ბახტაძის, ვ. ძნელაძის, პ. საბაშვილის, გ. ჩხეიძის და სხვ.), რომელთა შორის აღსანიშნავია გ. სტურუას მოგონება, სადაც გადმოცემულია მისი მონაწილეობა ვლადიკავკაზისათვის წარმოებულ ბრძოლებში 1919 წ. იანვარ-თებერვალში.

ამავე ფონდში დაცულია ჯ. ხუტულაშვილის მოგონება, სადაც აღწერილია მისი მოღვაწეობა არკადი (აგორდი) ელბაქიძესთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში პარტიული ამხანაგების გადმოყვანისა და ინგუშეთში მომუშავე ამხანაგებისათვის ფულის მიწოდების ორგანიზაციის საქმეში.

აღნიშნულ არქივიდან ჩვენ მიერ გამოყენებულია ფ. 70, ანაწ. 3 (რუსეთში რევოლუციური მოძრაობის, ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის მონაწილეთა ბიოგრაფიები). ამ ფონდის მასალებიდან ჩვენთვის საინტერესოა გ. სტურუას ბიოგრაფია, ი. შევცოვისა და ი. შაფირის მოგონებები და სხვ.

გამოყენებული გვაქვს ამავე არქივის ფონდები: 17, 80, 85 და 461.

სსრ კავშირის ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივიდან გამოყენებული გვაქვს ფ. ფ. 440, 449 და 3411.

საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ჩვენ გავეცანით მთელ რიგ ფონდებს. მათ შორის ფ. 109, ანაწ. 3 (Управление армиями Кавказского фронта, ноябрь 1919 — июль 1921 гг.) და ფ. 194, ანაწ. 1 (Управление XI отдельной армии, март 1919— июль 1919 гг.). ამ არქივში დაცული მასალებიდან საინტერესოა ფ. 28 361, ანაწ. 1, საქმე 939, სადაც დაცულია XI არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ი. პოლუიანის მოხსე-

ნება რესპუბლიკის სამხედრო რევოლუციურ საბჭოს, სადაც იგი აფასებს XI არმიის როლს კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საქმეში.

ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების არქივებიდან ყველაზე მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი მასალები დაცულია ქ. ორჯონიკიძის (ჩრდ. ოსეთი) არქივებში.

ჩრდილო ოსეთის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ჩვენ გაეცანით სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებებს.

ამავე არქივში არის ფონდი P—60, ანაწ. 1, რომელსაც ეწოდება Комиссия по делам Красногвардейцев и Красных партизан при Горсовете (1926—1935 гг.). ამ ფონდის მასალებში თავმოყრილია ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიზანთა პირადი საქმეები. მათ შორის ინახება 60-მდე ქართველი რევოლუციონერის პირადი საქმე, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ ჩრდილო კავკასიაში 1918—1920 წწ. მანძილზე. დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფონდის მასალები მკვლევართა მიერ დღემდე გამოყენებული არ ყოფილა.

მდიდარი მასალაა ქ. ორჯონიკიძის ს. კიროვისა და გ. ორჯონიკიძის მუზეუმის არქივში.

აქ ინახება ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე რევოლუციური მოვლენების მონაწილეთა მოგონებები (ფ. 5, ანაწ. 1, 2 — Воспоминания участников революционных событий на Тереке), როგორიცაა ფ. მახარაძის, პ. ოობაძის, პ. ოგურცოვის, ს. ქავთარაძის, გ. თოდაშვილის, ზ. ფალავანდიშვილის, ი. გობედაშვილის, ა. ზუბკოვის, ი. გალცევის და სხვ. აგრეთვე ს. ორჯონიკიძის ფონდი (№ 2). აქვეა მასალები, რომლებიც ამუქებენ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოღვაწეობას ჩრდილოეთ კავკასიაში 1918—1919 წლებში.

ამავე არქივის ფ. 8. (ანაწ. 1, 2) — თავმოყრილია მასალები, რომლებიც შეიცავენ ქართველ რევოლუციონერთა — ნ. ბუაჩიძის, ა. გეგეჭკორის, ზ. ფალავანდიშვილის, მამია ორახელაშვილის, მარიამ ორახელაშვილის, ფ. მახარაძის, ს. თოდრიას, ა. ანდღულაძის, ნ. ბაბილოძის, მ. კიკნაძის, ვ. კვირკველიას, ი. გობედაშვილის და სხვ. ბიოგრაფიებსა და მოგონებებს.

მდიდარი მასალაა დაცული ჩრდილო ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივში. ამ არქივიდან საინტერესოა ფ. 21 (ანაწ. 1) — სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებები. აქ არის პ. კობაიძის, მ. ბურდულის, თ. ომიაძის, ა. ლობჟანიძის, კლიკოვის და სხვათა მოგონებები. აქვეა მასალები ა. გეგეჭკორის შესახებ.

ამავე ფონდში დაცულია (ს. 296) ს. დ. კულოვის საკანდიდატო დისერტაცია — Борьба за Советизацию Северной Осетии, г. Дзауджикау, 1948 г. და თერგის მხარეში სამოქალაქო ომის მონაწილის დ. კორენევის ნაშრომი — Революция и Контрреволюция на Тереке 1917—1918 гг. (III часть, 1918). (საქმე 292) — ხელნაწერი.

ისინი ბევრ საინტერესო მასალას შეიცავენ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. იმავე არქივში დაცულია ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის მონაწილის და კომკავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის ი. დ. ნიკონოვის ნაშრომის — „Гражданская война в Северной Осетии и Комсомол" — ხელნაწერი, რომელიც საინტერესო მასალას შეიცავს ჩრდილოეთ კავკასიაში კომკავშირის შექმნისა და მისი როლის შესახებ დენიკინელთა თეთრგვარდიული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამოქალაქო ომის მრავალი მონაწილის მოგონებები ინახება სკკპ ჩრდილო ოსეთის საოლქო კომიტეტთან არსებულ პარტიულ არქივში (ქ. ორჯონიკიძე). ამ არქივში დაცული მასალებიდან აღსანიშნავია უგალიკ ეძიევის (ცნობილი ოსი რევოლუციური მოღვაწე და სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე) მოგონება ჩრდილოეთ კავკასიიდან რევოლუციონერთა ერთი ჯგუფის საქართველოში გადასვლისა და იქ მათი საქმიანობის შესახებ. იგი ხაზს უსვამს იმ დახმარებას, რაც მათ აღმოუჩინეს პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს მშრომელებმა.

ქ. ორჯონიკიძეში გაეცანით აგრეთვე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივის მასალებს. აქ დაცულ მოგონებებიდან აღსანიშნავია ეპილ მაქსიმეს ძე კესაევის მოგონება ჩრდილო ოსეთის პარტიზანთა გადასვლის შესახებ სოფ. ჭიორაში 1919 წ. აპრილში და მათი საქმიანობა საქართველოში.

რაც შეეხება ქ. ნალჩიკის (ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ), ქ. გროზნოს (ჩეჩენ-ინგუშეთის ასსრ) და ქ. მახაჩყალის (დაღესტნის ასსრ) არქივებს, მათში სამოქალაქო ომის წლების შესახებ მასალები ძალზე ცოტაა, ხოლო მიმდინარე მოვლენებში ქართველთა მონაწილეობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში თითქმის არაფერს შეიცავენ[2].

ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არის ფონდი 623, ანაწ. 1, რომელიც წარმოადგენს 1918-1920 წწ. ჩეჩნეთსა და დაღესტნის მთებში მოქმედ წითელ პარტიზანთა სიას. მათ შორის

---

[2] ეს ეხებინება მასალების დაღუპვით როგორც სამოქალაქო ომის, ასევე სამამულო ომის წლებში.

მოხსენებული არიან ქართველები: ა. გრუზინოვი, ა. ამალიძე, ნ. კაზალიკაშვილი, ვ. ეუკაშვილი, მ. ომიაძე და ა. ჯაყმაიძე.

სკკპ ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პარტიულ არქივში (ქ. გროზნო) გავეცანით სამოქალაქო ომის მონაწილეთა ფონდს 1491 (ანაწ. 1, 2, 3, 4). ან ფონდში დაცული მ. ლევანდოვსკის და სალმან შერიპოვის (ასლან შერიპოვის ძმა) მოგონებები შეიცავენ ცნობებს ჩვენი მონოგრაფიისათვის საინტერესო მრავალ საკითხზე.

გარდა აღნიშნულისა, გავეცანით ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივის, დაღესტნის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივისა და სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დაღესტნის ფილიალის არქივის სათანადო ფონდებს. ეს ფონდები ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე რაიმე არსებითი ხასიათის მასალებს არ შეიცავენ.

ასეთია ის საარქივო მასალა, რომელსაც ემყარება ნაშრომი. აღნიშნული პერიოდის მოვლენების შესასწავლად პირველწყაროების მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სახელმწიფოსა და კომპარტიის გამოჩენილი მოღვაწეების სტატიებსა და სიტყვებს. მხედველობაში გვაქვს გ. ორჯონიკიძის „სტატიები და სიტყვები" (1910—1926 წწ., ტ. I, თბილისი, 1957), ს. კიროვის — „Избранные статьи и речи (1912—1934 гг., М., 1957), ფ. მახარაძის — „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში" (თბ., 1922), „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის 1917—1921 წწ" (თბ., 1927) და სხვ. ასევე ძვირფას წყაროს წარმოადგენენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გამოჩენილ რევოლუციონერთა სტატიები და სიტყვები, როგორიც არის, მაგ., ბ. კალმიკოვის „Революционное движение в Кабарде и Балкарии" (ნალჩიკი, 1958 წ.), ა. შერიპოვის „Статьи и речи" (გროზნო, 1961., ა. გოიგოვის «Избранное» (გროზნო, 1961.) და სხვ.

დასახელებულ შრომებში მოცემულია ძვირფასი მასალა ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის ბატონობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის ისტორიისათვის.

ნაშრომში გამოყენებულია იმდროინდელი პერიოდული პრესის მასალები, კერძოდ ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნა" (გამოდიოდა თბილისში 1919 წ. 9/VI — 1919 წ. 30/VI).

შესწავლილი გვაქვს საქართველოს მენშევიკური მთავრობის პრესაც: გაზ. „ერთობა" (გამოდიოდა თბილისში 1917 წ. 15/III—1921 წ. 24 თებერვლამდე), გაზ. „სოციალ-დემოკრატი" (საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ყოველკვირეული ორგანო), გაზ.

„ბორბა“ (გამოდიოდა თბილისში 1917 წ. 14/V — 1921 წ. 25/II-მდე). მათში კარგად მოჩანს საქართველოს მენშევიკების დამოკიდებულება დენიკინის კონტრრევოლუციისადმი და მათი ანტიხალხური პოლიტიკა.

თბილისშივე გამოდიოდა კონტრრევოლუციური „მთიელთა კავშირის“ ორგანო — ყოველდღიური გაზეთი „Вольный горец“ (1919—1920 წწ.). იგი საინტერესო მასალებს შეიცავს ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური წრეების პოზიციების შესახებ, რომლებიც ებრძოდნენ დენიკინს მისი ცდისათვის — აღედგინა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“, მაგრამ ანტანტის დახმარებით „დამოუკიდებლობის“ მოპოვების ცდებმა ისინი სულ უფრო ღრმად მიაჯაჭვა იმპერიალისტებზე.

გამოყენებული გვაქვს ის გაზეთებიც, რომლებიც სამოქალაქო ომის წლებში გამოდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. ამათ შორის უნდა აღვნიშნოთ ბოლშევიკური გაზეთი „Горская беднота“ (გამოდიოდა ვლადიკავკაკაკში 1919 წ. იანვარში), აგრეთვე არაბოლშევიკური გაზეთი, როგორიც იყო „Терский казак“ (გამოდიოდა ვლადიკავკაკაკში 1918 წ. მაისიდან) და სხვ.

გარდა საარქივო მასალებისა და პერიოდული პრესისა ნაშრომში გამოყენებულია დოკუმენტების კრებულები[3] და ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილეთა მოგონებები და შრომები.

ასეთ ნაშრომთა რიცხვს მიეკუთვნება ცნობილი რევოლუციონერის, ნ. გიკალოს უახლოესი თანამებრძოლის, ა. ნოსოვის მოგონებები — Октябрьская революция в Грозном и в горах Чечено-Ингушетии (1917—1920 гг.), Воспоминания, Грозный, 1961.

მისი მოგონებებიდან კარგად ჩანს თუ ბოლშევიკები, დენიკინის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ოკუპაციის დროს როგორ იყენებდნენ შარიათულ მოძრაობას ჩეჩნეთში. გარკვეული დროის მანძილზე ნ. გიკალოს წითელპარტიზანთა შენაერთს კონტაქტი ჰქონდა დამყარებული უზუნ-ჰაჯის ემირატთან დენიკინის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისა-

---

[3] Из истории Гражданской войны в СССР. Сборник документов и материалов в трех томах. 1918—1922 гг. т. I, май 1918 — март 1919, М., 1960; т. 2, март 1919 — февраль 1920, М., 1961; т. 3, февраль 1920 — октябрь 1922, М., 1961; Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии Тифлис, 1919 г.; «Демократическое правительство» Грузии и Английское командование (Сб. документов), подготовленный к печати С. Е. Сефом. С предисловием М. И. Покровского, Тифлис, 1928; მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში, მასალები და დოკუმენტები. კრებული შედგენილია გაიოზ დევდარიანის. მიერ. სახელგამი, ტფილისი, 1931.

თვის. ამავე დროს ბოლშევიკები დიდ მუშაობას აწარმოებდნენ რეაქციული წრეების გამოსაშკარავებლად, რომლებიც ცდილობდნენ საათაევში ჩასდგომოდნენ მთიელი ხალხების ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

როგორც მოგონებიდან ჩანს, ამ ტაქტიკამ გაამართლა. იგი ფარდას ხდიდა მუსულმანური წრეების პოლიტიკას, რომლებიც თავის კონტრრევოლუციურ ანტიხალხურ სახეს და არსს მალავდნენ შარიათული ლოზუნგებით და უზრუნველყოფდა ხალხის მასების ჩამოცილებას მათგან.

ჩვენ ყოველივე ამას იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ დღემდე მეცნიერული მუშაობა ძირითადად მიდის ფაქტების დაგროვების ხაზით და ნაკლები ყურადღება ექცევა ბოლშევიკების ტაქტიკის საკითხებს, იმ პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობის საკითხებს, რომლებიც გამოდიოდნენ დენიკინის წინააღმდეგ.

ძვირფას ცნობებს გვაწვდის თავის მოგონებებში სიმონ ტაკოევი — „К истории революционного движения на Тереке (по личным воспоминаниям)"[4].

ს. ტაკოევი თავის მოგონებებში ვრცლად აგვიწერს ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების რევოლუციურ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ, ხოლო დენიკინის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დროებით დაკავების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიელ რევოლუციონერთა და პარტიზანთა ნაწილების გადმოსვლას საქართველოში და აქ მათ მოღვაწეობას.

უკანასკნელ წლებში გამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის მონაწილეთა მოგონებების კრებულები[5], რომლებიც გარკვეულად ავსებენ საარქივო მასალებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილის ვ. სუხორუკოვის ნაშრომი — „XI армия в боях на Северном Кавказе и нижней Волге (1918—1920 гг.)"[6]. იგი

---

[4] Известия Осетинского научно-исследовательского института Краеведения, вып. II, июнь 1926 г., Владикавказ.

[5] Гражданская война в Северной Осетии. По воспоминаниям участников. К 50-летию Великой социалистической революции, Орджоникидзе, 1965; Воспоминания участников Октябрьской революции и гражданской войны в Кабардино-Балкарии, Второе издание, исправленное и дополненное, Нальчик, 1960; Воспоминания участников гражданской войны в Юго-Осетии (1917—1921 гг.), Сталинир, 1957; За власть Советов. Воспоминания старых большевиков, участников борьбы за установление Советской власти на Кубани, Краснодар, 1957 г. და სხვ.

[6] Военное из-о Мо союза ССР, М—1961 г.

მ. ტრასკუნოვის შრომებთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელიც XI არმიის ისტორიას ეხება.

საკვლევი საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა შეიძლება ორად დავაჯგუფოთ.

პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ლიტერატურა, რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისადმი (1918 — 1921 წწ.) ეს ლიტერატურა მეტ-ნაკლები სისრულით ასახავს სამოქალაქო ომს, კერძოდ დენიკინის ლაშქრობას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ და საქართველოს დამოკიდებულებას ამ ამბებისადმი.

ამ ლიტერატურიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გ. ხაჭაპურიძის — „ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის", თბილისი, 1957 წ., რომელიც წარმოადგენს 1936 წ. გამოცემული ვრცელი ნაშრომის „ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში" გადამუშავებულ და შესწორებულ გამოცემას. იგი რამდენჯერმე გამოიცა ქართულ და რუსულ ენებზე.

ა. სურგულაძე თავის გამოკვლევებში — „ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წწ.)", თბილისი, 1954, „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918 — 1921 წწ.), წიგნი II, თბ., 1961, ვრცლად მიმოიხილავს როგორც ამიერკავკასიის მთავრობებისა და კერძოდ საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულებას დენიკინთან, ისე საქართველოს მშრომელი მასების 1919 წ. ოქტომბრის აჯანყებას, რომელიც მიმართული იყო მენშევიკური მთავრობის გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ნ. მახარაძის მონოგრაფიაში — „Победа Социалистической революции в Грузии", Тб., 1965, ბევრი საინტერესო მასალაა ჩვენს კვლევით საკითხებზე. ამავე პერიოდისადმია მიძღვნილი პ. ცქვიტარიას ნაშრომი — „აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები", (1914—1921 წწ.), წიგნი მეორე, ბათუმი, 1962 წ.

მ. ტრასკუნოვის ნაშრომები[1] ძირითადად მიძღვნილია მე-11 წითელდროშოვანი არმიის გმირული ისტორიისადმი, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის განადგურებასა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაში.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობას და მის ხელ-

---

[1] მ. ტ რ ა ს კ უ ნ ო ვ ი. მეთერთმეტე წითელი არმიის სახელოვანი გზა, თბ., 1960, საბრძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები, თბ., 1962.

მძღვანელ როლს დენიკინის წინააღმდეგ კავკასიის ხალხების ბრძოლაში ეხება კ. ივანიძის წერილი — „რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი დენიკინის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა ბრძოლის სათავეში", რომელიც გამოქვეყნებულია შრომების კრებულში — „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები", ნაკვ. 14, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, თბ., 1966 წ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ა. ირემაძისა და ს. ციცქიშვილის ნარკვევები სამოქალაქო ომის გმირებზე — „ისინი იბრძოდნენ შენი მომავლისათვის", რომელიც 1962 წ. გამოიცა. იგი წარმოადგენს ბიოგრაფიულ ნარკვევებს იმ ქართველ გმირებზე, რომლებიც იბრძოდნენ სამოქალაქო ომის ფრონტებზე, (მათი უმრავლესობა ჩრდილოეთ კავკასიაში იქაური ხალხების მხარდამხარ გმირულად იბრძოდა დენიკინის წინააღმდეგ).

აქვე უნდა აღინიშნოს ელ. დრაბკინას წიგნი «Грузинская контрреволюция» (ლენინგრადი, 1928), საარქივო და პერიოდულ პრესაზე დაყრდნობით ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობას და საქართველოს მენშევიზმის პროგრამას.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ ნაშრომის IV-ე თავი „Внешняя политика". ამ თავში განხილულია საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება დენიკინისადმი და მისი სხვა საგარეო პოლიტიკური აქციები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

რაც შეეხება მეორე ჯგუფის ლიტერატურას, იგი ძირითადად მიძღვნილია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ბრძოლისადმი დენიკინის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისა და განმტკიცებისადმი ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომისა და საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლისადმი მიძღვნილი ლიტერატურა არცთუ ისე მრავალრიცხოვანია.

ოციან წლებში გამოცემული ზოგიერთი ნაშრომი არასწორად აშუქებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას. ზოგიერთი ისტორიკოსი გამორიცხავს ყოველგვარ კლასობრივ ბრძოლას ჩრდილოეთ კავკასიაში[8].

ზოგ ნაშრომში სუსტადაა ნაჩვენები მუშათა კლასისა და მთიელი გლეხობის კავშირი, კომპარტიის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი

---

[8] Н. Яичевский, Гражданская борьба на Северном Кавказе, т. II, Ростов н-д, 1927.

როლი. მათში თითქმის არაფერია ნათქვამი რუსი ხალხისა და წითელი არმიის დახმარების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის საქმეში, სათანადოდ არაა გაგებული და შეფასებული უზუნ-ჰაჯის მოძრაობა[9].

ამ პერიოდისადმი მიძღვნილი შრომებიდან აღსანიშნავია მ. ტოტოევის „Очерки истории революционного движения в Северной Осетии (1917—1920 гг.)", Орджоникидзе, 1957. ეს ნაშრომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომთაგანია, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში ფამოიცა და შეეხება აღნიშნულ პერიოდს. ავტორი აღნიშნულ ნაშრომში ვრცლად განიხილავს დენიკინის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დიდი ნაწილის დაპყრობას და იმ ბრძოლას, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა ეწეოდა დენიკინის წინააღმდეგ. მას განხილული აქვს პარტია „კერძენის" შექმნის ისტორია. იგი მიუთითებს, რომ მიუხედავად რიგი შეცდომებისა, რომელიც პარტია „კერძენს" გააჩნდა, მან დადებითი როლი ითამაშა აღნიშნულ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიაში გაშლილ სამოქალაქო ომში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მასების დარაზმვის საქმეში. ამ ნაშრომთა რიგში დგას ზ. გოიგოვას — „Народы Чечено-ингушетии в борьбе против Деникина" (Грозный, 1963), რ. გუგოვისა და უ. ულიგოვის — „Борьба трудящихся за власть Советов в Кабарде и Балкарии" (Нальчик, 1957), მ. აბაზატოვის — „Из истории гражданской войны в Чечено-Ингушетии (1918—1920 гг.)", (Грозный, 1962), ა. ფაჯიევის — „Помощь русского народа в установлении Советской власти в Дагестане" (махачкала, 1963) და სხვ.

ა. ფაჯიევმა თავის მონოგრაფიაში გვიჩვენა რუსეთის მუშათა კლასის ავანგარდული როლი დაღესტნისა და საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელთა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ვერ შესძლებდნენ საკუთარი ძალებით შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის დამარცხებას, და რომ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ერთიანმა ბრძოლამ, რუსეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, განაპირობა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ჩრდილოეთ კავკასიაში.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ რევოლუციის მიერ განადგურებულმა თეთრგვარდიელთა ნაშთებმა საზღვარგარეთ უამრავი ლიტე-

---

[9] Г. Мартироскан, История Ингушетии, Владикавказ, 1933; М. Абазатов, Борьба трудящихся Чечено-Ингушетии за Советскую власть в 1917—1918 г. В сборнике «Славный путь борьбы и труда», Грозный, 1961 და სხვ.

რატურა გამოსცეს მოგონებებისა და სხვა სახით. მათგან მრავალი ეხება დენიკინელთა მოქმედებას[10]. ისინი ყველა საშუალებას მიმართავენ, თვით ფაქტების ფალსიფიკაციასაც, რომ გაამართლონ უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის ბრძოლა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

ასეთია მოკლედ ის წყაროთმცოდნეობითი და ლიტერატურული ბაზა, რომელსაც ჩვენ მიერ აღებული ნაშრომის დამუშავებისას ვეყრდნობოდით. ამ მასალის კრიტიკული განხილვა, შეჯერება საშუალებას გვაძლევს სამოქალაქო ომის წლებში დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის მეტ-ნაკლებად სრული სურათი აღვადგინოთ.

თავი I

ჩრდილოეთ კავკასია დენიკინელთა ავანტიურის წინ

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამხო კაპიტალისტებისა და მემამულეთა ხელისუფლება და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა. რუსეთის საბჭოების II ყრილობამ (1917 წ. 25 ოქტომბერს) მიიღო დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ.

რუსეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს სინამდვილეში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა ნაციონალურ საკითხს და ამ საკითხზე ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

1917 წ. 2 (15) ნოემბერს გამოქვეყნდა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია". ამ დოკუმენტით ცხადდებოდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების თანასწორობა და სუვერენობა, ყოველგვარი ნაციონალურ-რელიგიური პრივილეგიების გაუქმება, ეროვნებათა თვითგამორკვევა გამოყოფამდე და სუვერენულ სახელმწიფოს შექმნამდე.

აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების რუსეთთან დაახლოების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა მთავრობის 1917 წ. 20 ნოემბრის (3 დეკემბერი) მიმართვას „აღმოსავლეთისა და რუსეთის მშრომელი მუსულმანებისადმი".

„ამიერიდან თქვენი რწმენა და ჩვეები, თქვენი ნაციონალური

---

[10] А. И. Деникин, Очерки русской смуты, т. 1—5, Берлин, 1925—1927 гг.; Лукомский А. С. Воспоминания, т. III, Берлин, 1922 და სხვ.

და კულტურული დაწესებულებები ცხადდებიან თავისუფლად და ხელშეუხლებლად. მოაწყეთ თქვენი ნაციონალური ცხოვრება თავისუფლად და დაუბრკოლებლად"[1].

ჩვენი პარტიის სწორმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო რუსეთის ხალხების ერთსულოვანი ნდობა რუსი მუშებისადმი და მათი სოლიდარობა საერთო საქმისათვის ბრძოლაში. როგორც-კი მოაღწია ცნობამ ჩრდილოეთ კავკასიამდე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით აღსდგნენ ადგილობრივი ბურჟუაზიული მთავრობების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საბრძოლველად, რევოლუციის პირველ დღეებშივე ვლადიკავკაზისა და გროზნოს დეპუტატთა საბჭოებმა მიიღეს ბოლშევიკური რეზოლუციები, რომლებშიც იწონებდნენ მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლას.

გროზნოს საბჭომ თავის სხდომაზე 1917 წ. 2 (15) ნოემბერს მიიღო დადგენილება: „კრება სრულ ნდობას უცხადებს პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს და მისი პირველი დაძახებისთანავე მზადაა იარაღით ხელში გამოვიდეს რევოლუციისა და საბჭოების დასაცავად"[2].

რევოლუცია სწრაფად ვრცელდებოდა რუსეთის ტერიტორიაზე, კონტრრევოლუციური ელემენტები, რომლებმაც მარცხი განიცადეს ცენტრში, თავს უყრიან თავის ძალებს პერიფერიებში, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ თერგის ოლქში. მათი ეს არჩევანი განპირობებული იყო იმით, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ცარიზმის განაპირა მხარეს წარმოადგენდა, კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად მრეწველობა განუვითარებელი იყო, პროლეტარიატი კი მცირერიცხოვანი და სუსტი, ხოლო აქ არსებული ეთნიკური სიჭრელე ეროვნული წინააღმდეგობების კერად აქცევდა მას. ამას უნდა დავუმატოთ მრავალრიცხოვანი კაზაკური მასების არსებობა, რომლის ზედაფენები აშკარად კონტრრევოლუციურად იყვნენ განწყობილნი. თვით ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური განვითარების თავისებურებების შედეგად აქ მუსულმანურ ხალხებში ჯერ კიდევ ძლიერი იყო მოლებისა და შეიხების გავლენა. ისინი კონტრრევოლუციის დასაყრდენად შეიძლებოდა ქცეულიყვნენ. ყოველივე ეს წარმოადგენდა რუსეთის კონტრრევოლუციის სოციალურ ბაზას.

---

[1] Образование СССР, сборник документов 1917—1924 гг. М.—Л., 1949, გვ. 21.

[2] Борьба за Советскую власть в Чечено-Ингушетии (1917—1920 гг.) Сб. документов и материалов, Грозный, 1958, გვ. 71.

რევოლუციასთან საბრძოლველად და მხარეში „მტკიცე ხელისუფლების" დასამყარებლად 1917 წ. 1 დეკემბერს შეიქმნა გაერთიანებული თერგ-დაღესტნის მთავრობა, რომელიც შედიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირში. ამ მთავრობაში შევიდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ყველაზე გავლენიანი წარმომადგენლები — კარაულოვი, ჩერმოევი, კოცევი, ჯაბაგიევი, გენერლები: გოლოშაპოვი, კაპლანოვი და სხვ. მათი მიზანი იყო ჩრდილოეთ კავკასია ჩამოეშორებინათ რუსეთისათვის. თერგ-დაღესტნის მთავრობა ემყარებოდა ე. წ. „ველურ დივიზიას", მიუხედავად ბოლშევიკების მიმართ სასტიკი რეპრესიებისა, რევოლუციური მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებდა. მაშინ კონტრრევოლუციამ მიმართა ნაცად ხერხს. მათ გააღვივეს ნაციონალური შუღლი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის, რამაც საქმე მიიყვანა სუნჟის ხაზის კაზაკებისა და მთიელების შეტაკებამდე.

თერგის ოლქის რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება საამისოდ ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა. აქ ერთმანეთში იყო გადახლართული წინააღმდეგობანი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას, გარეშენსა და კაზაკებს, კაზაკებსა და მთიელებს, აგრეთვე თვით სხვადასხვა ეროვნების მთიელებს შორის[3]. ყოველივე ეს წარმოადგენდა კონტრრევოლუციისათვის სოციალურ-ეკონომიურ საფუძველს მხარეში „მტკიცე ხელისუფლების" დასამყარებლად.

კონტრრევოლუციამ მთელ ძალებს თავი მოუყარა გროზნოსთან, რათა დაემხო საბჭოების ხელისუფლება. ბოლშევიკებთან ბრძოლაში კონტრრევოლუციას დიდ დახმარებას უწევდა ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც ამარაგებდა მათ იარაღითა და საჭურვლით.

კონტრრევოლუციამ შესძლო გროზნოს ხელში ჩაგდება. საბჭომ შესწყვიტა თავისი არსებობა. ბოლშევიკები იძულებული გახდნენ არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყვნენ.

კონტრრევოლუციამ გროზნოს ხელში ჩაგდების შემდეგ გეზი ვლადიკავკავისაკენ აიღო. 1917 წ. 31 დეკემბერს დაარბიეს ვლადიკავკავის საბჭო, ხოლო მისი პრეზიდიუმის წევრები — ნ. ბუაჩიძე, მ. ორახელაშვილი და სხვ. დააპატიმრეს. დაარბიეს აგრეთვე ვლადიკავკავის პარტიული კომიტეტიც.

თერგის ოლქის ბოლშევიკები იძულებული იყვნენ არალეგალური მუშაობა ეწარმოებინათ. რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ დიდ დახმარებას უწევდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი.

---

[3] Х. Ошаев, Пламенные годы, Грозный, 1966, გვ. 4.

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი წამოყვეს შეიხებმა და მოლებმა. ისინი ჰქმნიდნენ მიურიდების რაზმებს. აქ განსაკუთრებით აქტიურობდნენ გოცინსკი და უზუნ-ჰაჯი. უზუნ-ჰაჯი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაემხო გროზნოს სამხედრო რევოლუციური კომიტეტი[4]. ეროვნულმა შუღლმა მოიცვა მთელი თერგის მხარე. განსაკუთრებით მწვავე იყო ომი, ერთი მხრივ, კაზაკებსა და, მეორე მხრივ, ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის. თერგის ბოლშევიკების წინაშე ამ დროს იდგა ამოცანა ბოლო მოეღოთ სისხლისმღვრელი შეტაკებებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა მშრომელ კაზაკებსა და მთიელებს შორის და, რომელიც პროვოცირებული იყო კონტრრევოლუციური კაზაკების და მთიელთა ზედაფენების მიერ[5].

ასეთ ვითარებაში 1918 წ. 25 იანვარს მოზდოკში კონტრრევოლუციური კაზაკობის ინიციატივით მოიწვიეს თერგის ოლქის ხალხების ყრილობა. ამ ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ თერგის ოლქის ხალხები, ჩეჩენ-ინგუშების გამოკლებით. კაზაკთა ზედაფენებს სურდათ ყრილობას მხარი დაეჭირა მათთვის ომში, რომელსაც კაზაკობა აწარმოებდა ჩეჩენ-ინგუშების წინააღმდეგ, ჩაეთრიათ ისინი მასში.

ბოლშევიკებმა ყრილობაზე შექმნეს „სოციალისტური ბლოკი", რომელსაც ს. კიროვი და ნ. ბუაჩიძე ედგნენ სათავეში. მათ მოახერხეს ყრილობაზე ეთამაშათ წამყვანი როლი, რაც მთავარია, მათ შესძლეს კაზაკობისათვის ჩამოეშორებინათ მისი უმრავლესობა — უღარიბესი ფენები. ბოლშევიკების მთელი ყურადღება მიმართული იყო იქით, რომ შეექმნათ თერგის ხალხების — კაზაკების მშრომელი მასებისა და მთიელების ერთიანი ფრონტი.

„თუ თქვენ არ წახვალთ ერთიანი ფრონტით, მაშინ ჩვენ ყველანი დავიღუპებით, — წერდა ს. კიროვი... ჩვენი ამოცანებია — გაერთიანება, გაერთიანება და გაერთიანება"[6].

ბოლშევიკების ზეგავლენით ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რათა შეეწყვიტათ თერგის მშრომელ ხალხებს ურთიერთშორის ომი და მოეწვიათ ახალი ყრილობა, სადაც თერგის ოლქის სხვა ხალხებთან

---

[4] 31 დეკემბერს (1917 წ.) გროზნოში შეიქმნა საოლქო სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა ოსინისიანი. რევკომის ამოცანას შეადგენდა დაერაზმა მუშები, მოემზადებინა მთელი ყალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში და კონტრრევოლუციის საბოლოო განადგურება.

[5] Ж. «Вопросы истории», 1951, № 10, გვ. 11.

[6] С. М. Киров, Избранные статьи и речи (1912—1934 гг.), М., 1957, გვ. 19, 22.

ერთად წარმოდგენილი იქნებოდნენ ჩეჩენ-ინგუშებიც. ყრილობამ აირჩია ხელისუფლების დროებითი ორგანო ოლქში — თერგის საბალხო საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ნ. ბუაჩიძე.

მოზდოკის ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე 1918 წ. 16 თებერვალს პიატიგორსკში მოიწვიეს თერგის ოლქის ხალხთა II ყრილობა. მიუხედავად კონტრრევოლუციის დიდი წინააღმდეგობისა, ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ჩეჩნეთ-ინგუშეთის დელეგაცია. ა. შერიპოვის მეთაურობით.

„მუშების, გლეხების, კაზაკებისა და მთიელთა რესპუბლიკა“ — ამ ლოზუნგის გარშემო ხდებოდა თერგის ოლქის ხალხების შემოკრება და გაერთიანება.

საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მთიელთა მობრუნების საქმეში აღნიშნულმა ყრილობამ დიდი როლი ითამაშა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩეჩენთა და ინგუშთა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადასვლას. კონტრრევოლუციური კაზაკობა ცდილობდა თერგის ოლქის ყველა ხალხი დაეპირისპირებინა ჩეჩენ-ინგუშებისათვის და ჩაეთრიათ ომში მათ წინააღმდეგ. მაგრამ ყრილობის მიერ გატარებულმა სწორმა ნაციონალურმა და აგრარულმა პოლიტიკამ ჩეჩნები და ინგუშები მტკიცედ დაუკავშირა საბჭოთა ხელისუფლებას. ამ ყრილობამ უფრო მეტად, ვიდრე მოზდოკის ყრილობამ გამოააშკარავა ის მტკიცე კავშირი, რომელიც არსებობდა თერგის ოლქსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

1918 წ. 4 მარტს ყრილობამ, მიუხედავად კონტრრევოლუციური ელემენტების — მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგობისა, მოიწონა ბოლშევიკების წინადადება[7] და მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლების ცნობის შესახებ, ხოლო თერგის ოლქი გამოაცხადა თერგის ავტონომიურ რესპუბლიკად რსფსრ-ს შემადგენლობაში. ეს იყო თერგის ოლქის ხალხების დიდი გამარჯვება — ბოლშევიკების პოლიტიკისა და ტაქტიკის ტრიუმფი. ბოლშევიკებმა ურთულეს ნაციონალურ და სოციალურ წინააღმდეგობათა პირობებში შესძლეს სწორი ლენინური პოლიტიკის გატარება. ყრილობამ შემდეგ მუშაობა გააგრძელა ვლადიკავკაზში. აირჩიეს თერგის სახალხო საბჭო და სახალხო კომისართა საბჭო ნ. ბუაჩიძის თავმჯდომარეობით. თერგის სახალხო საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ: ს. კიროვი, ი. პაშკოვსკი, ი. ბუტირინი, ი. ფიგატნერი და სხვ.

---

[7] ბოლშევიკების წინადადებას ხმა მიეცა 220 დელეგატმა, 44-მა თავი შეიკავა, ხოლო 22 წინააღმდეგ წავიდა.

ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე 1918 წ. მარტში თერგის ოლქში (ყაბარდოში, ჩრდილოეთ ოსეთში, ბალყარეთში, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში) გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო აპრილის დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა მთლიანად მთელ ჩრდილო კავკასიაში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩვენი ქვეყნის სხვა განაპირა მხარეებთან შედარებით დააჩქარა იმ გარემოებამ, რომ თერგის მხარე გეოგრაფიულად ახლო მდებარეობდა საბჭოთა რუსეთის ცენტრთან და შესაძლებლობა ჰქონდა მასთან პირდაპირი კავშირის დამყარებისა.

ამიტომ თერგის ოლქის, ისევე როგორც მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელებმა სხვებზე ადრე მიიღეს საჭირო დახმარება საბჭოთა მთავრობისა და პარტიის ცკ-საგან კონტრრევოლუციური ძალების განადგურების საქმეში. სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლას ჩრდილოეთ კავკასიაში სათავეში ედგა მუშათა კლასი, რომელიც თავმოყრილი იყო გროზნოს, ვლადიკავკაზის, პიატიგორსკისა და სხვა ქალაქების საწარმოებში და, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელი მოსახლეობის დარაზმვის საქმეში.

საქართველოში მენშევიკებისა და უცხოელი ოკუპანტების მხრივ განუწყვეტელი დევნის გამო რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თბილისში დატოვა ბოლშევიკების ბიურო მ. ცხაკაიას მეთაურობით და მაისის (1918 წ.) ბოლოს თბილისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში — ვლადიკავკაზში გადაეიდა, სადაც ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა[8].

გამობრძმედილი პარტიული მუშაკების ჩასვლამ ვლადიკავკაზის პარტიული ორგანიზაცია საგრძნობლად განამტკიცა. საქართველოდან ვლადიკავკაზში ჩასულ ბოლშევიკებს შორის იყვნენ ფ. მახარაძე, ა. ნაზარეტიანი, ს. ქავთარაძე, ა. გეგეჭკორი და სხვ. ისინი აქტიურად ჩაებნენ პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში[9].

10 ივლისს ვლადიკავკაზში ჩამოვიდა ს. ორჯონიკიძე. იგი მაშინვე გახდა ჩრდილო კავკასიის ყველა რევოლუციურ ძალთა ორგანიზატორი.

განახლდა გაზეთების „კავკაზსკაია პრავდის" და ქართულ ენაზე

---

[8] გ. ხ ა ჯ ა პ უ რ ი ძ ე. ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბილისი, 1957, გვ. 186.

[9] История Северо-Осетинской АССР (Советский период). Орджоникидзе, 1966, გვ. 54.

„ბრძოლის“ გამოცემა, რომლებიც დაუღალავად ამხილებდნენ მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ანტიხალხურ პოლიტიკას, მათ კავშირს უცხოელ ინტერვენტებთან[10].

თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში 1917 — 1920 წწ. უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ბოლშევიკურმა პრესამ. ბოლშევიკური გაზეთები, ფურცლები, ჟურნალები, ბიულეტენები ხელს უწყობდნენ პარტიას დაერაზმათ მასები როგორც შინაგანი კონტრრევოლუციის, ისე უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბოლშევიკური გაზეთები ფართოდ ვრცელდებოდა სოფლებში, სტანიცებში. ბოლშევიკური სიმართლე გზას იკვლევდა ხალხის ფართო მასებში[11].

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის საქმიანობით ხელს უწყობდა ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიულ და საბჭოთა ორგანოების განმტკიცებას. ფ. მახარაძე აირჩიეს ფინანსთა კომისრად, ს. ქავთარაძე — აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, გ. სტურუა — შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგად, ა. გეგეჭკორი — ვლადიკავკაზის გარნიზონის უფროსად. კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები დიდ დახმარებას უწევდნენ ოს ბოლშევიკებს[12].

ბოლშევიკების მუშაობის წყალობით ოსი ხალხი არ გაპყვა ოსეთის სახალხო საბჭოს, რომელიც კონტრრევოლუციონერ გ. ბიჩერახოვს უჭერდა მხარს.

საბჭოთა ხელისუფლება დაუყოვნებლივ შეუდგა ადგილებზე საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების შექმნასა და განმტკიცებას, საშეურნეო ცხოვრების აღდგენას. რაც უფრო მტკიცდებოდა საბჭოთა ხელისუფლება და იზრდებოდა მისი ავტორიტეტი, მით უფრო ძლიერდებოდა დამხობილი კლასების სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. იატაკქვეშ მუშაობაზე გადასული კონტრრევოლუცია ძალებს აკოწიწებდა, რათა იარაღით გამოსულიყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

რუსეთის კონტრრევოლუციამ დასაყრდენი ჰპოვა ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იაპონიის იმპერიალისტების სა-

---

[10] გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 186, გაზ. „ბრძოლას“ რედაქტორობდა ფ. მახარაძე, ხოლო „კავკაზსკაია პრავდას“ რედაქციაში მუშაობდა ს. ქავთარაძე.

[11] Т. М. Резакова, Из истории большевитской печати во Владикавказе в годы гражданской войны, Известия СОНИИ, т. XX, 1957, გვ. 193.

[12] М. С. Тотоев, Очерки революционного движения в Северной Осетии (1917—1920 гг.), Орджоникидзе, 1957, გვ. 100.

ხით. 1918 წ. პირველ ნახევარში მოხდა უცხოელ იმპერიალისტთა და შინაგანი კონტრრევოლუციური ძალების გაერთიანება. საერთაშორისო იმპერიალიზმმა დაიწყო საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენცია.

1918 წ. გაზაფხულ-ზაფხულში ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიელმა გენერლებმა კორნილოვმა, ალექსეევმა, დენიკინმა იმპერიალისტების დახმარებით შექმნეს მოხალისეთა არმია და დაიწყეს ლაშქრობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

გენერალმა კორნილოვმა გერმანელების დახმარებით შექმნა დონის თეთრკაზაკთა არმია და დაიძრა ცარიცინისაკენ. გერმანელებმა დაარღვიეს ბრესტის ზავი და მოახდინეს უკრაინის მთლიანი ოკუპაცია, ხელთ იგდეს როსტოვი და თურქეთის ჯარის ნაწილებთან ერთად შეიჭრნენ ამიერკავკასიაში. მაისში ციმბირში დაიწყო ჩეხოსლოვაკური კორპუსის აჯანყება.

ასე, რომ 1918 წლის ზაფხულისათვის ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის 3/4 იმყოფებოდა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების ხელში. საბჭოთა რესპუბლიკა მოწყვეტილი აღმოჩნდა თავის საასურსათო, ნედლეულისა და საწვავის მთავარ ბაზებს.

ამ ეტაპზე საბჭოთა ხელისუფლების მთავარ საყრდენს ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოადგენდა გროზნო და ვლადიკავკაკი. გროზნო მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა ჩეჩენ-ინგუშებისათვის.

ჩეჩნეთში, გროზნოდან 18-იოდე კილომეტრის დაშორებით, გოიტხში შეიქმნა პირველი რევოლუციური საბჭო, რომლის ირგვლივ დაიწყეს დარაზმვა ბოლშევიკურად განწყობილმა ჩეჩნეთის უღარიბესმა მასებმა. 1918 — 1919 წ. გოიტხი წარმოადგენდა ჩეჩნეთის ბარის რევოლუციურ ცენტრს და მან დიდი როლი ითამაშა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში[13].

ასეთ ვითარებაში თერგის კონტრრევოლუციამ უშუალო კავშირი დაამყარა გარეშე კონტრრევოლუციასთან.

ე. წ. „მთიელთა მთავრობამ" („Горское правительство"), რომელსაც ჩერმოევი, ჯაბაგიევი და კოცევი ედგნენ სათავეში, 1918 წ. მაისში გამოაცხადა ჩრდილო კავკასიის „დამოუკიდებლობა" და მისი გამოყოფა რუსეთისაგან.

ამ მთავრობას მოსწრებული დახასიათება მისცა ს. ორჯონიკიძემ:

---

[13] А. Носов, Октябрьская революция в Грозном и в горах Чечено-Ингушетии (1917—1920 гг.), Воспоминания, Грозный, 1961, გვ. 37.

„ეს იყო თურქეთის აგენტების მიერ შექმნილი მთავრობა და მთელი ხნის განმავლობაში მისი ადგილსამყოფელი იყო სასტუმრო „ორიანტი" თბილისში; ამ მთავრობის ვერც ერთი წევრი ვერ ბედავდა გამოჩენას ჩრდილო კავკასიაში.

ამ მთავრობას, რომლის ტერიტორიას წარმოადგენდა რამდენიმე ნომერი სასტუმროში, კავშირი ჰქონდა საქართველოს მთავრობასთან და ყოველნაირად მარაგდებოდა მის მიერ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიკავეს პეტროვსკი და ბაქო, მან გაბედა გადმობარგება თემირ-ხან-შურაში, მაგრამ წინ წამოსვლას ვერ ბედავდა"[14]. მათმა ასეთმა გამცემლურმა საქმიანობამ აღაშფოთა ჩრდილო კავკასიის მშრომელი მოსახლეობა.

ამ მძიმე დღეებში პარტიამ დიდი ორგანიზატორული მუშაობა ჩაატარა. მუშათა კლასისა და გლეხობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ბაზაზე შეიქმნა წითელი არმია.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში დიდი როლი ითამაშა თერგის ოლქის კომუნისტების გროზნოს კონფერენციამ 1918 წ. 21 — 27 მაისს. აქ სიტყვით გამოვიდა ნ. ბუაჩიძე, რომელმაც ხალხს მოუწოდა დარაზმულიყვნენ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აქვე, გროზნოში, 1918 წ. 22 მაისს დაიწყო მუშაობა თერგის ოლქის ხალხების III ყრილობამ. ყრილობამ ყურადღება გაამახვილა თერგის ოლქის თავდაცვის ორგანიზაციაზე. ყრილობაზე განიხილეს წითელი არმიის შექმნის საკითხი.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო მიწის საკითხს, რომლის გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელი იყო მშრომელი მასების შეკავშირება და საბჭოთა ხელისუფლების პოზიციების განმტკიცება.

III ყრილობამ დაადასტურა II ყრილობის დადგენილება მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმების, მემამულეთა მიწების კონფისკაციისა და მშრომელებისათვის გადაცემის შესახებ.

მაგრამ არც კონტრრევოლუციას ეძინა. თურქების მიერ დაღესტნის ოკუპაციამ დააჩქარა თერგის ოლქში კონტრრევოლუციური გამოსვლები. თერგის ოლქში კონტრრევოლუციის ბუდეს წარმოადგენდა ქ. მოზდოკი. 1918 წ. 20 ივნისს მოზდოკში კონტრრევოლუციამ მოიწვია კაზაკთა და გლეხთა ყრილობა, სადაც გადაწყდა მოეწყოთ მოზდოკისა და პიატიგორსკის კონტრრევოლუციური ძალებისა და შკუროს ბანდების ერთიანი გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

---

[14] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1910—1926 წწ., 1957, გვ. 112—113.

კონტრრევოლუციისათვის უცხო არ იყო ბრძოლის ტერორისტული მეთოდები. 1918 წ. 20 ივნისს, ვლადიკავკაკში მიტინგზე სიტყვის წარმოთქმის დროს მოკლეს თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბუაჩიძე.

23 ივნისს მოზდოკში შეიქმნა „თერგის კაზაკთა და გლეხთა საბჭო" („Терский казачье-крестьянский совет") — უცხოეთის იმპერიალიზმის აგენტის — შენშევიკ გ. ბიჩერახოვის მეთაურობით.

ბიჩერახოვის ამბოხების უშუალო სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო ინგლისის მისია ვლადიკავკაკში, რომელიც აქ 1918 წ. ზაფხულში დამკვიდრდა. იგი მჭიდრო კავშირში იყო მოსკოვში ინგლისის მისიასთან და დენიკინთან. ინგლისის იმპერიალისტების გეგმით ბიჩერახოვის გამოსვლა უნდა მომზდარიყო ცენტრში კონტრრევოლუციის გამოსვლასთან ერთად. ამ მიზნით ინგლისი კავკასიაში აგზავნის ლ. ბიჩერახოვს, გ. ბიჩერახოვის ძმას. მან დაიკავა დალესტანი, მაგრამ მათი გეგმები — ხელთ ეგდოთ მსხვილი ცენტრები, ჩაიფუშა. მათ წინააღმდეგ დაირაზმა მთიელთა უღარიბესი მასები და კაზაკობა, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ.

გ. ბიჩერახოვმა მოზდოკის საბჭოს მოსთხოვა წითელი არმიის ნაწილების განიარაღება და მთელი ძალაუფლების მისთვის გადაცემა. საბჭომ ამაზე უარით უპასუხა. ეს გახლდათ საბაბი გ. ბიჩერახოვის ამბოხებისა.

გ. ბიჩერახოვის ანტისაბჭოთა ამბოხებამ სწორედ მაშინ იფეთქა, როცა თერგის ოლქში მიმდინარეობდა ხელისუფლების განმტკიცება, ხოლო XI წითელი არმია სასტიკ ბრძოლებს აწარმოებდა დენიკინის წინააღმდეგ. ამ ამბოხებამ მოიცვა თერგის ოლქის დიდი ნაწილი.

გ. ბიჩერახოვის მთავარი საზრუნავი იყო ხელი შეეწყო დენიკინისათვის გეორგიევსკის მხრიდან შეჭრილიყო თერგის ოლქში. მან დაიკავა პროსლადნაია და ამით თერგის ოლქი მოსწყვიტა ყუბანის ოლქს.

მთავარი მიზეზი ამ კონტრრევოლუციური გამოსვლისა ის იყო, რომ თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საბჭოთა ორგანოები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მიწის გადანაწილებას. ამან გამოიწვია კაზაკთა ზედაფენების უკმაყოფილება.

გ. ბიჩერახოვის ამბოხება სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა და საფრთხეს უქმნიდა გროზნოსა და ვლადიკავკაკს — თერგის ოლქის პროლეტარულ ცენტრებს. ბიჩერახოველები მოქმედებდნენ პოლკ. შკუროს ბანდებთან ერთად დენიკინის მხარდაჭერით.

ამავე პერიოდში ყაბარდოს ტერიტორიაზეც მოქმედებდნენ კონ-

ტრრევოლუციური ძალები სერებრიაკოვ-დაუტოკოვის მეთაურობით. ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ ყაბარდოს რევოლუციურ ძალებს.

თერგის ოლქი ცეცხლის ალში იყო გახვეული. სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში პარტია თერგის ოლქში აგზავნის მასების ისეთ ბრწყინვალე ორგანიზატორს, როგორიც იყო ს. ორჯონიკიძე. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი თერგის ოლქში სამუშაოდ აგზავნის ფ. მახარაძეს, კ. ცინცაძეს, ა. ნაზარეტიანს და სხვ.[15].

ბიჩერახოვის ამბოხებით სურდათ ესარგებლათ ინგლისელ იმპერიალისტებს. მისი დახმარებით ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების ჩახშობას ჯერ თერგის ოლქში, ხოლო შემდეგ მთელ კავკასიაში[16]. თერგის რესპუბლიკა, რომელიც მოწყვეტილი იყო ცენტრს, წარმოადგენდა თავისებურ საბჭოთა ციხე-სიმაგრეს მტრის ზურგში. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მენშევიკური საქართველოს მხრიდან იდგნენ გერმანელთა ჯარები, რომლებიც მზად იყვნენ მხარის ოკუპაციისათვის.

1918 წ. 2 ივლისს ეკატერინოდარში ს. ორჯონიკიძის ინიციატივით ჩატარდა პარტიული ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელზეც მოხდა ჩრდილო კავკასიის ყველა ბოლშევიკური ორგანიზაციის გაერთიანება ერთიან ორგანიზაციაში და აირჩიეს პარტიის სამხარეო კომიტეტი. 5 — 7 ივლისს ჩრდილო კავკასიის საბჭოების პირველმა ყრილობამ გააერთიანა ყუბან-შავიზღვისპირეთის, სტავროპოლისა და თერგის საბჭოთა რესპუბლიკები ჩრდილო კავკასიის ერთიან რესპუბლიკად, როგორც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ნაწილი.

ყრილობამ ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის წინაშე მთავარ ამოცანად დასახა ბრძოლისუნარიანი წითელი არმიის შექმნა, რომელიც შესძლებდა ჩრდილო კავკასიის დაცვას როგორც შინაგანი კონტრრევოლუციის, ისე გარეშე მტრებისაგან.

ამავე დროს ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით მომზადდა და ჩატარდა თერგის ოლქის ხალხების IV ყრილობა, რომელიც 1918 წ. 23 ივლისს გაიხსნა ვლადიკავკაზში. ყრილობის დღის წესრიგში იდგა კონტრრევოლუციის ჩახშობის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და აგრარული საკითხები.

კაზაკობის ზედაფენებისა და ოფიცრების ცდა — ჩაეხშოთ ყრილობის მუშაობა — მარცხით დამთავრდა. ს. ორჯონიკიძემ თავის სი-

---

[15] З. Гойгова, Народы Чечено-Ингушетии в борьбе против Деникина, Грозный, 1963, зд. 53, 54.

[16] Газ. «Правда», 1918 г. 5 ноября, № 240.

ტყვაში გამოააშკარავა კაზაკობის ზედაფენებისა და ოფიცრების ზრახვები, რომლებიც მოითხოვდნენ მიწის რეფორმაზე უარის თქმას და წითელი არმიის განიარაღებას.

ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო პროხლადნაიას რაიონში საომარი მოქმედების შეწყვეტას. კონტრრევოლუციურ კაზაკებთან მოსალაპარაკებლად დელეგაციაც კი გაიგზავნა, მაგრამ ბიჩერახოველებმა წამოაყენეს ისეთი პირობები, რომლის მიღება შეუძლებელი იყო.

ბოლშევიკებმა გადაჭრით უარყვეს თეთრკაზაკების ულტიმატუმი, მიუხედავად იმისა, რომ ამ პირობებზე თანხმობას მოითხოვდნენ ესერები და მენშევიკები. ბიჩერახოველები ვლადიკავკაზისაკენ დაიძრნენ.

აღნიშნულ მომენტში კონტრრევოლუციის მთელი ყურადღება მიმართული იყო ვლადიკავკაზისაკენ. ამ ქალაქის მნიშვნელობას კონტრრევოლუციონერი პოლკოვნიკი ბელიკოვი შემდენაირად ახასიათებდა: „ვლადიკავკაზში არის წითელი არმიის თავი — დეპუტატთა საბჭო და სახალხო კომისართა საბჭო, იქვეა ზარაფხანა, არმიის ბაზა. ნათელია, რომ ვლადიკავკაზისათვის დარტყმა — ესაა დარტყმა ბოლშევიკების თავში“[17].

ბელიკოვისა და სოკოლოვის ბანდები შეიჭრნენ ქალაქში. მათ უნდოდათ ხელში ჩაეგდოთ ყრილობის მონაწილეთა მთელი შემადგენლობა ს. ორჯონიკიძის მეთაურობით.

ამ ბრძოლებში განსაკუთრებული გმირობა გამოიჩინეს ინგუშთა რაზმებმა ხაზირ ორცხანოვის ხელმძღვანელობით. მათ საშუალება მისცეს ყრილობის ყველა მონაწილეს მთიანი ინგუშეთის გადასვლით ჩასულიყვნენ ნაზრანში და იქ გაეგრძელებიათ ყრილობის მუშაობა. ბიჩერახოველებმა თითქმის მთელი ქალაქი ჩაიგდეს ხელში.

სერგომ დიდი მუშაობა გააჩაღა ინგუშებს შორის, რათა მათ დახმარება აღმოეჩინათ ვლადიკავკაზისათვის. ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს ბიჩერახოვის აჯანყების კონტრრევოლუციურ არსს და მოუწოდებდნენ დარაზმულიყვნენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად.

6 აგვისტოს ბაზორკინოში მოიწვიეს ინგუში ხალხების ყრილობა. ყრილობამ ერთხმად აღიარა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის აუცილებლობა, შეიქმნა ინგუშთა რაზმები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ბიჩერახოვის ბანდების დამარცხებაში.

18 აგვისტოს ქ. ვლადიკავკაზი გაწმინდეს ბიჩერახოვის ბანდებისაგან. აქ ინგუშებთან ერთად მედგრად იბრძოდნენ ოსი კერმენისტები

---

[17] В. С. Гальцев, Грузинский и Китайский отряды в борьбе за Советскую власть на Тереке. Известия СОНИИ, т. XX, Орджоникидзе, 1957, გვ. 184.

და ქართველ გლეხთა რაზმი 600 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ალ. გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა. ეს რაზმი ჩრდილოეთ ოსეთში ჩამოვიდა მამისონის გადასასვლელით 1918 წ. ივნისის ბოლოს, მას შემდეგ რაც მენშევიკურმა მთავრობამ გაანადგურა აჯანყება დასავლეთ საქართველოში.

ა. გეგეჭკორისა და მისი რაზმის დიდ დამსახურებაზე ფ. მახარაძე წერდა: „საშამ თავისი რაზმით მეტად დიდი სამსახური გაუწია საბჭოთა ხელისუფლებას თერგის ოლქში 1918 წ. განმავლობაში. ამ რაზმმა საშას მეთაურობით აგვისტოში კონტრრევოლუციური კაზაკებისა და მისი ოფიცრების თავდასხმის დროს, ითამაშა თითქმის გადამწყვეტი როლი საბჭოთა ხელისუფლების გადარჩენის საქმეში ქ. კავკავში"[18].

ყრილობის ბევრი დელეგატი, რომლებიც ქალაქში დარჩნენ, იბრძოდნენ ბარიკადებზე. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ვ. ელერდოვმა და ლ. დუმბაძემ, ხოლო ფ. მახარაძე, რომელიც ხელთ იგდეს ბანდიტებმა, სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს[19].

მთავარ დამრტყმელ ძალას თეთრკაზაკების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოადგენდა საბჭოთა შარიათული კოლონა, რომელსაც სათავეში გ. მირონენკო ედგა, ხოლო პოლიტკომისრად იყო ნ. ნიკიფოროვი[20]. ეს იყო მაგალითი ხალხთა მეგობრობისა. მასში შედიოდნენ რუსები, ოსები, ყაბარდოელები, ბალყარლები, ინგუშები, ჩეჩნები, ჩერქეზები და სხვ.

ვლადიკავკავის დაცვა თერგის ოლქის ყველა ხალხთა მეგობრობის ნამდვილი დემონსტრაცია იყო. აქ ერთმანეთის გვერდით იბრძოდნენ რუსების, ოსების, ინგუშების, ქართველების, ჩინელთა (რომელიც 1918 წ. ჩამოყალიბდა ნ. ბუაჩიძის ინიციატივით და მეთაურობდა პაუტისანი) რაზმები და გროზნოს რაზმი, რომელსაც მ. ლევანდოვსკი ხელმძღვანელობდა. ამ ბრძოლაში დაეცა ბევრი გამოჩენილი რევოლუციონერი, მათ შორის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ჩხუბიანი.

კონტრრევოლუცია შეტევას მეორე ფრონტზეც—ქ. გროზნოზე—აწარმოებდა. იგი თერგის ოლქის პროლეტარულ ცენტრს წარმოადგენდა. 1918 წ. 11 აგვისტოს იწყება ცნობილი ასდღიანი ბრძოლები. გ. ბიჩერახოვის წინააღმდეგ ბრძოლებში გროზნოს პროლეტარიატს სათავეში ედგა ნ. გიკალო, ხოლო ჩეჩენთა რაზმს ა. შერიპოვი.

---

[18] გაზ. „კომუნისტი", 1928 წ., № 133.

[19] Д. И. Рухадзе, Мои воспоминания о революционном движении в частности на Кубани с 1917 по 1921 г., Кутаиси, 1927, გვ. 72.

[20] В. С. Гальцев, Г. Орджоникидзе на Тереке в 1918—1910 гг. Известия СОНИИ, т. XXIII, вып. II, Орджоникидзе, 1962, გვ. 95.

გ. ბიჩერახოვს ამ ბრძოლებში ეხმარებოდა მისი ძმა ლ. ბიჩერახოვი, ინგლისის აგენტი, რომელიც ბაქოსა და პეტროვსკის აღების შემდეგ გამოემართა გროზნოსაკენ.

ცენტრიდან რაიმე დახმარების მიღებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ფულადი დახმარება, რასაც ს. ორჯონიკიძე გროზნოს ვლადიკავკაზიდან უწევდა, უმნიშვნელო იყო. გ. ბიჩერახოვის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ ხელმძღვანელობას აწარმოებდა ს. ორჯონიკიძე. მან არაერთხელ მოახერხა ალყაშემორტყმულ გროზნოში ჩასვლა. იგი ამხნევებდა მეომრებს და აძლევდა სათანადო მითითებებს ქალაქის დაცვის საქმეში.

1918 წ. 12 ნოემბერს დაიწყო შეტევა მტრის წინააღმდეგ. მტერი დამარცხდა და უკან დაიხია პეტროვსკისაკენ. გროზნოსათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ჩეჩენთა წითელი არმიის ნაწილებმა. მათი მონაწილეობა საბჭოთა გროზნოსათვის ბრძოლებში იყო ჩვენი პარტიის პოლიტიკის დიდი გამარჯვება.

ამ აზრებთან დაკავშირებით ს. ორჯონიკიძე წერდა ვ. ი. ლენინს: „სამთვიანი შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ გროზნოს წითელმა არმიამ ბიჩერახოვის კონტრრევოლუციურ ბანდებს მიაყენა სასიკვდილო დარტყმა, განდევნა რა ისინი გროზნოდან"[21].

გ. ბიჩერახოვის განადგურებული ბანდების ნარჩენებმა თავი შეაფარეს საქართველოს, საიდანაც საქართველოს მენშევიკური მთავრობის ხელისშეწყობით შეუერთდნენ დენიკინის არმიას[22].

20 ნოემბერს გაანთავისუფლეს ნალჩიკი, ხოლო 23 ნოემბერს კონტრრევოლუციის ბუდე — მოზდოკი.

ასე გაანადგურეს ბიჩერახოვის ბანდები თერგის ოლქში. თერგის ოლქის ყველა ხალხის საბრძოლო თანამეგობრობამ, დიდი რუსი ხალხისა და მისი ავანგარდის მუშათა კლასის დახმარებამ განაპირობა მტერზე სრული გამარჯვება. ჩაიშალა შინაგანი კონტრრევოლუციის ზრახვები საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა თერგის ოლქში.

ბიჩერახოვის განადგურების შემდეგ ინტერვენტებმა ყურადღება გაამახვილეს „მთიელთა მთავრობაზე", რომელთა ზურგს უკან იდგნენ ჯერ თურქი, ხოლო შემდეგ ინგლისელი იმპერიალისტები. მათ („მთიელთა მთავრობას") ოკუპირებული ჰქონდათ პეტროვსკი და საშიშროებაც აქედან მოდიოდა.

ასეთ ვითარებაში 1918 წ. 28 ნოემბერს ვლადიკავკაზში ს. ქავთა-

---

[21] Борьба за Советскую власть в Чечено-Ингушетии, გვ. 157.

[22] М. А. Абазатов, Из истории гражданской войны в Чечено-Ингушетии (1918—1920 гг.), Грозный, 1962, გვ. 90.

რაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა თერგის ხალხების V ყრილობა. ყრილობას ხელმძღვანელობდა ს. ორჯონიკიძე.

ყრილობის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ძლიერი წითელი არმიის შექმნა კონტრრევოლუციასთან (რომელიც ამჯერად „მთიელთა მთავრობის“ სახით იყო წარმოდგენილი) საბრძოლველად.

ყრილობაზე თავის გამოსვლაში ს. ორჯონიკიძე აფრთხილებდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს იმ საშიშროების გამო, რომელიც მათ ემუქრებოდა უკვე არა ბიჩერახოვის მხრიდან, არამედ ჩეჩენი ხალხის მოღალატის ჩერმოევის მხრიდან. მან მოუწოდა ჩეჩენ ხალხს არ დაეშვა თავისი ხალხის მოღალატე ჩეჩნეთის მიწაზე.

V ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და წითელი არმიის ნაწილების შექმნის შესახებ.

V ყრილობის გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის თერგის ოლქში.

მთიელი ხალხების შეკავშირების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა V ყრილობაზე მთიელ კომუნისტთა ერთიანი ფრაქციის შექმნას.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელმა მშრომელებმა დიდი რუსი ხალხის დახმარებითა და ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან თანამეგობრობით დაიცვეს საბჭოთა ხელისუფლება როგორც შინაგანისე გარეშე კონტრრევოლუციისაგან და შეუდგნენ ახალი ცხოვრების შენებას. მაგრამ ამ დროს ჩრდილოეთიდან თერგის რესპუბლიკისაკენ დაიძრა დენიკინის მრავალრიცხოვანი არმია, რომლის ზურგს უკან იდგა მსოფლიო იმპერიალიზმი. ამან შეაჩერა სოციალისტური მშენებლობა ჩრდილოეთ კავკასიაში.

თ ა ვ ი II

ქართველების მონაწილეობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიაში

§ 1. ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა დენიკინელების მიერ

1918 წ. თებერვლიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი — სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის პერიოდი, რომელსაც ვ. ი. ლენინმა რუსეთის რევოლუციისათვის უმძიმესი გამოცდის ხანა უწოდა. „ჩვენს წინაშე ახლა 1918 წლის ზაფხულში,—

ამბობდა ვ. ი. ლენინი — ჩვენი რევოლუციის, შეიძლება ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, ყველაზე ძნელი და ყველაზე კრიზისული გადასვლაა"[1].

კონტრრევოლუცია რუსეთში წარმოდგენილი იყო ორი მთავარი ძალის — აღმოსავლეთით კოლჩაკის, სამხრეთით — დენიკინის სახით.

1918 წ. შემოდგომაზე გერმანიის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში საშუალება მისცა ანტანტას მოეხდინა საბჭოთა ქვეყნის ბლოკადა. უკრაინასა და ამიერკავკასიაში გერმანელების ადგილი დაიკავეს ფრანგებმა და ინგლისელებმა.

თავდაპირველად ანტანტა თავის გეგმებში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა კოლჩაკის არმიას, ხოლო კოლჩაკის დამარცხების შემდეგ (1918 წ. შემოდგომა) იმპერიალისტები მთელ თავის იმედებს სამხრეთის ფრონტზე — დენიკინზე ამყარებდნენ. უ. ჩერჩილი, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ინტერვენციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, ცნობილ რუს კონტრრევოლუციონერს სავინკოვს რუკაზე აჩვენებდა დენიკინის არმიის განლაგებას და დასძენდა „აი ჩემი არმიაო"[2].

ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენდნენ ე. წ. „ნაციონალური საბჭოები". ოსეთში „ნაციონალურ საბჭოს" სათავეში ედგა ხაძარაგოვი, ინგუშეთში — ჯაბაგიევი, ჩეჩნეთში — ჩულიკოვი, ყაბარდოში — თავადი სერებრიაკოვ-დაუტოკოვი.

ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციისათვის სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდა ადგილობრივი კაზაკების ზედაფენები, რომლებიც უკმაყოფილო იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებით მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის გამო. ამიტომ ისინი ხალისით მიდიოდნენ და ავსებდნენ სამხრეთის კონტრრევოლუციას. საქმის ასეთი ვითარება კარგად იყო ცნობილი ანტანტის იმპერიალისტებისათვის, და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მათ ჩვენი ქვეყნის სამხრეთი აირჩიეს მთავარ დასაყრდენ პუნქტად საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. გერმანელთა დამარცხების შემდეგ ანტანტის ქვეყნებს საშუალება მიეცათ უფრო დაახლოებოდნენ შავი ზღვით სამხრეთის კონტრრევოლუციას.

1918 წ. ნოემბერში ანტანტამ ჯარები გადმოსხა ნოვოროსიისკსა, ოდესასა და სევასტოპოლში და ამ ნავსადგურების საშუალებით იარაღით ამარაგებდა სამხრეთის კონტრრევოლუციას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 517.

[2] ა. ს ურ გ უ ლ ა ძ ე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წწ.), თბილისი, 1954, გვ. 269.

ანტანტა დაინტერესებული იყო კავკასიით არა მარტო მისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და სურსათ-სანოვაგის გამო, არამედ ამ მხარის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობითაც.

1918 წ. ნოემბერ-დეკემბერში ინგლისელმა ინტერვენტებმა მოახდინეს მთელი ამიერკავკასიის ოკუპაცია, დაიკავეს ბაქო და ბათუმი. ინგლისელებმა შესძლეს დაღესტნის დაკავება და გადააქციეს იგი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

ჩრდილო კავკასია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვია. ინგლისელ იმპერიალისტებს თავის გეგმების განხორციელებაში დიდ დახმარებას უწევდნენ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობები და აგრეთვე „მთიელთა მთავრობა". ეს უკანასკნელნი, იმის გამო, რომ მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერით ვერ სარგებლობდნენ, ძალაუფლების შენარჩუნებას ცდილობდნენ ინტერვენტთა დახმარებით.

„მთიელთა მთავრობა" მთლიანად იმყოფებოდა ინგლისელთა დიქტატის ქვეშ. მათ „მთიელთა მთავრობასთან" ჰყავდათ თავისი მუდმივი წარმომადგენელი პოლკოვნიკი როლანდსონი[9].

ამ მთავრობას ევალებოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა გაერთიანება და კავშირის დამყარება დენიკინთან მოქმედების კოორდინაციისათვის.

დენიკინი შეუდგა კავკასიის დაპყრობას, რითაც მას სურდა გაემაგრებინა არმიის ზურგი და შეექმნა ეკონომიური ბაზა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. დენიკინის აზრით, ყუბანი, თერგისა და დონის ოლქები, რომლებიც დასახლებული იყვნენ შეძლებული კაზაკებით და ცენტრიდან გამოქცეული ოფიცრებით, წარმოადგენდნენ კონტრრევოლუციის სოციალურ დასაყრდენს. რაც შეეხება კავკასიის მთიანეთს, შედარებით ჩამორჩენილი მოსახლეობით, დენიკინის აზრით, იგი შეიძლებოდა გამხდარიყო მისი მოკავშირე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. უკიდურეს შემთხვევაში, მისი აზრით, ჩრდილო კავკასიელი მთიელები განზე დადგებოდნენ და პასიური მაყურებლის როლში გამოვიდოდნენ. მოვლენათა მსვლელობამ დაგვანახა, რომ დენიკინი ცდებოდა.

დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდებისაგან მომდინარე საფრთხის წინაშე დაირაზმა საბჭოთა რუსეთის ყველა მშრომელი. ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით თერგის სახალხო საბჭომ 1919 წლის იანვრის მიმართვაში მხარის მშრომელე-

---

[9] З. Гойгова, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

ბისადმი აღნიშნა, რომ საფრთხე შეექმნა ჩვენს თავისუფლებას. გენ. დენიკინს სურს თერგის ოლქში შემოჭრა და მისი აოხრება. სახალხო საბჭო მოუწოდებდა ხალხს იარაღით ხელში დაეცვა საბჭოთა ხელისუფლება[4].

სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციის მატერიალური მომარაგება ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტების ყურადღების ცენტრში იდგა. 1919 წლის მხოლოდ 3 თვის მანძილზე (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) დენიკინის არმიამ მიიღო 70.000-ზე მეტი შაშხანა. 3 მილ. მეტი ვაზნა, ნახევარ მილიონზე მეტი ჯარისკაცის ჩექმა[5]. დენიკინის დასახმარებლად ინტერვენტები, ამასთან ერთად, გზავნიდნენ ჯარის ნაწილებს, ოფიცრებს და ინსტრუქტორებს.

XI არმიის სამმართველოს მოხსენებაში, რომელიც 1919 წლის 28 მარტითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: „ნოვოროსიისკში მოხალისეთა არმიისათვის ჩამოვიდა ინგლისელთა რაზმი 500 კაცის შემადგენლობით და ორი გემი საველე ქვემეხებით, ტყვიამფრქვევებით, ამუნიციით და საჰოსპიტალო ხელსაწყოებით, აგრეთვე ერთი იტალიური ავიაგამანადგურებელი"[6].

ანტანტის იარაღითა და მხარდაჭერით დენიკინის არმიამ დაიწყო ოპერაციები ჩრდილოეთ კავკასიის დასაპყრობად. დაიპყრო რა ყუბანის ოლქი, დენიკინმა თერგის ოლქი მთლიანად მოსწყვიტა საბჭოთა რუსეთს.

სამხრეთის ფრონტზე საბჭოთა რუსეთს უალრესად მძიმე ვითარება შეექმნა. მაგრამ ბოლშევიკებს იმედი არ გადაუწყვეტიათ. ვ. ი. ლენინი როცა შექმნილ მდგომარეობას ანალიზს უკეთებდა, 1919 წ. 4 ივლისს წერდა: „მე ვამტკიცებ, რომ მდგომარეობა კატასტროფული არ არის"[7] და სახავდა ღონისძიებებს საფრთხის ლიკვიდაციისათვის.

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სამხრეთის ფრონტზე გაეგზავნათ კომუნისტების დიდი ჯგუფი და ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები. ყოველივე ამან გამოაცოცხლა მდგომარეობა არმიაში, განამტკიცა დისციპლინა. ადგილებზე შექმნილი პარტიული უჯრედები და პოლიტგანყოფილებები მასებში ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის უღლის წინააღმდეგ ბრძოლა

---

[4] Газ. «Горская беднота», 1919 г., 22/I, № 8.

[5] Краткая история гражданской войны в СССР, М., 1962, გვ. 282.

[6] ЦГАСА, ф. 194, оп. I, ед. хр. 162, ф. 9.

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 543.

ფართოდ გაიშალა, თუმცა ზოგჯერ ამ მოძრაობის ხელმძღვანელობაში გაძრომას ახერხებდნენ ბურჟუაზიული ნაციონალისტები.

XI არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს დახმარებით შეიქმნა დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლი პარტიზანული ფრონტი, რომელიც დენიკინის დიდ ძალებს აბანდებდა. თვით დენიკინი იმ ხანის ჩრდილოეთ კავკასიას „მდუღარე ქვაბს" უწოდებდა.

1918 წ. 22/XI-ს ვლადიკავკაზის კომუნისტთა კომიტეტმა პარტიის წევრთა მობილიზაცია გამოაცხადა[8].

1918 წ. დეკემბრის ბოლოს პიატიგორსკში შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭო, რომელსაც ს. ორჯონიკიძე ჩაუდგა სათავეში. ორჯონიკიძის რეკომენდაციით XI არმიის მთავარსარდლად დაინიშნა მ. ლევანდოვსკი.

1919 წ. იანვარში დენიკინმა დაიკავა მინერალური წყლები, პიატიგორსკი და კისლოვოდსკი. XI და XII არმიები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ ასტრახანისაკენ — დენიკინმა ვერ შესძლო ასტრახანის ხელში ჩაგდება. ასტრახანი სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე, განსაკუთრებით 1918 — 1919 წწ. წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ფორპოსტს კასპიის ზღვაზე, რომელიც ხელს უშლიდა ვოლგის ქვედა წელზე სამხრეთისა და აღმოსავლეთის კონტრრევოლუციური ძალების შეერთებას და ზღვაზე მათ შორის კავშირს.

1919 წლის იანვრიდან ასტრახანის დაცვას სათავეში ჩაუდგა ს. კიროვი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ასტრახანის დაცვის ორგანიზაციის საქმეში.

ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა გაართულა იმან, რომ ყუბანისა და თერგის კაზაკების საშუალო ფენები კონტრრევოლუციის მხარეზე გადავიდნენ. განსაკუთრებით გართულდა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც XI არმიამ დასტოვა თერგის ოლქი და ასტრახანს შეაფარა თავი. გაჭირდა სურსათ-სანოვაგითა და იარაღით მომარაგება. ამას თან დაერთო ტიფის ეპიდემია, რომელმაც მრავალი ათასი ჯარისკაცი იმსხვერპლა და თუ 1918 წ. სექტემბრისათვის XI არმიის მებრძოლთა რიცხვი 150.000 კაცს შეადგენდა, 1918 წ. დეკემბრისათვის ეს რიცხვი 90.000-მდე შემცირდა[9].

1919 წ. 24 იანვარს ს. ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილ დეპეშაში წერდა: „XI არმია აღარ არის, იგი საბოლოოდ გაიხრწნა. მოწინააღმდეგე ქალაქებსა და სტანიცებს იკავებს თითქმის წინააღმდე-

---

[8] Газ. «Горская беднота» (Владикавказ), 1919 г., № 8.

[9] В. Т. Сухоруков, XI армия в боях на Северном Кавказе и нижней Волге (1918—1920 гг.), М., 1961, зд. 219.

გობის გაუწევლად. ღამე იდგა საკითხი, რომ დავტოვოთ მთელი თერგის ოლქი და წავიდეთ ასტრახანისაკენ. ჩვენ ეს პოლიტიკურ დეზერტირობად მიგვაჩნია, არ არის ყუმბარები და ვაზნები. არ არის ფული. კავკავი, გროზნო აქამდე არ ღებულობენ არც ვაზნებს, არც კაპიკ ფულს; ექვსი თვეა ისე ვაწარმოებთ ომს, რომ ვაზნებს ხუთ-ხუთ მანეთად ვყიდულობთ.

ვლადიმერ ილიას ძევ, გაცნობებთ, რა ამას, დარწმუნებული იყავით, რომ ყველანი დავიხოცებით უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ჩვენი პარტიის სახელს გაქცევით არ შევარცხვენთ...

გროზნოსა და კავკავის მუშებში ურყევი გადაწყვეტილებაა იბრძოლონ და არ დატოვონ ბრძოლის ველი. მთიელ ხალხთა სიმპატიები ჩვენს მხარეზეა"[10].

1919 წ. 27 იანვარს თერგის რესპუბლიკის სახალხო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება თერგის რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტის შექმნის შესახებ, რომელსაც სერგო ორჯონიკიძე ჩაუდგა სათავეში. თავდაცვის კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ — ნ. გიკალო, ი. ბუტირინი, ი. ფიგატნერი, ლ. მარკუსი, ს. გაბიევი, ა. დიაკოვი და სხვ. ჯარების სარდლად დაინიშნა ნ. გიკალო[11].

მიუხედავად წითელი არმიის დროებითი მარცხისა, XI არმიამ უდიდესი როლი შეასრულა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი თვეზე მეტი ხნის მანძილზე იგერიებდა დენიკინის მთავარ ძალებს, აიძულა დენიკინი დიდი ხნით შეჩერებულიყო და დაებანდებინა თავისი მთავარი ძალები ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც ფუშავდა მის მოსკოვზე გალაშქრების გეგმებს.

1919 წ. 4/11-ს ბაზორკინოში ს. ორჯონიკიძემ მოიწვია ინგუში ხალხის ყრილობა, სადაც თავი მოიყარა 10.000-ზე მეტმა შეიარაღებულმა ინგუშმა. სერგომ თავის სიტყვაში განუმარტა ინგუშებს, თუ რას მოუტანდა მათ დენიკინის გამარჯვება. ინგუშებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სერგოს მოწოდებას ებრძოლათ დენიკინის წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე.

პირველი ძლიერი დარტყმა დენიკინელებმა განახორციელეს ინგუშთა სოფ. დოლაკოვის წინააღმდეგ. მიუხედავად მისი დამცველების დიდი გმირობისა სოფ. დოლაკოვო და კანტიშევო დენიკინელებმა აიღეს და გადაწვეს. ამან დენიკინელებს საშუალება მისცა ალყა შემოერტყათ ვლადიკავკაზისათვის.

---

[10] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1910—1926 წ., სახელგამი, თბილისი, 1957, გვ. 85.

[11] Газ. «Горская беднота», 1919, г., 22/I, № 8.

ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაეცვათ ქალაქი. ვლადიკავკავის დაცვას ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე.

1919 წ. 2 თებერვალს ღამით მოიწვიეს ქ. ვლადიკავკავის ხელმძღვანელი კადრების თათბირი, რომელზედაც თავდაცვის უფროსმა პ. აღნიაშვილმა მოხსენება გააკეთა თერგის ოლქში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ქალაქს იცავდნენ XI არმიის გადარჩენილი ნაწილები, გროზნოს პოლკი, ვლადიკავკავის პოლკი, ინგუშთა წითელ პარტიზანთა რაზმები, ოსი კერმენისტები და ქართველთა რაზმი ა. გეგეჭკორის მეთაურობით.

მიუხედავად დიდი გმირობისა, უთანასწორო ბრძოლაში ქალაქის დამცველები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქალაქი. რამდენიმე დღით ადრე დაეცა ქ. გროზნო.

შკუროს ბანდები სასტიკად გაუსწორდნენ ქალაქის გმირ დამცველებს, განსაკუთრებით კი ბოლშევიკებს. ქალაქი აივსო სახრჩობელებით — კადეტთა კორპუსის რაიონში მათ 17000 წითელი არმიელი, მათ შორის ტიფით დაავადებულთა დიდი ნაწილი ცოცხლად ჩამარხეს მიწაში[12].

ვლადიკავკავის დატოვების შემდეგ ბოლშევიკების ჯარის ნაწილმა 2000 კაცის შემადგენლობით უკან დაიხია და მოადგა საქართველოს საზღვრებს. აქ ისინი დააპატიმრა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, ხოლო კომუნისტთა მეორე ჯგუფმა სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით თავი შეაფარა ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებს. სერგომ აქ დიდი მუშაობა გააჩაღა დენიკინელების წინააღმდეგ მთიელი ხალხების დარაზმვის საქმეში.

1919 წ. თებერვლის პირველ ნახევარში დენიკინელთა დარტყმების შედეგად დაეცა თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტები ვლადიკავკავი და გროზნო. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, დენიკინელებმა შესძლეს მთელი თერგის ოლქის დაპყრობა, ჩეჩენ-ინგუშეთის მთიანი ზოლის გამოკლებით, რომელიც ბოლომდე საბჭოური რჩებოდა.

დაპყრობილ ადგილებში დენიკინმა მოსპო დემოკრატიის ყოველგვარი ნიშნები. ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხის სათავეში თავის მომხრე რეაქციონერი მმართველები ჩააყენა. ყოველგვარი არჩევითობა მოისპო. იგი შეუდგა უსასტიკესი რეპრესიების გატარებას, დაიწყო

---

[12] З. Гойгова, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

გლეხთა დახვრეტა და ჩამოხრჩობა, მიწებს უბრუნებდნენ ყოფილ მესაკუთრეებს[13].

განსაკუთრებით მძიმე იყო მოსახლეობისათვის დენიკინის არმიაში მობილიზაცია. ყოველ სოფელს დენიკინისათვის უნდა მიეცა 100—200 ცხენოსანი, ხოლო იმ სოფლებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გამოდიოდნენ, უფრო მეტი უნდა გამოეყვანათ. მობილიზაცია ეხებოდა ყველას, 16 — 17 წლის ასაკიდან დაწყებული[14].

დენიკინელებმა დაპყრობილ რაიონებში აღადგინეს მემამულეებისა და ბურჟუაზიის საკუთრება. მათ დაუბრუნეს მიწები, ფაბრიკები, ქარხნები და სხვა საწარმოები.

დენიკინი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა მუშათა კლასის მიმართ. გაუქმდა საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტი და ბრძანება. დაიწყო მხარის ეკონომიური დაქვეითება და უმუშევრობა, კვლავ აღდგა კაზაკობის პრივილეგიები.

დენიკინი ატარებდა მთელი მხარის რუსიფიკაციის პოლიტიკას. ამგვარად დენიკინმა უფლებებში აღადგინა ყველა ის უსამართლობა, რასაც ცარიზმის დროს ჰქონდა ადგილი. ვ. ი. ლენინი 1919 წ. 19/X-ის მიმართვაში წითელარმიელებისადმი წერდა, რომ „მეფის გენერლები— იუდენიჩი ჩრდილოეთში, დენიკინი — სამხრეთში — კვლავ ძაბავენ ძალებს, რათა დაამარცხონ საბჭოთა ხელისუფლება, რათა აღადგინონ მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების ძალაუფლება"[15].

თავისთავად, დენიკინის რეჟიმის დამყარება ჩრდილოეთ კავკასიაში საუკეთესო აგიტაცია იყო თვით თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა კარგად გაიგეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება იყო ერთადერთი სახალხო ხელისუფლება, რომელსაც ხალხისათვის მოჰქონდა თავისუფლება, მშვიდობა, თანასწორობა და მიწა. სწორედ ამისათვის აღდგა ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დენიკინის მმართველობით უკმაყოფილო მოსახლეობა თავს აფარებდა მთებს და იქ კომუნისტების ხელმძღვანელობით ერთიანდებოდნენ პარტიზანულ რაზმებად.

დიდი სიმამაცით იბრძოდა დენიკინის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა. მართალია, თითქმის მთელი 1919 წ. მანძილზე

---

[13] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, 1910—1926 წწ, თბ., 1957, გვ. 115.

[14] Р. Гугов, У. Улигов, Борьба трудящихся за власть Советов в Кабарде и Балкарии, Нальчик, 1957, გვ. 163.

[15] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 65.

წარმოებულ ბრძოლებში გამარჯვებული დენიკინელები გამოვიდნენ. მაგრამ ეს გამარჯვებები დენიკინელებს დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდათ. ჩეჩნეთში შექმნილი მდგომარეობა იმდენად შემაშფოთებელი აღმოჩნდა დენიკინისათვის, რომ სპეციალურად ჩამოვიდა გროზნოში 1919 წ. 29 მარტს და ჩეჩენი ხალხის წარმომადგენლებს მუქარით აღსავსე სიტყვით მიმართა. ამ სიტყვაში ის აღნიშნავდა, რომ ჩეჩნების სახით მეგობრები ეგულებოდა, ისინი კი იარაღით შეხვდნენ. იგი დაემუქრა მათ, რომ ჩრდილოეთით გალაშქრებისას ზურგში მტრულად განწყობილ ხალხს ვერ მოითმენდა და პირდაპირ დაუყენა საკითხი აერჩიათ ან მორჩილება და მშვიდობა, ან ომი[16].

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გმირული ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ფუშავდა დენიკინის მოსკოვზე გალაშქრების გეგმებს.

ასევე მორჩილებისაკენ მოუწოდებდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს გენ. ბრიგსი (ინგლისის სამხედრო მისიის უფროსი)[17].

მაგრამ, როგორც ამას აღნიშნავდა დენიკინელთა პრესა, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობაში მღელვარება არ ცხრებოდა[18]. იგი პარტიზანულ ბრძოლას განაგრძობდა. განსაკუთრებით ორგანიზებულ ხასიათს პარტიზანული ბრძოლა ატარებდა ინგუშეთში, რაც აისახებოდა აქ პარტიული ორგანიზაციის არსებობით და ინგუშეთში ამ დროს სერგო ორჯონიკიძისა და სხვა პარტიული ამხანაგების ყოფნით. ორჯონიკიძე ინგუშეთის მთებში იმყოფებოდა 1919 წლის აპრილის ბოლომდე. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა პარტიზანული რაზმების შექმნას და იატაკქვეშა პარტიული კომიტეტის მუშაობას.

ინგუში პარტიზანები ხშირად გამოდიოდნენ ყაბარდოელ პარტიზანებთან ერთად. 1919 წ. მარტში ყაბარდოელმა და ინგუშმა პარტიზანებმა გადასწყვიტეს ერთიანი ძალით დაერტყათ თეთრგვარდიელთა დამრტყმელი რაზმისათვის. აღსანიშნავია ბრძოლა სოფ. კურპთან, სადაც მოსპეს დენიკინელთა ორი ბატალიონი.

კურპთან ბრძოლა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების, კერძოდ კი ჩეჩენ-ინგუში და ყაბარდოელი ხალხების იმ ძმური ურთიერთდახმარების შესანიშნავი მაგალითია, რასაც ისინი უწევდნენ ერთმანეთს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში[19].

თერგის ოლქის მთელ ტერიტორიაზე ერთიმეორეზე მიყოლებით

---

[16] ЦГАОР, ф. 440, оп. I, ед. хр. 25-а, ф. 41.
[17] იქვე, გვ. 43.
[18] ЦГАОР, ф. 440, оп. I, ед. хр. 116, ф. 125.
[19] Абазатов, დასახ. ნაშრომი, გვ. 101—102.

იქმნებოდნენ პარტიზანული რაზმები, რომლებიც ებმებოდნენ დენიკინელთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში. ეს რაზმები, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს საჩოქალაქო ომის პირველ პერიოდში, წარმოადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ საყრდენს ჩრდილოეთ კავკასიაში. უაღრესად რთულ ვითარებაში ისინი აფერხებდნენ დენიკინის არმიების მოქმედებას და უდიდეს ზიანს აყენებდნენ მას. ამით დიდ დახმარებას უწევდნენ წითელ არმიას. ეს მოძრაობა იყო ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დენიკინის ზურგში.

რკპ(ბ) ჩრდილოეთ კავკასიის კომიტეტთან შეიქმნა იატაკქვეშა სტამბა, სადაც იბეჭდებოდა პროკლამაციები. ამ პროკლამაციებში მხილებული იყო დენიკინი და მისი კავშირი ინტერვენტებთან. პროკლამაციები ხალხს მოუწოდებდა უარი ეთქვათ დენიკინის მიერ გამოცხადებულ მობილიზაციაზე, არ შესულიყვნენ მის არმიაში, წასულიყვნენ პარტიზანულ რაზმებში და შეიარაღებული ძალით ებრძოლათ დენიკინის წინააღმდეგ. პროკლამაციები ვრცელდებოდა ფაბრიკებში და ხალხის თავშეყრის ადგილებში[20].

ბოლშევიკების მთავარი ამოცანა იყო დეზორგანიზაცია შეეტანათ დენიკინის ზურგში, აიძულებიათ იგი გადმოესროლა თავისი მთავარი ძალები სამხრეთის ფრონტზე და დაერაზმათ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. პარტიული ორგანიზაციები აგრეთვე დიდ სააგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ მტრის არმიაში.

ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანულმა ბრძოლამ დიდად შეუწყო ხელი სამხრეთის ფრონტზე დენიკინელთა განადგურებას. მას ჰქონდა არა მარტო სამხედრო მნიშვნელობა, არამედ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაც იყო. ეს იყო მშრომელთა რევოლუციური თვითშეგნება, რომელმაც გამოაწრთო ამ ბრძოლის ბევრი მონაწილე და შემდეგ ისინი ჩამოყალიბდნენ, როგორც სოციალისტური საზოგადოების აქტიური მშენებელნი.

როდესაც ვიხილავთ ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებს, არ შეიძლება არ აღინიშნოს კომკავშირის როლი ამ ბრძოლაში, რომელიც გვერდში ედგა პარტიას და რომელმაც არა ერთი საგმირო ფურცელი ჩასწერა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

---

[20] К. К. Красильникова, «Партизанское движение на Кубани и Черноморье» (1918—1920 гг.), Краснодар, 1957, გვ. 14.

თერგის ოლქში კომკავშირის შექმნის ორგანიზატორი იყო რკპ(ბ) ვლადიკავკაზის საქალაქო კომიტეტი. ახალგაზრდებთან სამუშაოდ კომიტეტმა გაგზავნა ორი ბოლშევიკი ა. ზუბკოვი და ვ. ბახტაძე[21].

კომკავშირლების კრებამ ვლადიკავკაზში 1918 წ. 15/XII-ს დაამტკიცა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის „სპარტაკის" წესდება და აირჩია კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ვ. კუდრიაეცევი, ი. ნიკონოვი (თავმჯდომარე), პ. ხეთაგუროვი, ნ. გორლინა-ზუბკოვა, ო. გაგინა, ა. გარმაში, მ. რომანოვ-ალექსანდროვი, ა. ქავთარაძე, ა. ზუბკოვი[22].

მიუხედავად თეთრი ტერორისა ვლადიკავკაველი კომკავშირლები არ სწყვეტდნენ რევოლუციურ ბრძოლას. კომუნისტების ხელმძღვანელობით ისინი ეწეოდნენ დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ქალაქის მოსახლეობას შორის, იარაღს ისხამდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავდნენ მტერს. არა ერთმა კომკავშირელმა გამოიჩინა გმირობა დენიკინელთა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა ნინა ზუბკოვას გმირობა. თბილისელი მუშის აპოლონ ივანეს ძე გორლინის ქალიშვილი, იგი გაეცნო რევოლუციურ იდეებს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული თბილისელ მუშებს შორის. 1918 წ. იგი გადადის ვლადიკავკაზში და თავის ქმარ ა. ზუბკოვთან ერთად ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. ვლადიკავკაზის კომკავშირული ორგანიზაციის „სპარტაკის" ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე ხდება აქტიური კომკავშირული მუშაკი. დენიკინელთა ვლადიკავკაზში ბატონობის დროს იგი ეწეოდა არალეგალურ მუშაობას. ნ. გორლინა-ზუბკოვა ხელთ იგდეს დენიკინელებმა. მიუხედავად წამებისა მან არ გასცა თავისი ამხანაგები. სიკვდილის წინ თავის ქმარს სწერდა: „მე მინდა სიცოცხლე, ბრძოლა, მაგრამ სიცოცხლეს არ მაძლევენ, მე მაწამებენ. მიუხედავად კონტრდაზვერვის მიერ ჩემი დაცინვისა და წამებისა მე არ დამისახელებია არც ერთი ბოლშევიკის სახელი. იცოდე საშა, იცოდეთ ამხანაგებო, რომ მე ვიყავი და ვკვდები რევოლუციონერ-კომუნისტად"[23]. 1919 წლის 8 მარტს იგი სიკვდილით დასაჯეს.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლში მტკიცდებოდა მუშათა და გლეხ-

---

[21] И. Д. Никонов, «Гражданская война в Северной Осетии и Комсомол», (ხელნაწერი ინახება СОНИИ-ის არქივში), გვ. 48—50. იგი თვითონ იყო ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე და კომკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი.

[22] Архив СОНИИ, ист. отдел, ф. 238, папка 82, ф. 33.

[23] Н. Д. Никонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 175—176.

თა კავშირი. ამაში დიდი როლი ითამაშა საშუალო გლეხის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოსვლამ. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1918 წ. შემოდგომაზე მოუწოდებდა პარტიას საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკა შეეცვალა მასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკით.

1919 წ. მარტში ჩატარებულმა რკპ(ბ) VIII ყრილობამ კურსი აიღო საშუალო გლეხობასთან კავშირის დამყარებაზე. ამან მუშათა კლასისა და გლეხობის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი განამტკიცა და გადამწყვეტი როლი ითამაშა სამოქალაქო ომში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში.

თერგის ოლქში შეიქმნა მძიმე სასურსათო მდგომარეობა. პური ძვირი იყო, რასაც თან ერთოდა დენიკინელთა მხეცობა, ყოველივე ამან გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთა გამრავლება.

„ბევრგან ხალხის განწყობილება ბოლშევიკურია", — წერდა გაზეთი „პრავდა"[24]. დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის დარაზმვის საქმეში უდიდესი როლი ითამაშა სერგო ორჯონიკიძემ. მის მოღვაწეობას დიდად აფასებდა ვ. ი. ლენინი. იგი შემდეგნაირად ახასიათებდა მას: „...სერგო უაღრესად საიმედო სამხედრო მუშაკია. იგი უაღრესად ერთგული და უაღრესად საქმიანი რევოლუციონერია. მე მას თვითონ ვიცნობ 10 წელზე მეტია"[25].

1919 წ. აპრილის დამლევს სერგო ორჯონიკიძე ჩრდილოეთ კავკასიიდან მიემგზავრება და პარტიზანული ბრძოლის მთელი ხელმძღვანელობა გადადის ს. კიროვის ხელში, რომელიც ამ დროს ასტრახანში იმყოფებოდა.

1919 წ. ივნისში აჯანყდა ინგუში ხალხი, რომელმაც უარი თქვა მობილიზაციით დენიკინის ჯარში წასვლაზე. მიუხედავად დამარცხებისა, ამ აჯანყებამ, რომელიც კლასობრივ ხასიათს ატარებდა, დიდი როლი ითამაშა ჩრდილოეთ კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გამოცოცხლებაში. ამის შემდეგ დენიკინელებმა უფრო მეტი კონტრიბუცია შეაწერეს ხალხს და იძულებით ჩაატარეს მობილიზაცია.

დენიკინელთა ბატონობამ გააპარტახა თერგის მხარე. მაგალითად, უაბარდოში „მოხალისეებს" ყოველი სოფლიდან მიქონდათ 500 თოფი, 100 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 300 ცხვარი, 100.000 მანეთი და 50 ურემი"[26].

მართალია დენიკინმა დაიკავა ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიის

---

[24] Газ. «Правда», 1919 г., 15/X, № 230.

[25] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 40.

[26] За власть Советов в Кабарде и Балкарии. Документы и материалы (1917—1922 гг.), Нальчик, 1957, გვ. 135.

ღიდი ნაწილი, მაგრამ მოსახლეობის დამორჩილება მან ვერ შესძლო. ამის შესახებ სერგო ორჯონიკიძე 1919 წ. 10 ივლისს სახალხო კომისართა საბჭოსადმი გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნავდა: „ამჟამად ჩრდილო კავკასია ბაქოს გუბერნიის საზღვრამდე ფორმალურად დენიკინის ხელქვეით არის, ფაქტიურად კი მის ხელშია რკინიგზის ვიწრო ზოლი, ხოლო რკინიგზის ორივე მხარეზე — მთიელთა რამდენიმე თემი. მთიელები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ და არავითარ დენიკინის ძალაუფლებას არ სცნობენ. ყველა მთიელი მოუთმენლად მოელის ბოლშევიკების მოსვლას"[27].

როგორც ცნობილია, დენიკინმა შესძლო დროებით წარმატებისათვის მიეღწია სამხრეთის ფრონტზე. 30 ივნისს აიღო ცარიცინი, შემდეგ ხარკოვი და კურსკზე, ორიოლზე და ვორონეჟზე გავლით გაემართა ტულისაკენ. დენიკინმა საშიშროება შეუქმნა მოსკოვს.

საბჭოთა ქვეყნისათვის ამ მძიმე დღეებში, 9 ივლისს, ვ. ი. ლენინმა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელით მიმართა საბჭოთა ხალხს „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად!".

ამ მიმართვამ დიდი გავლენა იქონია მასების საბრძოლო სულისკვეთებაზე, ქვეყნის ყველა ძალებისა და რესურსების მობილიზაციაზე.

ეს მიმართვა ასევე სახელმძღვანელო დოკუმენტი იყო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის, რომელთა ბრძოლაც იმ საერთო ბრძოლის ნაწილს წარმოადგენდა, რასაც მთელი საბჭოთა ხალხი აწარმოებდა დენიკინის წინააღმდეგ.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკ-აგიტატორების ხალხში გასვლას. ბოლშევიკი-აგიტატორები დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწეოდნენ ხალხში. ამან სათანადო შედეგიც გამოიღო.

ბევრმა კაზაკმა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადასვლა. „მიმდინარეობს ბოლშევიკური იდეების ფართო პროპაგანდა და თერგის კაზაკებს შორის არიან საბჭოთა ხელისუფლების შეგნებული მომხრეები"[28], — აღიარებდნენ თეთრგვარდიელები.

ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მტრის ზურგში პარტიზანულ მოძრაობას. განსაკუთრებით საჭირო იყო დაქსაქსული პარტიზანული რაზმების შეკავშირება და მათი კონცენტრაცია, რათა შემდეგ მთელი ძალით შეეტიათ დენიკინისათვის და არ მიეცათ მისთვის კავკასიის ფრონტიდან ჯარების მოხსნისა და მისი მოსკოვის მიმართულებით გადასროლის საშუალება.

---

[27] გ. კ. ორ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, სტატიები და სიტყვები, გვ. 113—114.
[28] Газ. «Терский казак», 1919 г. 21 февраля, № 17.

ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანული მოძრაობის ცენტრი გახდა სოფ. ვოზდვიჟენსკაია. სწორედ აქ შეიქმნა I-ლი განსაკუთრებული რაზმი, რომელიც შემდეგ იმ ცნობილი პარტიზანული რაზმის ბირთვად იქცა, რომელსაც ნ. გიკალო ედგა სათავეში. ნ. გიკალოს რაზმი ნამდვილად ინტერნაციონალური იყო. ამ რაზმში იბრძოდნენ ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები, ბალყარები, ოსები და ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხების წარმომადგენლები.

1920 წ. იანვრისათვის ნ. გიკალოსა და ა. შერიპოვის (რომელიც ჩეჩნეთის პარტიზანულ ჯგუფს უწევდა საერთო ხელმძღვანელობას) რაზმი 500-600 კაცისაგან შედგებოდა. ეს რაზმი იარაღს იძენდა გროზნოს ბოლშევიკური ორგანიზაციის დახმარებით და დენიკინელებზე თავდასხმების შედეგად.

პარტიზანული ბრძოლა, რომელმაც მთელი ჩრდილოეთ კავკასია მოიცვა, დიდ საფრთხეს უქმნიდა დენიკინის ზურგს და აიძულებდა მას არმიის დიდი ნაწილი დაებანდებინა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ბოლშევიკების პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად დაიწყო დენიკინის არმიის გახრწნა. დენიკინის არმიაში იძულებით გაწვეული ხალხი მასობრივად ტოვებდა არმიას. დენიკინელები სასტიკად უსწორდებოდნენ დეზერტირებს, მაგრამ მათი რიცხვი მაინც იზრდებოდა.

დეზერტირობა კაზაკთა ნაწილებსაც მოედო. დენიკინმა ჩაატარა ფართო მობილიზაცია, რამაც გამოიწვია მისი არმიის შემადგენლობაში კლასობრივი ცვლილებები. „ვიდრე მისი არმია კლასობრივი იყო, ვიდრე ის სოციალიზმის მოძულე მოხალისეებისაგან შესდგებოდა, ამ არმიას სიმაგრე და სიმტკიცე ჰქონდა, მაგრამ როდესაც მან საყოველთაო გაწვევა დაიწყო, მას, რა თქმა უნდა, შეეძლო არმიის სწრაფად შეგროვება, მაგრამ ეს არმია, რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო კლასობრივი იქნება და მით უფრო სუსტი. დენიკინის არმიაში გაწვეული გლეხები ამ არმიაში იმასვე მოახდენდნენ, რაც ციმბირის გლეხებმა მოახდინეს კოლჩაკის არმიაში, — მის სრულ დაშლას გამოიწვევდნენ"[29]. სამართლიანად შენიშნავდა ვ. ი. ლენინი 1919 წ. 4 ივლისს.

დენიკინის არმიაში დეზერტირობა იწვევდა, ერთის მხრივ, მისი არმიის დასუსტებას, ხოლო, მეორე მხრივ, პარტიზანთა რაზმების გაძლიერებას, რადგანაც დეზერტირები სწორედ პარტიზანთა რაზმებს ავსებდნენ.

1919 წ. შემოდგომისათვის მთელი ჩრდილოეთი კავკასია პარტიზანულმა მოძრაობამ მოიცვა. კავკასიის სამხარეო კომიტეტმა უდიდესი

---

[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., 29, გვ. 539—540.

მუშაობა ჩაატარა პარტიზანული რაზმების გაერთიანებისა და მათი იარაღით მომარაგებისათვის. ადგილებზე იგზავნებოდნენ გამოცდილი პარტიული მუშაკები.

მაგ., ინგუშეთში პარტიზანთა დასახმარებლად გაიგზავნა ამხ. ზ. ფალავანდიშვილი. მან მოახერხა ინგუში პარტიზანებისათვის იარაღის და საჭურველის ჩამოტანა.

პარტიზანულმა ბრძოლამ აიძულა დენიკინი თავისი რჩეული ნაწილები გადმოესროლა მთავარ (როსტოვის) ფრონტიდან და გაეგზავნა ისინი ზურგში აჯანყებული მთიელების დასაშოშმინებლად.

სამხრეთ რუსეთში დენიკინის ზურგში იბრძოდა 100 ათასზე მეტი პარტიზანი[30]. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაზე მოდიოდა.

1919 წ. ბოლოსა და 1920 წ. დასაწყისში ჩრდილოეთ ოსეთი წარმოადგენდა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ასპარეზს. თუმცა ხელისუფლება თეთრების ხელთ იყო, ფაქტიურად მდგომარეობის ბატონპატრონი ბოლშევიკები იყვნენ. ამის შესახებ გაზ. „პრავდა" წერდა: „აჯანყებულთა მოძრაობას ხელმძღვანელობას უწევს ოსეთის კომუნისტური პარტია „კერმენი"[31].

მტერთან შემდგომი ბრძოლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის „წერილს მუშებისა და გლეხებისადმი კოლჩაკზე გამარჯვების გამო"[32], რომელიც 1919 წ. 28 აგვისტოს გამოქვეყნდა გაზ. „პრავდაში". აქ ნაჩვენები იყო კოლჩაკთან ბრძოლის გამოცდილების მთავარი გაკვეთილები და მოუწოდებდა ამ გამოცდილების გამოყენებას დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1919 წლის 21 სექტემბერს რკპ(ბ) ცკ პლენუმმა განიხილა სამხრეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობა. პლენუმმა მიიღო ვ. ლენინის წინადადება მოეხდინათ მთელი ძალების მობილიზაცია დენიკინის წინააღმდეგ. სამხრეთის ფრონტზე პარტიული და სამხედრო მუშაობის გაუმჯობესებისათვის გაიგზავნა მრავალი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი.

გამოიყენა რა დენიკინის ზურგში პარტიზანთა აქტიური მოქმედების შედეგად შექმნილი მდგომარეობა, პარტიამ დიდი მუშაობა გააჩაღა მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში საყოველთაო აჯანყების მოსამზადებლად.

---

[30] Партия в период иностранной военной интервенции и гражданской войны (1918—1920 гг.), М., 1964, გვ. 169.

[31] Газ. «Правда», 1919 г., 17 октября, № 232.

[32] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 655—665.

როდესაც 1919 წლის დასაწყისში კონტრრევოლუციამ ჩრდილო კავკასიაში დროებით გამარჯვებას მიაღწია, ყველა, ვინც იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, იძულებული იყო დაეტოვებინა დენიკინელების მიერ დაკავებული ტერიტორია და თავი შეეფარებინა კავკასიის მთიანეთში, ანდა გადმოსულიყო საქართველოში და აქედან დაემყარებინა კონტაქტი ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილ კომუნისტებთან.

ვლადიკავკავის დაცემის შემდეგ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მუშაობა ჩრდილოეთ კავკასიაში შეუძლებელი გახდა. ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციურმა მთავრობამ დააპატიმრეს კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ კავკასიის სამხარეო კომიტეტი „როგორც პარტიული ხელმძღვანელი ცენტრი კავკასიაში, საჭირო შეიქმნა კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბაქოსა და თბილისის ბიუროების შექმნა“[33].

1919 წ. იანვრის ბოლოს ვლადიკავკავში შედგა კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მეორე სამხარეო ყრილობა. ყრილობამ განიხილა სამხარეო კომიტეტის ანგარიში, კომუნისტების ამოცანები ამიერკავკასიაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. ყრილობამ დაამტკიცა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემადგენლობა. დენიკინელების მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ სამხარეო კომიტეტის წევრთა უმრავლესობა გადავიდა თბილისსა და ბაქოში[34].

ამ მძიმე დღეებში დენიკინის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს მკვიდრნიც, რომლებმაც არა ერთი საგმირო ფურცელი ჩაწერეს სამოქალაქო ომისა და ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში.

§ 2. ქართველები დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში

ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის გახუყოფელი შემადგენელი ნაწილია იმ ბრძოლისა, რასაც რუსეთის მშრომე-

---

[33] П. В. Мосесов, В. И. Ленин об интернациональных традициях и боевом содружестве Народов Кавказа, Ученные записки, т. IX, Махачкала, 1961, გვ. 34.

[34] Очерки истории Коммунистических организаций Закавказья, часть первая, 1883—1921 гг., Тбилиси, 1967, 427.

ლი მასები სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე ეწეოდნენ შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოეთის ინტერვენციის წინააღმდეგ.

დენიკინმა 1919 წ. დასაწყისისათვის შესძლო ჩრდილოეთ კავკასიის დიდი ნაწილის დროებით დაკავება. ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხებმა მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს. ამ ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების მხარდამხარ, სხვებთან ერთად, იბრძოდნენ საქართველოს მკვიდრნიც, რომლებმაც არა ერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს სამოქალაქო ომის ისტორიაში, კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში. მათმა გმირულმა ბრძოლამ კიდევ უფრო გაამდიდრა ქართველი ხალხის მდიდარი რევოლუციური ტრადიციები.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის წლებში ბევრი ქართველი რევოლუციონერი მოღვაწეობდა[35]. ზოგიერთ მათგანს ხელმძღვანელი პოსტები ეკავათ და უაღრესად დიდი როლი ითამაშეს დენიკინის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების დარაზმვისა და მხარეში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საქმეში.

ასეთებია მაგ., ნ. ბუაჩიძე, ს. ორჯონიკიძე, ფ. მახარაძე, ალ. გეგეჭკორი, ს. ქავთარაძე და სხვ. მათი მოღვაწეობა საკმაოდ კარგადაა შესწავლილი[36] და მასზე საგანგებოდ არ შევჩერდებით.

ჩვენი მიზანია იმ ქართველ რევოლუციონერთა მოღვაწეობის შესწავლა, რომლებიც იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში 1918 — 1920 წლებში დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ და მხარეში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის. ბევრი მათგანის სახელი უკვალოდ დაიკარგა. ჩვენ მიზნად ვისახავთ შეძლებისდაგვარად გამოვაელინოთ მათი ღვაწლი და არ დავუკარგოთ ისტორიას მათი სახელები.

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო სერგო ორჯონიკიძე.

იგი 1918 წ. 10 ივლისს ჩამოდის ჩრდილოეთ კავკასიაში და სათა-

---

[35] რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ბრძოლას დენიკინელების წინააღმდეგ, სისტემატურად აგზავნიდა აჯანყებულ მთიელთა დასახმარებლად პარტიის ერთგულსა და გამოცდილ მუშაკებს, უგზავნიდა ლიტერატურას, უწევდა ფულად დახმარებას.

[36] კ. ი ვ ა ნ ი ძ ე, სამუელ (ნოე) გრიგოლის ძე ბუაჩიძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), სახელგამი, თბილისი, 1956; ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, გრიგოლ (ს ე რ გ ო) კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ეს ძ ე ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე (ბიოგრაფიული ნარკვევი), სახელგამი, თბილისი, 1956; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ფილიპე მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), სახელგამი, თბილისი, 1968; კ. ი ვ ა ნ ი ძ ე დ ა ა. ქ ა რ ჩ ა ვ ა, ალექსი (საშა) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი (ბიოგრაფიული ნარკვევი), სახელგამი, თბილისი, 1962 და სხვ.

ვეში უდგება ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების ბრძოლას დენიკინელების წინააღმდეგ.

დენიკინელებმა 1919 წ. იანვარში მინვოდის, პიატიგორსკისა და კისლოვოდსკის აღების შემდეგ პირველი ძლიერი დარტყმა განახორციელეს ინგუშთა სოფ. დოლაკოვის წინააღმდეგ. დოლაკოვოსა და კანტიშევოს აღებამ საშუალება მისცა დენიკინელებს ალყა შემოერტყათ ვლადიკავკაზისათვის.

ვლადიკავკაზის დაცვას ხელმძღვანელობდა სერგო ორჯონიკიძე, ხოლო ქალაქის დამცველ ჯარებს სარდლობდა პ. აღნიაშვილი[37].

1919 წლის იანვრის ბოლოს ნ. გიკალოს ბრძანებით შეიქმნა 3 კოლონა, რომელსაც ევალებოდა შეეტია თეთრებისათვის და უკუეგდო ისინი პროხლადნაიასაკენ, რათა ხელი შეეწყოთ მე-11 არმიისათვის, რომელიც უკან იხევდა ყიზლარისაკენ.

მარჯვენა კოლონას, რომელსაც ყოფილი ოფიცერი პროტოპოპოეი მეთაურობდა, უნდა შეეტია რკინიგზის ხაზით. შუა კოლონას პ. აღნიაშვილის მეთაურობით უნდა ემოქმედა არხონკა-არდონ-კოტლიარევსკის ხაზზე. ხოლო მარცხენა კოლონას (რომელშიც შედიოდნენ ოსი კერმენისტები) ს. თავასიევის მეთაურობით უნდა შეეტია ხრისტიანოვსკის მხრიდან. პ. აღნიაშვილის მოადგილედ დაინიშნა პ. ოგურცოვი.

არხონკა უბრძოლველად აიღეს, ხოლო არდონთან პ. აღნიაშვილის რაზმმა მარცხი განიცადა მტრის ჭარბ ძალებთან ბრძოლაში და უკან დაიხია. ამ ბრძოლების დროს თეთრგვარდიელებს ტყვედ ჩაუვარდათ მთელი ჯგუფი მებრძოლებისა კომუნისტური რაზმიდან, რომელსაც ვალერიან (ვალია)ბახტაძე მეთაურობდა[38].

1919 წლის 2 თებერვალს შკუროს ბანდები ვლადიკავკაზს მოადგნენ. პ. აღნიაშვილმა მისთვის ჩვეული ენერგიითა და თავდადებით

---

[37] იგი მენშევიკურმა მთავრობამ აფხაზეთში 1918 წ. მარტში აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრა, ხოლო 1918 წ. აგვისტოში გაასახლა ჩრდილოეთ კავკასიაში. პ. აღნიაშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში ჩასვლისთანავე დაინიშნა ვლადიკავკაზის პირველი ქვეითი პოლკის მეთაურად. ამ პოლკმა მძიმე დარტყმები მიაყენა მტერს, ალაგირის, არხონკისა და არდონის რაიონებში. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბრძოლო ოპერაციებს, იარაღით ხელში წინ უძღოდა თავის ჯარებს. პ. აღნიაშვილის პოლკმა ასევე ისახელა თავი უაბარდოს კონტრრევოლუციონერთა მეთაურის პოლკოვნიკ ზ. სერებრიაკოვ-დაუტოკოვისა და სუნჟელი კაზაკ ოფიცერთა შეიარაღებული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში. — იხ. ა. ირემაძე, ს. ციცქიშვილი, ნარკვევები საბოქალაქო ომის გმირებზე — „ისინი იბრძოდნენ შენი მომავლისათვის", თბ., 1962 წ., გვ. 9—10.

[38] Архив Музея С. Кирова и Г. Орджоникидзе, ф. 5, оп.,2, д. 63, Воспоминания П. В. Огурцова, лл. 8.

მოჰკიდა ხელი ქალაქის თავდაცვის მეტისმეტად ძნელ საქმეს. 2 თებერვალს პეტრემ მოიწვია საბრძოლო უბნების უფროსებისა და ცალკეული ნაწილების მეთაურთა თათბირი პარტიულ აქტივთან ერთად. მას ესწრებოდნენ კ. ცინცაძე. ლ. დუმბაძე, მ. მარტინოვი, ილინი, გახოკია, ნადირაძე, პერიმონდი, პ. ოგურცოვი და სხვ. მოსმენილ იქნა სამი მოხსენება: პ. აღნიაშვილისა — ფრონტზე მდგომარეობის შესახებ, კ. ცინცაძის — კონტრრევოლუციასთან ბრძოლის შესახებ და პერიმონდის პარტახტიან ტიფთან ბრძოლის შესახებ.

აღნიაშვილის მოხსენებიდან გაირკვა, რომ ვლადიკავკავის გარნიზონი ქალაქის თავდაცვის რაზმებთან ერთად ითვლიდა მხოლოდ 3.000 კაცს.

კ. ცინცაძის მოხსენების შემდეგ მიიღეს დადგენილება — სასტიკი ბრძოლა გაეჩაღებინათ კონტრრევოლუციასთან, ხოლო აშკარა კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ გამოეყენებინათ სიკვდილით დასჯა. „ამ დროს — იგონებს პ. ოგურცოვი — ჩვენთან მთიან ინგუშეთიდან დასახმარებლად ჩამოვიდა შაქრო ფალავანდიშვილი ასი ინგუში მხედრით და თან ჩამოგვიტანა მთაში ნაყიდი ტყვიები. ამით მან ჩვენ ძალზე გაგვახარა და იგი გულთბილად მივიღეთო"[39]. თათბირმა დიდი როლი შეასრულა ქალაქის თავდაცვის ორგანიზაციის საქმეში.

ს. ორჯონიკიძე და პ. აღნიაშვილი პირადად მიდიოდნენ ცეცხლის ხაზზე, მოწინავე საგუშაგოებზე, ესაუბრებოდნენ მებრძოლებს და უნერგავდნენ მათ გამარჯვების რწმენას[40].

აღსანიშნავია პ. აღნიაშვილის უშუალო მონაწილეობითა და მეთაურობით წარმოებული ბრძოლები დაბა კურსკაიაში და ბაზორკინოს გზაზე, რომელიც კონტრრევოლუციონერთა სასტიკი მარცხით დამთავრდა. მტერს განზრახული ჰქონდა ვლადიკავკავი მოეწყვიტა ბაზორკინოსაგან, სადაც იმყოფებოდა ს. ორჯონიკიძე და ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს მთელი შტაბი ნ. გიკალოს მეთაურობით. ბაზორკინოსთან ბრძოლაში, სადაც პ. აღნიაშვილის რაზმთან ერთად იბრძოდნენ ყაბარდოელთა და ინგუშთა რაზმები სერგოს მეთაურობით, სასტიკი დამარცხება აგემეს მტერს.

მდგომარეობა ვლადიკავკავში მეტად მძიმე შეიქმნა, მაგრამ მისმა დამცველებმა გადასწყვიტეს უკანასკნელ ტყვიამდე დაეცვათ ქალაქი. პ. აღნიაშვილის წინადადებით სერგო ორჯონიკიძეს გაეგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: „ძვირფასო ამხანაგო სერგო! ჩვენ, ვლადიკავ-

---

[39] Архив Музея С. Кирова и Г. Орджоникидзе. ф. 5, оп. 2, д. 63, лл. 20.

[40] ა. ი ო ნ ე ბ ა ძ ე, ს. ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

კავის გმირული გარნიზონის წითელარმიული ნაწილების სამხედრო ხელმძღვანელები. გაძლევთ შენ საბრძოლო სიტყვას, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ მშრომელთა დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ და არ დავეცემით სულით. ჩვენ გადავწყვიტეთ დავიცვათ ქალაქი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მოვკვდებით საბჭოთა ხელისუფლების დაცვის სახელოვან პოსტზე, ვიბრძოლებთ თეთრგვარდიელებზე უკანასკნელ გამარჯვებამდე. გთხოვთ თქვენ, ძვირფასო ამხ. სერგო, გადასცეთ ამხ. ლენინს ჩვენი მხურვალე სალამი"[41].

ვლადიკავკავის დაცვისას გმირულად იბრძოდნენ ალ. გეგეჭკორისა და ს. ქაუთარაძის რაზმები[42].

1918 წლის ნოემბრიდან 1919 წ. თებერვლამდე ვლადიკავკავის დამცველთა რიგებში ქალაქის დატოვების უკანასკნელ დღემდე იბრძოდა ა. გეგეჭკორის ქართული რაზმი. ამ რაზმმა, ისევე როგორც 1918 წ. ვლადიკავკავთან და გროზნოსთან წარმოებული ბრძოლების დროს, დიდი როლი ითამაშა ქალაქის დაცვის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების ბედი ვლადიკავკაკში ბეწვზე ეკიდა. „კავკავი გარშემორტყმული იყო ყოველმხრივ კონტრრევოლუციური ბანდებით. გაჭირვების დროს ყველანი იმედს საშა გეგეჭკორზე და მის რაზმზე ამყარებდნენ. ერთადერთი ხსნა შეიძლებოდა თუ გაირღვეოდა კონტრრევოლუციური რკალი და მოხდებოდა შეერთება პიატიგორსკთან, სადაც ჩვენი ამხანაგები განაგრძობდნენ ბრძოლას კონტრრევოლუციური ჯარების წინააღმდეგ. ამხ. საშა გეგეჭკორმა თავისი პატარა რაზმით იერიში მიიტანა კაზაკების სტანიცა არხონკაზე. სადაც მტრის მთავარი ძალები იყვნენ გამაგრებული. მართლაც საშა გეგეჭკორის გმირობას და მის პირად გამოუთქმელ გამბედაობას და სიმამაცეს უნდა მიეწეროს, რომ ამ ბრძოლაში დამარცხებულ იქნა მტერი"[43], — წერდა ფ. მახარაძე.

არხონკასთან ბრძოლაში ა. გეგეჭკორი ფეხში მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ დაუტოვებია. სერგო ორჯონიკიძის წარდგენით ა. გეგეჭკორი, რომელმაც არაერთხელ გამოიჩინა თავი თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების დაცვის საქმეში, რუსეთის სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ 1919 წ. № 65 ბრძანებით დააჯილდოვა წითელი

---

[41] Архив Музея С. Кирова и Г. Орджоникидзе, ф. 5, оп. 2, д. 63, ф. 31.

[42] ს. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, 1918 წ. მაისის ბოლოს გადადის ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მუშაობდა ვლადიკავკავის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. მონაწილეობდა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის და მის გაზეთ „კავკაზსკაია პრავდას" რედაქციის მუშაობაში.

[43] გაზ. „კომუნისტი", 1928 წ., № 133.

დროშის ორდენით. ა. გეგეჭკორი ერთი იმათთაგანი იყო, რომელმაც თერგის პროლეტარიატი არ დასტოვა მისთვის ყველაზე უფრო მძიმე მომენტში.

„რამდენი მძიმე წუთი ჰქონდა საშას საქართველოს მენშევიკებთან, თერგის შავრაზმელებთან ბრძოლაში, — წერდა სერგო ორჯონიკიძე, — და საშას ხელი არც ერთხელ არ აკანკალებულა, მას გაბედულად მიჰყავდა თავისი რაზმები თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ. თვითონ მეომართა მოწინავე რიგებში იყო. შაშხანა და რევოლვერი მის ხელში ყოველთვის იყო საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დამცველი“[44].

საშა გეგეჭკორის რაზმში გმირულად იბრძოდა ცნობილი რევოლუციონერი არკადი ელბაქიძე, 1919 წ. 13 სექტემბერს გენ. ბარათოვზე თავდასხმის გმირი.

1918 წ. ა. ელბაქიძე მონაწილეობდა რაჭის მაზრის შეიარაღებულ აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი უერთდება ა. გეგეჭკორის რაზმს და მიდის ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ რაზმთან ერთად მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1918 წ. დუშეთის გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებაში. 1918 წ. 5 აგვისტოს თბილისში ა. ელბაქიძე მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა და ამავე წლის დეკემბერში ჩრდილოეთ კავკასიაში გადაასახლა. იქ იგი მუშაობს თერგის საბჭოთა რესპუბლიკის საგეგმო კომისიაში[45].

ა. ელბაქიძე აქტიურად მონაწილეობდა დენიკინელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

1919 წ. იანვარში დენიკინისა და შკუროს ბანდებმა გააძლიერეს შეტევა ვლადიკავკაზის მორეულ მისადგომებზე. მათ სურდათ ხელში ჩაეგდოთ ქალაქი, დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება და შემდეგ მოემზადებინათ გადამწყვეტი შეტევა მოსკოვზე.

აქ საინტერესოა მოვიყვანოთ ა. ელბაქიძის გამბედაობისა და გმირობის ერთი მაგალითი.

შკუროს კორპუსის მეწინავე რაზმები სტანიცა ზმეისკაიაშია დაბანაკებული. ღამეა, არყით გალეშილი ოფიცრების ნაწილი ქალებით ერთობა, ნაწილი კი ღრმა ძილს მისცემია. ა. ელბაქიძემ თავისი მცირე რაზმი დასძრა ზმეისკაიასაკენ. სტანიცის ახლოს გზის გაყოლებით მოხერხებულად ჩაასაფრა თანამებრძოლები. თვითონ კი თეთრგვარდი-

---

[44] ა. თოიძისა და ს. გველესიანის სტატიიდან გაზ. «Заря Востока», 1957 წ., 18 ოქტომბერი.

[45] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში (ბიოგრაფიული კრებული), თბილისი, 1961 წ., გვ. 219—220.

ელი ოფიცრის ტანსაცმელში გამოწყობილი მეწინავე რაზმის მეთაურის ბანაკისაკენ გაეშურა.

— ბატონმა შკურომ გიბრძანათ დაუყოვნებლივ დაიძრათ ვლადიკავკაზისაკენ. ქალაქის ახლოს შეგხვდებათ თვითონ გენერალი და შემდგომ მოქმედების გეგმას პირადად გაგაცნობთ, — უბრძანა არკადიმ შექეიფიანებულ ოფიცერს და გადასცა ყალბი დოკუმენტი, რომელსაც შკუროს ხელმოწერა ჰქონდა. ოფიცერმა დოკუმენტი წაიკითხა და ენის ბორძიკით წარმოსთქვა: ბრძანება შესრულებული იქნებაო. ა. ელბაქიძე უკან გამობრუნდა და დაუწყო ლოდინი ჩასაფრებულ მებრძოლებთან ერთად. არკადის რაზმმა მთლიანად მოსპო მტრის რაზმი, თვითონ ამ ბრძოლაში დაიჭრა, მაგრამ დილამდე არავისთვის გაუმხელია[46].

1919 წ. შემოდგომაზე იგი არალეგალურად ბრუნდება თბილისში. ამავე წლის 13 სექტემბერს ვერის დაღმართზე ეტლს, რომელშიაც გენ. ბარათოვი იჯდა, ესროლა ორი ყუმბარა და მძიმედ დაჭრა იგი. თვითონ ა. ელბაქიძე დაილუპა ამ თავდასხმის დროს.

ვლადიკავკაზის დამცველთა შორის იყო ვ. მ. ბურდული. იგი იყო აქტიური წევრი თერგის პირველი ბატარეისა (ბატარეის უფროსი იყო სოკოლიკი, ხოლო მოადგილე — იაბლონცევი). თერგის ბატარეა მონაწილეობას იღებდა თერგის ოლქში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ბრძოლაში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ბატარეის საბრძოლო მოქმედება მენშევიკური საქართველოს ტერიტორიაზე.

1918 წ. ზაფხულში კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით დუშეთის მაზრის აჯანყებული გლეხების დასახმარებლად ა. გეგეჭკორის რაზმთან ერთად გაიგზავნა თერგის პირველი ბატარეის 2 ქვემეხი ზენკინის მეთაურობით. საერთო ხელმძღვანელობა კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაავალა ს. ქავთარაძეს.

როგორც ცნობილია, აღნიშნული რაზმები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. შემდეგ ვ. ბურდული 1918 წ. ივლისში იბრძვის პროხლადნაიასთან ბიჩერახოველების წინააღმდეგ, ხოლო 1918 წ. დეკემბერში ალაგირში უ. ცალიკოვის ბანდების წინააღმდეგ.

„მე და მეომარ კატასინოვს, — იგონებს ვ. მ. ბურდული, — დაგვევალა გაგვერღვია თეთრგვარდიელთა ალყა და ვლადიკავკაზისათვის გვეცნობებინა ალაგირის კრიტიკული მდგომარეობა. ჩვენ მივაღწიეთ

---

[46] ა. ირემაძე, ს. ციცქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

სადგურ არდონამდე და ვაცნობეთ ალაგირში არსებული მდგომარეობა"[47].

ალაგირის დასახმარებლად ვლადიკავკაზიდან გაემართა ცხენოსანთა პოლკი. მათთან ერთად იყო ს. ორჯონიკიძე. ამ დახმარებამ სწორედ დროზე მოუსწრო პ. ოგურცოვის რაზმს, რომელსაც ტყვიაწამალი შემოლეული ჰქონდა.

როდესაც დენიკინელები მოადგნენ ვლადიკავკაზს, თერგის პირველ ბატარეას ეკავა პოზიცია შალდონთან. 7 დღიანი ბრძოლების შემდეგ აღნიშნული ბატარეის მებრძოლები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ და საქართველოს სამხედრო გზით გადასულიყვნენ საქართველოში.

1918 წ. 10 დეკემბერს სერგო ორჯონიკიძის ინიციატივითა და თავმჯდომარეობით შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭო, რომელმაც მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა ქალაქის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საქმეში.

თავდაცვის საბჭოს შემადგენლობაში სხვა ამხანაგებთან ერთად შედიოდა ვასილ ელერდაშვილი, რომელიც აქტიურად იბრძოდა ვლადიკავკაზის დამცველთა რიგებში. ქალაქის დატოვების შემდეგ იგი სერგო ორჯონიკიძესა და საბჭოს სხვა წევრებთან ერთად მთებში გაიხიზნა პარტიზანული ბრძოლის გასაჩაღებლად. მათ დიდი მუშაობა ჩაატარეს ჩეჩნეთსა და ინგუშეთში, შექმნეს მძლავრი პარტიზანული რაზმები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ დენიკინელებს. 1919 წ. გაზაფხულზე კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით ვ. ელერდაშვილი საქართველოში ჩამოვიდა. აქ იგი დიდ მუშაობას ეწეოდა მენშევიკური მთავრობის დასამხობად[48].

ქ. ელადიკავკაზის დაცვა მიმდინარეობდა მეტად ძნელ პირობებში. ქალაქის დამცველებს არ ყოფნიდათ საომარი მასალა და სურსათსანოვაგე. მოსახლეობაში და ჯარის ნაწილებში მძვინვარებდა პარტახტიანი ტიფი, რომელიც აცლიდა ქალაქის გმირ დამცველებს. ცენტრიდან რაიმე დახმარებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, მთელი ყუბანი, სტავროპოლი და თერგის ტერიტორია მტერს ეპირა. რომელიც სულ ახალ-ახალ დახმარებას იღებდა ანტანტის მხრიდან.

ასეთ ვითარებაში ვლადიკავკაზის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ჯარის ბრძოლისუნარიანი ნაწილების შენარჩუნება, უკან

---

[47] Гражданская война в Северной Осетии. По воспоминаниям участников. К 50-летию Великой Октябрьской Социалистической революции, Орджоникидзе, 1965, გვ. 245.

[48] ა. ო რ ე მ ა ძ ე ს. ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 86—87.

დახევა ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში და იქიდან პარტიზანული ბრძოლის წარმოება.

ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭომ უბრძანა პ. აღნიაშვილს რამდენიმე დღე კიდევ შეენარჩუნებია ქალაქი, ხოლო შემდეგ უკან დაეხია. იგი ასეც მოიქცა.

ამ ბრძოლის მონაწილე პ. ოგურცოვი იგონებს, რომ 9 თებერვალს სამხედრო თათბირზე იდგა საკითხი ვლადიკავკავის დატოვებისა და საქართველოს სამხედრო გზისაკენ უკან დახევის შესახებ. პ. აღნიაშვილი, ზუბკოვი და პ. ოგურცოვი დარჩენისა და ბრძოლის გაგრძელების მომხრენი იყვნენ, რათა ხელი შეეწყოთ ნ. გიკალოს რაზმის უკან დახევაში, ხოლო კ. ცინცაძე, მარტინოვი, ლ. მარკუსი და სხვები მოითხოვდნენ ქალაქის დატოვებას[49].

საბოლოოდ ქალაქის დაცვა 11 თებერვლამდე გაგრძელდა. უკან რომ დაეხიათ საჭირო იყო გაენთავისუფლებიათ საქართველოს სამხედრო გზის მისადგომები, რომლებიც თეთრგვარდიელებს ეკავათ. ამ დავალების შესასრულებლად გაიგზავნა ნადირაძე თავისი ასეულით, რომელმაც მოახერხა კავშირის დამყარება ბალთასა და ჯარიესთან[50] და 11 თებერვალს დაიწყო ვლადიკავკაზიდან უკან დახევა. ვლადიკავკავის დამცველი ჯარები პ. აღნიაშვილის სარდლობით 14 დღის განმავლობაში სასწაულებს ახდენდნენ მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. მე-14 დღეს ქალაქის გარნიზონმა ორგანიზებულად დატოვა ქალაქი. მტრისათვის არ დაუტოვებიათ არც საომარი მოწყობილობა, იარაღი და სურსათი. პ. აღნიაშვილი უკანასკნელი გავიდა ქალაქიდან[51].

ვლადიკავკავის დატოვებისას ა. გეგეჭკორის რაზმი შკუროს ბანდებისაგან იცავდა წითელი არმიის უკან დახევას, სამოქალაქო დაწესებულებების, ჰოსპიტლებისა და სხვათა ევაკუაციას[52].

ძალიან გაძნელდა ა. გეგეჭკორის ვლადიკავკაზიდან გაყვანა. დიდის გაჭირვებით ფეხმოკვეთილი და სიცხიანი საშა გაიყვანეს ქალაქიდან. ჯერ იგი სოფ. ბაზორკინოში იმყოფებოდა, მერე კი მდ. ასის დაყოლებით მდებარე სოფ. ალკუნში გადაიყვანეს.

საშა ძლიერ განიცდიდა ავადმყოფობას და იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ყველაზე მძიმე მომენტში იგი გამოეთი-

---

[49] Архив Музея С. Кирова и Г. Орджоникидзе. ф. 5, оп. 2, д. 63, Воспоминания П. Огурцова, გვ. 31.

[50] ი ქ ვ ე.

[51] ა. ი რ ე მ ა ძ ე, ს. ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[52] В. С. Г а л ь ц е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

შა მას. საშა ეხმარებოდა მებრძოლებს სურსათით. ბევრს დაეხმარა აგრეთვე საქართველოში გადასულიყო. მას ხშირად ნახულობდნენ სერგო და სხვა მისი მეგობრები[53].

საშა გეგეჭკორმა მხოლოდ 1919 წ. ივლისში შესძლო საქართველოში ჩამოსვლა და კვლავ ჩაბმა აქტიურ პარტიულ ცხოვრებაში.

14 თებერვალს პ. აღნიაშვილი, პ. ოგურცოვი და სხვები ჩამოვიდნენ ყაზბეგში. „აქ აგნიევი უმალვე დააპატიმრეს, — იგონებს პ. ოგურცოვი, — და წაიყვანეს ოთახში, სადაც იყვნენ წინა საღამოს დაპატიმრებულნი კ. ცინცაძე. ლ. დუმბაძე, ს. ქავთარაძე, გახოკია, ზუბკოვი და ვ. ბახტაძე. სხვები არ დაუპატიმრებიათ. ისინი გაგზავნეს თბილისში, მეტეხის ციხეში...“[54]

პ. აღნიაშვილი 1919 წლის ბოლომდე ციხეში იჯდა. 1920 წელს ის კვლავ წითელი არმიის რიგებშია და იბრძვის სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

ვლადიკავკავის დატოვების შემდეგ ბოლშევიკების ჯარის ნაწილი 2000 კაცის რაოდენობით მოადგა საქართველოს საზღვრებს. აქ ისინი დააპატიმრა მენშევიკების მთავრობამ. ამის შესახებ მენშევიკების შინაგან საქმეთა სამინისტროს „განსაკუთრებული“ რაზმის უფროსის მოხსენებაში სასამართლო პალატის პროკურორისადმი 1919 წ. 27 თებერვალს ნათქვამია: „ვლადიკავკაზზე მოხალისეთა არმიის შეტევისა და მათ მიერ მისი დაკავების შემდეგ, ბოლშევიკთა ჯარმიის ნაწილი დაახლოებით 2000 კაცის შემადგენლობით ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის ს. ქავთარაძის, კ. ცინცაძის და სხვ. შემადგენლობით მოუახლოვდნენ საზღვარს, სადაც დაკავებული და განიარაღებულ იქნენ ყაზბეგის სასაზღვრო რაზმის მიერ...

ვლადიკავკავის ბოლშევიკების მოთავეები დააპატიმრეს ყაზბეგში და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ჩასვეს № 2 საგუბერნიო ციხეში...

ბოლშევიკი ჯარისკაცები კი ყაზბეგიდან მცხეთის გავლით ჩაიყვანეს ტიფლისს და მოათავსეს საბურთალოში“[55].

ბევრმა ბოლშევიკმა თავისი სიცოცხლე მეტეხის ციხეში დაამთავრა. კომუნისტთა მეორე ჯგუფმა სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით (ი. ფიგატნერი, ა. ნაზარეტიანი, ი. ბუტირინი, ს. გაბიევი, ა. გეგეჭკო-

---

[53] კ. ი ვ ა ნ ი ძ ე დ ა ა. ქ ა რ ჩ ა ვ ა, ალექსი (საშა) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი (ბიოგრაფიული ნარკვევი), სახელგამი, თბილისი, 1962, გვ. 31.

[54] Архив Музея С. Кирова и Г. Орджоникидзе, პ. ოგურცოვის მოგონებიდან, გვ. 31.

[55] საქ. ორცსა, ფ. 50, საქმე 56, ფ. 5.

რი, ფ. მახარაძე, ბ. კალმიკოვი და სხვ.) წითელარმიელთა მცირე რაზმთან ერთად უკან დაიხიეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში.

მაშინ, როდესაც მთელი თერგის მხარე დენიკინელების ხელთ იყო, კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა თავის მოღვაწეობის ცენტრი თბილისში გადაეტანა.

სერგოს გადაწყვეტილი ჰქონდა თავის ამხანაგებთან ერთად გაღასულიყო თბილისში, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს. როდესაც ი. ფიგატნერმა, კ. ცინცაძემ და სხვებმა შესძლეს საქართველოში არალეგალურად გადასვლა, აქ ისინი დააპატიმრეს და გააძევეს საქართველოდან.

მენშევიკურმა მთავრობამ გამოყო სპეციალური ბატალიონი, რომელიც იცავდა საქართველოს სამხედრო გზას და განსაკუთრებით გადასასვლელებს ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში. აღნიშნული ბატალიონი ბოლშევიკურად განწყობილი აღმოჩნდა[56].

მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1919 წ. 4 აგვისტოს გასცა განკარგულება დარიალის გასამაგრებლად დამატებითი ძალების გაგზავნაზე[57].

უფრო ადრე, 1919 წ. თებერვალში, მენშევიკურმა მთავრობამ საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად გამოყო 200 ათასი მანეთი, რომელიც გადასცა სამხედრო უწყებას[58].

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ბოლშევიკები გადმოდიოდნენ კავკასიის მთებზე, თავშესაფარს პოულობდნენ საქართველოს მშრომელების დახმარებით და ეწეოდნენ არალეგალურ მუშაობას.

მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, გარდაიცვალა ი. ბატურინი, ავად იყო ფ. მახარაძე. სერგო, რომელსაც მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, ძალღონეს არ იშურებდა, რათა მთიელი მოსახლეობა დაერაზმა თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მდგომარეობა მოითხოვდა კავშირის დამყარებას თბილისთან. ამ მიზნით სერგო ორჯონიკიძის დავალებით საქართველოში არალეგალურად გაიგზავნა ბოლშევიკების ჯგუფი, რომელმაც კავშირი დაამყარა პარტიულ ცენტრთან. ამან დადებითი შედეგი გამოიღო.

ჩრდილოეთ კავკასიელი მოსახლეობის დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლას, რომელმაც ამ დროს პარტიზანული ხასიათი მიიღო, სერგო

---

[56] ჯერ კიდევ 1918 წ. 5 ივნისს თბილისის გუბერნიის კომისარმა გამოსცა ბრძანება საქართველოს სამხედრო გზის დასაცავად. — საქ. ორცსა, ფ. 50, საქმე 124, ფ. 5—6.

[57] საქ. ორცსა, ფ. 50, საქმე 317, ფ. 195—196.

[58] იქვე, ფ. 50, საქმე 492, ფ. 13—14.

ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა. მას სხვა პარტიულ ამხანაგებთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა ფ. მახარაძე.

ფ. მახარაძე ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში ზამთრის მძიმე პირობებში დიდ მუშაობას ეწეოდა. მან ბევრი აული მოიარა, გამოდიოდა მთიელთა კრებებზე, ყრილობებზე[59].

ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში მუშაობა სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. იყო იმის საშიშროება, რომ დენიკინელები დაიკავებდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთიან ზოლსაც და მოსახლეობას მოსთხოვდნენ ბოლშევიკების გაცემას.

ერთადერთი გამოსავალი იყო საქართველოსათვის თავის შეფარება. ამ დროს, 1919 წ. ზამთრის მკაცრ პირობებში, მეტად ძნელი იყო საქართველოს უღელტეხილზე გადასვლა. მაგრამ ბოლშევიკები სიძნელეებს არ შეუშინდნენ. ფ. მახარაძემ სერგოსაგან მიიღო წერილი, სადაც მას აცნობებდა საქართველოში გადასვლის შესაძლებლობის შესახებ.

„ამხ. ფ. არის შესაძლებლობა საქართველოში გადასვლისა. ჩვენ ახლა ვიმყოფებით სოფ. კიში. თუ შენ ამაზე თანახმა ხარ, დაუყოვნებლივ გამოემგზავრე ჩვენკენ იმ ამხანაგთან ერთად, რომელიც ამ წერილს გადმოგცემს"[60].

პირველი ცდა საქართველოში გადასვლისა მარცხით დამთავრდა. მხოლოდ შ. ფალავანდიშვილის დახმარებით მოხერხდა ფ. მახარაძისა და სხვა ამხანაგების (დაახლოებით 100 კაცი) საქართველოში გადასვლა.

ფ. მახარაძე საქართველოში დაბრუნებისთანავე (1919 წ. თებერვალი) შეუდგა პარტიული ორგანიზაციების აღდგენასა და განმტკიცებას.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთიდან საქართველოში ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა გადასვლისათვის შეიძლებოდა ეჭვის თვალით შეეხედა ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობას და ეფიქრათ, რომ ისინი დასტოვეს ბედის ანაბარა. მით უმეტეს, ინგუშეთში, ისევე როგორც ჩეჩნეთში ბევრი იყო ისეთები, რომლებიც განიცდიდნენ დევნას დენიკინელებისაგან და რომელთა დარაზმვაც შეიძლებოდა დენიკინის წინააღმდეგ. მათ შეეძლოთ დიდი როლი ეთამაშათ დენიკინელების წინააღმ-

---

[59] ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ფილიპე მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), სახელგამი, თბილისი, 1958, გვ. 82.

[60] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 85, ფ. მახარაძის პირადი ფონდი, მოგონებები — ორი თვე ინგუშეთისა და ჩეჩნეთის მთებში, 1919, გვ. 28.

დეგ ბრძოლაში. „მაგრამ, — იგონებს ფ. მახარაძე, — ყველას უკვე ეადაწყვეტილი გვქონდა გადასვლა და ჩვენ დავიძარით სოფ. კიიდან"[61].

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების დროებით საქართველოში გადასვლა გამართლებული იყო პარტიული ბირთვის შენარჩუნების ინტერესებით.

მათ შეეძლოთ საჭიროებისთანავე კვლავ გადასულიყვნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და დახმარებოდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხებს დენიკინელთა საბოლოო განადგურებაში, შემდეგში ეს ასეც მოხდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელთა დამარცხებისა და მხარეში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის საქმეში დიდი როლი ითამაშა მე-XI არმიამ, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლების ქარცეცხლში ჩამოყალიბდა.

XI არმიის შემადგენლობა ინტერნაციონალური იყო. რუსებისა და უკრაინელების მხარდამხარ აქ მამაცურად იბრძოდნენ ოსები, ყაბარდოელები, ბალყარლები, ჩეჩნები, ინგუშები, ლეკები, კუმიკები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები[62]. XI არმია ინტერნაციონალური იყო თავისი სულისკვეთებითა და ამოცანებითაც.

XI არმიამ არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა საბჭოთა შეიარაღებული ძალების ისტორიაში.

ბევრი ქართველი ბოლშევიკის ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული XI არმიის სახელთან. ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში XI არმიის რიგებში იბრძოდნენ შალვა ასკურავა, ბესარიონ კვირკველია, პ. არველაძე, ნესტორ ლაკობა. ეფრემ ეშბა და ბევრი სხვა.

შ. ასკურავა იყო წითელი არმიის ერთ-ერთი პირველი პოლიტშუშაკთაგანი. 1918 წ. მაისში სოხუმის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ შ. ასკურავა მიავლინა ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორც სოხუმის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელი. აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დროებით დამარცხების შემდეგ შ. ასკურავა რჩება ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ იგი მუშაობდა ქ. მაიკოპში განათლების კომისრად. შემდეგ დაინიშნა XI წითელი არმიის პოლიტიკურ კომისრად. ამ უკანასკნელ საპასუხისმგებლო სამუშაოზე შ. ასკურავამ თავი გამოიჩინა როგორც უნარიანმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა.

---

[61] Архив Музея С. Кирова и Г. Орджоникидзе, ф. 5. оп. 2, д.56, ф. 33.
[62] В. Сухоруков, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სოროკინის ავანტიურის ლიკვიდაციაში და ენერგიული მუშაობა გააჩაღა არმიის გაჯანსაღებისათვის"[63]. იგი იბრძოდა ოსეთში და ინგუშეთში, მონაწილეობდა დოლაკოეოს მახლობლად გამართულ ცნობილ ბრძოლაში[64].

შ. ასკურავა თავის ძალასა და ღონეს, ჯანმრთელობასა და სიცოცხლესაც კი არ ზოგავდა, რომ XI არმიის იძულებითი უკანდახევა ჩრდილოეთ კავკასიიდან ასტრახანისაკენ ჩატარებულიყო ორგანიზებულად და მინიმალური მსხვერპლით. ამ უკანდახევისას ტრაგიკულად დამთავრდა მისი სიცოცხლე. ეს მოხდა ყიზლარში 1919 წ. 8 იანვარს[65].

სამოქალაქო ომის ფრონტებზე საქართველოს წარგზავნილთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია ბ. კვირკველიას.

1918-1920 წლებში ბ. კვირკველია სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილეა ჩრდილოეთ კავკასიაში და ასტრახანის გუბერნიაში. ამ პერიოდში იგი იმყოფებოდა საპასუხისმგებლო პოსტებზე: სამხრეთის (სოხუმის) ფრონტის საველე შტაბის თავმჯდომარედ, შემდეგ მაიკოპის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს წევრად და ჯარების მომარაგების უფროსად. XI არმიის პოლიტგანყოფილების უფროსად და რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად, თერგის ოლქის რევკომისა და საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ და X არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად[66].

ვლადიკავკაზის დაცვისას, იგი როგორც ჩრდილოეთ კავკასიის თავდაცვის საბჭოს წევრი, ს. ორჯონიკიძესთან, პ. აღნიაშვილთან და საბჭოს სხვა წევრებთან ერთად უშუალოდ ხელმძღვანელობს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების საქმიანობას მტრის განადგურებისათვის მთელი ძალების დასარაზმავად. იგი იარაღით ხელში ბევრი ცხარე ბრძოლების მონაწილე ყოფილა[67].

---

[63] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, გვ. 105.

[64] მ. ტ რ ა ს კ უ ნ ო ვ ი, მეთერთმეტე წითელი არმიის სახელოვანი გზა, თბ., 1960, გვ. 66.

[65] შ. ა ს კ ო (((

ბ. კვირკველია მონაწილეობას იღებს მე-11 არმიის ყველა ბრძოლაში, დაწყებული ასტრახანიდან — ცარიცინის ფრონტით, ვიდრე მთელი ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლებამდე.

ასტრახანიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან იგი მჭიდრო კავშირს ამყარებს კავკასიის სამხარეო კომიტეტთან და სისტემატურად იღებს ცნობებს რევოლუციური მოძრაობის შესახებ ამიერკავკასიაში. მის მუშაობას დიდად აფასებდა ს. კიროვი. ე. სტასოვასადმი მიწერილ წერილში 1919 წ. 4 სექტემბერს, აღწერს რა მდგომარეობას ჩრდილოეთ კავკასიაში, წერს: „აქ მუშაობს ამხ. ბ. კვირკველია, ძველი პარტიული მუშაკი, ჩემი აზრით, მისი კავკასიაში ყოფნა ძალიან სასარგებლოა“[68].

დენიკინის წინააღმდეგ მებრძოლთაგან არ შეიძლება არ აღინიშნოს ლეგენდარული კამო (სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანი). ძნელია ყველა იმ გმირობის აქ ჩამოთვლა, რაც კამოს სახელთანაა დაკავშირებული. კამომ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამოქალაქო ომის წლებში, რომლის დროსაც პარტიის არა ერთი დავალება შეასრულა.

იგი აწყობდა ფარულ სტამბებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, ახორციელებდა ხაზინიდან დიდი თანხების გატაცებას პარტიის საჭიროებისათვის, ფარულად შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან იარაღი. თავს ესხმოდა და იტაცებდა იარაღს არსენალებიდან, აწყობდა პოლიციელთა და სამხედრო ნაწილების განიარაღებას, საპატიმროებიდან პოლიტიკური პატიმრების გაქცევას. ყოველივე ამან იგი პარტიის საყვარელ გმირად აქცია[69].

როგორც ცნობილია, დენიკინის მიერ ვლადიკავკაზის დაკავების შემდეგ ქალაქის დაცვის ხელმძღვანელი ჯგუფის ნაწილი სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით თავს აფარებენ ინგუშეთის მთებს. აქ მათი მდგომარეობა მძიმე იყო. მათ დევნიდნენ დენიკინელები, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ხელთ ეგდოთ სერგო ორჯონიკიძე. საჭირო იყო მათი ჩრდილოეთ კავკასიიდან გამოყვანა.

ამ ძნელ საქმეს ხელი მოკიდა კამომ. კამოს დის ჯავაირას[70] მეზობლად თბილისში ცხოვრობდა გენ. ვ. ჩიქოვანი, რომელიც ადრე ერევნის პოლკში მსახურობდა. იგი ფულის მოყვარული იყო. კამომ მოის-

---

[68] ი ქ ვ ე, გვ. 24.

[69] ა. ი რ ე მ ა ძ ე, ს. ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110

[70] ხუტულაშვილი (ტერ-პეტროსიანი) ჯავაირა არშაკის ასული (1888—1961 წწ. სამოქალაქო ომის წლებში აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ბაქოში.

ყიდა გენ. ჩიქოვანი და იგი დათანხმდა წასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში და თავისი გავლენით ემოქმედა ბოლშევიკების გადასარჩენად, რომლებიც ინგუშეთის მთებს აფარებდნენ თავს. კამოს რჩევით თბილისის კომიტეტმა ჯავაირას დაავალა თან გაპყოლოდა გენ. ჩიქოვანს, როგორც მისი მეუღლე. თვით ჯავაირა ამ მოგზაურობას შემდეგნაირად იგონებს:

„ჩვენ წავედით საქართველოს სამხედრო გზით, მივაღწიეთ ინგუშეთს და გადავარჩინეთ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი. ჩვენ რამდენიმე რეისი გავაკეთეთ ჩრდილოეთ კავკასიაში. გენ. ჩიქოვანი იქ რამდენჯერმე შეხვდა გენერლებს შკუროსა და მამონტოვს. ერთ-ერთი შეხვედრის დროს შკურომ მთხოვა დამემალა მისი ჩანთა, სადაც საიდუმლო დოკუმენტები ინახებოდა და დასძინა — მე ამას მხოლოდ თავად ჩიქოვანის მეუღლეს ვანდობო. მათ დაიწყეს საუბარი და ყაზბეგის დათვალიერება. მათი წასვლის შემდეგ მე გავხსენი ჩანთა, სადაც ინახებოდა ამიერკავკასიაზე თავდასხმის გეგმა. შემდეგ მე ვუთხარი თავად ჩიქოვანს, რომ გეგმა ჩემს ხელთ არისთქო და ვთხოვე ენახა სწორად იყო თუ არა მასშტაბები აღნიშნული, ამის შესახებ მე სწრაფად ვაცნობე კამოს და დანიშნულ დღეს შევხვდი ფასანაურში, სადაც თითქოს გასასეირნებლად ჩავედი და გადავეცი თავად ჩიქოვანის მიერ კავკასიაზე თავდასხმის უკვე შემოწმებული გეგმა“[71].

ჯავაირა ხუტულაშვილმა ამ პერიოდში 4-ჯერ მოახერხა საზღვრის გადალახვა. ამ გადასვლების დროს იგი ფულით ამარაგებდა ინგუშეთის მთებში მებრძოლ ამხანაგებს. ჯავაირას დახმარებით მოხერხდა ფ. მახარაძისა და 30-მდე წითელარმიელის გადასვლა საქართველოში. მანვე შეუწყო ხელი ა. ნაზარეტიანის, ი. ფიგატნერის. ზინაიდა ორჯონიკიძის და სხვა ხელმძღვანელი ამხანაგების გადაყვანას საქართველოში.

„გადასვლების დროს საჭიროება მოითხოვდა მიგვემართა სხვადასხვა უშმაკობისაათვის, — იგონებს ჯავაირა, — რათა მოგვედუნებია მესაზღვრე ნაწილების ყურადღება. ამ მიზნით მე ბებერ გენერალთან ერთად, რომელმაც ყველაფერი ადრეევე იცოდა, წინასწარ ვუთანხმდებოდი ქართველ მესაზღვრეთა ნაწილებს და ლარსში ვაწყობდით ხოლმე ქეიფს, ვიწვევდით რა ამ ქეიფზე ყველა იქ მყოფ თეთრგვარდიელებს. ამ დროს კი ამხ. ა. გორდი (არკადი ელბაქიძე — ა. ლ.) ასწრებდა ამხანაგების გადაყვანას“[72].

---

[71] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ჯ. ხუტულაშვილის ავტობიოგრაფია, ხელნაწერი, გვ. 9—10.

[72] ЦПА ИМЭЛ при ЦК КПСС, ф. 124, оп. I, ед. хр. 2057, ф. 9—10.

ამგვარად ჯავაიარა ხუტულაშვილმა დიდი მუშაობა გასწია ჩრდილოეთ კავკასიაში მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი რევოლუციონერების გადასარჩენად, რომლებსაც დენიკინელთა ბანდების ხელთ ჩავარდნა და დაღუპვა ემუქრებოდათ.

1919 წ. პირველ თვეებში კამოს ხშირად ვხედავთ ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელთა ზურგში, სადაც აწარმოებს დაზვერვით სამუშაოებს. მაისში კამო თბილისშია, სადაც ხვდება აქ არალეგალურად ჩამოსულ ს. ორჯონიკიძეს, რომელმაც ჩამოიტანა რკპ(ბ) ც.კ-ს დირექტივები საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. სერგომ მოაწყო კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტის წევრებთან რამდენიმე თათბირი. სერგო ერთხანს კამოს ბინაზე ცხოვრობდა. იგი ცდილობდა როგორმე მალე ჩასულიყო საბჭოთა რუსეთში, მაგრამ გზა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ დენიკინელების მიერ იყო ჩაკეტილი. კამომ სერგოს შესთავაზა გეგმა მოსკოვში წასულიყო ბაქო-ასტრახანის გზით. სერგომ მიიღო აღნიშნული გეგმა და განახორციელა კიდეც[73].

მაშინ, როდესაც დენიკინმა საფრთხე შეუქმნა მოსკოვს ვ. ი. ლენინმა 1919 წ. ივლისში კამოს დაავალა პარტიზანული რაზმის შექმნა.

1919 წ. აგვისტოსათვის კამომ შექმნა განსაკუთრებული რაზმი, სპეციალური სამხედრო დამკვრელი ჯგუფი 40 კაცის შემადგენლობით. მისი მოადგილე იყო ალექსანდრე (სანდრო) მახარაძე, შტაბის უფროსი ვალოდია ხუტულაშვილი. კამოს რაზმი ინტერნაციონალური იყო. ამ რაზმში შედიოდნენ რუსები, სომხები, ქართველები, უკრაინელები, ლატვიელები, ჩუვაშები და სხვ. ამ რაზმს ევალებოდა დენიკინის კონტრრევოლუციური არმიების ზურგში მოქმედება. კამო ყოველმხრივ წვრთნიდა რაზმს დენიკინის ზურგში პარტიზანული ბრძოლისათვის. ეს რაზმი გმირულად იბრძოდა კურსკთან გენ. მამონტოვის წინააღმდეგ. შემდეგ კამოს რაზმი მოსკოვში გაბრუნდა. აქ გადაწყდა, რომ ეს რაზმი გაიგზავნებოდა ბაქოში, ხოლო ბაქოდან ჩრდილო კავკასიაში, დენი-

---

[73] გადაწყდა, რომ ასტრახანს წავიდოდა 13 კაცი. მათ შორის სერგო, მისი ცოლი ზინაიდა გაბრიელის ასული, კამო, ეარო — ალ. ჯაფარიძის ცოლი და სხვა ამხანაგები. მალე ისინი ბაქოში შეიკრიბნენ. ბაქოში სერგო შეხვდა ა. მიქოიანს, რომელიც იქ იატაკქვეშა პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. ამ დროს აზერბაიჯანელ კომუნისტებს კასპიის ზღვით რეგულარული კავშირი ჰქონდათ დამყარებული ასტრახანთან. ბაქოდან ნაღნიანი ნავებით ბენზინს აწოდებდნენ ასტრახანს, ხოლო ასტრახანიდან რესპუბლიკის ცენტრალურ რაიონებს. დიდი გაჭირვების შემდეგ ამ ჯგუფმა მე-13 დღეს მიაღწია ასტრახანს — Л. Шаумян, Камо, Жизнь и деятельность профессионального революционера С.А. Тер-Петросяна, Москва, 1959, გვ. 220—222.

კინის ზურგში. 20 ოქტომბერს რაზმი მოსკოვიდან გამოემგზავრა, მასში 17 კაცი შედიოდა. მათ შორის ს. მახარაძე, ვ. ხუტულაშვილი და პავლე კუტალაძე.

1919 წ. ნოემბრის ბოლოსათვის რაზმი უკვე ბაქოში იყო. კამო ბაქოში ჩასვლისთანავე დენიკინის შტაბების ასაფეთქებლად საბრძოლო ჯგუფების შექმნის საკითხზე მოეთათბირა პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრებს მ. ჰუსეინოვს, ლ. ღოღობერიძეს, ვ. ნანეიშვილს, ი. დოვლათოვს და სხვ.[74]. დაიწყო საბრძოლო ჯგუფების შექმნა აზერბაიჯანში, საქართველოში, დაღესტანსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ყველგან, სადაც კი დენიკინელთა შტაბი იყო. მაგრამ ამ დროს ვითარება შეიცვალა. დაიწყო დენიკინელების დამარცხებათა პერიოდი. დენიკინელებს შტაბები სულ სხვადასხვა ადგილას გადაჰქონდათ, რაც მათი უკანდახევით იყო გამოწვეული.

ამდენად შეიცვალა კამოს თავდაპირველი გეგმა... ამჯერად კამოს რაზმს დაევალა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი პარტიზანული რაზმებისადმი დახმარების გაწევა. კამომ თავისი რაზმი მცირე ჯგუფებად დაჰყო. ამ ჯგუფებს ევალებოდა ამიერკავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რაიონებში დამოუკიდებლად ეწარმოებინათ ბრძოლა. ერთ-ერთი ჯგუფი, რომელსაც სანდრო მახარაძე ძეთაურობდა რკპ(ბ) ცკ-ს კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით გაემგზავრა ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ ის დაუკავშირდა ნ. გიკალოს რაზმს, რომელიც პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში[75].

თვითონ კამო 1920 წ. იანვარში მიემგზავრება თბილისში. მას თან 7 კაცი ახლდა. კამოს განზრახული ჰქონდა თავისი რაზმი თბილისში შეევსო და იქიდან ნოვოროსიისკში წასულიყო დენიკინის შტაბის ასაფეთქებლად, აქ იგი 1920 წ. 15 იანვარს მენშევიკებმა დააპატიმრეს და მოათავსეს მეტეხის ციხეში, სადაც ამ დროს 200-მდე ბოლშევიკი იჯდა მათ შორის მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. ჩოდრიშვილი, ს. გეგეჭკო-

---

[74] ა. ი რ ე მ ა ძ ე, ს. ც ი ც ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 118—119.

[75] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, გვ. 387. ამის შემდეგ ს. მახარაძე სათაეში ჩაუდგა განსაკუთრებული დანიშნულების რაზმებს თერგის ოლქში, რომელთა მეშვეობით კონტრრევოლუციის მრავალი ბუდე იქნა განადგურებული. სანდრო თავდადებით ებრძოდა კონტრრევოლუციონერებს მოზდოკის რაიონში. თეთრგვარდიელებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს 1920 წ. 25 ოქტომბერს სანდრო მახარაძე და მისი მეუღლე ამალია, რომელიც მუდამ სანდროს თანამგზავრი და თანამებრძოლი იყო, გმირულად დაიღუპნენ.

რი, გ. სტურუა, ლ. დუმბაძე, ი. ფიგატნერი, ს. ქავთარაძე, პ. ალნიაშვილი და სხვ.[76].

როდესაც კამო მეტეხის ციხეში იმყოფებოდა, მის მიერ შექმნილი ჯგუფები დიდ მუშაობას ეწეოდნენ. მაგ., ა. კაზარინოვს დაევალა ჩეჩნეთში ნ. გიკალოსათვის მიეწოდებინა ფული. იგი თბილისიდან საქართველოს სამხედრო გზით წავიდა გროზნოში და შეასრულა ეს დავალება. შემდეგ ა. კაზარინოვმა იარაღი მიაწოდა დაღესტანში ბ. შებოლდაევის მეთაურობით მოქმედ პარტიზანებს[77].

კამომ მალე დააღწია თავი ციხეს. ჩავიდა ბაქოში, სადაც ჩამოაყალიბა რაზმები, რომლებიც ბაქოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედებდნენ. ასეთია მოკლედ კამოს დენიკინელების წინააღმდეგ მოქმედების პერიოდი. „რომ დაიწეროს ყველაფერი, რაც მე კამოზე მსმენია, — წერდა მ. გორკი კამოს შესახებ, — არავინ დაიჯერებს ასეთი ადამიანის რეალურად არსებობას და მკითხველი მიიღებს კამოს სახეს როგორც ბელეტრისტის გამონაგონს“[78].

1920 წ. აპრილში კამო აქტიურად მონაწილეობდა ბაქოს მშრომელთა შეიარაღებულ აჯანყებაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. იგი იყო პროფესიული რევოლუციონერი, პარტიის საბრძოლო მუშაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი[79].

ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი ითამაშა ახალგაზრდა კომკავშირმა, რომელიც 1918 წლის ბოლოს შეიქმნა რკპ(ბ) ვლადიკავკაზის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორობით.

ჩრდილოეთ კავკასიაში კომკავშირული ორგანიზაციის „სპარტაკის“ დაარსების საქმეში სხვა რევოლუციონერებთან ერთად დიდი როლი ითამაშეს ქართველებმა — ვალერიან (ვალია) სამსონის ძე ბახტაძემ და აკაკი ივანეს ძე ქავთარაძემ.

ვ. ბახტაძე (1896-1930 წ.) აფხაზეთის მშრომელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ გადავიდა პიატიგორსკში, იქიდან კი ვლადიკავკაზში, სადაც ხელმძღვანელობდა კომუნისტურ რაზმს და აქტიურად იბრძოდა დენიკინის ბანდების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ბრძოლის დროს იგი ტყვედ ჩაუვარდა მტრებს. მაგრამ მოახერხა გაქცევა და დაბრუნდა ვლადიკავკაზში[80].

---

[76] Л. Шаумян, დასახ. ნაშრომი, გვ. 252.

[77] Л. Шаумян, დასახ. ნაშრომი, გვ. 256—257.

[78] М. Горький, Соб. соч. в 30-ти томах, т. 17, М., 1952, გვ. 336.

[79] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, გვ. 303.

[80] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, გვ. 119.

ვ. ბახტაძე ერთ-ერთი პირველი იყო ა. ზუბკოვთან ერთად, რომლებიც რკპ(ბ) ვლადიკავკაზის საქალაქო კომიტეტმა გაგზავნა ახალგაზრდებთან სამუშაოდ.

როდესაც კომკავშირლების კრებამ ვლადიკავკაზში 1918 წ. 15/XII-ს დაამტკიცა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის „სპარტაკის" წესდება და აირჩია კომიტეტი, მის შემადგენლობაში სხვებთან ერთად შედიოდა ა. ქავთარაძეც[81].

ა. ქავთარაძე დაიბადა 1894 წ. სოფ. ხიბულაში (ზუგდიდის მაზრა). ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ვლადიკავკაზის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1917 წ. აგვისტოში იგი ნოე ბუაჩიძისა და მამია ორახელაშვილის რეკომენდაციით მიიღეს ბოლშევიკური პარტიის რიგებში. 1918 წ. იგი ერთ-ერთი ორგანიზატორია ჩრდილოეთ კავკასიაში კომკავშირული ორგანიზაციის „სპარტაკის" დაარსებისა. 1919 წ. მუშაობდა პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარედ. 1919 წ. მაისში იგი დააპატიმრეს და საქართველოს ფარგლებიდან გაასახლეს. 1920 წ. ზაფხულიდან იგი ისევ ვლადიკავკაზშია და მუშაობს რუსეთის კომკავშირის ვლადიკავკაზის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად. ამავე დროს არის რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კავკასიის ბიუროს წევრად, ვლადიკავკაზიდან იგი დელეგატად გაგზავნეს კომკავშირის III ყრილობაზე. 1920 წ. ნოემბერ-დეკემბერში მუშაობდა პარტიის თერგის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1920 წ. დასასრულს იგი გამოგზავნეს საქართველოში, სადაც სიკვდილამდე მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე[82].

სასტიკ ბრძოლებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა თეთრგვარდიელებსა და მთიელ მოსახლეობას შორის, მამაკაცების გვერდით გმირულად იბრძოდნენ ქალებიც. რომლებსაც არა ერთხელ მიუღიათ მონაწილეობა დენიკინელების წინააღმდეგ გამართულ ხელჩართულ ბრძოლებში. მათი მონაწილეობა აღნიშნულ ბრძოლებში სიმამაცეს მატებდა მთიელებს, რომლებიც ხშირად ხანჯლით ხელში მიდიოდნენ მტერზე. გაზ. „Борьба" ამის შესახებ წერდა: „ვლადიკავკაზიდან ჩამოსული პირი მოჰყვა, რომ ქალების მონაწილეობა ბრძოლაში იწვევდა მთიელ-

---

[81] Архив СОНИИ, Исторический отдел, ф. 238, папка 82, ф. 33.

[82] ა. ნ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომკავშირი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. თბილისი 1960, გვ. 233—234. (საკანდიდატო დისერტაცია, ინახება საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

თა გააფთრებას, რომლებიც ხშირად მიდიოდნენ მტერზე ერთადერთი იარაღით — ხანჯლით ხელში"[83].

ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის ფრონტებზე მამაკაცთა გვერდით მებრძოლ ქალთა შორის იყო არა ერთი ქართველი ქალი. სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე მახარაძის, სანდრო მახარაძის მეუღლენი, ჯავაირა ხუტულაშვილი და ბევრი სხვ.

იმ ქართველ რევოლუციონერ ქალთა შორის, რომლებიც სამოქალაქო ომის წლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაში მოღვაწეობდნენ, აღსანიშნავია თამარ ისმაილის ასულ დოსხოევას (მამულაშვილი) მოღვაწეობა. საინტერესოა მისი ჩრდილოეთ კავკასიაში მოხვედრის ისტორია.

1906 წ. ოზურგეთში, სადაც ცხოვრობდა მამულაშვილების ოჯახი, ჩამოვიდა დამსჯელი ექსპედიცია, ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა ინგუშმა ოფიცერმა დოსხოევმა, რომელსაც მოეწონა თამარი, მოიტაცა იგი. ასე მოხვდა თამარ მამულაშვილი ინგუშეთში. სამოქალაქო ომის ბობოქარ დღეებში, როდესაც სერგო ორჯონიკიძე ინგუშეთში შეხვდა თამარს, მათ შორის გაიმართა ასეთი საუბარი:

— „თქვენ ალბათ კარგი დიასახლისი ხართ და გეხერხებათ არა მარტო კარგი საქმელების კეთება. ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ ხალში" — დასძინა სერგომ და მისცა მას სათანადო დავალება. ასე დაიწყო მათ შორის მეგობრობა. თამარი პარტიის და პირადად სერგოს ყველა დავალებას პირნათლად ასრულებდა[84].

თამარ დოსხოევა (მამულაშვილი), რომელიც ამჟამად ქ. გროზნოში ცხოვრობს, იყო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი მოწვევის დეპუტატი.

ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობდნენ ს. თოდრია, მ. ორახელაშვილი. ე. ეშბა, პ. არველაძე, შ. ჯაფარიძე, ი. კარაპეტოვი, გ. გურგენიძე, გ. ჭელიძე, ა. ყამარაული, ნ. ბახტაძე, ვ. ძნელაძე, ს. გუბელი ((მეძმარიაშვილი)[85], ... საბაშვილი და ბევრი სხვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ამიერკავკასიაში დენიკინელების წინააღმ-

---

[83] Газ. «Борьба», 1919, 8/III, № 54.

[84] Газ. «Вечерний Тбилиси», 1965, 5/I.

[85] როდესაც 1919 წ. დასაწყისში დენიკინელები მოადგნენ თერგის რესპუბლიკის საზღვრებს და საშიშროება შეუქმნეს ქ. ვლადიკავკაზს, რკპ (ბ) ვლადიკავკაზის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც სათავეში ედგა მისი მდივანი ს. გუბელი, ორგანიზებულ იქნა ორი ასეულისაგან შემდგარი რაზმი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დეგ ერთიანი ფრონტის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი გიორგი თევდორეს ძე სტურუა, რომელიც აქტიურად იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

1918 წ. იგი პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წინადადებით იგზავნება ვლადიკავკაზში. აქ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს დენიკინელების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. წმინდა პარტიული მუშაობის გარდა ის დიდ მუშაობას ეწეოდა როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. რამდენიმე თვის გმირული ბრძოლის შემდეგ ქ. ვლადიკავკაზის გმირი დამცველები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ საქართველოს მიმართულებით. გ. სტურუა პირადად იღებდა მონაწილეობას ქალაქის ევაკუაციის ორგანიზაციაში, მაგრამ ქალაქში დენიკინელების შესვლის დროს ავად გახდა ტიფით და იძულებული იყო ადგილზე დარჩენილიყო[86]. დენიკინელები სასტიკად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც ვერ მოასწრო ქალაქიდან გასვლა. გ. სტურუა და რამდენიმე მისი ამხანაგი შემთხვევით გადაურჩნენ სიკვდილს. ამ ამბებს თვითონ გ. სტურუა შემდეგნაირად იგონებს: „ჩვენ მარცხი განვიცადეთ თერგზე. ჩვენი არმიის უკან დახევის დროს მე ავად გავხდი ტიფით და დავრჩი ვლადიკავკაზის ქალაქის საავადმყოფოში, სადაც მე და რამდენიმე ამხანაგი შემთხვევით გადაურჩით სიკვდილს მედდის მოსაზრებულობის წყალობით. ჩვენ ვიწექით მკაცრ გადამდებთა ბარაკში და როდესაც დენიკინელები მოუახლოვდნენ ჩვენ ბარაკს, მაშინ მედდამ მიუთითა მათ წარწერაზე, რომელიც ბარაკზე იყო გაკეთებული — „острозаразные" („მწვავეგადამდებნი"): ვინც იქ შევა აუცილებლად დაავადდება ტიფით. მხეცი დენიკინელები იმდენად ლაჩრები აღმოჩნდნენ, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა ჩვენ ბარაკში შემოსვლა. ასე გადავრჩით ჩვენ 5-6 კაცი, მაშინ როდესაც სხვა ბარაკებში ორი დღის განმავლობაში დენიკინელებმა გადაჩეხეს 250-ზე მეტი წითელარმიელი ამხანაგი და ავადმყოფი"[87].

გამოჯანმრთელების შემდეგ გ. სტურუასა და მისი ამხანაგების წინაშე დაისვა საკითხი როგორ დაეღწიათ ვლადიკავკაზიდან თავი, სადაც ჯერ კიდევ დენიკინელები ბატონობდნენ. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ მძიმე საავადმყოფობის შემდეგ, ყოველგვარი სახსრებისა და კავშირის გარეშე, შეუძლებელი იყო რაიმე მუშაობის

---

[86] ЦПА ИМЭЛ при ЦК КПСС, ф. 124, оп. I, გ. სტურუას ავტობიოგრაფია ფ. 14—15.

[87] ЦПА ИМЭЛ при ЦК КПСС, ф. 70, оп. 3, ед. хр. 856, ф. 115.

წარმოება, ხოლო სიცოცხლეს კი საფრთხეში იგდებდნენ. დიდის გაჭირვებით მოახერხეს მათ საქართველოში გადასვლა. საქართველოში გ. სტურუა აჩაღებს დიდ რევოლუციურ მუშაობას საქართველოს მენშევიკური მთავრობის დასამხობად.

ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ ახალი სახელების გამოვლენის საქმეში დიდად დაგვეხმარა ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქების (ორჯონიკიძე, ნალჩიკი, გროზნო) განსაკუთრებით ქ. ორჯონიკიძის (ჩრდილო ოსეთი) არქივებში დაცული მასალები.

ჩრდილო ოსეთის ასსრ საარქივო ფონდებში დაცულია ისეთი მასალები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი ხდება იმ ქართველ რევოლუციონერთა მოღვაწეობის დადგენა, რომლებიც 1918-1920 წლებში აქტიურად იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ.

ამ მასალებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ჩრდილო ოსეთის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალა (ЦГА СОАССР, ф. Р-—60, оп. I). აღნიშნული ფონდი მკვლევართათვის დღემდე უცნობი იყო. ამიტომ ჩვენ საჭიროდ ვცანით ამ მასალის გამომზეურება.

ამ მასალების მიხედვით ჩრდილოეთ კავკასიაში 1918-1920 წლებში დენიკინელების წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიურ მებრძოლებად გვეელინებიან შემდეგი პირები:

ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, დაიბადა 1881 წ. დუშეთის მაზრის სოფ. ფასანაურში, უპარტიო, 1918 წ. შედის 1-ლი რევოლუციური ბატალიონის მეორე ასეულში. ბატალიონის უფროსი იყო კუკშინოვი. იგი არის არხონკასთან, არდონთან და ალაგირთან ბრძოლების მონაწილე. არდონთან ბრძოლის დროს იგი ფეხში დაჭრეს და უკან დააბრუნეს ვლადიკავკაზში. როცა 1919 წ. თებერვლის დასაწყისში ვლადიკავკაზი დენიკინელებმა დაიკავეს, იგი ტიფით იყო ავად, ერთხანს იმალებოდა ქალაქში, შემდეგ მოახერხა ყაზბეგში გადასვლა. აქ იგი შედის ა. ყამარაულის რაზმში.

სუჯაშვილთან ერთად ეწევა არალეგალურ მუშაობას. კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. 1920 წ. მარტში იგი დააპატიმრეს როგორც არალეგალური სხდომის მონაწილე. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ იგი ბრუნდება ვლადიკავკაზში[88].

---

[88] ЦГА СОАССР, ф. Р—60, оп. I, дело 18.

ა რ ღ ა ნ ა ი ძ ე მ ი ხ ე ი ლ ი ვ ა ნ ე ს ძ ე, დაიბადა 1897 წ.. უპარტიო. იგი მოხალისედ შევიდა წითელგვარდიაში, იბრძოდა ა. გეგეჭკორის რაზმში რიგით მეომრად. დაიღუპა გეორგიევსკსა და პრიკუმოკს შორის წარმოებული ბრძოლის დროს[89].

ბ ა ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ზ ა ქ ა რ ი ა ს ი მ ო ნ ი ს ძ ე, დაიბადა 1890 წ., უპარტიო, დაიღუპა 1919 წ. შკუროს ბანდებთან ბრძოლაში[90].

ბ ა ზ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ა რ ს ე ნ გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ე, დაიბადა 1898 წ., სკკპ წევრი 1918 წლიდან. საქართველოს წითელპარტიზანთა კომიტეტის და „კომინტერნის" სახელობის მებრძოლი რაზმის პირველი ჩამომყალიბებელი და ამავე კომიტეტის თავმჯდომარე.

1918 წ. 4 მარტს თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ბელიკოვის, ბიჩერახოვის და კიბიროვის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში — არხონკასთან, ალაგირთან, არდონთან, შემდეგ იბრძოდა დარიალის ხეობაში საქართველოს მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გმირობა არხონკასთან ბრძოლის დროს, იგი თავისი მოქმედებით ამხნევებდა თავის მებრძოლ ამხანაგებს და მოახერხა თეთრგვარდიელთა ალყის გარღვევა.

იგი იყო თერგის 1-ლი ბატალიონის მეორე „რკინის ასეულის" პოლიტმუშაკი. იყო მალაკანთა პარტიზანულ რაზმში, 1919 წ. იანვარში ტყვედ ჩავარდა სტავროპოლის გუბერნიაში, ხოლო 1919 წ. მაისში გამოიქცა ტყვეობიდან და გროზნოში ჩამოვიდა. აქ ჩამოაყალიბა პარტიზანული რაზმი, რომელიც გადაიყვანა სტავროპოლის მხარეში[91].

ბ ა ზ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ზ ა ქ ა რ ი ა ა ლ ე ქ ს ი ს ძ ე, დაიბადა 1897 წ., უპარტიო, 1918 წ. ირიცხებოდა მალაკანთა რაზმში, არის ვლადიკავკაზისათვის წარმოებული ყველა ბრძოლების მონაწილე. 1919 წ. თებერვალში დენიკინელებთან ბრძოლების მონაწილე. 1919 წ. თებერვალში დენიკინელების მიერ ვლადიკავკაზის დაკავების შემდეგ გადადის საქართველოში[92].

ბ ა ზ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ე ს ტ ა ტ ე ლ ე ვ ა ნ ი ს ძ ე. დაიბადა 1885 წ., 1919 წელს იგი იყო ჯავშნოსანთა რაზმში. იბრძოდა ვლადიკავკაზის მისადგომებთან. ქალაქის დატოვების შემდეგ გადავიდა საქართველოში. შემდეგ ბრუნდება ვლადიკავკაზში და იბრძვის პ. ოგურცო-

---

[89] ი ქ ვ ე, საქმე 28.
[90] ი ქ ვ ე, საქმე 43.
[91] ი ქ ვ ე, საქმე 46.
[92] ი ქ ვ ე, საქმე 47.

ვის რაზმში 3 თვის განმავლობაში, დაითხოვეს ჯარიდან ავადმყოფობის გამო[93].

ბ ურ დ ულ ი ვ ლ ა დ ი მ ერ ა ლ ე ქ ს ი ს ძ ე, დაიბადა 1894 წ. ორჯონიკიძეში, სკკპ წევრი 1925 წლიდან. იგი იყო ვლადიკავკავის მე-3 ასეულის მეომარი, რომელსაც ვ. ზოტოვი მეთაურობდა. იყო კოტლიარევსკისთან, გროზნოსთან და ალაგირთან ბრძოლების მონაწილე[94].

ბ ურ დ ულ ი გ ი ო რ გ ი მ ა თ ე ს ძ ე, დაიბადა 1886 წ., უპარტიო. იყო ა. გეგეჭკორის რაზმის წევრი[95].

ბ უ თ ხ უ ზ ი გ ი ო რ გ ი გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ე, დაიბადა 1900 წ., უპარტიო, იბრძოდა ა. გეგეჭკორის რაზმში. არის 1918 წ. აგვისტოს ამბების მონაწილე. 2 კვირის შემდეგ ვლადიკავკავიდან გადადის სტავროპოლის გუბერნიაში, სადაც იბრძვის შკუროსა და დენიკინის ბანდების წინააღმდეგ. 1919 წ. თებერვალში ვლადიკავკავის დატოვების შემდეგ, უკანდახევისას, იგი ყაზბეგში დააპატიმრეს, იჯდა მეტეხის ციხეში. 1920 წ. აპრილში დაბრუნდა ვლადიკავკავში[96].

ბ უ ჩ უ კ უ რ ი თ ე ო დ ო რ ე ს ი მ ო ნ ი ს ძ ე, დაიბადა 1884 წ., უპარტიო, 1918 წ. იყო 1-ლი მსროლელი ბატალიონის „რკინის ასეულის" წევრი, იყო ვლადიკავკავთან და საქართველოს სამხედრო გზასთან წარმოებული ბრძოლების მონაწილე, მონაწილეობდა ნ. გიკალოს რაზმში, 1919 წლის თებერვალში გადავიდა თბილისში[97].

ბ უ ჩ უ კ უ რ ი დ ა ვ ი თ ი ვ ა ნ ე ს ძ ე, დაიბადა 1903 წ., უპარტიო. იგი იყო თერგის 1-ლი ლეგენდარული ბატარეის მებრძოლი. არის კოტლიარევსკაიასთან ბრძოლის მონაწილე. 1919 წ. თებერვალში გადავიდა საქართველოში[98].

გ ა ვ ა ლ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ ე ქ ვ თ ი მ ე ს ძ ე, დაიბადა 1885 წ., უპარტიო, იყო 1918 — 1919 წ. ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებული ბრძოლების მონაწილე, 1919 წ. თებერვალში დაიკარგა უგზოუკვლოდ[99].

გ ვ ა რ ა მ ა ძ ე მ ი ხ ე ი ლ ი ვ ა ნ ე ს ძ ე, დაიბადა 1892 წ., უპარტიო. იყო ვლადიკავკავში წარმოებული ბრძოლების მონაწილე.

---

[93] ი ქ ვ ე, საქმე 59.
[94] ი ქ ვ ე, საქმე 97.
[95] ი ქ ვ ე, საქმე 98.
[96] ი ქ ვ ე, საქმე 101.
[97] ი ქ ვ ე, საქმე 103.
[98] ი ქ ვ ე, საქმე 104.
[99] ი ქ ვ ე, საქმე 118.

1919 წ. თებერვალში ჩვენი ნაწილების მიერ ქალაქის დატოვების შემდეგ იგი დარჩა ქალაქში[100].

გობედაშვილი ილია ვასილის ძე, დაიბადა 1891 წ.. ონის რაიონის სოფ. ღებში, სკკპ წევრი 1918 წ. მარტიდან.

1900 წ. მისი მშობლები გადასახლდნენ ნალჩიკში[101]. თებერვლის რევოლუციის დროს იგი მეფის არმიის 110-ე პოლკში მსახურობდა, რომელიც ქუთაისში იდგა. 1917 წ. სექტემბერში იგი დააპატიმრეს ბოლშევიკური აგიტაციისათვის. 1917 წ. დეკემბერში იგი უკვე ნალჩიკშია. 1918 წ. თებერვალში ნალჩიკში არალეგალურად შეიქმნა მეფის არმიიდან დემობილიზებულ ჯარისკაცთაგან თვითდაცვის რაზმი, რომელიც 25 კაცისაგან შედგებოდა. მათ შორის იყო ილია გობედაშვილიც. 1918 წ. აპრილში ნალჩიკში ჩამოყალიბდა ე. წ. პირველი დამკვრელი პარტიზანული ცხენოსანთა ასეული, რომელსაც ევალებოდა ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ასეულის მეთაურად დაინიშნა ლეონიდე ბლაევი, ხოლო მოადგილედ — ილია გობედაშვილი. ამ რაზმში 400 კაცი ითვლებოდა. 1918 წ. ამ რაზმმა რამდენიმე საპასუხისმგებლო ამოცანა შეასრულა. იგი იბრძვის ესენტუკსა და კისლოვოდსკში კონტრრევოლუციური კაზაკების ამბოხების ჩასახშობად. 1918 წ. სექტემბერში აღნიშნული რაზმი გავიდა პიატიგორსკთან წითელი არმიის ნაწილებთან შესაერთებლად, რათა შემდეგ ჩაბმულიყვნენ დენიკინის ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში[102].

1918 წ. ი. გობედაშვილი ტყვედ იგდო სერებრიაკოვის ბანდამ და დახვრეტა მიუსაჯეს, მაგრამ მოახერხა გაქცევა. წითელგვარდიაში მისი მონაწილეობისათვის სერებრიაკოვის ბანდამ ფიზიკური სასჯელი მიაყენა (სცემა) გობედაშვილის ცოლს, მშობლებს და ნათესავებს.

მე-XI არმიის უკანდახევის მძიმე დღეებში დიდი როლი ითამაშა ბლაევის ასეულმა სადაც ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა ილია გობედაშვილი იყო. ამ ასეულმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შეეჩერებია შკუროსა და სერებრიაკოვის ბანდების თავდასხმა, რომლებიც კისლოვოდსკის მხრიდან უტევდნენ და ამით ხელი შეეწყოთ მე-11 არმიის უკანდახევისათვის.

ეს ასეული 1918 წ. დეკემბრის ბოლოს რამდენიმე დღე გმირუ-

---

100 ი ქ ვე, საქმე 117.

101 Архив Музея С. М. Кирова и Г. К. Орджоникидзе СОАССР, ф. 8, оп. 2, дело Гобедашвили И. В. (автобиография).

102 Воспоминания участников Октябрьской революции и гражданской войны в Кабардино-Балкарии, Нальчик, 1960, зд. 130—131.

ლად იბრძოდა მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ კარმოვო-შალუშკის რაიონში, მაგრამ შემდეგ იძულებული იყო უკან დაეხია. მათ დასახმარებლად მოვიდა ვ. ი. ლენინის სახ. პოლკი. ამ პოლკში შედიოდა ჩინელთა ბატალიონი, რომელსაც პაუ ტი-სანი მეთაურობდა[103].

ეს ორი რაზმი სადგურ თერგსკაიასთან ორი დღე-ღამის განმავლობაში ებრძოდა თეთრგვარდიელთა ჭარბ ძალებს, მაგრამ 1918 წლის 31 დეკემბერს იძულებული იყვნენ დაეწყოთ უკანდახევა ასტრახანისაკენ, რომელიც მიმდინარეობდა მკაცრი ზამთრის ურთულეს პირობებში. ამ გადასვლის დროს მრავალი მებრძოლი დაიღუპა[104].

მე-XI არმიის უკანდახევა ასტრახანისაკენ ყიზლარის ველებით უაღრესად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. აი, როგორ იგონებს ამ გადასვლას თვითონ ილია: „...მწყობრიდან იყო გამოსული მეთაურთა 70%-მდე. მებრძოლთა უკანდახევა მიმდინარეობდა დეზორგანიზებულად, სამედიცინო დახმარება და სურსათ-სანოვაგე საერთოდ არ გაკეთდა.

საშინელი სურათი იშლებოდა ჩვენს წინაშე დილაობით, როცა წითელარმიელთა ჯგუფები წამოიშლებოდნენ და იწყებდნენ უკანდახევას. ღამის თევის ადგილას ეტოვებდით ათობით და ასობით ტიფით, სიცივისა და სიმშილისაგან გარდაცვლილ ან უკანასკნელ მდგომარეობაში მყოფ წითელარმიელებს“[105].

ასტრახანში მათ მძიმე მდგომარეობა დახვდათ. მალე იფეთქა კონტრრევოლუციურმა ამბოხებამ. 1919 წ. თებერვალში ი. გობედაშვილი იბრძვის ასტრახანში ესერების აჯანყების ჩასახშობად, 1919 წ. იბრძვის გენ. მამონტოვის წინააღმდეგ ტამბოვის გუბერნიაში. იმავე წელს იგი პეტროგრადშია და იბრძვის გენ. იუდენიჩის წინააღმდეგ. 1920 წ. იგი პეტროგრადიდან გადმოყავთ ჩრდილოეთ კავკასიაში მე-XI არმიის შტაბში. აქ იგი დაინიშნა მე-XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს რწმუნებულად[106].

---

[103] პაუ ტი-სანს კარგად სცოდნია რუსული და ქართული ენები. ჩვენ ნალჩიკში ყოფნის დროს ვესაუბრეთ ი. გობედაშვილს, რომელიც ამჟამად იქ ცხოვრობს. მან პაუ ტი-სანთან შეხვედრისა და საუბრის შესახებ შემდეგი გვითხრა: „პაუ ტი-სანი ქართულად მელაპარაკებოდა და მითხრა, რომ მთელი ჩინური ბატალიონის 30%-ზე მეტი ჩინელი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან არიან და ბევრი მათგანი ქართულად ლაპარაკობსო“.

[104] Воспоминания участников в Октябрьской революции и гражданской войны в Кабардино-Балкарии, Нальчик, 1960, გვ. 131—132.

[105] Архив Музея С. М. Кирова и Г. К. Орджоникидзе СО АССР, ф. 5, оп. 2, дело Гобедашвили И. Воспоминания.

[106] ი ქ ვ ე. ფ. 8, ანაწერი 2, ი. გობედაშვილის საქმე (ავტობიოგრაფია).

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში (იგი 1920 წ. აგვისტოში ესკადრონს მეთაურობდა). შემდეგ ილია გობედაშვილი არის ძანდარ ტაკოევის რაზმში. რომელსაც ეწოდა ოსეთის (დიგორიის) პირველი რევოლუციური რაზმი. იგი ჩამოყალიბდა ს. კიროვის უშუალო ინიციატივით, რაზმი აქტიურად დაეხმარა საქართველოს მშრომელებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაში. 1921 წ. 25 თებერვალს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ იგი ერთხანს საქართველოშია. მუშაობდა ონის მაზრის მილიციის უფროსად, ხოლო ამავე წლის აგვისტოში დაბრუნდა ნალჩიკში.

შემდეგ წლებში, ვიდრე 1956 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე, ილია გობედაშვილი აქტიურად საქმიანობს ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ში. მას წლების მანძილზე ეკავა მთელი რიგი საპასუხისმგებლო პოსტები. 1937-1938 წწ. იყო ნალჩიკის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, 1938-1941 წ. ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და სხვ.

ებრალიძე სიმონ გიორგის ძე, დაიბადა 1893 წ., თბილისში, უპარტიო, 1915-1917 წწ. არის სამხედრო სამსახურში, 1918 წელს შედის ა. გეგეჭკორის რაზმში, რომლის რიგებშიც იბრძვის ვლადიკავკაზის დატოვებამდე. ქალაქის დაცემის შემდეგ უკან დაიხია საქართველოში. 1920 წ. მარტის ბოლოს იგი დაბრუნდა ვლადიკავკაზში[107].

ეკაზაშვილი ქრისტეფორე მიხეილის ძე, დაიბადა 1895 წ., სკკპ წევრი, ირიცხებოდა ვლადიკავკაზის პოლკში. არის 1918-1920 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიელების წინააღმდეგ წარმოებული მთელი რიგი ბრძოლების მონაწილე (პროხლადნაიასთან, ალაგირთან და სხვ.). გარდაიცვალა ჭრილობებისაგან 1922 წელს[108].

ენუქაშვილი ვასილ გრიგოლის ძე, დაიბადა 1895 წ., უპარტიო, 1918 წ. მსახურობდა ვლადიკავკაზის წითელ გვარდიაში. შემდეგ გადადის ნ. გიკალოს რაზმში და მონაწილეობას იღებს რიგ ბრძოლებში. დაჭრეს გროზნოში წარმოებული ბრძოლის დროს. გამოჯანმრთელების შემდეგ შედის ჯავშნოსან რაზმში, რომელსაც კარაპე-

---

107 ЦГА СОАССР. ф. Р-60. оп. 1, дело 761.
108 იქვე, საქმე 193.

ტოვი მეთაურობდა. 1919 წ. თებერვალში ვლადიკავკაზის დაცემის შემდეგ გადადის თბილისში, სადაც დააპატიმრეს[109].

ენუქაშვილი ქრისტეფორე მიხეილის ძე, დაიბადა 1880 წ., სკკპ წევრი. 1918 წ. იყო ვლადიკავკაზის საბჭოთა პოლკში, შემდეგ იბრძვის პ. ოვურცოვის რაზმში. მოკლეს დაღესტანში[110].

ზაქაიძე ივანე გრიგოლის ძე, იგი ვლადიკავკაზში წითელი გვარდიის შექმნისთანავე (1918 წ. 23 მარტი) შედის მის რიგებში. იყო ქალაქის დაცვის მე-3 ასეულში. შემდეგ შევიდა ა. გეგეჭკორის რაზმში. ამ რაზმთან ერთად ი. ზაქაიძე იბრძოდა არხონკასთან და ალაგირთან. არხონკასთან ბრძოლის დროს ა. გეგეჭკორი, როგორც ცნობილია ფეხში დაიჭრა და ქართული პარტიზანული რაზმის მეთაურობა ჩაიბარა ივანე ზაქაიძემ. იგი არის 1918 წ. აგვისტოს ამბების აქტიური მონაწილე, შემდეგ ჩვენ მას ვხედავთ სტავროპოლის გუბერნიაში, სადაც იბრძვის თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ.

როდესაც მე-XI არმიამ დაიწყო უკანდახევა ასტრახანისაკენ, მან თავის რაზმთან ერთად უკან დაიხია ვლადიკავკაზისაკენ და ვლადიკავკაზის დაცემის უკანასკნელ დღემდე იბრძოდა. ქალაქის დამცველთა რიგებში. ქალაქის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში, სადაც მან დაჰყო ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენამდე, 1920 წ. მარტის ბოლომდე. შემდეგ იგი დაბრუნდა ვლადიკავკაზში[111]. იგი დღესაც ქ. ორჯონიკიძეში ცხოვრობს.

თინიკაშვილი სიმონ პეტრეს ძე, დაიბადა 1891 წ., უპარტიო, იგი 1918 წ. შედის 1-ლი რევოლუციური ბატალიონის მე-2 ასეულში. იყო აგვისტოს ამბების მონაწილე, იბრძვის კოტლიარევსკაიასთან, ალაგირთან, არდონთან და სხვ. აქტიურად იბრძოდა ვლადიკავკაზის დატოვების უკანასკნელ დღემდე შკურუს ბანდების წინააღმდეგ. ქალაქის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში.

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ბრუნდება ვლადიკავკაზში და აქტიურად ებმება მხარის სამეურნეო ცხოვრების აღდგენაში[112].

იობაძე პლატონ დავითის ძე, სკკპ წევრი 1919 წლიდან. 1918 წ. აგვისტოს ამბების მონაწილე. ამავე წლის 20 აგვისტოს პლატონ იობაძე, გიორგი ჩხეიძე და ჩხუბიანი თბილისის რაიონული კომიტეტის დავალებით გაემგზავრნენ საქართველოსაკენ. ყაზბეგში

---

109 იქვე. საქმე 198.
110 იქვე. საქმე 762.
111 იქვე. საქმე 200.
112 იქვე. საქმე 638.

ისინი დააპატიმრეს და გაგზავნეს თბილისის ციხეში. მათ წაუყენეს დახვრეტის მუხლი ა. გეგეჭკორის რაზმისათვის იარაღის მიწოდებისათვის და დუშეთის აჯანყებულთა დახმარებისათვის. ისინი გადაურჩნენ დახვრეტას. მათ 4 თვე დაჰყვეს ციხეში. 4 თვის შემდეგ გ. ჩხეიძე და ჩხუბიანი გაანთავისუფლეს, ხოლო პლატონ იობაძე 1919 წ. მაისამდე დარჩა პატიმრობაში[113]. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ იგი მიემგზავრება ქუთაისში, ხოლო ვლადიკავკავის განთავისუფლებისთანავე ბრუნდება ჩრდილოეთ კავკასიაში (ვლადიკავკავში)[114].

კაკელაძე გიორგი ეგნატეს ძე, დაიბადა 1888 წ. უპარტიო. 1918 წელს იბრძოდა ა. გეგეჭკორის რაზმში. 1919 წ. ვლადიკავკავის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში. 1920 წ. კვლავ ბრუნდება ჩრდილოეთ კავკასიაში[115].

კობაიძე ალექსი გრიგოლის ძე, დაიბადა ვლადიკავკავში 1896 წ., 1918 წ. არის ვლადიკავკავის წითელ ბატალიონში, შემდეგ გადადის მე-3 ასეულში. იგი მონაწილეა აგვისტოს ამბებისა. მონაწილეობდა ვლადიკავკავისათვის წარმოებულ ყველა ბრძოლაში. ქალაქის დატოვების შემდეგ გადავიდა საქართველოში, სადაც ეწეოდა აგიტაციას მენშევიკური მთავრობისა და ჯარის წინააღმდეგ. საქართველოში იგი მობილიზებულ იქნა მენშევიკების ჯარში და გაგზავნეს ქართველთა ქვეით პოლკში. ამ პოლკში ჩამოყალიბდა იატაკქვეშა კომუნისტური უჯრედი, რომელიც ეწეოდა პროპაგანდას საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და მენშევიკური არმიის გახრწნისათვის.

„ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა ცნობილი გახდა, — იგონებს ალექსი კობაიძე, — მე გავიქეცი ახალციხეში, ხოლო ჩემი ორი ამხანაგი ღეინიაშვილი და კვინტრაია მენშევიკებმა გაასამართლეს და დახვრიტეს 1919 წ. აგვისტოში მე დავბრუნდი ტფილისში, ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციის დავალებით შევედი სახალხო გვარდიის არტილერიის ბრიგადაში, ვავრცელებდი პროკლამაციებს, სადაც მოვუწოდებდი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ“.

ა. კობაიძესთან ერთად პროკლამაციებს ავრცელებდნენ: პავლე იოსების ძე კობაიძე, რომელიც იყო კომიტეტის რწმუნებული პოლი-

---

[113] 1919 წ. მაისში, როდესაც კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 1000 მან. შეიტანა, მენშევიკურმა მთავრობამ თავდებით გაათავისუფლა დუშეთის აჯანყების ყველა მონაწილე.

[114] Архив Музея С. М. Кирова и Г. К. Орджоникидзе СОАССР, ф. 5, оп. 2, дело 23.

[115] ЦГА СОАССР, ф. Р-60, оп. 1, дело 215.

ტიკური პროკლამაციების გავრცელებაში, კარაპეტოვი, ალექსანდრე მელაძე, გიორგი მედელაური და ერემეევი.

წითელი არმიის მიერ როსტოვის აღებასთან (1920 წ. 9 იანვარი) დაკავშირებით ამ ჯგუფმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა ვ. ი. ლენინს. ეს დეპეშა ხელში ჩაუვარდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას. ამ მისალმებას ხელს აწერდა იატაკქვეშა ორგანიზაციის ყველა წევრი. დაიწყო დაპატიმრებანი. ზოგმა მოახერხა გაქცევა, ხოლო ნაწილი დაპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. 1920 წ. აპრილში, ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით, ალექსი კობაიძე დაბრუნდა ვლადიკავკაზში[116].

კ ო ბ ა ი ძ ე პ ა ვ ლ ე ი ვ ა ნ ე ს ძ ე, დაიბადა 1891 წ. იგი 1918—1919 წლებში მონაწილეობას იღებდა არხონკასთან, მალკასთან, პროხლადნაიასთან და სხვ. თეთრგვარდიელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1919 წ. თებერვალში იგი იმყოფება ქ. ვლადიკავკაზის დამცველთა რიგებში ქალაქის დატოვების შემდეგ სხვებთან ერთად გადადის საქართველოში, სადაც დაჰყო 1929 წლამდე[117].

კ ო ბ ა ი ძ ე პ ა ვ ლ ე ი ო ს ე ბ ი ს ძ ე, დაიბადა 1895 წ., სკკპ წევრი 1917 წლის აპრილიდან. იგი პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა, 1917 წ. მას მიხეილ კოლბუსთან, ნეველომსკისთან, პოზდნიაკოვთან და სხვებთან ერთად დაევალა ვლადიკავკაზში შალდონის რაიონში ჩამოეყალიბებია მუშათა თვითდაცვის რაზმი. 1917 წ. შემოდგომისათვის ეს რაზმი უკვე 120 კაცს ითვლიდა. 1918 წ. გაზაფხულისათვის ისინი საკმაოდ გამოიწვრთნენ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში. ამავე დროს გადაწყდა წითელი არმიის ნაწილების ფორმირებაც. 1918 წ. მარტის ბოლოს ვლადიკავკაზში შეიქმნა წითელი არმიის პირველი ასეული, რომელსაც „რკინის ასეული“ უწოდეს. ასეულს ფრეიტაგი მეთაურობდა, ხოლო 2 თვის შემდეგ ამ ასეულის ბაზაზე ჩამოყალიბდა ვლადიკავკაზის პირველი ქვეითი პოლკი ორი ბატალიონისაგან შემდგარი (თვითეულ ბატალიონში შედიოდა 3 ასეული). პოლკს მეთაურობდა გარაისკი, მერე კი ფრეიტაგი.

1918 წ. მაისში რკინიგზის სახელოსნოსა და დეპოს მუშებმა შექმნეს ჯავშნოსანი მატარებელი „Богатырь“, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ვლადიკავკაზში და თერგის რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში წარმოებულ ბრძოლებში[118].

---

[116] ი ქ ვ ე, საქმე 240.

[117] ი ქ ვ ე, საქმე 212.

[118] Гражданская война в Северной Осетии по воспоминаниям участников, Орджоникидзе, 1965, გვ. 195—196.

1919 წლის იანვარში პ. კობაიძეს სხვებთან ერთად დაეკალა გროზნოს დამცველთათვის დახმარების გაწევა, მათ გზაში გაიგეს, რომ გროზნო უკვე თეთრებს დაეკავებიათ.

შკუროს ბანდების მიერ ვლადიკავკაზის დაკავებამდე პ. კობაიძემ შეასრულა სერგო ორჯონიკიძის დავალება. მან მინვოდიდან ვლადიკავკაზში ჩაიყვანა რამდენიმე ეშელონით 10 000 კაცამდე ტიფით დაავადებული წითელარმიელი, რომლებიც მოათავსეს ყოფილ კადეტთა კორპუსში.

როდესაც თეთრგვარდიელებმა ვლადიკავკაზი დაიკავეს, მათ გადაწყვიტეს გადაეკრათ დოლაკოვოსაკენ მიმავალი გზა და ამით მოესპოთ უკან დახევის საშუალება წითელი არმიის ნაწილებისათვის. მაგრამ ეს გეგმა მათ ვერ განახორციელეს.

სერგო ორჯონიკიძის ბრძანებით დაიწყეს უკანდახევა ბაზორკინოსაკენ. „სერგომ ბრძანება გასცა უკან დაეხიათ ბაზორკინოში. მან თავისი მეუღლის ზინაიდა გაბრიელის ასულისა და კიდევ ორი ქალის გადაყვანა ბაზორკინოში დამავალა მე. — იგონებს პ. კობაიძე. — ჩვენ ჯავშნოსან რაზმში იყო ჯავშნოსანი მანქანა „Победа“, რომელიც ძალიან გავდა თეთრების ამავე სახელწოდების ჯავშნოსანს[119]. ჩვენ მივამაგრეთ ჯავშნოსანს თეთრი დროშა და გავემართეთ ქალაქისაკენ. მივედი იმ სახლამდე სადაც ცხოვრობდა ზინაიდა გაბრიელის ასული, დავაკაკუნე, მაგრამ ხმა არავინ გამცა. მერე დაუძახე ჭუჭრუტანიდან. მან იცნო ჩემი ხმა და გამომხედა. მას მოკლედ მოვახსენე ყველაფერი. იგი ჩაჯდა მანქანაში და გამოვემართეთ ბაზორკინოსაკენ, ასე მშვიდობიანად ჩაეიყვანე იგი ბაზორკინოში“[120].

კ ო ჩ ე რ ა შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ძ ე, დაიბადა 1897 წ., სკკპ წევრი. იგი იბრძვის ა. გეგეჭკორის რაზმის შემადგენლობაში. შემდეგ არის ვლადიკავკაზის პარტიზანულ რაზმში, ბოლოს იბრძოდა კოჩუბეის რაზმში სტავროპოლთან[121].

კ ო ხ ე ლ ა ძ ე გ ი ო რ გ ი ე გ ნ ა ტ ე ს ძ ე, დაიბადა 1897 წ., იგი იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, დონზე და სტავროპოლის მხარეში. იბრძოდა ა. გეგეჭკორის რაზმში, 1919 წ. იგი თეთრგვარდიელებმა ტყვედ ჩაიგდეს. მან 14 თვე დაჰყო ტყვეობაში. 1920 წელს წითელი არმიის ნაწილებმა გაანთავისუფლეს ტყვეობიდან[122].

---

[119] პ. კ ო ბ ა ი ძ ე თერგის სახკომსაბჭოს სახელობის ჯავშნოსანი ავტორაზმის პოლიტკომისარი იყო.

[120] Архив СОНИИ, ф. 21, оп. I, дело III.

[121] ЦГА СОАССР, ф. Р-60, оп. I, дело 275.

[122] ი ქ ვ ე, საქმე 299.

ლ ო მ ი ძ ე ს ე რ გ ო ზ ა ქ ა რ ი ა ს ძ ე, დაიბადა 1883 წ. თელავში, 1917 წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიიდან ბრუნდება საქართველოში. თბილისში იგი ებმება იატაკქვეშა მუშაობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ფ. მახარაძე, ლ. დუმბაძე, ი. გელაძე და სხვები. სერგო ლომიძე ასრულებს მათ დავალებებს, მენშევიკურმა მთავრობამ გაიგო იატაკქვეშა ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ მისი წევრები დროზე გააფრთხილეს და გადაურჩნენ დაპატიმრებას.

1919 წ. იგი თბილისშია და იბრძვის მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 1919 წ. ბოლოსა და 1920 წ. დასაწყისში იჯდა მეტეხის ციხეში პოლიტიკური მუშაობისათვის. შემდეგ ქუთაისის ციხეში. 1920 წ. მაისში იგი გადაასახლეს ჩრდილოეთ კავკასიაში[123].

მ ა ი ს უ რ ა ძ ე მ ი ხ ე ი ლ ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე ს ძ ე, მის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ მოღვაწეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში[124].

მ ა რ ი ც ა შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე, უპარტიო. იგი იყო ვლადიკავკაზის დაცვის აქტიური მონაწილე. იბრძოდა მე-3 ასეულში. ქალაქის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში[125].

მ ა თ ე ო შ ვ ი ლ ი ს ი მ ო ნ კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ძ ე, დაიბადა 1886 წ. დუშეთის მაზრის სოფ. ხანდოში. 1899 წ. ვლადიკავკაზში მეწაღე გიორგობიანთან შეგირდად შევიდა. 4 წელი შეგირდი იყო, 3 წელი ოსტატი მასთანვე.

მონაწილეობას იღებდა 1905 წ. რევოლუციურ მოძრაობაში. მსახურობდა არმიაში. 1912 წ. არმიიდან დაბრუნდა და ისევ გიორგობიანთან მუშაობდა. 1915 წელს ისევ არმიაში წაიყვანეს. თებერვლის რევოლუციის გადატრიალების შემდეგ იარაღით დაბრუნდა და 1917 წ. შემოდგომაზე შეადგინა შალდონის ასეული 250 კაცის შემადგენლობით.

ებრძოდა ბანდიტიზმს ვლადიკავკაზში, განაიარაღა ოფიცერთა ასეული. 1918 წ. ივლისში მისი ასეული შეუერთდა ს. გეგეჭკორის რაზმს, სამაშკასთან ბრძოლისას მისი რაზმიდან დაილუპა ღვინიაშვილი და ჯანგირაშვილი.

არხონკაში იბრძოდა ს. გეგეჭკორთან ერთად 1918 წ. ოქტომბერში. მასთან იყო ფრიდონაშვილი ბაგრატი. ს. გეგეჭკორი დაიჭრა და მან მიიღო მეთაურობა რაზმისა. აიღეს არდონი, არხონი, ყადგარონი, გიზელი, ახალი სანიბა, ალაგირი და სხვ.

---

[123] ი ბ ი ვ ე. საქმე 323.
[124] ი ბ ი ვ ე. საქმე 336.
[125] ი ბ ი ვ ე. საქმე 356.

ს. ორჯონიკიძემ გაგზავნა ის რაზმით გეორგიევსკში წესრიგის დასამყარებლად. შემდეგ სტავროპოლშჩინაში იბრძოდა XI არმიის შემადგენლობაში. სოფ. სოტნიკოვთან ის ცხარედ ებრძოდა თეთრებს და დაიჭრა. ვლადიკავკაკიდან დაიხია საქართველოში და ტყვედ მოხვდა. წერეთელი და პორუჩიკი ახობაძე დახვრეტას უპირებდნენ ყაზბეგში, მაგრამ გლხეებმა გადაარჩინეს. 1920 — 27 წწ. მუშაობდა ვლადიკავკავში რკინიგზის დაცვაში, შემდეგ სხვადასხვა თანამდებობებზე[126].

მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ი ვ ა ნ ე ტ ო ტ ო ს ძ ე, დაიბადა 1893 წ., უპარტიო, ცნობილია, რომ იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ[127].

მ ე დ ე ლ ა უ რ ი გ ი ო რ გ ი გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ძ ე, დაიბადა 1897 წ. უპარტიო. იგი ჩრდილოეთ კავკასიაში იბრძოდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, იყო ქ. ვლადიკავკაკის დამცველთა რიგებში. ქალაქის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში. აქ იგი მოღვაწეობს ალექსი კობაიძესთან ერთად. ავრცელებდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ პროკლამაციებს[128].

მ ი ჩ ი თ ა შ ვ ი ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ი ვ ა ნ ე ს ძ ე, დაიბადა 1902 წ., უპარტიო. 1918 წ. 27 ივლისს ჩაირიცხა ა. გეგეჭკორის რაზმში, სადაც ოცეულს მეთაურობდა პაელიაშვილი. მონაწილეობს აგვისტოს ამბებში. შემდეგ არის ჯავშნოსან „Варяг"-ზე. იბრძოდა პროხლადნაიასთან, სადგურ ინდიუკთან, გროზნოში, — შკუროსა და ბიჩერახოვის წინააღმდეგ. დენიკინელების მიერ ვლადიკავკაკის აღების შემდეგ იგი თეთრგვარდიელებმა დააპატიმრეს, მაგრამ მოახერხა გაქცევა.

შემდეგ მაჩითაშვილი არის ნ. გიკალოს რაზმში და მონაწილეობას იღებს გროზნოს საპატიმროდან პოლიტმუშაკების განთავისუფლებაში. აქ იგი კვლავ დააპატიმრეს. დიდი წვალების შემდეგ მაინც მოახერხა გაქცევა და დაბრუნდა ვლადიკავკაკში. ვლადიკავკაკიდან იგი გადადის საქართველოში, სადაც ეწეოდა აგიტაციას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ[129].

ნ ა დ ი ბ ა ი ძ ე დ ა ვ ი თ გ ი ო რ გ ი ს ძ ე, დაიბადა 1900 წ., სკკპ წევრი. იბრძოდა ა. გეგეჭკორის რაზმში. 1919 წ. დასაწყისში იგი იბრძვის სტავროპოლის გუბერნიაში თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ,

---

[126] Партархив СО Обкома КПСС, ф. 1849, оп. 3, ед. хр. 60, ф. 1—5.
[127] ი ბ ი ვ ე, საქმე 343.
[128] ი ბ ი ვ ე, საქმე 369.
[129] ი ბ ი ვ ე, საქმე 410.

ბოლო შემდეგ იგი არის ვლადიკავკაზის დამცველთა რიგებში. ქალაქის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში[130].

ნადიბაიძე ფილიპე ივანეს ძე. იგი 1918 წ. შედის ა. გეგეჭკორის რაზმში. იგი იყო არხონკასთან ბრძოლის მონაწილე, სადაც დაჭრეს ა. გეგეჭკორი. რაზმის ხელმძღვანელობა ხელთ აიღო ვლადიმერ კიკნაძემ, შემდეგ ფ. ნადიბაიძეს აპატიმრებენ. მან მოახერხა გაქცევა და გადავიდა საქართველოში[131].

ნარიმანიძე ალექსანდრე ბეროს ძე, დაიბადა 1884 წ.. უპარტიო. 1918 წ. იგი იბრძვის ა. გეგეჭკორის რაზმში. შემდეგ იგი მონაწილეობას იღებს ვლადიკავკაზისათვის წარმოებულ ბრძოლებში. 1919 წ. თებერვალში ქალაქის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში[132].

ომიაძე თევდორე ოქროს ძე და ლობჟანიძე ალექსი დავითის ძე, ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მონაწილენი არიან. მათი მოგონებიდან, რომელიც ჩრდილო ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქივშია დაცული, საინტერესოა ალაგირთან გამართული ბრძოლის ერთი ეპიზოდი. როდესაც თეთრებმა ალაგირთან ბრძოლაში წარმატებას ვერ მიაღწიეს, მათ ეშმაკობას მიმართეს.

„ისინი მოუახლოვდნენ პ. ოგურცოვის რაზმს, აქვე იყო ა. გეგეჭკორის რაზმი. თეთრების რაზმის უფროსმა განაცხადა, რომ „ჩვენ კერენისტები ვართ" და წინადადება მოგვცა შევკრებილიყავით სკოლის შენობაში. ქართველებმა, რომლებიც ვეხმარებოდით პ. ოგურცოვისა და ა. გეგეჭკორის რაზმს, დავუჯერეთ და უიარაღოდ წავედით ქართული სკოლის შენობაში. ამ დროს სკოლაში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ლორსან ლობჟანიძე და გაგვაფრთხილა: „ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ ესენი მტრები არიან, მათ შორის ხომ ოფიცერი რევაზოვი და პოლკოვნიკი ბესონოვი არიანო". მაგრამ უკვე გვიან იყო. ბანდიტები თავს დაესხნენ შეუიარაღებელ მეომრებს და 26 კაცი მოკლეს. მათ შორის ალაგირის კომენდანტი ბოლშევიკი ზელენსკი, ქართული რაზმის მეთაური კოპინაძე, დავით გოლაშვილი და სხვ. თეთრები წვავღნენ სახლებს, ასე დასწვეს ალექსი კირილეს ძე ლობჟანიძის სახლი"[133].

ოქროპირიძე აბრამ სერგოს ძე, დაიბადა 1888 წ.,

---

[130] იქვე, საქმე 413.
[131] იქვე, საქმე 414.
[132] იქვე, საქმე 418.
[133] Архив СОНИИ, ф. 21., оп. I, ед. хр. III.

1918-1919 წლებში მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. ქ. ვლადიკავკაზის დატოვების შემდეგ იგი გადადის საქართველოში. თბილისიდან იგი მოხვდა სოფ. წნორისწყალში, სადაც დააპატიმრეს და ჩასვეს სიღნაღის ციხეში. ციხეში იგი შეხვდა პავლე არისტოს ძე ლობჟანიძეს — იატაკქვეშა მუშაკს. მან 14 თვე გაატარა საპატიმროში, მაგრამ ვერ დაუმტკიცეს მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ პროპაგანდა და გაანთავისუფლეს. განთავისუფლების შემდეგ გადადის ვლადიკავკაზში[134].

პ ა ვ ლ ო შ ვ ი ლ ი ა ლ ე ქ ს ი გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ძ ე, დაიბადა 1897 წ. ვლადიკავკაზში. სკკპ წევრი 1917 წ. დეკემბრიდან. 1917-1918 წლებში იყო ვლადიკავკაზის I პოლკში წითელარმიელად. 1919 წ. დაღესტანში, დერბენტთან იბრძვის ტასუისთან ერთად მზვერავთა რაზმის მეთაურად. შემდეგ იგი გადადის საქართველოში და ასრულებს სხვადასხვა პარტიულ სამუშაოს. ავრცელებდა პროკლამაციებს და ეწეოდა აგიტაციას ქართულ და ოსურ ენებზე[135].

ტ ე ზ ე ლ ა შ ვ ი ლ ი გ რ ი გ ო ლ ო ს ე ფ ი ს ძ ე, დაიბადა 1892 წ. გორში. სკკპ წევრი 1917 წლიდან.

იგი ვლადიკავკაზის დაცვისას რაზმს მეთაურობდა, რომელიც მედგრად ებრძოდა შკუროს ბანდებს. მან ზამთრის პირობებში ორჯერ გადალახა მდ. თერგი. ვლადიკავკაზის თეთრგვარდიელების მიერ აღების შემდეგ მან ვერ მოახერხა ქალაქის დატოვება და ქალაქში იმალებოდა[136].

უ ტ რ უ გ ო შ ვ ი ლ ი ა ბ რ ა მ ი ვ ა ნ ე ს ძ ე, დაიბადა 1900 წ. დუშეთში, უპარტიო, მუშაობდა ჩეჩნეთსა და ინგუშეთში. როდესაც ნ. გიკალომ შექმნა თავისი რაზმი, იგი გადადის მასთან ვოზდვიჟენსკოეში. იგი გროზნოში წარმოებული ასდღიანი ბრძოლების აქტიური მონაწილეა. იგი იბრძოდა გოიტხთან, შატოისთან და ვოზდვიჟენსკოესთან. გროზნოს განთავისუფლების შემდეგ შეუერთდა ვლადიკავკაზის წითელარმიელებს, ვლადიკავკაზიდან იგი გაგზავნეს ყიზლარში[137].

უ შ ა რ ი ძ ე ი ლ ი ა მ ი ხ ე ი ლ ი ს ძ ე, დაიბადა 1890 წ., უპარტიო. იგი იყო ა. გეგეჭკორის რაზმის წევრი. შემდეგ იბრძვის სტავროპოლის გუბერნიის სოფ. სოტნიკოვოში. 1919 წ. გადადის საქართველოში[138].

---

134 ЦГАСО АССР, ф Р-60, оп. I, дело 446.
135 ი ბ ე ვ ე, საქმე 453.
136 ი ბ ე ვ ე, საქმე 635.
137 ი ბ ე ვ ე, საქმე 658.
138 ი ბ ე ვ ე, საქმე 660.

ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ი ზ ა ქ ა რ ი ა (შაქრო) ი ლ ი ა ს ძ ე, დაიბადა 1880 წელს. სკკპ წევრი 1918 წლიდან. 1905–1906 წწ. იგი მონაწილეობას იღებს ვლადიკავკაზის სამხედრო აჯანყებაში, რომლის დროსაც დაჭრილ იქნა გენ. სელიანოვი. იგი იღებდა მონაწილეობას 1912 წ. ლენის მუშების გამოსელაში. აქ იგი დაჭრეს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის წლებში.

1918–1919 წწ. იგი იყო თერგის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო საბჭოს წევრი, სრულიად საქართველოს წითელ პარტიზანთა საზოგადოების წევრი, დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით[139].

ჩრდილოეთ კავკასიაში ზ. ფალავანდიშვილის მოღვაწეობის შესახებ საინტერესოა ფ. მახარაძის მოგონება, რომელიც ეხება 1919 წ. ზამთრის მკაცრ პირობებში ფ. მახარაძისა და სხვა ამხანაგების საქართველოში გადასვლის ცდას.

„ფული გველეოდა, საჭირო იყო სადმე მისი შოვნა. ამ მიზნით ტიფლისს გაიგზავნა არკადი ელბაქიძე, მაგრამ 2-3 დღის შემდეგ ჩვენთან მოვიდა ზ. ფალავანდიშვილი და კავკასიის სამხარეო კომიტეტისგან მოგვიტანა გარკვეული თანხა, სპეციალურად იმისათვის, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი გაგვეყვანა ინგუშეთიდან. სხვათა შორის შაქროს დავალებული ჰქონდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მე გავეყვანე აქედან. მან მითხრა, რომ გზა მთებში იცის, ხოლო საქართველოს სასაზღვრო ზოლში ჰყავს ხალხი, რომლებიც შეეცდებიან ჩვენ გადაყვანას საქართველოს ხელისუფალთა შეუმჩნევლათო“[140].

უნდა ითქვას, რომ 1919 წელს 3–4 თვის განმავლობაში შაქრო ფალავანდიშვილმა 5-ჯერ მოახერხა საქართველოს სამხედრო გზით საქართველოში გადმოსვლა და უკან დაბრუნება. ამით მან დიდი სამსახური გაუწია მძიმე მდგომარეობაში მყოფ ამხანაგებს.

ფ ი ცხ ე ლ ა უ რ ი ს ე რ გ ო მ ი ხ ე ი ლ ი ს ძ ე, 1919 წ. იყო წითელ პარტიზანთა რიგებში, შემდეგ ავადმყოფობდა და მუშაობდა ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოში. აქ იკრიბებოდნენ წითელგვარდიელები და წითელი პარტიზანები. 1919 წ. სექტემბერში იგი დაპატიმრეს არალეგალური მუშაობისათვის, მაგრამ მან მოახერხა გაქცევა და ინგუშეთის მთებს შეაფარა თავი[141].

ქ ა რ ს ა ულ ი ძ ე გ ი ო რ გ ი ო ს ე ფ ა ს ძ ე, დაიბადა თბი-

---

[139] Архив Музея С. М. Кирова и Г. К. Орджоникидзе СО АССР, ф 8, оп.2, д. 87-а; ф. 5, оп. 2.

[140] ი ქ ე ე, ფ. 5, ანაწერი 2, საქმე 56, ფ. მახარაძის მოგონება, გვ. 48.

[141] ЦГА СОАССР. ф. Р-60, оп. I, дело 474.

ლისში 1893 წ. 1918 წ. ზაფხულში შევიდა ვლადიკავკაზის 1-ელ „რკინის ასეულში“. იგი მონაწილეა აგვისტოს ამბებისა. იბრძვის პროხლადნაიასთან, სადაც დააპატიმრეს, მაგრამ მოახერხა გაქცევა[142].

ქენქაძე ნიკოლოზ სიმონის ძე, დაიბადა 1896 წ., სკკპ წევრი 1931 წლიდან. იგი არის აგვისტოს ამბების მონაწილე, იბრძოდა არხონკასთან, არდონთან და სხვ. 1919 წ. გადადის საქართველოში.

ქენქაძე ივანე პავლეს ძე, დაიბადა 1896 წ., უპარტიო. იყო მალაკანთა პარტიზანულ რაზმში. 1919 წ. გადავიდა საქართველოში[143].

ღუდუშაური მიხეილ ივანეს ძე. დაიბადა 1895 წ., უპარტიო. 1918 წელს შედის თერგის 1-ელ წითელგვარდიულ ბატალიონის მე-3 ასეულში. მონაწილეობას იღებდა საქართველოს სამხედრო გზაზე მენშევიკურ ჯარებთან ბრძოლაში. შემდეგ იგი იბრძვის პროხლადნაიასთან, კოტლიარევსკაიასთან თეთრკაზაკების წინააღმდეგ.

1919 წ. თებერვალში არის ვლადიკავკაზის დამცველთა რიგებში, ხოლო ქალაქის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში[144].

ღუდუშაური შალვა თევდორეს ძე, დაიბადა 1898 წ., უპარტიო. იგი 1918 წ. აგვისტოს ამბების მონაწილეა. 1919 წ. იბრძოდა თეთრების წინააღმდეგ მალაკანთა რაზმში ქალაქის დატოვების უკანასკნელ დღეებამდე.

თეთრგვარდიელთა მიერ ვლადიკავკაზის აღების შემდეგ იმალებოდა გიგაურის სახლში. შემდეგ იგი დააპატიმრეს, მაგრამ მეზობლების დახმარებით განთავისუფლდა. იგი გადადის ყაზბეგში, აქ დაჰყო საქართველოს გასაბჭოებამდე. იყო ყაზბეგის რევკომის პირველი რწმუნებული, 1931 წ. კი აირჩიეს ქ. თბილისის მე-6 მოწვევის საბჭოს წევრად[145].

ღუდუშაური დავით გიორგის ძე, დაიბადა 1896 წ., უპარტიო. იბრძოდა ქ. ვლადიკავკაზის დამცველთა რიგებში. 1919 წ. თებერვალში გადადის საქართველოში[146].

შალიკაშვილი ადამ იაკობის ძე[147], და გიორგი

---

142 იქვე, საქმე 414.
143 იქვე, საქმე 418.
144 იქვე, საქმე 152.
145 იქვე, საქმე 154.
146 იქვე, საქმე 157.
147 იქვე, საქმე 717, ადამ იაკობის ძის შესახებ სხვა არავითარი ცნობა არ არსებობს.

ი ა კ ო ბ ი ს ძ ე. გიორგი იაკობის ძე დაიბადა 1895 წ., უპარტიო. 1918 წ. იყო ა. გეგეჭკორის რაზმში. არის აგვისტოს ამბების მონაწილე, შემდეგ ა. გეგეჭკორის რაზმთან ერთად იბრძვის თეთრგვარდიელების წინააღმდეგ სოფ. არხონკასთან, მონაწილეა ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ წარმოებული მთელი რიგი ბრძოლებისა. ვლადიკავკაზის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში, სადაც დარჩა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე[148].

ც ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი გ ა ბ ო ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ძ ე, დაიბადა 1876 წ. უპარტიო, 1918-1919 წწ. იყო ვლადიკავკაზისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე[149].

წ ა მ ა ლ ა ი ძ ე ა ლ ე ქ ს ი გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ე, დაიბადა 1896 წ., უპარტიო. იყო ვლადიკავკაზის დაცვის მე-3 ასეულში და აქტიურად იბრძოდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. 1919 წ. თებერვალში გადადის საქართველოში[150].

წ ი კ ლ ა უ რ ი ი ვ ა ნ ე ი ვ ა ნ ე ს ძ ე, დაიბადა 1885 წ. საქართველოში, უპარტიო. 1918 წ. შედის მალაკანთა წითელგვარდიულ რაზმში. იყო ვლადიკავკაზის 1-ლი პოლკის მე-5 ასეულში. იბრძოდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ჯარების წინააღმდეგ დარიალის ხეობაში. პროხლადნაიასთან ბრძოლაში იგი დაიჭრა, მაგრამ მალე ჩადგა მწყობრში. თეთრგვარდიელების მიერ ვლადიკავკაზის დაკავებამდე იარაღით ხელში მონაწილეობას იღებდა ალაგირთან, არდონთან და არხონკასთან გამართულ ბრძოლებში. უკანდახევისას თბილისამდე ვერ მიაღწია, ავად გახდა ტიფით და დარჩა სოფ. სიონში (ავადმყოფობის გამო ვერც მთიან ინგუშეთში გადასვლა შესძლო). გამოჯანმრთელების შემდეგ გადადის საქართველოში, მაგრამ მალე ბრუნდება ვლადიკავკაზში და 1920 წ. მარტში იბრძვის პ. ოგურცოვის რაზმში[151].

წ ი კ ლ ა უ რ ი ი ვ ა ნ ე გ ი ო რ გ ი ს ძ ე, დაიბადა 1902 წ., სკკპ წევრი 1923 წლიდან. იყო დაღესტნის 1-ლი პარტიზანული რაზმის წევრი, იბრძოდა დაღესტანში[152].

წ ი კ ლ ა უ რ ი ი ლ ი ა დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ე, დაიბადა 1896 წ., უპარტიო. 1918 წ. იყო ქალაქ ვლადიკავკაზის დაცვის მე-2 და მე-3 ასეულებში, იბრძვის მის დამცველთა რიგებში. ქალაქის დატოვების

---

148 ი ბ ი ვ ე, საქმე 725.
149 ი ბ ი ვ ე, საქმე 699.
150 ი ბ ი ვ ე, საქმე 693.
151 ი ბ ი ვ ე, საქმე 695
152 ი ბ ი ვ ე, საქმე 697

შემდეგ გადადის საქართველოში, შემდეგ ბრუნდება უკან ჩრდილოეთ კავკასიაში[153].

ხულულიძე გიორგი ესტატეს ძე, დაიბადა 1899 წ., 1918 წ. იგი ირიცხებოდა ვლადიკავკაკის 1-ლი პოლკის 1-ელ ბატალიონში, რომელსაც კუეშინოვი მეთაურობდა. მანამდე იყო მალაკანთა პარტიზანულ რაზმში. მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებულ მთელ რიგ ბრძოლებში, ვლადიკავკაკის დატოვების შემდეგ გადადის საქართველოში, საიდანაც ბრუნდება ჩრდილოეთ კავკასიაში — ინგუშეთში. აქ იგი იბრძვის ა. ყამარაულის რაზმში[154].

ხულულიძე ალექსი ოსეფის ძე, დაიბადა 1900 წ., უპარტიო. 1918 წ. იყო ჯავშნოსანთა რაზმში, რომელსაც კარაპეტოვი მეთაურობდა. შემდეგ ყაზბეგსა და სხვა სოფლებში ეწეოდა იატაკქვეშა მუშაობას. თბილისიდან რამდენიმეჯერ იყო გაგზავნილი ვლადიკავკაკში პროდუქტების შესაძენად იმათთვის, ვინც 1919 წ. თეთრგვარდიელების მიერ ვლადიკავკაკის დატოვების შემდეგ უკან იხევდა საქართველოში. ეს დავალება მან პირნათლად შეასრულა[155].

ჯაბანაშვილი იოსებ ხოლომონის ძე, დაიბადა ხევში. იგი ჯერ კიდევ 1917 წ. დეკემბერში შედის წითელგვარდიაში. შემდეგ იგი არის ა. გეგეჭკორის რაზმის წევრი. 1918 წ. აგვისტოს ამბების მონაწილეა. 1918 წ. ნოემბერში მე-3 ასეული, რომელშიც იგი ირიცხებოდა ასეულის უფროსის მოადგილედ, ამხ. მორდოვცევისა და ი. ბუტირინის განკარგულებით გაიგზავნა მცირე ყაბარდოში სემიონოვის პოლკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ჯაბანაშვილი მონაწილეობას იღებდა ქ. ვლადიკავკაკის დაცვისათვის წარმოებულ ყველა ბრძოლაში. მეთაურობდა რაზმს სპირტის ქარხნის რაიონში. ქალაქის დატოვების შემდეგ გადადის ჯერ ყაზბეგში, მერე ფასანაურში და იქიდან საქართველოში. 1920 წ. იგი ისევ ბრუნდება ვლადიკავკაკში[156].

ჯაყმაიძე გიორგი ოსეფის ძე, დაიბადა 1894 წ., უპარტიო. იყო ვლადიკავკაკის მე-3 ასეულში რიგითი მებრძოლად.

1918-1919 წლებში მონაწილეობას იღებდა გ. ბიჩერახოვის, შკურუროს, ვადბოლსკის, დენიკინისა და სხვათა წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. 1919 წ. თებერვალში გადადის საქართველოში[157].

---

153 იქვე, საქმე 698.
154 იქვე, საქმე 686.
155 იქვე, საქმე 688.
156 იქვე, საქმე 169.
157 იქვე, საქმე 163.

ჯაუმაიძე იოსეფ გიორგის ძე, დაიბადა 1899 წ., უპარტიო[158].

ასეთია მოკლედ ქ. ორჯონიკიძის არქივებში დაცული მასალების მიხედვით ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში ქართველ რევოლუციონერთა მოღვაწეობის სურათი.

რაც შეეხება ქ. ნალჩიკის არქივებში არსებულ მასალებს, რომლებიც სამოქალაქო ომის წლებს ეხება — ეს მასალები ძალზე მცირეა და მათში ქართველთა მონაწილეობის შესახებ საერთოდ არაფერია თქმული. მაგრამ ჩვენ ამ საქმეში დაგვეხმარა ზემოთ მოხსენებული ილია გობედაშვილი. მისი დახმარებით მოხერხდა ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ მებრძოლი ზოგიერთი ქართველი მეომრის ვინაობის დადგენა.

ჩვენ აქ ვსარგებლობთ ი. გობედაშვილის პირადი არქივით, რომელიც ბევრ საინტერესო მასალას შეიცავს, მართალია, ამ პირადი არქივის მასალათა დიდი ნაწილი ცნობილია და ინახება ქ. ორჯონიკიძის არქივებში, მაგრამ ნაწილი მასალისა უცნობია. სასურველია, ჯერ ი. გობედაშვილის პირადი არქივის დედანი თუ არა, ასლი მაინც ინახებოდეს ყაბარდო-ბალყარეთის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

ქ. ნალჩიკის ცენტრალურ პარკში არის 1918-1919 წლებში თეთრგვარდიელების მიერ დახვრეტილი ამხანაგების ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი, რომელიც 1934 წელსაა დადგმული.

აქ ამოკვეთილია სხვა დახვრეტილ ამხანაგებთან ერთად 4 ქართველი რევოლუციონერის გვარი—ენუქიძე ტრიფონი, ლობჟანიძე ეიქტორი, ბურდული გიორგი და კობიანიძე მიხეილი. აქვე ამოკვეთილია ბ. კალმიკოვის ძმის და მამის სახელები.

ი. გობედაშვილის პირადი არქივის გაცნობისა და მასთან საუბრის შემდეგ გაირკვა, რომ თავდაპირველად ამ ძეგლზე მოხსენებული იყო 9 ქართველი. შემდეგ ძეგლი დაანგრიეს. იგი აღადგინეს ომის დამთავრების შემდეგ. ახალ ძეგლზე, როგორც აღნიშნეთ, 4 ქართველი ამხანაგია მოხსენებული. დანარჩენთა მოუხსენებლობას ხსნიან იმით, რომ ვერ მოხერხდა თავდაპირველი სიის ზუსტად დადგენაო.

მისი აღდგენა და მასში მოხსენებული ამხანაგების ვინაობის დადგენაც ი. გობედაშვილის დახმარებით ხერხდება. ესენი არიან: 1) კობიანიძე მიხეილ (მიხო) სტეფანეს ძე, დაიღუპა სადგურ ბურგუსტანთან; 2) კობიანიძე გიორგი სტეფანეს ძე, დაიღუპა სადგურ კურსავ-

---

[158] იქვე, საქმე 165.

კასთან; 3) კობიანიძე მარკოზ სტეფანეს ძე, დაიღუპა სოფ. ბაქსანთან.

ასე გმირულად დაეცა ყაბარდო-ბალყარეთის მიწაზე საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში სამი ძმა ქაფიანიძეები[159], მათ არაერთხელ გამოიჩინეს გმირობა საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. 4) ბურდული გიორგი ალექსის ძე, დაიღუპა სოფ. ბაქსანთან წარმოებულ ბრძოლაში; 5) ენუქიძე ტრიფონ ზაქარიას ძე. დახვრიტეს ნალჩიკის რკინიგზის სადგურზე; 6) ყავლაშვილი სანდრო გიორგის ძე; 7) ლობჟანიძე ვიქტორ ნესტორის ძე, 8) ჩიქვილაძე მელქო გიორგის ძე და 9) ჩიხრაძე არსენა იოსების ძე. ესენი დაიღუპნენ სადგ. პროხლადნაიასთან.

ქ. გროზნოში ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო არქივში მუშაობის დროს წავაწყდით რამდენიმე ქართველ წითელ პარტიზანის გვარს, რომლებიც იბრძოდნენ 1918-1920 წლებში ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთებში. ჩვენ იძულებული ვართ დავჯერდეთ მათი გვარების მხოლოდ მშრალ ჩამოთვლას: 1) გრუზინოვი ალექსანდრე, 2) ამილიძე ალექსანდრე, 3) გვენცაძე ონისიმე, 4) კაზალიკაშვილი ნიკოლოზი, 5) ჟუკაშვილი ვასილი, 6) ომიაძე მიხეილი და 7) ჯაყმაიძე ა. მ.[160].

ასეთია ახალი საარქივო მასალები 1918-1920 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობის შესახებ.

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი ქართველ რევოლუციონერთა სია, რომლებმაც არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლის ისტორიაში. მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ქართველებისა, რომლებიც ასობით იბრძოდნენ და თავიც შესწირეს ჩვენი ნათელი მომავლისათვის ბრძოლის საქმეს.

როსტოვის, კრასნოდარის, ასტრახანის, პიატიგორსკის და სხვა ქალაქების არქივების შესწავლა კიდევ არა ერთ ფურცელს გამოამზეურებს და ნათელს მოჰფენს ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელების თეთრგვარდიული ბანდების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში საქართველოს სახელოვან შვილთა აქტიურ მონაწილეობას.

---

159 ი. გობედაშვილის დახმარებით გაირკვა, რომ მათი ნამდვილი გვარია ქაფიანიძე და არა კობიანიძე, როგორც მათ მოიხსენიებენ.

160 ЦГА Ч-И АССР, Ф. 623, оп. I, дело 2.

თავი III

საქართველოს მშრომელების ბრძოლა დენიკინელთა ანტანტიურის წინააღმდეგ

§ 1. საქართველოს მენშევიკური მთავრობა და დენიკინელები

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის პერიოდში კავკასია დიდ პოლიტიკურ როლს ასრულებდა. ეს აიხსნება არა მარტო მისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებრივი სიმდიდრით, არამედ იმითაც, რომ კავკასია იქცა კონტრრევოლუციის თავშესაფრად და მის ზურგად.

ჩრდილოეთისაკენ წარმატებით შეტევისათვის დენიკინს აუცილებლად მიაჩნდა ჩრდილოეთ კავკასიაში გამაგრება და ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან მხარდაჭერის მიღება. მან გარკვეული ხნით მართლაც მიაღწია ამ მიზანს. ამდენად საინტერესოა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური რესპუბლიკების და, კერძოდ, საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება დენიკინისადმი.

1919 წელი ამიერკავკასიაში აღინიშნა ანტიხალხური ნაციონალისტური მთავრობების ბატონობით და ანტანტის ქვეყნების ინტერვენციით, რომელსაც სათავეში ედგა ინგლისის იმპერიალიზმი, ჩრდილოეთ კავკასიაში ეს წელი არის დენიკინის ბატონობის წელი. მაშინ, როდესაც რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ყურადღება მიმართული იყო დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ინტერნაციონალური ფრონტის შექმნისაკენ (ამ ბრძოლას ამიერკავკასიაში სათავეში ედგა ბაქოს პროლეტარიატი), საქართველოს მენშევიკური მთავრობა ატარებდა ხალხის ღალატისა და დენიკინთან კავშირის პოლიტიკას.

დენიკინმა ჩრდილოეთ კავკასიის დროებითი დაპყრობის შემდეგ საშიშროება შეუქმნა როგორც ჩვენი სახელმწიფოს ცენტრს — მოსკოვს, ისე ამიერკავკასიასაც. საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის გაბატონება სასურველი იყო, რადგანაც ამან, როგორც ამბობდნენ მენშევიკური მთავრობის მესვეურები, საქართველოს „ააშორა ბოლშევიზმის საფრთხე". იმპერიალისტებიც, თავის მხრივ, ცდილობდნენ, რომ ამიერკავკასიის ნაციონალისტური მთავრობები მხარში ამოდგომოდნენ დენიკინს, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლი საქმე იყო. როგორც ცნობილია, დენიკინი იბრძოდა „ერთიანი განუყოფელი რუსეთის" აღდგენისათვის და წინააღმდეგი იყო ეცნო რევოლუციამდე რუსეთის ფარგლებში შემავალი რომელიმე ტე-

რიტორიის დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, დენიკინი წინააღმდეგი იყო ეცნო ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობა. ყოველივე ეს ართულებდა დენიკინსა და მენშევიკურ საქართველოს შორის ურთიერთობას. მათ შორის სამხედრო შეტაკებებსაც კი ჰქონდა ადგილი. მაგრამ მენშევიკური საქართველოს სიძულვილი რევოლუციისადმი იმდენად დიდი იყო, რომ მან გადასძლია წინააღმდეგობანი დენიკინთან და იგი მოაქცია, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, იმ 14 სახელმწიფოს ბანაკში, რომლებიც იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

დენიკინისა და მენშევიკური საქართველოს ინტერესები ჯერ კიდევ 1918 წელს შეეჯახნენ ერთმანეთს. მათ შორის ატყდა დავა ტერიტორიის გამო (ტუაფსე-სოჭის რაიონში).

1918 წ. სექტემბრის ბოლოს ეკატერინოდარში შესდგა „მოხალისეთა არმიის", უუბანის სამხარეო „მთავრობის" და მენშევიკური საქართველოს წარმომადგენელთა თათბირი. ამ თათბირზე, რომელსაც დენიკინელთა მხრივ ესწრებოდნენ ალექსეევი, ლუკომსკი და სხვ. იდვა საკითხი სადაო ტერიტორიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის ორივე მხარე მზად იყო და, როგორც ე. გეგეჭკორი ამტკიცებდა, დენიკინიც და ისინიც (ე. ი. საქართველოს მენშევიკური მთავრობა) „სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების გამო ამჟამად ვურტყამთ ერთ წერტილში"[1], მათ შორის სასაზღვრო საკითხებზე შეთანხმება მაინც ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, მენშევიკურ საქართველოსა და დენიკინს შორის დავა ამ საკითხზე არ შეწყვეტილა მათი ბატონობის მთელ მანძილზე.

მაგრამ თეთრგვარდიელებსა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის ერთსულოვნება იყო ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. ტუუილად როდი ამბობდა ე. გეგეჭკორი ეკატერინოდარში თათბირზე 1918 წ. 25 სექტემბერს: „რაც შეეხება ბოლშევიკებთან დამოკიდებულების საკითხს, შემიძლია განვაცხადო, რომ ბოლშევიზმთან ბრძოლა ჩვენს საზღვრებში დაუნდობელია. ჩვენ, ჩვენს ხელთ ყრსებული ყველა საშუალებებით ვახშობთ ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, და მე მგონია ამ მიმართებით ჩვენ უკვე მოგეცით საკმაო დამამტკიცებელი ფაქტები"[2].

იმ უთანხმოებას, რომელიც არსებობდა დენიკინსა და მენშევიკურ საქართველოს შორის, ინგლისელი იმპერიალისტები ხელოვნურად აღ-

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1919, გვ. 400.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 405.

ვიევებდნენ, რათა საბაბი ჰქონოდათ ჩარეულიყვნენ მათ საშინაო საქმეებში. ინგლისელებმა დააწესეს სადემარკაციო ხაზი დენიკინსა და საქართველოს შორის, რომლის გადალახვაც აეკრძალათ ორივე მხარეს. მენშევიკური მთავრობა რეალურ გარანტიებს მოითხოვდა საზღვრის დაცვის საქმეში. ამ საკითხზე ე. გეგეჭკორმა ნოტით მიმართა ინგლისის პრემიერ-მინისტრს ლოიდ-ჯორჯს, მაგრამ ეს ნოტა ინგლისელებმა უპასუხოდ დატოვეს.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა შეპირდა ანტანტას[3], რომ ყოველმხრივ დაეხმარებოდა ბოლშევიზმთან ბრძოლაში. მენშევიკური მთავრობის სახელით დ. თოფურიძე სპეციალურ მემორანდუმში პირდებოდა ანტანტას, რომ რესპუბლიკის მთელი ძალები გამოყენებული იქნებოდნენ „საერთო მიზნისათვის — ბოლშევიზმთან ბრძოლისათვის და წესრიგის შენარჩუნებისათვის"[4].

ინგლისელები ცდილობდნენ, რომ ის უთანხმოება, რომელიც წამოიჭრა დენიკინსა და მენშევიკურ საქართველოს შორის სოჭის საკითხზე ისე მოეგვარებინათ, რომ საქართველოს თავი შეეკავებინა დენიკინის წინააღმდეგ მოქმედებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აშინებდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, რომ ხელს არ შეუშლიდა დენიკინს სამხრეთის საზღვრის დარღვევაში[5].

ინგლისელი გენ. ბიჩი ნ. ჟორდანიას ურჩევდა დენიკინთან შეთანხმებულ მოქმედებას და 1919 წ. 24 მაისს საუბარში არწმუნებდა მას: „შეთანხმება დენიკინთან, რომელიც ებრძვის ბოლშევიზმს, ძლიერ აამაღლებდა საქართველოს ცივილიზებული მსოფლიოს თვალში"-ო[6].

მენშევიკური საქართველო მორჩილად ასრულებდა ინგლისელ იმპერიალისტთა მითითებებს.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა თავის საგარეო პოლიტიკაში ცდილობდა გამოეყენებინა თავის ახალი „პატრონის" — ინგლისის (მან. 1918 წ. 30 ოქტომბრის მუდროსის ზავით ამიერკავკასიაში თურქეთის ადგილი დაიკავა) ინტერესები მახლობელ აღმოსავლეთში და მისი დახმარებით დაეცვა თავი როგორც ბოლშევიკებისაგან, ასევე დენიკინელებისაგან. საქართველოს მენშევიკური მთავრობის ეს პროგრამა ემთხვეოდა იმ გეგმებს, რომელიც ინგლისელებს ჰქონდათ ამიერკავკასიის მიმართ[7].

---

[3] საქართველოში ანტანტის ჯარები 1918 წ. დეკემბერში შემოვიდნენ.

[4] საქ. ორცსა, ფ. 51, საქმე 103, ფ. 1—2.

[5] Ж. «Красный Архив», 1927, т. XXI, გვ. 148.

[6] Газ. «Борьба», 1919 г., 27/VII, № 140.

[7] Е. Драбкина, «Грузинская Контрреволюция», Ленинград, 1928, გვ. 77.

რკპ(ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენციაზე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ანტანტის მეორე ხერხი, მისი ბრძოლის მეორე სისტემა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ წინააღმდეგ გამოეყენებინა პატარა სახელმწიფოები... გამოყენებული იყო ზეგავლენის ყოველგვარი საშუალება — ფინანსური, სასურსათო, რათა აეძულებიათ ესტლანდია, ფინეთი და აგრეთვე უთუოდ ლატვიაც და პოლონეთიც. აეძულებიათ სახელმწიფოთა მთელი ეს ციკლი შემოეტია ჩვენ წინააღმდეგ“[8].

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები კარგად უდგება მენშევიკური საქართველოს პოლიტიკასაც.

მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზული იყო, მენშევიკური მთავრობა მერყეობდა და იმედი ჰქონდა საქმის მშვიდობიანი დაბოლოებისა. დენიკინის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის ნაცვლად ის არჩევდა მასთან მოლაპარაკების წარმოებას. იგი იმედის თვალით შესცქეროდა იმპერიალისტებს, პირველ რიგში ინგლისელებს და მათი დახმარებით ფიქრობდა თავიდან აეცილებინა დენიკინის მხრიდან მომდგარი საშიშროება.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობას არ სურდა ომი დენიკინთან, იმიტომაც, რომ ომი დაასუსტებდა დენიკინს და ხელს შეუშლიდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ამავე პოზიციაზე იდგა შუსავატისტური მთავრობაც, ხოლო დაშნაკებმა დენიკინთან პირდაპირი კავშირიც კი შეკრეს.

მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობები ფაქტიურად დენიკინის მოკავშირეებს წარმოადგენდნენ, ამ რესპუბლიკათა მშრომელები რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით ერთგულად იბრძოდნენ როგორც თავისი მთავრობების, ასევე დენიკინელების წინააღმდეგ.

1919 წ. ოქტომბრის მეორე ნახევრიდან სამხრეთის ფრონტზე გარდატეხა დაიწყო. საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. 1919 წ. ბოლოს და 1920 წ. დასაწყისში წითელმა არმიამ გაანთავისუფლა ქალაქები ხარკოვი, ტაგანროგი, დონის როსტოვი და სხვ. სწორედ ამ მომენტში რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. ჩიჩერინმა საბჭოთა მთავრობის სახელით 1920 წ. 2 იანვარს ნოტით მიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მთავრობებს დენიკინის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის საბჭოთა რუსეთთან სამხედრო კავშირის დადების შესახებ.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, როგორც მოსალოდნელი იყო (ისევე როგორც აზერბაიჯანის კონტრრევოლუციურმა მთავ-

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 194—195.

რობამ) უარი სთქვა ამ წინადადებაზე. ამან მშრომელთა ფართო მასებში აღშფოთება გამოიწვია. მიტინგებსა და კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში მუშები მოითხოვდნენ დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას, საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიის მთავრობებს შორის სამხედრო კავშირის დაუყოვნებლივ დადებას[9].

მენშევიკების მხარდაჭერა თეთრგვარდიელებისადმი არ შეწყვეტილა თვით მენშევიკური მთავრობის დამხობამდე. ქართველი მენშევიკები ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ინგლისელ ოკუპანტებს, რათა მათ დროულად მიეწოდებინათ დახმარება დენიკინისათვის. საქართველოს მენშევიკური მთავრობის დახმარებით 1919 წ. 17 მარტს ბათუმიდან დენიკინის განკარგულებაში გაიგზავნა ბიჩერახოვის რაზმის 600 კაზაკი ჯარისკაცი. ქართველი მენშევიკების დახმარებით ინგლისელი ოკუპანტები ხშირად უგზავნიდნენ დენიკინს სათბობს, იარაღს, საომარ მასალას და სხვას[10].

ინგლისელი ოკუპანტების მითითებით ქართველი მენშევიკები ნავთით ამარაგებდნენ დენიკინს. საქართველოს რკინიგზით „მოხალისეთა არმია" — ღებულობდა არტილერიას, იარაღს, ტყვიებს. საქართველოს სამხედრო გზაზე დაწესდა ინგლისის კონტროლი. დენიკინის წარმომადგენლებს ნება დაერთოთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩაეტარებინათ მეფის არმიის ყოფილი ოფიცრების მობილიზაცია.

ინგლისელების ბრძანებით საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ 1919 წ. დასაწყისში დენიკინს გადასცა ბოლშევიკების ჯგუფი, რომლებმაც ჩრდილოეთ კავკასიიდან უკან დაიხიეს საქართველოში. იმავე წლის აპრილში კვლავ გადასცეს დენიკინს წითელარმიელთა და საბჭოთა მუშაკების დიდი ჯგუფი, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში მძვინვარე ტერორისაგან თავშესაფარს საქართველოში ეძებდნენ. ამასთან დაკავშირებით რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი მშრომელებისათვის თავის მიმართვაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ მეფის ჯალათის დენიკინისადმი საბჭოთა მუშაკების გადაცემა არის აშკარა დამამტკიცებელი იმისა, რომ საქართველოს „სოციალისტური" მთავრობა ყველაფერში სოლიდარულია რევოლუციის დაუძინებელ მტერთან და მეფის რეჟიმის აღდგენის ყველა თავგამოდებულ მომხრესთან[11].

---

[9] Газ. «Новый мир», 1920, № 77.

[10] ვ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ნარკვევები, წიგნი მეორე (1914—1921 წწ.), ბათუმი, 1962, გვ. 111.

[11] Очерки истории Коммунистической партии Грузии, часть I, (1883—1921 годы), Тбилиси, 1957, გვ. 337.

ე. გეგეჭკორმა „მოხალისეთა არმიის“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დროს 1919 წ. მაისში „ამაყად განაცხადა“, რომ მენშევიკურ საქართველოში თეთრგვარდიულმა ოფიცრობამ „პოვა თავშესაფარი და დაცვა: აქ მათ შეეძლოთ თავისი არსებობის შენარჩუნება და თავის დაცვა იმ თავდასხმებისაგან, რომელსაც მათ მიმართ ადგილი ჰქონდა რუსეთში“[12].

ამ თათბირზე გენ. ბიჩი აფასებდა რა საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამსახურებას ბოლშევიზმთან ბრძოლაში, ამბობდა: „ევროპაში იტყვიან, რომ პატარა საქართველომ ბოლშევიზმთან ბრძოლაში გაიღო მსხვერპლი, შეიდა კავშირში მოხალისეთა არმიასთან და ამით საშუალება მისცა დენიკინს გადაესროლა დიდი ძალები შავიზღვისპირეთიდან ბოლშევიზმის ფრონტზე“[13].

ბათუმით და ფოთით დენიკინს ეგზავნებოდა იარაღი და სხვა საჭიროელი. ინტერვენტები ამიერკავკასიის ბურჟუაზიული მთავრობების დახმარებით აწარმოებდნენ იმ სამხედრო ქონების შეკრებას, რომელიც მეფის რუსეთის დროიდან დარჩა კავკასიაში.

მენშევიკებმა ლოზუნგი „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“ შეცვალეს ლოზუნგით „ყველანი ბოლშევიკების წინააღმდეგ“. ბოლშევიკური ორგანიზაციები კანონს გარეშე გამოაცხადეს, მაგრამ ამის მიუხედავად ბოლშევიკების გავლენა დღითიდღე იზრდებოდა.

მენშევიკები ყოველმხრივ დევნიდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჩამოსულ ბოლშევიკებს. ჩრდილოეთ კავკასიის დენიკინის მიერ დროებით დაკავების შემდეგ შესამჩნევად იმატა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ლტოლვილთა რიცხვმა. ასეთ ვითარებაში საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ჩაკეტა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში გადასასვლელები, ხოლო მათ, ვინც ახერხებდა საქართველოში გადმოსვლას, აპატიმრებდნენ და ციხეში სვამდნენ, ან უკან აბრუნებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში და დენიკინს უგდებდნენ ხელში.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა 1920 წელსაც განაგრძობდა სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციის ქვანახშირით, ნავთპროდუქტებით და საავიაციო მასალებით მომარაგებას.

ჩვენ არ ვიცით არსებობდა თუ არა რაიმე განსაზღვრული ხელშეკრულება სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციასა და მენშევიკურ

---

[12] საქ. ორცსა, ფ. 51, ანაწ. I, საქმე 41, ფ. 25—32.

[13] «Демократическое правительство», Грузии и Английское командование (СБ. документов), Тифлис, 1928, გვ. 59.

საქართველოს შორის. მაგრამ „მოხალისეთა არმიის“ სისტემატური მომარაგება საქართველოს მხრიდან საჭურველით და სხვა მასალებით ძალაუნებურად გაფიქრებინებს, რომ მსგავს ხელშეკრულებას ადგილი უნდა ჰქონოდა.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა ამიერკავკასიის სხვა კონტრრევოლუციურ მთავრობებთან ერთად დახმარებას უწევდა დენიკინს, მიუხედავად იმისა, რომ დენიკინი არ სცნობდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობებს. ეს რესპუბლიკები ალბათ დაკავებული იქნებოდნენ დენიკინის მიერ, რომ ამას წინ არ აღდგომოდა ინგლისი, რომელიც დაინტერესებული იყო რუსეთის დაქუცმაცებითა და მისგან კავკასიის ჩამოშორებით.

უჭერდა რა მხარს დენიკინს მის ბრძოლაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ამავე დროს ეხმარებოდა დაღესტანსა და შავისზღვისპირეთში პარტიზანულ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო დენიკინის წინააღმდეგ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ შეიერთებდნენ ამ რაიონებს და, რაც მთავარია, ქართველ მენშევიკებს სურდათ „ბუფერული“ სახელმწიფოს შექმნა დენიკინსა და საქართველოს შორის, რომელიც დაიცავდა საქართველოს დენიკინის შემოსევისაგან.

აღნიშნულ „ბუფერულ სახელმწიფოს“ შექმნას მენშევიკები ფართო გეგმებს უკავშირებდნენ. თუ წითელი არმია დაამარცხებდა დენიკინს, ეს „ბუფერი“ თავის ამოცანას მაინც შეასრულებდა — საბჭოთა რუსეთს საშუალებას არ მისცემდა საქართველოს უშუალოდ გამეზობლებოდა.

ქართველ მენშევიკებს უფრო შორს მიმავალი გეგმებიც ჰქონდათ: განედევნათ დენიკინელები სოჩის ოლქიდან და შეექმნათ ჯერ შავიზღვისპირეთის რესპუბლიკა, ხოლო შემდეგ გაეფართოვებინათ იგი ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკად, მისი მეშვეობით ჩრდილო კავკასიის ხალხები უნდა გაერთიანებულიყვნენ საქართველოს ირგვლივ[14].

რათა უზრუნველეყოთ ამ „ბუფერული რესპუბლიკის“ (რომელსაც არ ეწერა ჩამოყალიბება) უშიშროება, მენშევიკები ფიქრობდნენ მის ანტანტის პროტექტორატში შეყვანას.

1919 წ. ბოლოს მენშევიკებმა თბილისში შექმნეს ე. წ. КОЧ („Комитет освобождения Черноморья“), რომლის საშუალებითაც ცხოვრებაში უნდა გაეტარებიათ თავისი გეგმა. ამ კომიტეტს სათავეში ედგნენ ესერები და მენშევიკები. ამ კომიტეტმა ამოცანად

---

[14] К. К. Красильникова, Партизанское движение на Кубани и Черноморье (1918—1920 гг.), Исторический очерк, Краснодар, 1957, გვ. 61.

დაისახა პარტიზანული მოძრაობა გამოეყენებინა თავის მიზნებისათვის, მიემართა იგი, ვითომც, მხოლოდ დენიკინის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც სინამდვილეში იგი ცდილობდა ეს მოძრაობა მიემართა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა ვალდებულებას იღებდა იარაღითა და სურსათ-სანოვაგით მოემარაგებინა აღნიშნული კომიტეტი, ხოლო მას საქართველოსათვის უნდა გადაეცა სოჩის ოლქი.

„შავიზღვისპირეთის განთავისუფლების კომიტეტის" ხელმძღვანელები იმედოვნებდნენ ანტანტის მხრიდან მხარდაჭერის მიღებას როგორც დენიკინის, ასევე მისი დამარცხების შემთხვევაში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ[15].

ინგლისელმა იმპერიალისტებმა კატეგორიულად აუკრძალეს ქართველ მენშევიკებს დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლა. ამიტომ საქართველოს მენშევიკებმა ინგლისელთაგან ფარულად შექმნეს აღნიშნული კომიტეტი. ისინი როგორც ინგლისელების, ისე დენიკინის წინაშე უარს აცხადებდნენ КОЧ-თან რაიმე კავშირის არსებობაზე.

ამ წინააღმდეგობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ანტანტასა, დენიკინსა და მენშევიკურ საქართველოს შორის კარგად ისარგებლეს ბოლშევიკებმა, რომლებმაც გააჩაღეს საგიტაციო მუშაობა შავიზღვისპირეთის მოსახლეობაში[16]. ამ მუშაობის შედეგად «КОЧ»-მა რომელიც კულაკობას ეყრდნობოდა, ვერ შესძლო გლეხთა უმრავლესობის ნდობის მოპოვება და ვერ შესძლო მის წინაშე დასმული ამოცანების განხორციელება.

ასე ჩაიშალა საქართველოს მენშევიკების გეგმები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის აბალი კერის შექმნისა.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ასეთივე პოლიტიკის წარმოება მოუხდა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთი რაიონების — ჩეჩნეთ-ინგუშეთის მიმართ.

რათა საშუალება არ მიეცა დენიკინისათვის უშუალოდ დამეზობლებოდა აქ საქართველოს, იგი ხელს უწყობდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილ უზუნ-ჰაჯის „შარიათულ მონარქიას", მის ბრძოლაში დენიკინის წინააღმდეგ.

1919 წელს საქართველოდან უზუნ-ჰაჯისათვის გატანილ იქნა დიდი რაოდენობით საბრძოლო იარაღი. ეს იარაღი ნ. გიკალოს რაზმს ჩა-

---

[15] К. К. Красильникова, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[16] შავიზღვისპირეთსა და სოჩის ოლქში პარტიზანულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა და წარმართავდა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომლის წარმომადგენელი იყო ა. ნაზარეთიანი. И. Б. Шевцов. Особое задание, М., 1965 г. გვ. 18.

უვარდა ხელში. უზუნ-ჰაჯი იძულებული იყო შერიგებოდა ამ ფაქტს, რათა არ დაეკარგა ნდობა მასებში, რომლითაც იგი ჯერ კიდევ სარგებლობდა[17].

ჩრდილოეთ კავკასიელი კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ რა გარკვეული ტაქტიკური მოსაზრებებით, დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებდნენ ისეთ ძალას, როგორიც უზუნ-ჰაჯი იყო და ერთხანს მასთან ერთად გამოდიოდნენ დენიკინის წინააღმდეგ. (როგორც ცნობილია ნ. გიკალოს რაზმი „მე-5 არმიის" ყახელწოდებით შედიოდა უზუნ-ჰაჯის არმიაში). ამასთან ერთად კომუნისტები დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწეოდნენ მოსახლეობაში და განუმარტავდნენ მათ უზუნ-ჰაჯის ნამდვილ მისწრაფებას.

კავშირი, რომელიც დამყარდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობასა და უზუნ-ჰაჯის ემირატს შორის, მიმართული იყო როგორც დენიკინის, ისე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

უზუნ-ჰაჯიმ ბრძოლა გამოაცხადა „ურწმუნო" დენიკინელთა წინააღმდეგ. ამ ლოზუნგს გამოეხმაურა ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანური მოსახლეობა. ჩვენ უზუნ-ჰაჯის რაზმში ვხედავთ როგორც ჩეჩნებს, ასევე ინგუშეთიდან, ყაბარდოდან, ოსეთიდან და დაღესტნიდან ჩამოსულ მეომრებს[18]. სანამ ჩრდილოეთ კავკასიაში თეთრგვარდიელები ბატონობდნენ უზუნ-ჰაჯი კავშირს არ სწყვეტდა ბოლშევიკებთან.

უზუნ-ჰაჯით დაინტერესდნენ იმპერიალისტებიც, რომელთაც სურდათ ჩრდილო კავკასია ჩამოეშორებიათ რუსეთისათვის და შეექმნათ ე. წ. „დამოუკიდებელი" სახელმწიფო.

ქართველი მენშევიკები ცდილობდნენ უზუნ-ჰაჯის საშუალებით შეექმნათ საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის „ბუფერული" სახელმწიფო, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ეხმარებოდა უზუნ-ჰაჯის, როგორც იარაღით, ისე ოფიცრების გაგზავნით. მაგალითად. 1919 წ. 15 სექტემბერს საქართველოდან გაიგზავნა 80 ტყვიამფრქვევი, 2 მილ. ვაზნა, საველე კავშირის მოწყობილობა და სამი ქართველი ოფიცერი[19].

მალე იარაღის ახალ პარტიასთან ერთად გაიგზავნა ოფიცერთა რაზმი 50 კაცის შემადგენლობით, რომელსაც გენ. კერესელიძე მეთაურობდა[20].

---

[17] Абазатов, დასახ. ნაშრომი, გვ. 129,
[18] ЦГАОР, ф. 3411, оп. I, ед. хр. 3, ф. 357.
[19] ЦГАОР, ф. 3411, оп. I, ед. хр. 3,ф. 221.
[20] А. Носов, დასახ. ნაშრომი, გვ. 113—114.

ქართველი მენშევიკები ეხმარებოდნენ უზუნ-ჰაჯის ვიდრე დარწმუნებული იყვნენ მის წარმატებაში, ხოლო როცა ნათელი გახდა მისი დამარცხება, უმალვე ზურგი შეაქციეს.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებდნენ თეთრგვარდიელთა სხვადასხვა მისიები და კომიტეტები, რომლებიც ეწეოდნენ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დაქირავებას და ადგენდნენ თეთრ ნაწილებს, რომლებიც შემდეგ უერთდებოდნენ დენიკინის არმიას. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია იყო ამიერკავკასიის რუსული ნაციონალური საბჭო თბილისში. მას სათავეში კადეტი ლებედევი ედგა. „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სარდლობამ" თბილისში გახსნა ე. წ. «Тифлисский центр» გენ. შატილოვის მეთაურობით. ეს „ცენტრი" სპეციალურად სწავლობდა სამხედრო საკითხებს. დენიკინის არმიაში მობილიზაციას და სხვ. ასეთივე ხასიათისა იყო გენ. ერდელის მისია საქართველოში 1919 წ. იანვარში. თეთრების ნაწილების ფორმირება მიმდინარეობდა ბათუმში. ამ მიზნით აქ იმყოფებოდა დენიკინის სპეციალური წარმომადგენელი — მეფის გენერალი რომანოვსკი-რომანკო.

დენიკინის ოფიციალური და არაოფიციალური აგენტები მრავლად იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ისინი სრულიად თავისუფლად გრძნობდნენ თავს და თავიანთი გაზეთებიც კი გამოსცეს თბილისში[21].

მენშევიკური საქართველოს მთავრობის დახმარებით ხდებოდა არა მარტო რუს თეთრგვარდიელებისაგან, არამედ ადგილობრივი ნაციონალისტური კონტრრევოლუციისაგან სამხედრო ნაწილების ფორმირება[22].

მენშევიკურ საქართველოსა და დენიკინს შორის შუამავლის როლს ასრულებდა გენ. ბარათოვი. იგი 1919 წ. აგვისტოში დაინიშნა დენიკინის წარმომადგენლად საქართველოსა და „მოხალისეთა არმიას" შორის „ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის" დასამყარებლად[23].

საქართველოში გენ. ბარათოვის მისიის მთავარი ამოცანა იყო:

1) ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და „მოხალისეთა არმიას" შორის.
2) სასაზღვრო საკითხის მოგვარება.

---

21 დ. ჯიბლაძე, 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1957, გვ. 73.

22 В. И. Адамия. Из истории английской интервенции в Грузии (1918—1921 гг.) Сухуми, 1961, გვ. 90—91.

23 გ. ხაჭაპურიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბილისი, 1957, გვ. 205.

3) სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსა და „მოხალისეთა არმიას“ შორის.
4) საქართველოში რუსების მდგომარეობის რეგულირება.

1919 წ. სექტემბერში ჩატარებული მოლაპარაკების დროს, მენშევიკური მთავრობა ჰპირდებოდა დენიკინს „მოხალისეთა არმიის“ ზურგში მშვიდობის სრულ გარანტიას და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერას. აგრეთვე პირდებოდა, რომ ენერგიულ ზემოქმედებას მოახდენდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ ხალხებზე, რათა ისინი არ გამოსულიყვნენ „მოხალისეთა არმიის“ წინააღმდეგ[24].

როგორც ცნობილია, მენშევიკური მთავრობის ყოველმხრივი ხელშეწყობისა და მონდომების მიუხედავად გენ. ბარათოვის მისია მარცხით დამთავრდა. იგი საქართველოში შეცვალა ე. ი. ვოსკრესენსკიმ. საქართველოს დენიკინთან დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდა. დენიკინმა არ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. უფრო მეტიც, მან გამოაცხადა საქართველოს ბლოკადა. იგი მოხსნეს 1919 წ. დეკემბერში, როდესაც დენიკინი მარცხს მარცხზე განიცდიდა.

„მოხალისეთა არმიის“ მხრით საქართველოსათვის ბლოკადის გამოცხადება მართლაც „ამაგის არ დაფასება“ იყო გენ. დენიკინისაგან საქართველოს მენშევიკების მიმართ[25].

მართალია საქართველოს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია ანტანტის მეორე ლაშქრობაში, მაგრამ იგი ყოველმხრივ ეხმარებოდა ამ ლაშქრობას. საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასია, ანტანტის ხელში რჩებოდა ყველაზე მნიშვნელოვან ბაზად დენიკინის დასახმარებლად. ასეთ ვითარებაში ე. გეგეჭკორის უარი გ. ჩიჩერინის ნოტაზე დენიკინის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ მეტად ფარისევლურად ეღერს. „ქართველი ხალხი რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე მტკიცედ და თანმიმდევრულად იდგა ამ ბრძოლაში ჩაურევლობის პოზიციაზე“[26].

რასაკვირველია, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობებს გ. ჩიჩერინის ნოტის მიღება არ შეეძლოთ: ეს ნიშნავდა ანტანტასთან კავშირის გაწყვეტას (ანტანტის მხრივ მხარდაჭერას კი ისინი ამ დროს დიდად აფასებდნენ), არც ამ წინადადებაზე პირდაპირ უარის თქმა იყო გამართლებული, რადგან ასეთ შემთხვევაში ისინი გამოააშ-

---

[24] საქ. ორცსა, ფ. 12, საქმე 224, ფ. 143.

[25] მენშევიკების ბატონობის დღენი საქართველოში, მასალები და დოკუმენტები. კრებული შედგენილია გაიოზ დეკანოზიშვილის მიერ, ტფილისი, 1931, გვ. 80.

[26] ციტატა ამოღებულია Я. Шафир, Гражданская война в Росии и меньшевистская Грузия, Тифлис, 1921, გვ. 8.

კარავებდნენ თავის ნამდვილ სახეს მშრომელი მასების წინაშე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მომხრე იყო და მოითხოვდა ერთიანი ფრონტით ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა თეთრგვარდიელებს თვლიდა უმცირეს ბოროტებად ბოლშევიზმთან შედარებით. მათმა ორიენტაციამ ანტანტაზე განაპირობა საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოზიცია სამოქალაქო ომში.

აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობეს საქართველოს მენშევიკური მთავრობის უარი გ. ჩიჩერინის ნოტაზე — 1920 წ. 12 იანვარს.

როგორც ცნობილია, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ხელზე იხვევდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და აცხადებდა, რომ „ვინც ცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენ მასთან დავამყარებთ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას — იქნება ეს ლენინი თუ დენიკინი"-ო[27].

მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვები. მენშევიკურ საქართველოს არ შეეძლო გვერდში ამოდგომოდა რევოლუციას და ებრძოლა დენიკინის წინააღმდეგ. იმ ბრძოლაში, რომელიც გაჩაღდა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის, არავითარ ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. ამდენად ყალბია ქართველი ხალხის ჯალათის ვ. ჯუღელის განცხადება: „ბოლშევიკები ჩვენ გვთავაზობენ სამხედრო კავშირს დენიკინის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ არ ვერევით გრანდიოზული რუსეთის სამოქალაქო ომში. ჩვენ ვართ ნეიტრალური დემოკრატია. ჩვენ წინააღმდეგი ვართ დენიკინისა და ბოლშევიკებთან კავშირისა. ჩვენ არ დაუშვებთ რეაქციას. არ დაუშვებთ არც ანარქიას"[28].

როგორც ვხედავთ, საქართველოს მენშევიკური მთავრობა ოფიციალურ პოზიციად ნეიტრალიტეტს აცხადებდა. მაგრამ თუ როგორი ხასიათისა იყო ეს ე. წ. „ნეიტრალიტეტი" ჩვენ ზემოთ დავინახეთ. და განა შეიძლებოდა არსებულ ვითარებაში ნეიტრალიზმის დაცვა- გატარება? რასაკვირველია არა. არსებობდა მხოლოდ ორი გზა: ან უნდა დამდგარიყვნენ რევოლუციის მხარეზე კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ანდა უნდა აღმოჩენილიყვნენ ანტანტისა და თეთრგვარდიელთა ბანაკში, როგორც მოხდა კიდეც.

მიუხედავად უთანხმოებისა, მენშევიკებს და დენიკინს აერთიანებდა მათი სოციალური ბუნება, რომელიც მიმართული იყო მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიო-

---

[27] გაზ. „ერთობა", 1919, № 126.

[28] В. Д. Джугели, «Тяжелый Крест», Тифлис, 1920, გვ. 180.

დნენ დენიკინი, საქართველოს მენშევიკური მთავრობა და ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ნაციონალისტური ძალები — ე. წ. „მთავრობები“, რომლებიც ერთიანდებოდნენ ჩვენი ვრცელი სამშობლოს ტერიტორიაზე მოქმედ კონტრრევოლუციურ ძალებთან.

ეს ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტი არსებობდა სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე 1918—1920 წლებში.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ პასუხი კითხვაზე — ვის გვერდში ყოფილიყვნენ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, გასცა ნ. ჟორდანიას პირით, რომელმაც 1920 წლის 14 იანვარს დამფუძნებელი კრების პირველი სესიის სამოცდამეცხრამეტე სხდომაზე განაცხადა: „თქვენ იცით, რომ საბჭოთა რუსეთმა ჩვენ შემოგვთავაზა სამხედრო კავშირი. ჩვენ მათ გადაჭრით უარით ვუპასუხეთ ამაზე. თქვენთვის ალბათ ცნობილია ჩვენი პასუხი. რას ნიშნავს ეს კავშირი. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გავწყვიტოთ კავშირი ევროპასთან, როგორც ეს მათ გააკეთეს და მიგვემართა ჩვენი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ, სადაც ისინი ეძებენ ახალ მოკავშირეებს. დასავლეთი თუ აღმოსავლეთი — აი ეს კითხვაა ჩვენს წინაშე დასმული და აქ ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენ მუდამ ვირჩევდით და ვირჩევთ დასავლეთს და თუ ბოლშევიკები აღმოსავლეთს ებღაუჭებიან ეს იმიტომ, რომ დასავლეთმა მათ უარი უთხრა ცნობაზე. როგორც ხედავთ, საქართველოსა და რუსეთის გზები აქაც გაიყარნენ: ჩვენი გზა მიდის ევროპისაკენ, რუსეთის კი — აზიისაკენ. ვიცი, მტრები აყვირდებიან — იმპერიალისტებს ემხრობითო. ამიტომ აქ გადაჭრით უნდა ვთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო“[29].

ნ. ჟორდანიას ამ განცხადებამ დიდი უკმაყოფილება და განგაში გამოიწვია მოსახლეობის ფართო ფენებში. ამ განცხადებას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა თვით დამფუძნებელი კრების წევრებს შორისაც. მაგ. დეპუტატმა გ. ქიქოძემ განაცხადა, რომ: „დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ჩვენ გვცვნეს მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა აიღეს როსტოვი. ამით მე მინდა ვთქვა, რომ რუსეთის რევოლუციამ მოგვცა ჩვენ დამოუკიდებლობა. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ მისცა ნაციონალური დამოუკიდებლობა ესტონეთს, პოლონეთს და რუსეთის ყოფილ სხვა განაპირა რაიონებს. მე დარწმუნებული ვარ, რომ

---

[29] Стенографический отчет учредительного собрания, заседание 79, 14 января 1920 г., зд. 5.

გაემარჯვათ ანტანტის მოკავშირეებს, ჩვენ დავკარგავდით დამოუკიდებლობას"-ო[30].

იმავე გამოსვლაში ნ. ჟორდანია ლაპარაკობდა პოლიტიკის შესახებ და დასძენდა, „ბატონებო, პოლიტიკა განიზომება მისი შედეგებით. საუკეთესოა ის, რომელიც იძლევა საუკეთესო ნაყოფს და ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს მიერ არჩეულ გზს თავიდანვე მივყეევართ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე"[31].

თუ რა ნაყოფი გამოიღო საქართველოს მენშევიკური მთავრობის გამცემლურმა პოლიტიკამ მენშევიკებისათვის, ყველასათვის ნათელია. მათ კრახი განიცადეს და გაიზიარეს დენიკინისა და თეთრგვარდიელების ბედი. რევოლუციამ საქართველოშიც გაიმარჯვა და ბოლო მოუღო ქართველი ხალხის მოღალატეთა — მენშევიკების ბატონობას საქართველოში.

§ 2. საქართველოს მშრომელთა გამოსვლები დენიკინელთა ანანტიურის წინააღმდეგ

1919 წლის დამდეგს ჩრდილოეთ კავკასიის დენიკინელების მიერ დროებით დაკავების შემდეგ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ვლადიკავკაზიდან თბილისში გადმოვიდა. მან ხელში აიღო ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. რათა დაერაზმა ისინი ერთიანი ფრონტით დენიკინელების წინააღმდეგ საბრძოლველად და მოემზადებინა მშრომელი მასების შეიარაღებული აჯანყება.

როგორც ცნობილია, საქართველოს მენშევიკური მთავრობა აშკარად გამოდიოდა დენიკინელთა მოკავშირის როლში და მას ყოველმხრივ დახმარებას უწევდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა სიტყვით თანახმა იყო დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლისა.

საქართველოს ბოლშევიკების წინაშე იდგა ამოცანა ემხილებინა ხალხის წინაშე მენშევიკური მთავრობის მოღალატური, ორპირული პოლიტიკა და დაერაზმა მშრომელი მასები დენიკინის თეთრგვარდიული ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს მენშევიკური მთავრობისა და უცხოური იმპერია-

---

[30] ციტატა ამოღებულია — Н. Махарадзе, Победа Социалистической революции в Грузии, Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора ист. наук, Тбилиси, 1964, გვ. 8.

[31] Стенографический отчет учредительного собрания, Заседание 79, 14 января 1920 г., გვ. 5.

ლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა იმავდროულად ნიშნავდა ბრძოლას დენიკინელების წინააღმდეგ.

1919 წელს იანვარში ელადიკავკაზში მოიწვიეს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო ორგანიზაციების მეორე ყრილობა. ყრილობას ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები ვერ დაესწრნენ ჩრდილო კავკასიაში დენიკინის ბანდების გააქტიურების გამო და იგი ჩრდილო კავკასიის პარტიულ ყრილობად იქცა.

დენიკინისა და ადგილობრივი ნაციონალისტური მთავრობების წინააღმდეგ მასების მობილიზაციის საქმეში დიდი როლი ითამაშა კავკასიის პირველმა საერთო პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც 1919 წ. 7—8 მაისს გაიმართა ბაქოში. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: მ. ცხაკაია, ლ. ლოლობერიძე, ა. მიქოიანი, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ბ. ლომინაძე, გ. სტურუა, ნანეიშვილი, ე. კვანტალიანი, გ. მეკვანაძე, ა. კარაეეი, ი. ანიშკინი, ა. ავისი (ა. ს. ნურიჯანიანი) და სხვ. სულ 45 დელეგატი. მათგან 12 დელეგატი წარმოადგენდა საქართველოსა და თბილისის პარტიულ ორგანიზაციებს[32].

ბაქოს კონფერენციამ განიხილა ფ. მახარაძის[33] საანგარიშო მოხსენება კავკასიის სამხარეო კომიტეტის მუშაობის შესახებ. კონფერენციამ განიხილა აგრეთვე მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების კონტრრევოლუციურ მთავრობათა წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკის საკითხი და შეიმუშავა ღონისძიებანი, თუ როგორ შეეშალათ ხელი დენიკინისათვის, რომელიც ბაქოსკენ მიილტვოდა[34].

მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან, კონფერენცია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პარტიული მუშაობა ამიერკავკასიაში აღმავლობას განიცდის, ფართოვდება და მტკიცდება ბოლშევიკური ორგანიზაციები, რომელთა გარშემო მტკიცედ ირაზმებიან კონტრრევოლუციურ მთავრობათა მიერ მოტყუებული, საბჭოთა ხელისუფლებას მოწყურებული მშრომელი მასები. კონფერენციაზე ამხილეს ის მტკიცე კავშირი, რაც ჰქონდათ მენშევიკებს, დაშნაკებსა და მუსავატელებს დასავლეთის იმპერიალიზმთან. ამ ვითარებაში განსაკუთრებით აუცილებე-

---

[32] ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918—1921 წწ.), წიგნი II, თბილისი, 1961, გვ. 265; კ. ივანიძე, „რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი დენიკინის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა ბრძოლის სათავეში," საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები. შრომების კრებული 14, თბილისი, 1966, გვ. 29—30.

[33] ფ. მახარაძე, 1919 წ. აპრილის ბოლოს ფარულად გადავიდა საზღვარზე და ბაქოში ჩავიდა.

[34] ნ. ბახარაძე, ფ. მახარაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი), თბილისი, 1958, გვ. 83.

ლი იყო რევოლუციურ ძალთა გაერთიანება, მთელი კავკასიის მშრომელი მასების დარაზმვა თეთრგვარდიული არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად. კონფერენციაზე აღიარებულ იქნა, რომ დენიკინის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა ამჟამად კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე უნდა გააჩაღონ სამზადისი შეიარაღებული აჯანყებისათვის, რომელმაც ამიერკავკასია დენიკინის წინააღმდეგ მეორე ფრონტად უნდა გადააქციოს[35].

კონფერენციაზე აირჩიეს სამხარეო კომიტეტი ა. მიქოიანის, მ. ორახელაშვილის, ფ. მახარაძის, გ. სტურუას, ს. ქავთარაძის და სხვ. შემადგენლობით[36], რომელსაც იქვე მიეცა დავალება თავისი რწმუნებანი ჩრდილოეთ კავკასიაზეც გაევრცელებინა (კონფერენციას არ ესწრებოდნენ დელეგატები ჩრდილოეთ კავკასიიდან). კონფერენციის მიერ დასახული ხაზი მოითხოვდა კავკასიის რევოლუციურ ძალთა გაერთიანებას.

დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის მუშებისა და მშრომელი გლეხობის ძალთა გაერთიანება რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ტაქტიკა გახდა.

კონფერენციამ განსაზღვრა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ამოცანები. განსაკუთრებით გაამახვილა მისი ყურადღება ჩრდილოეთ კავკასიელი მშრომელებისათვის დახმარების აღმოჩენაზე მათ მიერ დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლის ფართოდ გაშლის საქმეში. კონფერენციამ კავკასიის სამხარეო კომიტეტის ადგილსამყოფელად განსაზღვრა თბილისი, ბაქოში კი ჩამოყალიბდა სამხარეო კომიტეტის სპეციალური ბიურო[37].

კონფერენციის გადაწყვეტილებებში მითითებული იყო დენიკინის წინააღმდეგ მშრომელთა ერთიან ფრონტად დარაზმვის უდიდესი მნიშვნელობა. დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებს ემსახურებოდა აგრეთვე კონფერენციის გადაწყვეტილება ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანული ბრძოლის ფართოდ გაშლის შესახებ.

ბაქოს კონფერენციის გადაწყვეტილებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები-

---

[35] ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

[36] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 14, ს. 30, გვ. 7.

[37] История гражданской войны в СССР, т. 4, М., 1959, გვ. 320.

სათვის საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წარმართვის საქმეში[38].

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ბაქოს „მუშათა კონფერენციის სახელით“ მიმართა თბილისის მენშევიკურ საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირულ ცენტრს 15 ივნისისათვის თბილისში სასწრაფოდ მოეწვიათ ამიერკავკასიის საბჭოების საგანგებო ყრილობა, რომელიც შექმნიდა ერთიან ფრონტს დენიკინის წინააღმდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, მენშევიკებმა დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთად ჩაშალეს ყრილობის მოწვევის საქმე, რითაც ერთხელ კიდევ ამხილეს თავიანთი თავი, როგორც ხალხის ინტერესების მოღალატეებმა და დენიკინის ფარულმა მოკავშირეებმა[39].

ბაქოს მუშათა კონფერენციამ იკისრა ამიერკავკასიაში ანტიდენიკინური მოძრაობის კოორდინაცია. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ამიერკავკასიის მშრომელებმა.

ბაქოს მუშათა კონფერენციამ ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომისიაში თავის წარმომადგენლებად დანიშნა ა. მიქოიანი, გ. სტურუა, ფ. გუბანოვი და სხვ[40].

საქართველოს მშრომელთა მოსატყუებლად მენშევიკებმა პირველად ფორმალურად მიიღეს ბაქოს პროლეტარიატის წინადადება ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის მოწვევის შესახებ. მაგრამ საქართველოს მენშევიკების მთელმა შემდგომმა საქმიანობამ გვიჩვენა, რომ ისინი ეძებდნენ მხოლოდ მოხერხებულ შემთხვევას, რათა ჩაეშალათ ყრილობა და უარი ეთქვათ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაზე. 26 ივნისს გაიმართა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს სხდომა. აქ მოხსენებებით გამოვიდნენ მენშ. გ. მაჩარაძე და ჭიაბეროვი. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ქართველი მენშევიკები გულწრფელად ესწრაფვიან დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობას, მაგრამ ბოლშევიკები შლიან ამ ბრძოლას, რადგან მათ აქვთ ფარული განზრახვა მოსპონ საქართველოს „დამოუკიდებლობა“ და მისი დამფუძნებელი კრება. მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მენშევიკებს ა. მიქოიანმა და გ. სტურუამ.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მენშევიკურმა თბილისის საბჭომ, რომელსაც უკვე დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა ყოველგვარი

---

[38] Борьба за победу Советской власти в Грузии (документы и материалы 1917—1921 гг.), Тбилиси, 1958, გვ. 555—558.

[39] კ. ივანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[40] История Коммунистической партии Азербайджана (часть первая), Баку 1958, გვ. 331.

გავლენა მუშათა მასებში, მიიღო რეზოლუცია საბჭოების ამიერკავკასიის ყრილობის მოწვევისა და დენიკინის არმიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გაერთიანებული ფრონტის შექმნის წინააღმდეგ[41].

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ, რომელსაც ეშინოდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის შექმნისა, ჩაშალა მუშათა ყრილობის მოწვევა.

მასების დაწოლის შედეგად საქართველოს მენშევიკური მთავრობა იძულებული იყო განეცხადებინა, რომ „სამკედრო-საიცოცხლოდ" იბრძოლებდა დენიკინის წინააღმდეგ, რადგანაც დენიკინი საფრთხეს უქმნიდა საქართველოს „დამოუკიდებლობას", სინამდვილეში იგი სულ სხვა პოლიტიკას ატარებდა[42].

გაზ. „Волна"-მ 1919 წ. მე-12 ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ხელები შორს", სადაც ამხილა ქართველი მენშევიკების მოღალატური საქმიანობა, რომლებმაც ჩაშალეს ამიერკავკასიის მუშათა ყრილობის მოწვევის საქმე და ხელი შეუშალეს დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას.

„...ქართველ მენშევიკებს არ სურთ ამიერკავკასიის მუშათა ყრილობის მოწვევა, მაგრამ ამავე დროს არ შეუძლიათ ამის აშკარად თქმა, რადგანაც ეშინიათ არ დაკარგონ ჰეგემონია საქართველოს პროლეტარიატზე. მათ აწუხებთ ის ამბავი. რომ მუშათა შორის ყველაზე გავლენიანი პარტია არის ბოლშევიკების პარტია.

...თუ ყრილობა არ იქნება მოწვეული და თუ ამიერკავკასიის მუშათა კლასი ამჯერადაც ვერ გამონახავს საერთო ენას, დამნაშავენი იქნებიან ქართველი მენშევიკები. ქართველი მენშევიკები კვლავ გაპყვირიან, რომ ისევ მარტო ვრჩებით რევოლუციის მონაპოვრის გადარჩენისათვის ბრძოლაშიო. მაგრამ არა... თქვენ მარტონი როდი ხართ. თქვენთანაა მოკავშირე იმპერიალისტები და გამორიცხული არაა თქვენი კავშირი დენიკინთან. მაგრამ გახსოვდეთ, რომ ამიერკავკასიის მუშათა კლასი აღრე თუ გვიან მაინც მიაღწევს ყრილობის მოწვევას, თქვენსგან დამოუკიდებლად და „უთქვენოდაც"[43].

როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის მუშათა ყრილობა თბილისში უნდა გამართულიყო. საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ეში-

---

41 გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, თბილისი, 1957, გვ. 233.

42 ЦПА ИМЭЛ при ЦК КПСС, ф. 461, ед. хр. 4228/а, ф. 8.

43 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 12798, ანაწ. 3, საქმე 588, ფ. 33—37.

ნოდა, რომ მუშათა ყრილობა ჩამოაგდებდა მენშევიკების მთავრობას და თვითონ აიღებდა ხელთ ძალაუფლებას, ან მოსთხოვდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას დენიკინისათვის პირდაპირ ომის გამოცხადებას. ეს კი შლიდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ტაქტიკურ გეგმებს. ამიტომ მან ჩამოიბსნა ნიღაბი და გადაჭრით გამოვიდა მუშათა ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის ეს მოღალატური საქმიანობა კარგად განუმარტა საქართველოს მშრომელებს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თავის 1919 წ. 3 ივლისის მიმართვაში[44].

მენშევიკურმა მთავრობამ ინგლისელთა კარნახით დაიწყო მუშათა ორგანიზაციების დარბევა. მათ დახურეს ბოლშევიკური გაზ. „Волна" და „Рабочий", დაიწყო ბოლშევიკების დაპატიმრებანი.

მართალია მენშევიკებმა ჩაშალეს მუშათა ყრილობის მოწვევა მაგრამ ბოლშევიკების მიერ ჩატარებულ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მასების დარაზმვის საქმეში.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა ფართო მასების დასარაზმავად. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შექმნა თავისი ორგანო —ყოველდღიური გაზეთი „ეოლნა", რომლის პირველი ნომერი 1919 წ. 9 ივნისს გამოვიდა. ეს გაზეთი ამხელდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობების საქმიანობას და მოუწოდებდა ამიერკავკასიის მშრომელებს თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე გაზ. „Голос труда"-მ (რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1919 წ. 17 მაისს, ხოლო ბოლო 110-ე 1920 წ. 9 მაისს), რომელიც ამხელდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას. იგი სისტემატურად აწვდიდა მასებს ინფორმაციას წითელი არმიის წარმატებების შესახებ და განუწყვეტლივ ქადაგებდა საბჭოთა ხელისუფლების იდეას[45].

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების ტაქტიკა ამ დროს მდგომარეობდა ბრძოლის ლეგალური ფორმების მაქსიმალურ გამოყენებაში კავკასიის

---

[44] საქარ. ცსია, ფ. 50, ანაწ. I, საქმე 307, გვ. 80—81.

[45] П. К. Цквитария. Очерки по истории революционного движения в Аджарии (1890—1921 гг.). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора истор. наук, Тбилиси, 1964, გვ. 75.

მშრომელი მასების მობილიზაციისათვის, რუსეთის ყველა ხალხების მტრის — დენიკინის წინააღმდეგ ერთიანი ინტერნაციონალური ფრონტის შექმნაში[46].

თბილისში 1919 წ. 28 ივნისს, სახალხო უნივერსიტეტის დარბაზში, ა. მიქოიანმა წაიკითხა ლექცია „დენიკინის საფრთხე და ამიერკავკასიის რესპუბლიკები". (თავმჯდომარეობდა გ. სტურუა). ა. მიქოიანმა საქართველოს მენშევიკური მთავრობა დაახასიათა როგორც ბურჟუაზიული, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს დენიკინთან. მან მოუწოდა მშრომელებს ჩამოეგდოთ საქართველოს მენშევიკური მთავრობა და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება[47].

ამავე დღეებში ა. მიქოიანი გამოვიდა მოხსენებით მეტყველთა კავშირის საერთო კრებაზე დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ა. მიქოიანთან ერთად თბილისში დიდი მუშაობა ჩაატარა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრმა გ. სტურუამ, რომელიც ხშირად გამოდიოდა მუშათა კრებებზე — ამხილებდა მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკას და მოუწოდებდა მშრომელებს დარაზმულიყვნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დენიკინისა და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობების წინააღმდეგ[48].

ბოლშევიკური გაზ. „ეოლნა" მოწინავე სტატიაში წერდა „მხოლოდ ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების მხარდაჭერას და უყოყმანოდ გამოცხადებულ ომს შეუძლია აღგავოს დედამიწის პირიდან დენიკინის საფრთხე. ეს იქნება ჩვენი მუშებისა და გლეხების ისტორიული დამსაბურება წითელი დროშისათვის მებრძოლი პროლეტარიატის წინაშე. დენიკინის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლა — აი ის, რასაც მოითხოვს ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს პროლეტარიატი, აი ის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დენიკინის საფრთხის პარალიზება"[49].

ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტმა, რომელიც ფაქტიურად ხელმძღვანელობდა საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, 1919 წ. 7 ივნისს გამოუშვა სპეციალური მოწოდება საქართველოს მუშებისადმი. მასში გამოაშკარავებული იყო მენშევიკების მოღალატური პოზიცია, რომლებიც ნაცვლად იმისა, რომ მოეწოდებინათ მუშებისა და მთელი მშრომელებისათვის დენიკინთან გა-

---

[46] Москов, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

[47] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 12798, ანაწ. 3, ს. 591, ფ. 1—2. გაზ. „ერთობა", № 143, 1 იელ ს ი, 1919.

[48] რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, გვ. 511.

[49] გაზ. „ეოლნა", 1919 წ., № 1.

დამწყვეტი ბრძოლისაკენ, მასთან და უცხოელ იმპერიალისტებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ.

„ჩვენთვის, — აღნიშნული იყო მიმართვაში, — კომუნისტებისათვის, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრებისათვის დენიკინის მიმართ არავითარი მერყეობა და ეჭვი არ შეიძლება. ჩვენი წმიდათა წმინდა მოვალეობაა ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ასეთია ჩვენი რევოლუციური და პარტიული ვალი რუსეთის ამხანაგების წინაშე, რომლებიც ასე თავდადებით, დაუღალავად, მხოლოდ თავიანთი ძალების იმედით აი უკვე ორი წელიწადია იბრძვიან დენიკინის, კოლჩაკის ბანდებისა და მათი მხარის დამჭერი იაპონია-ამერიკის, ინგლის-საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვ. ჯარების წინააღმდეგ“[50].

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა წამოაყენა შეტევაზე გადმოსული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ამიერკავკასიის მშრომელთა ყველა ძალების გაერთიანების ტაქტიკა.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ტაქტიკა ამ დროს მდგომარეობდა იმაში, რომ ყველაფერი ეღონათ იმისათვის, რათა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობები დაერაზმა დენიკინის წინააღმდეგ, რომ დენიკინის ზურგში გაეხსნათ ფრონტი, რომელიც აიძულებდა დენიკინს ცენტრიდან გადმოესროლა თავისი ძალები. ეს შეასუსტებდა დენიკინს და შეაფერხებდა მის წინსვლას ჩრდილოეთისაკენ.

თუ აღნიშნული ტაქტიკა შედეგს ვერ გამოიღებდა, მაშინ საჭირო იყო მშრომელთა ფართო მასების დარაზმვა დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამისათვის კი საჭირო იყო მათი ნდობის მოპოვება. „მოვიპოვოთ მასების სრული ნდობა, საქმით დავუმტკიცოთ მათ, რომ მხოლოდ კომუნისტები იცავენ მუშებსა და გლეხებს. რომ მხოლოდ ისინი ებრძვიან დენიკინს“[51].

დენიკინის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელთა ბრძოლა შემდეგში უნდა გადაზრდილიყო საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლად. მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ საკუთარი დაადასტურა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ტაქტიკის სისწორე. რაც შეეხება კომუნისტების სტრატეგიულ გეგმას, იგი მდგომარეობდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა და გატარებაში, საქართველოს მენ-

---

[50] მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 3 ს. 230, ფ. 1.

[51] ЦПА ИМЭЛ при ЦК КПСС, ф. 17, оп. 4, д. 14, ф. 43.

შეეიკური მთავრობის დამბობასა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში.

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიუთითა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ იმ რთულ პირობებში, როდესაც გამწვავდა წინააღმდეგობანი ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობებსა და დენიკინს შორის, საჭირო იყო ესარგებლათ ამ უთანხმოებით და ექადაგნათ არა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობათა დამბობა, არამედ, პირიქით, აღეთქვათ მათთვის დახმარება დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი გამოდიოდა იქიდან, რომ მასების ორგანიზება დენიკინის წინააღმედგ ბრძოლაში გააძლიერებდა ამიერკავკასიაში რევოლუციურ მოძრაობას, საშუალებას მისცემდა ბოლშევიკებს უფრო ფართოდ გაეშალათ თავისი მუშაობა მშრომელ მასებს შორის და ფარდა აეხადათ ბურჟუაზიული ნაციონალისტებისათვის. რომლებიც თუმცა სიტყვით აცხადებდნენ, რომ მზად იყვნენ, ებრძოლათ დენიკინის წინააღმდეგ, სინამდვილეში ეშინოდათ მისი, და ბრძოლის ნაცვლად ამჯობინებდნენ მასთან მოლაპარაკების წარმოებას[52].

როგორი ორიენტაცია უნდა მიეღო საქართველოს მენშეეიკურ მთავრობას, ამის შესახებ გაზ. „Волна" 1919 წ. 18 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიაში — „როგორი უნდა იყოს ორიენტაცია" — წერდა: „როდესაც „მოხალისეთა არმია" ამიერკავკასიის კარებს მოადგა, დაისვა საკითხი ორიენტაციის შესახებ. ...კაპიტალისტები და მემამულეები განურჩეველად ნაციონალობისა იღებენ ორიენტაციას დენიკინზე, მთელი მსოფლიო გაყოფილია ორ და მხოლოდ ორ ბანაკად. ერთის მხრივ, ბურჟუაზია-კაპიტალისტები, იმპერიალისტები ცდილობენ ჩააქრონ სოციალისტური რევოლუციის ხანძარი, შეინარჩუნონ თავიანი ბატონობა, თავისი დიქტატურა, ამოეფარონ დემოკრატიის ნიღაბს და ამით მიიმხრონ მერყეევი წვრილი ბურჟუაზია. მეორეს მხრივ, კი რევოლუციური პროლეტარიატი, რომელსაც ხელთ უპყრია რევოლუციის ჩირაღდანი და რომელიც მიისწრაფვის თავისი დიქტატურის დასამყარებლად, ყველა მშრომელთა ხელისუფლების, მუშათა და გლეხთა საბჭოების ხელისუფლების დასამყარებლად.

ამიტომ ამიერკავკასიის პროლეტარიატის და მისი ცალკეული ნაწილების ორიენტაცია უნდა იყოს მეორე ბანაკზე ორიენტაცია, არის და უნდა იყოს საბჭოთა ორიენტაცია, რომ მხოლოდ ეს ორიენტაციაა

---

[52] История гражданской войны в СССР, т. 4, გვ. 325.

რევოლუციური, აქტიური და მხოლოდ მას შეუძლია რევოლუციური ომი დენიკინის წინააღმდეგ"[53].

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის თბილისიდა და განსაკუთრებით ბაქოს ბიუროს ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა პარტიული, ორგანიზაციულ-პოლიტიკური და სამხედრო მუშაობა. მარტო 1919 წ. მაისიდან დეკემბრამდე თბილისსა და ბაქოში ჩატარდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის 7 პლენუმი, კავკასიის საერთო პარტიული კონფერენცია, პარტიის სამხარეო კომიტეტისა და მისი ბიუროების რამდენიმე ათეული სხდომა და თათბირი. ამ პლენუმებსა და სხდომებზე მიიღეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი და შეიმუშავეს სწორი პოლიტიკური ხაზი დენიკინის წინააღმდეგ მშრომელთა დასარაზმავად, ამიერკავკასიის „მთავრობათა" მოღალატური პოლიტიკის სამხილებლად[54].

მიუხედავად მენშევიკების წინააღმდეგობისა თბილისის ყველა საწარმოში ერთსულოვნად იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებიც იწონებდნენ რევოლუციურ ომს დენიკინის წინააღმდეგ. მოითხოვდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაციას და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების გადარჩენებს, როგორც ერთადერთ ორგანოს, რომელსაც უნარი შესწევდა ყველა რევოლუციონერ დემოკრატის თავის ირგვლივ დარაზმვისა.

ასე მაგ., თბილისის თუჯსარსმელი ქარხნის მუშებმა გამოიტანეს დადგენილება იმის შესახებ, რომ მოეთხოვოს საქართველოს მთავრობას დაუყოვნებლივ გამოუცხადოს ომი მეფის გენ. დენიკინის ბანდებს და მათ ხელისშემწყობთ, ვიდრე ისინი საბოლოოდ არ იქნებიან განაღგურებულნი.

ფოთში მშრომელებმა ლექციის წაკითხვის შესაძლებლობა არ მისცეს დამფუძნებელი კრების წევრს იმ მოტივით, რომ არ ვცნობთ არც მენშევიკურ მთავრობას და არც თქვენო. ისინი მოითხოვდნენ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლას[55].

„დენიკინის შემოტევა არის შემოტევა მსოფლიო რეაქციისა, რომელიც ისწრაფვის რევოლუციის ყველა მონაპოვრის განადგურებას, და პირველ რიგში საფრთხეს უქმნის ამიერკავკასიის მუშათა კლასს, ამიტომ საერთო კრება ადგენს: მოვითხოვთ მთავრობისაგან ყოველგვარი მოლაპარაკების შეწყვეტას დენიკინის შავ ბანდებთან, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში პურისმცხობელი მუშები არაფერს დაიშუ-

---

[53] газ. «Волна», 1919 г., 18/VI, № 8.

[54] კ. ი ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—29.

[55] საქ. ორცსა, ფ. 12 с, ს. 36, ფ. 1.

რებენ"[56] — ასეთი რეზოლუცია მიიღეს 1919 წ. 9 ივნისს საერთო კრებაზე თბილისის პურსაცხობების მუშებმა.

თბილისის არსენალის მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელიც მიძღვნილი იყო თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნისადმი, 1919 წ. 6 ივნისს მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება დენიკინის წინსვლის შესახებ... ჩვენ, არსენალის მუშები და მოსამსახურენი ვრჩებით რა სოლიდარული დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის გადაწყვეტილებისადმი, მოვითხოვთ, რათა ეს გადაწყვეტილება გატარდეს გამარჯვების მიღწევამდე. რაც შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი რევოლუციური ფრონტის შექმნის პირობებში რისთვისაც აუცილებელია რკპ(ბ) სრული ლეგალიზაცია, პატიმრობიდან კომუნისტების და პროფკავშირული მოღვაწეების განთავისუფლება, ადგილობრივი დენიკინელი რეაქციონერების დაუყოვნებლივ დაპატიმრება და ადგილობრივ ბურჟუაზიაზე კონტრიბუციის დადება". დენიკინის შავი რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ისინი სრული მხარდაჭერის ფრონტზე გასვლის პირობას იძლეოდნენ[57].

ამიერკავკასიის მშრომელების დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად ერთიან ფრონტად დარაზმვის საქმეში დიდი როლი ითამაშა ბაქოს მუშათა საყოველთაო გაფიცვამ 1919 წლის 13 ივნისს. ამ დღეს ბაქოს მშრომელები გამოვიდნენ ლოზუნგებით „ძირს ინგლისის სარღლობა", „სიკვდილი დენიკინს"[58].

ბაქოს მუშათა საყოველთაო გაფიცვამ გამოხმაურება ჰპოვა ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიაც:

ბათუმის მშრომელთა სახელით პროფესიული კავშირების საბჭო აღფრთოვანებით მიესალმა ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატის გადაწყვეტილებას იარაღით ხელში გამოსულიყო დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად და ყოველმხრივი დახმარების გაწევას აღუთქვამდა ამ ბრძოლაში[59].

საქართველოს მენშევიკური მთავრობა ხშირად აცხადებდა, რომ ვინც ცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას, ჩვენც მასთან დავამყარებთ კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას, იქნება ეს ლენინი თუ დენიკი-

---

[56] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 3, ს. 23, ფ. 185, газ. «Волна», 1919, 11 ივნისი, № 2.

[57] Газ. «Волна», 1919, 14/VI, № 5.

[58] ხოლო მანამდე, მაისის თვეში, ბაქოში ვამარჯულ მუშათა გაფიცვებს ხელმძღვანელობდა ფ. მახარაძე, რომელიც სათავეში ედგა საგაფიცვო კომიტეტს.

[59] История Азербайджана, т. 3, часть первая, Баку, 1963, გვ. 197.

ნიო[60]. ამის პასუხად 1919 წ. 21 ივნისს გაზ. „Волна"-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ლენინი თუ დენიკინი", სადაც ნათქვამი იყო, რომ: „არსებობს ორი გზა—მარჯვნივ და მარცხნივ. შუა გზა არ არსებობს... გზა მარჯვნივ — ეს არის დენიკინის გზა, შავი რეაქციის გზა, გზა გაბატონებისა და დამონებისა. გზა მარცხნივ — ეს ლენინის გზაა. ესაა გზა როგორც შინაგანი ისე გარეშე კონტრრევოლუციასთან ბრძოლისა, გზა მე-3 ინტერნაციონალისა, რომელიც ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მოუწოდებს „უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისაკენ" მონობის მოსპობისა და სოციალისტური წყობის დამყარებისათვის.

...რა გზას დაადგება მუშურ-გლეხური საქართველო? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუშათა და გლეხთა ინტერესებმა უნდა უკარნახოს მას გზა მარცხნივ: ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის გადაჭრაში დაყოვნება არ შეიძლება"[61]. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ხალხს დაუმალა და პრესაში არ გამოაქვეყნა რსფსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწოდება აზერბაიჯანის, დაღესტნისა და საქართველოს მშრომელებისადმი დენიკინელთა შემოტევის გამო.

მოწოდებაში, რომელსაც ხელს აწერდა გ. ჩიჩერინი განმარტებული იყო, თუ როგორი საფრთხე ემუქრება რუსეთის ხალხებს დენიკინის გამარჯვების შემთხვევაში. მოწოდებაში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საბჭოთა რუსეთი მტკიცედ დგას ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპზე, მან ავტონომია მიანიჭა ბაშკირებს, ყირგიზებს და სხვა ეროვნებებს, რომ საბჭოთა რუსეთი გამოთქვამს მტკიცე იმედს, რომ დაღესტნის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მუშები და გლეხები არ დაანებებენ მეფის გენერალს, ინგლისის ჯალათს დენიკინს ფეხქვეშ გათელოს მათი თავისუფლება[62].

ვ. ი. ლენინი თავის გამოსვლაში სრულიად რუსეთის ცაკ-ის VII მოწვევის სესიაზე მთავრობის მუშაობის შესახებ ამბობდა (1920 წ. 2, II-ს): „საქართველოსა და აზერბაიჯანს წინადადება მივეცით დაედოთ შეთანხმება დენიკინის წინააღმდეგ. მათ უარი სთქვეს და ის მოიმიზეზეს, რომ ისინი სხვა სახელმწიფოების საქმეებში არ ერევიან. ჩვენ დავინახავთ, როგორ შეხედავენ ამას საქართველოსა და აზერბაიჯანის მუშები და გლეხები"[63].

---

[60] გაზ. „ერთობა", № 126, 1919; საქართველოს მენშევიკური მთავრობის ოფიციოზი გაზ. „ერთობა" ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე (1918 წ. 26 მაისი) 1918 წ. 7 აპრილს წერდა „რადგანაც ჩვენ პატარა ერს წარმოვადგენთ და დამოუკიდებლად არსებობა არ შეგვიძლია, ჩვენთვის მოკავშირეა საჭირო"-ო.

[61] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 12798, ანაწ. 3, ს. 588, ფ. 16—19.

[62] საქ. ორცსა ,ფ. 11, ს. 307, ფ. 65—69.

[63] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 388.

მიუხედავად მენშევიკური მთავრობის დევნისა და რეპრესიებისა, საქართველოს ყველა საწარმოების კრებებზე მუშები იღებდნენ გადაწყვეტილებას ებრძოლათ ერთიანი ძალით დენიკინის მხრიდან კარზე მომდგარი საშიშროების წინააღმდეგ. ბოლშევიკების მოწოდებებს — ებრძოლათ დენიკინის წინააღმდეგ — ფართოდ გამოეხმაურნენ ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის, სოხუმის და საქართველოს სხვა ქალაქების მუშები.

საქართველოს მენშევიკური მთავრობისა და ინტერვენტების დროს საქართველოს მშრომელთა მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. მენშევიკური საქართველო განიცდიდა ეკონომიურ კრიზისს, უფრო მეტიც, სახალხო მეურნეობის ანარქიასა და ნგრევას, რაც გამოწვეული იყო რუსეთის ბაზრისაგან მოწყვეტით. წარმოების შემცირებასთან ერთად იზრდებოდა უმუშევართა რიცხვი, მცირდებოდა საქონელბრუნვა, ადგილი ჰქონდა ფულის გაუფასურებას, სპეკულაციას. ეცემოდა რეალური ხელფასი. ცხოვრების დონე ისე დაეცა, რომ მუშებს აღარ შეეძლოთ საკუთარი ოჯახის შენახვა.

მენშევიკების ბატონობის დროს მიწის ძირითადი ნაწილი მაინც რჩებოდა მემამულეების, კულაკებისა და ეკლესიის ხელთ. ამის გამო გლეხთა მდგომარეობა კვლავ მძიმე რჩებოდა. საქმე იმაშია, რომ მენშევიკების მიერ ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმამ კულაკობის გაძლიერება გამოიწვია, ხოლო ღარიბი და საშუალო გლეხი იძულებული იყო მემამულეებისა და კულაკებისაგან იჯარით აეღო მიწა და კვლავ ჩავარდნილიყო მძიმე კაბალაში[64].

ამ საფუძველზე გაიშალა გლეხთა ბრძოლა. გლეხთა მოძრაობას საქართველოში 1918 წელს არაორგანიზებული და სტიქიური ხასიათი ჰქონდა. სრულიად სხვა სურათს წარმოადგენს 1919 წლის გლეხთა აჯანყებები. ყველა ეს აჯანყება, — ფ. მახარაძის სიტყვებით, — ავად თუ კარგად, მოწყობილი იყო წინდაწინ გამომუშავებული გეგმის შესაბამისად, მაგრამ, როგორც 1918 წლის ისე 1919 წლის აჯანყებები ერთსა და იმავე ნიადაგზე იყვნენ აღმოცენებული. ეს იყო უკმაყოფილება მენშევიკური ხელისუფლებისადმი და შეიარაღებული ბრძოლა ამ ხელისუფლების დასანგრევად[65].

ამ დროს მკვეთრად ამაღლდა მშრომელ მასებში ბოლშევიკების გავლენა, რომლებიც დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდნენ მასებში

---

[64] А. Б. Кадишев, Интервенция и гражданская война в Закавказье, М., 1960, გვ. 191.

[65] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში. 1917—1921 წწ., თბილისი, 1927, გვ. 147.

და სულ უფრო და უფრო იმტკიცებდნენ თავიანთ პოზიციებს პროფკავშირებში. მიუხედავად რეპრესიებისა, რასაც საქართველოს მენშევიკური მთავრობა მიმართავდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი, მათი რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა და მტკიცდებოდა.

მუშებს შორის რომ ბოლშევიკური განწყობილება იყო, ამას თვით ნ. ჟორდანიაც არ მალავდა. 1919 წ. 15 თებერვალს სეიმის სხდომაზე მან განაცხადა: „შემდეგი ძირითადი საკითხი — საკითხი საკმაოდ რთული, — ესაა მუშათა საკითხი. მე ვამბობ რთული იმიტომ, რომ ამ საკითხის გადაჭრა ეხება არა მარტო მუშას, არამედ მრეწველობასაც და უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში მუშათა კლასს შორის განწყობილება ბოლშევიკურია, მენშევიკური მუშებიც კი დაავადებული არიან ბოლშევიზმით"[66].

თუ თავის ბატონობის პირველ თვეებში საქართველოს მენშევიკური მთავრობა ახერხებდა მშრომელი მასების მოტყუებას, რომ თითქოს ისინი იბრძვიან ნაციონალური განთავისუფლებისათვის, ახლა საქართველოს მშრომელები უკვე ხედებოდნენ, რომ მხოლოდ რევოლუციურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეეძლო მათთვის ნამდვილი თავისუფლების მოტანა. თბილისში ამ დროს მოღვაწეობდნენ კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი — ს. ქავთარაძე, ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, მ. ცხაკაია და სხვები. თბილისის გარდა ძლიერი პარტიული ორგანიზაციები შეიქმნა საქართველოს სხვა ქალაქებში — ბათუმში, სოხუმში, ფოთში და სხვ.[67].

მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, საქართველოში კომუნისტების რიცხვი იზრდებოდა. 4—5 თვის განმავლობაში მთელი საქართველო დაიფარა კომუნისტური ორგანიზაციების უჯრედების ქსელით. მაშინ როდესაც მცირდებოდა მენშევიკური პარტიის წევრთა რიცხვი (მასში 10 ათასი წევრიდან, რომელიც იყო 1918 წ., 1919 წლისათვის დარჩა 7 ათასი), კომუნისტების რიცხვი იზრდებოდა[68].

1919 წლის 3 ივნისს ს. კიროვი ვ. ი. ლენინს წერდა, რომ საქართველოს ბოლშევიკთა რიგებში არის 4 ათასამდე მუშა და გლეხი, ხალხის მასებში სწრაფად იზრდებოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი თანაგრძნობა[69].

---

[66] ციტატა ამოღებულია ს. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ი ს ნაშრომიდან — «Противоречия меньшевизма». ხელნაწერი ინახება მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში, ფ. 12798, ანაწ. 3, ს. 819, ფ. 312.

[67] История гражданской войны в СССР, т. 4, დასახ. ნაშრომი, გვ. 322.

[68] გ. ხ ა ჯ ა პ ო რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 234.

[69] С. М. К и р о в, Избранные статьи и речи (1912—1934 гг), М., Госиздат, 1957, გვ. 42.

მენშევიკების მხრივ პარტიული ორგანიზაციები სასტიკ დევნას განიცდიდნენ. ბევრი კომუნისტი დააპატიმრეს. ამის გამო პარტიული ორგანიზაციები შესუსტდნენ, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მისცემიან. „პირიქით, — ამბობდა ფილიპე მახარაძე, — ყველაზე მედგარი და საბრძოლო განწყობილება ჰქონდა“[70], დაიწყო პარტიული ორგანიზაციების აღდგენა, ახალი ორგანიზაციების შექმნა.

მენშევიკებმა ჩაატარეს ბოლშევიკების ახალი მასობრივი დატუსაღება, არბევდნენ რევოლუციურ ორგანიზაციებს. ციხეები აივსო დაპატიმრებული რევოლუციონერებით. ბოლშევიკების გაზ. „Рабочий“ წერდა: „აშკარა გამცემლებმა (მენშევიკებმა), ლოზუნგი „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ“ შეცვალეს ლოზუნგით „ყველანი ბოლშევიკების წინააღმდეგ“[71]. ბოლშევიკური ორგანიზაციები კანონს გარეშე გამოაცხადეს. დახურეს ბოლშევიკური გაზეთები.

1919 წ. სექტემბერში, როდესაც მოხდა თავდასხმა გენ. ბარათოვზე[72], რეპრესიებმა მიიღეს განსაკუთრებით მწვავე ხასიათი. მარტო ერთი დღის განმავლობაში თბილისში დააპატიმრეს 500-მდე კაცი, რომლებიც ეჭვმიტანილნი იყვნენ ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობაში. დაპატიმრებულთა უმრავლესობა მენშევიკებმა ჩრდილოეთ კავკასიაში

---

[70] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 85, (ფ. მახარაძის ფონდი), საქმე 448.

[71] Газ. «Рабочий», 1919, № 1.

[72] გენ. ბარათოვი, დენიკინის რწმუნებული საქართველოში, მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დენიკინის თეთრგვარდიული ბანდებისათვის დახმარების შესახებ. ბარათოვის მისიის მუშაობა ხელს უწყობდა დენიკინს წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გადაწყდა ბარათოვის თავიდან მოშორება. ეს მისია შეასრულა ა. ელბაქიძემ (მასთან ერთად ბარათოვზე თავდასხმაში მონაწილეობდა პ. მარდალეიშვილი, რისთვისაც იგი მენშევიკებმა დააპატიმრეს და 1921 წ. 10 მარტს წამებით მოკლეს), რომელმაც 1919 წ. 13 სექტემბერს უემბარა ესროლა ვერის დაღმართზე ეტლით მიმავალ ბარათოვს და მძიმედ დაჭრა იგი. თვითონ ა. ელბაქიძე კი დაიღუპა.

ა. ელბაქიძის მიერ მოწყობილმა რევოლუციურმა აქტმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს საქართველოში. რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ა. ელბაქიძის დაღუპვასთან დაკავშირებით 1919 წ. 27 სექტემბერს გამოსცა სპეციალური პროკლამაცია, სადაც აღნიშნული იყო მისი დამსახურება პარტიისა და ხალხის წინაშე. „...ამხანაგო არკადი, — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — შენ პატიოსნად და კეთილშობილურად ემსახურებოდი ხალხის საქმეს. მას შესწირე სიცოცხლე. შენი სახელი არ მოკვდება, ისტორია შეინახავს შენს სახელს. მშვიდად იძინე ამხანაგო! დარწმუნებული იყავი, რომ აჯანყებული ხალხი თავის გამარჯვების დღეს ინახულებს შენს საფლავს, დაიჩოქებს და გაცნობებს შენსა და თავის გამარჯვებას მტერზე, მშრომელთა მასების ჯალათზე და ეს მალე იქნება“. — იხ. საქ. ორცსა, ფ. 321, ს. 3, ფ. 76—77.

გააგზავნეს, რომელიც ამ დროს დენიკინის ხელთ იყო. მათი უმრავლესობა ხელთ ჩაუვარდა დენიკინს და დახვრიტეს[73].

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ ყველა თეალსაჩინო ბოლშევიკი დაპატიმრების ადგილამდე არ მიეყვანათ და დაეხვრიტათ გზაში „გაქცევის ცდისათვის". ეს ამბავი მივიდა კავკასიის სამხარეო კომიტეტის ყურამდე. მათ გააფრთხილეს მენშევიკები, რომ ყოველი კომუნისტის მოკვლა განხილული იქნებოდა როგორც თვითრი ტერორი და „ჩვენს მხრივ თავდაცვის მიზნით გამოიწვევს შესაფერის პასუხს"-ო[74].

საბჭოთა რუსეთი საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ნოტაში წინადადებას აძლევდა ნ. ჟორდანიას მთავრობას დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა ყველა კომუნისტი, რომლებიც საქართველოს ციხეებში იყვნენ და შეეწყვიტათ ბოლშევიკების დახვრეტა. საბჭოთა მთავრობამ, თავის მხრივ, რათა დაზღვეული ყოფილიყო რომ მენშევიკები შეასრულებდნენ ამ წინადადებას, დააპატიმრეს საბჭოთა რუსეთში საქართველოს „დამოუკიდებელი" რესპუბლიკის მისიისა და საკონსულოს ყველა თანამშრომელი. ნ. ჟორდანია უარყოფდა დაჭერებს და იმ მხეცობას, რასაც ისინი ჩადიოდნენ კომუნისტების მიმართ[75]. მაგრამ არავითარ ტერორს არ შეეძლო შეეჩერებინა ბოლშევიკების საქმიანობა. კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით იქმნებოდნენ აჯანყებულთა რაზმები, რომლებიც იგზავნებოდნენ დენიკინის ზურგში საბრძოლველად. სამხარეო კომიტეტმა გაგზავნა თავისი წევრები ჩრდილო კავკასიაში აჯანყებულთა მოძრაობის სახელმძღვანელოდ.

1919 წლის სექტემბერში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია, სადაც ნათქვამი იყო: „...ჩვენ უკვე დიდი ხანია ელაპარაკობდით და ვამტკიცებდით, რომ საქართველოს მენშევიკები, განსაკუთრებით მისი ბელადები, მხოლოდ სიტყვით არიან დენიკინის წინააღმდეგ, სინამდვილეში მათ შორის არსებობს სრული თანხმობა. ახლა ბარათოვზე თავდასხმის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად იცვლება. მენშევიკები გადაჭრით უკუაგდებენ ლაპარაკს რევოლუციის შესახებ და შედიან მჭიდრო კავშირში დენიკინის აგენტებთან. და ბოლოს, ეს ვაჟბატონები დღემდე ატყუებენ ხალხს, გამოამეღავნეს თა-

---

[73] Г. Жвания, Большевики Закавказья в борьбе за Ленинские идеи дружбы народов, Тбилиси, 1963, გვ. 88.

[74] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 3, საქმე 246.

[75] იქვე, ფ. 3, საქმე 236.

ვისი ნამდვილი სახე. მაგრამ რაც უფრო აშკარა ხდება მათი კავშირი დენიკინთან, მით უფრო მრისხანე ხდებიან ისინი მუშათა და გლეხთა პარტიის — კომუნისტების — ბოლშევიკების — პარტიის მიმართ. ეს გასაგებია. მენშევიკების წინაშე იდგა დილემა: ან ბოლშევიზმი ან დენიკინი. მესამე გზა არ იყო. მათ აირჩიეს დენიკინი"[76].

საქართველოს მენშევიკების პოზიციების კლასიკური დახასიათება მოცემულია ვ. ი. ლენინის მიერ. იგი წერდა, რომ მენშევიკები „ეს ის ხალხია, რომელსაც ცხვირი ქარისაკენ აქვს აწეული. როდესაც ჩვენ საერთაშორისო თვალსაზრისით სუსტნი ვიყავით, ისინი ყვიროდნენ: „ძირს ბოლშევიკები". როდესაც ჩვენ გაძლიერება დავიწყეთ, ისინი ყვიროდნენ: „ჩვენ ნეიტრალურნი ვართო". როდესაც მტრები მოვიგერიეთ, ისინი ამბობდნენ: „დიახ აქ ორი ძალაა"[77].

საქართველოს მშრომელები აქტიურად გამოეხმაურნენ ვ. ი. ლენინის მოწოდებას — „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ", კავკასიის სამხარეო კომიტეტის სათანადო მოწოდებებს. საქართველოს ქალაქებში ფართოდ გაიშალა მუშათა საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც მიმდინარეობდა მენშევიკური მთავრობისა და დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ბათუმის მშრომელთა რევოლუციური საქმიანობა.

ამ პერიოდში ბათუმის მნიშვნელობა განუზომლად დიდი იყო. იგი წარმოადგენდა ბაზას, საიდანაც თეთრგვარდიელები იღებდნენ იარაღს და საჭურველს, ნავთსა და სურსათს. ამიტომ ბოლშევიკები, რომლებიც მუშაობდნენ ბათუმის ოლქში. თავის უპირველეს ამოცანად თვლიდნენ ყოველმხრივ შეეშალათ ხელი ამისათვის და დაესუსტებინათ თეთრგვარდიელთა ზურგი.

აჭარის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღა დენიკინელთა წინააღმდეგ. ბათუმსა და ბათუმის ოლქის სოფლებში ხშირად იმართებოდა მასობრივი კრებები, ყრილობები და დემონსტრაციები, რომლებზეც ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები და მოწინავე ინტელიგენტები ოკუპანტებისა და დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

ერთი ასეთი მიტინგი გაიმართა 1919 წ. 1 ივლისს ქობულეთში. კორესპონდენტის თქმით, ეს იყო ქართველ მაჰმადიანთა ყრილობა, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. ყრილობამ მიიღო დადგენილება

---

[76] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 3, საქმე 249.

[77] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 555.

დენიკინისა და მისი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ[78].

როცა საოკუპაციო ხელისუფლებამ დენიკინელთა დახმარებით მოსახლეობის საპროტესტო მოძრაობას თეთრი ტერორი დაუპირისპირა, აჭარის მშრომელებმა 1919 წელს 28 ივნისს ბათუმში მოკლეს დენიკინის წარმომადგენელი გენ. ნათიევი და მისი ადიუტანტი ფილიპოვი[79].

ბათუმის პარტიულმა ორგანიზაციამ ნ. ლაკობას მისცა მთელი რიგი დავალებანი. ერთი ასეთთაგანი იყო ქობულეთის რკინიგზის ხიდის აფეთქება, რომელიც მან პირნათლად შეასრულა. ბათუმში მძვინვარებდა თეთრი ტერორი. ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი ჯალათი იყო გენ. ლიახოვი. პარტიის მითითებით იგი მოკლეს. ამ ოპერაციის ხელმძღვანელთა შორის იყო ნ. ლაკობა[80].

სოხუმის მშრომელებმა 1919 წლის 22 ივნისს პროფკავშირების კრებაზე ბოლშევიკების წინადადებით მიიღეს რეზოლუცია დენიკინის წინააღმდეგ ამიერკავკასიის მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნისა და მასში მონაწილეობის შესახებ. ეს რეზოლუცია მოითხოვდა აგრეთვე დაპატიმრებულ კომუნისტთა განთავისუფლებას[81].

1919 წლის დასაწყისში არჩეულმა რკპ(ბ) თბილისის კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ დიდი მუშაობა გააჩაღა თბილისის პროლეტარიატის დასარაზმავად დენიკინის წინააღმდეგ. ბოლშევიკები დიდ საგიტაციო მუშაობას ეწეოდნენ მენშევიკების ჯარის ნაწილებში.

საქართველოს ბოლშევიკების მოღვაწეობა მენშევიკურ არმიასა და „სახალხო გვარდიაში“ წარმოადგენს მათი ბრძოლის ერთ-ერთ სასახელო ფურცელს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში.

აჯანყებულთა ნაწილების ორგანიზაცია, მათი შეიარაღება, მენშევიკების ჯარის ნაწილებსა და „სახალხო გვარდიაში“ პარტიული ორგანიზაციების შექმნა, ბოლშევიკური პროპაგანდა ჯარისკაცთა შორის, ბრძოლა მათი გადასვლისათვის რევოლუციის მხარეზე — ყველა ეს მუშაობა მიმდინარეობდა უაღრესად რთულ პირობებში და მოითხოვდა ნამდვილ გმირობასა და თავდადებას.

მენშევიკები ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ბოლშევიზმი არ

---

78 გაზ. „ერთობა“, 1919, 11 ივლისი, № 152.

79 გაზ. „ერთობა“, 1919, 1 ივლისი, № 143.

80 М. Б г а ж б а, Нестор Лакоба, Тбилиси, 1965, გვ. 31.

81 Борьба за Советскую власть в Абхазии. Сборник документов и материалов. 1917—1921 гг., Сухуми, 1957, გვ. XX.

შეპრილიყო მათ არმიასა და „გვარდიაში“. მათ „სპეციალური რაზმიც“ კი შექმნეს ბოლშევიკებთან ანგარიშის გასასწორებლად. კომუნისტები, რომლებიც მოქმედებდნენ მტრის ზურგში, მუდმივად სასიკვდილო საფრთხის წინაშე იდგნენ[82].

ეროვნულ პოლკებში, რომლებსაც მენშევიკები სთვლიდნენ უფრო სანდოდ, უკვე 1918 წ. დასაწყისში შეიმჩნეოდა ბოლშევიკების გავლენა. მენშევიკურ არმიასა და „სახალხო გვარდიის“ ჯარისკაცთა შორის რევოლუციურ პროპაგანდაში მრავალრიცხოვანი ფურცლებისა და პროკლამაციებთან ერთად ფართოდ გამოიყენებოდა ბოლშევიკური ლეგალური და არალეგალური გაზეთები — „ჩვენი ბრძოლა“, „კომუნისტი“, „ეოლსა“, „რაბოჩი“, „ახალგაზრდა პროლეტარი“ (საქართველოს კომკავშირის ც.კ-ას ორგანო) და სხვ.

დენიკინის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხების ერთიანი ფრონტის შექმნისათვის ბრძოლის დღეებში რევოლუციური ჯარისკაცები აქტიურად უპერდნენ მხარს ბოლშევიკებს, ამხელდნენ რა მენშევიკებს, რომლებიც ცდილობდნენ მოლაპარაკების წარმოებას დენიკინთან[83].

დიდ მუშაობას ეწეოდნენ ბოლშევიკები ხალხთა შორის მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების პროპაგანდის საქმეში. განუმარტავდნენ რა მასებს ყველა ეროვნების მშრომელთა — რუსების, ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების, ოსების, აფხაზებისა და სხვ. ინტერესთა ერთიანობას.

ეროვნულ პოლკებში იქმნებოდა ბოლშევიკური არალეგალური უჯრედები, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ ჯარისკაცების დასარაზმავად მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდი წარმატება ჰქონდა ბოლშევიკურ პროკლამაციებს, რომლებსაც ბეჭდავდნენ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და რკპ(ბ) თბილისის კომიტეტი. პროკლამაციები ბოლშევიკი აგიტატორებისა და ჯარისკაცთა აქტივის მეშვეობით ფართოდ ერცელდებოდა ჯარისკაცთა შორის. ისინი ხელიდან ხელში გადადიოდა. ჯარისკაცებისადმი მიმართული პროკლამაციები ერცელდებოდა საქართველოს ყველა რაიონში, სადაც კი

---

[82] მენშევიკურმა მთავრობამ, ცდილობდა რა, რომ „სახალხო გვარდიის“ სახით ჰყოლოდა საიმედო საყრდენი, შეუქმნა მათ პრივილეგირებული პირობები ჯამაგირისა დასურსათით მომარაგების სახით. „მენშევიკური არმია მთავრობის საწინააღმდეგოდაა განწყობილი, ამიტომ მთავრობა ცდილობს დაშალოს იგი, მაგრამ ის არ იშლებაო“—წერდა ვ. ნანეიშვილი ს. მ. კიროვს 1919 წ. 20 ოქტომბერს ამიერკავკასიის მდგომარეობის შესახებ. იხ. Архив Дагфилиала ИМЛ при ЦК КПСС, г. Махачкала, Ф. 8, оп. I, дело II, л. 75—76.

[83] А. Агладзе, М. Траскунов, Имена безвестных героев, ж. Литературная Грузия, № 2, 1967, გვ. 60.

სამხედრო ნაწილები იდგნენ: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში და სხვ.[84].

„ნაციონალურ ნაწილებზე იმედის დამყარება აღარ შეიძლება. როგორც კი ჯარისკაცები მიიღებენ იარაღს, ისინი დაუყოვნებლივ მიმართავენ მას ჩვენს წინააღმდეგ" — წერდა თბილისის საგუბერნიო კომისარი ჯაფარიძე ჯერ კიდევ 1918 წელს[85].

შემდეგ წლებში მენშევიკური ჯარის ნაწილებში რევოლუციური განწყობილება კიდევ უფრო იზრდება.

„მუშათა კლასს შორის განწყობილება ბოლშევიკურია, — აღნიშნავდა ნ. ჟორდანია, — მენშევიკი მუშებიც კი დაავადებულნი არიან ბოლშევიზმით. პირველი ნაციონალური ქართული პოლკები გაჟღენთილია ასეთივე განწყობილებით. დემობილიზებული ჯარისკაცები სოფლად აერცელებენ ბოლშევიზმის ჭირს"-ო[86].

მენშევიკებმა დაიწყეს მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა. მათ „სახალხო გვარდიელებს" შეუქმნეს განსაკუთრებული პირობები. ამან არა თუ არ უშველა მენშევიკებს, არამედ, პირიქით, გამოიწვია ჯარისკაცთა შორის უკმაყოფილება.

მენშევიკური არმიის ნაწილებში გაჩნდა იატაკქვეშა ბოლშევიკური ორგანიზაციები. თუ რამდენად ფართოდ იყო გაშლილი მენშევიკური ჯარის ნაწილებში ბოლშევიკების მუშაობა, ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 1919 წ. აგვისტო-სექტემბერში თითქმის ყველა მსხვილ სამხედრო ნაწილში და მენშევიკური „სახალხო გვარდიის" ზოგიერთ ნაწილებშიც კი ორგანიზებულ იქნენ კომუნისტური უჯრედები[87].

გაბშირდა შემთხვევები, როდესაც ჯარისკაცები უარს ამბობდნენ შეესრულებიან მენშევიკური მთავრობის დავალებანი. დეზერტირობამ მენშევიკური არმიიდან მასიური ხასიათი მიიღო. ადგილი ჰქონდა მღელვარებას ქუთაისის, გორის, თელავის, ბაღდადის, ლაგოდეხის, სოხუმის და სხვა გარნიზონების ჯარის ნაწილებში.

ფოთის გარნიზონმა, რომელიც ბოლშევიკების გავლენის ქვეშ იყო, მიიღო ასეთი რეზოლუცია: „ჩვენ, ფოთის გარნიზონის ჯარისკაცები ჩვენის მხრივ ვიძლევით ფიცს, რომ ყველანი ერთად გამოვალთ ფრონტზე და ვიბრძოლებთ კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ მათ სრულ დამარცხებამდე"[88].

---

[84] ა. სურგულაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 260.
[85] საქ. ორცსა, ფ. 28, საქმე 67, ფ. 9.
[86] Ж. «Пролетарская революция», № 8 (20), 1923, გვ. 134.
[87] История гражданской войны в СССР, т. 4, გვ. 327.
[88] Газ. «Волна», 1919, № 3.

ერთ-ერთ მიტინგზე ფოთელმა ჯარისკაცებმა აიგლიჯეს მენშევიკური სამხრეები. გენერალ-მაიორი არტემიძე სამხედრო მინისტრისადმი საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა — „ქალაქ ფოთში მესამე რაზმში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: ჯარისკაცებმა ბოლშევიკურად განწყობილ პირთა გავლენით მოაწყვეს კრება და დაადგინეს მოიხსნან სამხრეები იმ მიზეზით, რომ ასეთ სამხრეებს ატარებენ თვით დენიკინელებიც კი“[89].

კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ეწეოდნენ დიდ მუშაობას ინგლისელ ჯარისკაცთა შორისაც, განუმარტავდნენ რა მათ ინგლისის მხედრიონის სამარცხვინო როლს. ამ მუშაობამ დადებითი შედეგი გამოიღო.

ბოლშევიკი გაბინსკი პარტიის ცკ-ს ბათუმიდან წერდა, რომ ინგლისელი ჯარისკაცები ბოლშევიკებს უკეთ ეპყრობიან, ვიდრე დენიკინელებს. ენის უცოდინარობის პირობებში ისინი აგრძნობინებდნენ, რომ, მათი აზრით, ბოლშევიკი კარგია, ხოლო დენიკინელებს უნდა ესროლო[90].

ბოლშევიკური იდეების გავრცელება ინგლისის ჯარის ნაწილებში, რომლებიც საქართველოში იყვნენ განლაგებული, ნაწილი იყო იმ დიდი ანალოგიური პროცესისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმპერიალისტ ოკუპანტების ჯარის ნაწილებში რუსეთში სამოქალაქო ომის დროს.

ეს გარემოება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო, რომელმაც განაპირობა საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვება სამოქალაქო ომში. ვ. ი. ლენინი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „...ჩვენ დავამარცხეთ ანტანტა იმით, რომ წავართვით მას ჯარისკაცის მუნდირში გამოწყობილი მუშები და გლეხები“[91].

მენშევიკური კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ საქართველოს კომპარტიის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს კომკავშირი. კომკავშირმა გააჩაღა ფართო პოლიტიკური კამპანია დენიკინის წინააღმდეგ. თავის მგზნებარე შიმართვაში ახალგაზრდებისადმი კომკავშირი მოუწოდებდა მუშა და გლეხ ახალგაზრდებს კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ შემჭიდროვებულიყვნენ მებრძოლ კოლექტივად და მენშევიკი, დაშნაკი და მუსავატი „ხელისუფალნი“ იძულებული გაეხადათ შეეწყვიტათ ყოველ-

---

[89] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 40, ს. 9, გვ. 145.

[90] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, Ф. 80, оп. 3, ед. хр. 4, ф. 14.

[91] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 244.

გვარი კავშირი და ფარული მოლაპარაკება დენიკინთან. გამოეცხადებინათ ომი მის წინააღმდეგ, დაეპატიმრებინათ დენიკინის აგენტები და სხვა რეაქციული პირები.

„ჩვენ მივმართავთ ყველა მშრომელებს, — ნათქვამი იყო მოწოდებაში, — კერძოდ ამიერკავკასიის ქალაქებისა და სოფლების პროლეტარულ ახალგაზრდებს მხურვალე რევოლუციური მოწოდებით, რათა გაერთიანდნენ გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ: „ძირს დენიკინი! გაუმარჯოს რევოლუციურ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ“[92].

1919 წლის 22 სექტემბერს ბაქოში მოიწვიეს ამიერკავკასიის ახალგაზრდული კომუნისტური კავშირების კონფერენცია, რომელზედაც წარმოდგენილი იყვნენ ბაქოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირი და საქართველოსა და სომხეთის სოციალისტ-ინტერნაციონალისტების ახალგაზრდობის ორგანიზაციები — „სპარტაკი“. კონფერენციაზე მოხსენებით „მშრომელი ახალგაზრდობის ამოცანები მიმდინარე მომენტთან დაკავშირებით“ გამოვიდა ა. მიქოიანი. კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება ამიერკავკასიის ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციების გაერთიანების შესახებ და მათი რუსეთის ახალგაზრდულ კომუნისტურ ორგანიზაციასთან (РКСМ) შერწყმის შესახებ. აირჩიეს ამიერკავკასიის კომკავშირის საოლქო კომიტეტი[93].

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მთავარი ყურადღება 1919 წ. მთელ მანძილზე მიმართული იყო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. 1919 წ. ამიერკავკასიის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში დენიკინის წინააღმდეგ თავისი მასშტაბით გამოირჩევა ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში. ჯერ კიდევ 1919 წ. მაისში ს. ორჯონიკიძემ მისი თბილისში არალეგალურად ყოფნის დროს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების წევრებს მითითება მისცა მენშევიკური მთავრობისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ აჯანყების მომზადებისა და გატარების შესახებ.

1919 წ. სექტემბრის ბოლო რიცხვებში შედგა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, სადაც საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების ღრმა ანალიზის შედეგად აღინიშნა, რომ არსებობდა პირობები შეიარაღებული აჯანყების გასამარჯვებლად. ეს აჯანყება ხელს შეუშლიდა იმპერიალისტებს თავისი გეგმების განხორციე-

---

[92] ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 331.

[93] История Азербайджана, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

ლებაში და ხელს შეუწყობდა გმირულ წითელ არმიას მის ბრძოლაში. კავკასიის სამხარეო კომიტეტში აღმოჩნდნენ პირები, რომლებმაც „მეტისმეტი სიფრთხილე“ გამოიჩინეს და აჯანყების დანიშვნა ნაადრევად მიიჩნიეს. ესენი იყვნენ სამხარეო კომიტეტის ოპორტუნისტულად განწყობილი ელემენტები (მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, მ. ტოროშელიძე), რომელთაც არ სწამდათ გამარჯვება და რომლებმაც, როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ხელსაყრელი ვითარება 1919 წ. მიწურულში არ გამოიყენეს და ხელი შეუწყვეს კონტრრევოლუციურ ძალებს ჩაეხშოთ რევოლუცია. პლენუმმა თავის მეორე სხდომაზე მიიღო დადგენილება საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ. აჯანყების დღედ დაინიშნა 24 ოქტომბერი. აჯანყებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი. შეიქმნა სამხედრო რევოლუციური შტაბი. შედგა აჯანყების კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვით გამოსვლები ერთსა და იმავე დროს უნდა დაწყებულიყო როგორც თბილისში, ისე საქართველოს ყველა რაიონში.

როგორც ცნობილია, ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებისა და მენშევიკური მთავრობის დაზვერვამ გაიგო აჯანყების მომზადების შესახებ და დააპატიმრა აჯანყების ხელმძღვანელი სამხედრო რევოლუციური შტაბი. ამიტომ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული იყო აჯანყება ნოემბრისათვის გადაეტანა, მაგრამ ამ ცნობამ დაგვიანებით მიაღწია საქართველოს რაიონებამდე და დანიშნულ ვადაზე დაიწყო რევოლუციური გამოსვლები.

„მაგრამ ცენტრი, — წერს ფ. მახარაძე, — მაინც ფიქრობდა ბრძოლის გაგრძელებას. ამ მიზნის დაჩქარებით შეადგინეს ახალი სამხედრო შტაბი და რამდენიმე თვით აჯანყების გეგმაც, ახლა გამოსვლები პირველად უნდა დაწყებულიყო პროვინციაში, რომელსაც შემდეგ თბილისი უნდა გამოხმაურებოდა. გამოსვლების ვადად დაინიშნა 8-9 ნოემბერი“[94].

ამრიგად, საქართველოს მშრომელები მხურვალედ გამოეხმაურენ ვ. ი. ლენინის ლოზუნგს „ყველა დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“. მათ გადასწყვიტეს იარაღით ხელში გამოსულიყვნენ საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ და ამით საფრთხე შეექმნათ დენიკინის ზურგში.

კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი ა. მიქოიანი 1919 წ. დეკემბერში ვ. ი. ლენინისა და ცკ-ის სამდივნოს სახელზე გაგზავნილ თა-

---

[94] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, 1917—1921 წწ., გვ. 184.

ვის მოხსენების თეზისებში — „კავკასიის საკითხისათვის“ წერდა: „...აჯანყების აუცილებლობის ძირითადი მოტივი იყო არა ის მიზანი, რომ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება დაემყარებიათ და კომუნიზმი განემტკიცებიათ, — რაც შეუძლებელია კავკასიის ყველა ხალხის მონაწილეობისა და საბჭოთა რუსეთის მხრივ სწრაფი მხარდაჭერის გარეშე, — არამედ ის ამოცანები, რომ აჯანყების საშუალებით დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ წითელ არმიას, თუნდაც ამისთვის საფრთხეში ჩაეგდოთ საქართველოს რევოლუციის ბედი“[95].

„დენიკინის ზურგში აჯანყებით, — ნათქვამი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს მოხსენებაში კომინტერნის II კონგრესზე, — პარტია ვარაუდობდა საპირისპირო მიმართულებით დაებანდებიათ დენიკინელთა ნაწილები. საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე საქართველოში გამოსვლას უნდა ჰქონოდა ყოველ შემთხვევაში დიდი მორალური მნიშვნელობა, და ამაში პარტია არ შეცდა“[96].

1919 წ. ოქტომბრის აჯანყება საქართველოში ეხმაურებოდა იმ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამგვარად, 24 ოქტომბრიდან 8 ნოემბრამდე აჯანყებამ მოიცვა თითქმის მთელი საქართველო.

„სულ ერთია ვავიმარჯვებდით თუ დავმარცხდებოდით, დენიკინისათვის ჩვენ აქ საფრთხეს ვქმნიდით, რისთვისაც დენიკინს აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწია. ამიტომ აჯანყება მიზნად ისახავდა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში, არამედ მორალური გავლენის მოხდენას წითელი ჯარის სასარგებლოდ და ამას გრნობდა პარტიული მასა“[97].

აჯანყების მოწყობას შემდეგი გამართლება და მიზანი ჰქონდა:

1) აჯანყების წარმატების შემთხვევაში საქართველოში დაემხობოდა მენშევიკების მემამულურ-ბურჟუაზიული ხელისუფლება;
2) დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით წარმართული აჯანყება თუნდაც დამარცხებულიყო, მაინც აიძულებდა მენშევიკებს ანგარიში გაეწიათ მასების განწყობილებისათვის თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ და შეეწყვიტათ დენიკინისათვის შემდგომი დახმარება. ამით საქართველო ჩამოშორდებოდა იმ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელიც მაშინ საბჭოთა რუსეთს ებრძოდა; ეს კი ძირის

---

[95] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, Ф. 17, оп. 4, д. 14, ф. 45.

[96] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, Ф. 17, оп. 17, ед. хр. 216/III, ф. 13.

[97] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, „საპირო განმარტება“, ჟ. „რევოლუციის მატიანე“, № 2, 1928, გვ. 250.

გამოთხრა იქნებოდა ანტანტის პოლიტიკისათვის, რომელიც ცდილობდა განაპირა სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაერაზმა[98]; 3) სამოქალაქო ომის ამ ყველაზე კრიტიკულ მომენტში ბოლშევიკური აჯანყება საქართველოში, დენიკინის ზურგში, უდიდესი მორალური მხარდაჭერა იქნებოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობისა და მისი გმირული წითელი არმიისათვის, რომელიც ამ დროს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს ეწეოდა დენიკინის ბანდებთან; 4) მოსკოვზე შეტევის ამ გადამწყვეტ პერიოდში, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების ლოზუნგით მოწყობილი ბოლშევიკური აჯანყება აიძულებდა დენიკინს თავისი ზურგისაკენ მოეხედა და ჯარის გარკვეული ნაწილი გადმოესროლა საქართველოს საზღვრისაკენ. ეს კი საგრძნობი ხელის შეშლა იქნებოდა დენიკინისათვის და რეალური მხარდაჭერა წითელი არმიისათვის; 5) აჯანყების წარმატების პირობებში შესაძლებელი იქნებოდა შეიარაღებული რაზმების გაგზავნა საბჭოთა ჯარების დასახმარებლად დენიკინის წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით შეიარაღებული აჯანყების მომზადება და გატარება ნაკარნახევი იყო მომენტის ყველა პირობით[99].

დენიკინის მთელი ყურადღება ამ დროს მიმართული იყო მოსკოვისაკენ, ამდენად მას არ ჰქონდა შესაძლებლობა სათანადო ყურადღება მიექცია საქართველოსათვის. უფრო მეტიც, დენიკინს საქართველო საიმედო ზურგად მიაჩნდა და აქედან საფრთხეს იგი არ ელოდა... ხოლო ინგლისელი იმპერიალისტების საოკუპაციო ჯარების დიდი ნაწილი ამ დროისათვის გაყვანილი იყო ამიერკავკასიიდან (ბათუმის გამოკლებით). ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობას ქმნიდა აჯანყების გამარჯვებისათვის.

გარდა ამისა, მენშევიკური ჯარის ნაწილები თანაუგრძნობდნენ აჯანყებას და სრული გარანტია იყო, რომ თბილისში მდგომი ჯარის ზოგიერთი ნაწილი აქტიურად გამოვიდოდა მენშევიკური ხელისუფლების

---

[98] საქართველოში არსებული ეთარება ნათელი დადასტურება იყო ლენინური დებულებისა, იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმმა მარცხი განიცადა მცირე ხალხებზე და სახელმწიფოებზე გავლენის საქმეში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინგლისელმა იმპერიალისტებმა ვერ შესძლეს ეს ხალხები გადაექციათ თავიანთ სანდო მოკავშირეებად.

„თვითეულმა ამ პატარა ქვეყანამ უკვე თავის თავზე განიცადა ანტანტის თათები... მათ იციან, რომ ძალიან ხშირად ამ ქვეყანაში ინგლისის ელჩი მეტს ნიშნავს, ვიდრე რომელიმე იქაური მეფე ან პარლამენტი" — ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 30, გვ. 197.

[99] დ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, 1919 წ. შეიარაღებული აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1957, გვ. 29—30; ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—181.

დასამხობად, როცა ბოლშევიკური პარტია მათ ამისათვის მოუწოდებდა[100].

გაძლიერდა ბოლშევიკების მუშაობა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. ყველა მაზრაში ჩატარდა კონფერენციები, შეიქმნა შეიარაღებული რაზმები და აჯანყების სამხედრო საბჭო.

საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები ახორციელებდნენ მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებებს ლოზუნგის „ყველა დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად" ცხოვრებაში გასატარებლად. ერთის მხრივ, ბოლშევიკები ფაბრიკებსა და მუშათა საერთო კრებებზე იღებდნენ რეზოლუციებს, სადაც მოითხოვდნენ მენშევიკური მთავრობისაგან დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას, ხოლო მეორეს მხრივ, მენშევიკური ჯარის ნაწილებში ეწეოდნენ სისტემატიურ მუშაობას აჯანყების მოსამზადებლად, მენშევიკების დემოკრატიული წყობის დასამხობად.

ამ მიზნით რკპ(ბ) თბილისის კომიტეტმა შექმნა გარნიზონის არალეგალური სამხედრო საბჭო, სადაც შევიდნენ ბოლშევიკურად განწყობილნი ყველა ნაწილების წარმომადგენლები (სულ 22 ბოლშევიკი). შეიარაღებული აჯანყების სახელმძღვანელოდ შეიქმნა სამხედრო-რევოლუციური შტაბი[101].

კავკასიის მშრომელი მასების სახელით სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოს, კომუნისტური ინტერნაციონალისა და წითელი არმიისადმი 1920 წ. 15 მარტს გაგზავნილ მიმართვაში ნათქვამი იყო: „წითელი ფრონტის უმწვავესი კრიზისის დროს, როცა შავი გენერლის — დენიკინის ბრბო მოსკოვის გზაზე გამოვიდა, ჩვენ, ვიგრძენით რა რომ რევოლუცია საფრთხეში ვარდება, 1919 წ. ოქტომბრის თვეში აღვმართეთ საქართველოში აჯანყების დროშა და, შევქმენით რა ამით საფრთხე დენიკინის ზურგისათვის, ჩვენ მოვეშურებოდით თქვენთან დასახმარებლად. თვით ჩვენივე მტრებისვე სიტყვით, ჩვენ არ ვზოგავდით თავის ძალებს, თავის სიცოცხლეს, დავხმარებოდით წითელ არმიას, ვინაიდან ჩვენ ვიცოდით, რომ თქვენი დამარცხება — ეს იქნებოდა ყველა ჩვენგანის სიკვდილი"[102].

ასეთი იყო ამოცანა, რომელიც იდგა 1919 წელს საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების წინაშე საქართველოში.

---

[100] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 181.

[101] Т. Г. Л а б а р т к а в а, Революционное движение в воинских частях — за победу Советской власти в Грузии (1917—1921 гг.), Автореферат кандидатской диссертации, Тбилиси, 1965, გვ. 24.

[102] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180—181.

აჯანყებას მენშევიკებმა უპასუხეს საშინელი რეპრესიებით. ყოველგვარი სასამართლოს გარეშე აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ ყველას, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა აჯანყებასთან. სწვავდნენ მთელ სოფლებს.

მიუხედავად აჯანყების დამარცხებისა, 1919 წლის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში იყო მუშებისა და მშრომელი გლეხობისათვის სამოქალაქო ომის კარგი სკოლა. საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მიიღეს რა მხედველობაში აჯანყების დამარცხების მიზეზები, უფრო ფართოდ გააჩაღეს მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში. 1919 წ. საყოველთაო აჯანყებამ დამარცხების მიუხედავად მნიშვნელოვნად შეარყია მენშევიკების ბატონობა საქართველოში და თავის მხრივ ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო გამარჯვებას საქართველოში.

ამ აჯანყებას, დამარცხების მიუხედავად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი 1920 წლის 13 აპრილს მოსკოვში ს. ორჯონიკიძის სახელზე გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აჯანყების მნიშვნელობის შესახებ წერდა: „განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა წითელი არმია ორიოლს იქით იმყოფებოდა და მოსკოვისაკენ იხევდა, ჩვენ ერთი წუთითაც არ ვიტყუებდით თავს, მაგრამ კარგად გვესმოდა, რომ დენიკინის ზურგში ჩვენს გამოსელას წითელი არმიის გვერდით, თავისთავად უნდა ჰქონოდა უდიდესი მორალური მნიშვნელობა და ბედი გადაწყდა. ჩვენ დამარცხება განვიცადეთ გარეგნულად, მაგრამ ეს ყოველ შემთხვევაში ჩვენი მორალური გამარჯვება იყო“[103]. და მართლაც რუსეთის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის ხალხების საერთო ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1919 წლის ოქტომბრის აჯანყებას საქართველოში.

აჯანყებამ თავისი წვლილი შეიტანა დენიკინის წინააღმდეგ საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლაში.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ახალი ძალით დაიწყო რეპრესიები ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას და გააძნელა მუშაობა საქართველოს ტერიტორიაზე.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თავისი მოქმედების ცენტრი აზერბაიჯანში გადაიტანა, სადაც ამ დროს ბოლშევიკების გავლენა მასებზე დიდი იყო.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი საქართველოს, აზერბაიჯა-

---

[103] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, Ф. 17, оп. 6, д. 95, ф. 56—63.

ნისა და სომხეთის მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი გაგზავნილ მიმართვაში წერდა:

„ამხანაგებო! ამიერკავკასიის დემოკრატიული მთავრობები წარმატებით ეცილებიან მეფის გენერლებს — დენიკინს, ვრანგელს და პოკროვსკის თავიანთ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობის საქმეში. მათ სისხლში ჩაახშვეს აჯანყებული საქართველო და ასობით და ათასობით გლეხი და მუშა გამოამწყვდიეს საპყრობილეში. ისინი უგონო გაშმაგებით შეუდგნენ რუსების, მთიელებისა, სხვა საბჭოთა მუშაკების და კომუნისტების მასობრივად გადაცემას დენიკინისათვის „ქალაქების განტვირთვის" საბაბით"[104].

მენშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყების მონაწილეებს. 1919 წლის ნოემბერ-დეკემბერში თბილისში დააპატიმრეს პარტიის სამხარეო და საგუბერნიო კომიტეტის თითქმის მთელი შემადგენლობა. დააპატიმრეს 2000 კაცი.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ 1919 წლის ნოემბერში სპეციალურად განიხილა ნ. ჟორდანიას მოხსენება „ბოლშევიკების გამოსვლების შესახებ" და საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 ნოემბერს მიიღო სპეციალური დეკრეტი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ამ დეკრეტის თანახმად საქართველოს კომპარტია კანონგარეშედ გამოცხადდა, აიკრძალა ბოლშევიკური გაზეთების გამოშვება[105]. მოსალოდნელი იყო, რომ ამის შემდეგ ხალხი გატყდებოდა და ქედს მოიხრიდა მტარვალების წინაშე, მაგრამ ეს არ მოხდა. მენშევიკების სიმხეცემ და ჯალათობამ ხალხი, ერთის მხრივ, კიდევ უფრო აღაშფოთა და, მეორეს მხრივ, კიდევ უფრო გააკაჟა. მას იმედი ჰქონდა, რომ ახალი გამოსვლების დროს ის უსათუოდ გაიმარჯვებდა[106].

აჯანყებამ, მიუხედავად დამარცხებისა, დიდი დახმარება გაუწია მძიმე მდგომარეობაში მყოფ წითელ არმიას. დენიკინი იძულებული იყო თავისი მთავარი ფრონტიდან მოეხსნა რამდენიმე პოლკი და გადმოესროლა საქართველოს საზღვრისაკენ, რითაც შესუსტდა მისი დამრტყმელი მთავარი ძალა. რაც შეეხება საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, იგი იძულებული შეიქმნა მთელი თავისი ყურადღება აჯანყების ჩაქრობისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიემართა. ამან საშუალება არ მისცა მას დახმარება გაეწია დენიკინისათ-

---

[104] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 33, ს. 230. ფ. 1.

[105] საქ. ორცსა, ფ. 757/ბ, საქმე 414, ფ. 6.

[106] ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

ვის. აჯანყების დამარცხების მიზეზი პირველ რიგში მისი ხელმძღვანელი ცენტრის ჩავარდნა იყო. მაგრამ იყო სხვა მიზეზებიც: აჯანყება საქართველოში ლოკალიზებული აღმოჩნდა მაშინ, როდესაც ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის მაღალი დონე ქმნიდა მტკიცე ნიადაგს იმისათვის, რომ აჯანყება საერთო ამიერკავკასიული მასშტაბით მომზადებულიყო. ზოგიერთი ნაკლოვანება გააჩნდა აჯანყებისათვის სამზადისს, რომელიც მკაცრი კონსპირაციის გარეშე, თითქოს ღიად მენშევიკების თვალწინ მიმდინარეობდა. აჯანყებამ გამოამჟღავნა, რომ მენშევიკების ბატონობამ აავსო ხალხის მოთმინების ფიალა და ისინი დაადგნენ მენშევიკური დიქტატურის იარაღით დამხობის გზას[107].

1920 წლის 20 იანვარს კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის მოხსენებაში საქართველოში ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ აცნობებდა რკპ(ბ) ც. კ-ს, რომ „...საქართველოში მდგომარეობა დაძაბული რჩება, არნახული რეპრესიები, განუწყვეტელი დაპატიმრებანი. ჩვენი ამხანაგები იძულებული არიან გადავიდნენ ღრმა იატაკქვეშა მუშაობაზე. მუშაობა მიდის ნელა, რადგანაც ყველა აქტიური ელემენტი ციხეშია. რევოლუციური გამოსვლების და საკუთარი ძალებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერსპექტივა ძალზე სუსტია“[108].

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, 1920 წ. დამდეგისათვის საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა შესძლეს არალეგალური პარტიული აპარატის მთლიანი აღდგენა. დაიწყო მზადება ახალი შეიარაღებული აჯანყებისათვის.

1920 წ. დასაწყისში დაიწყო გამოცემა არალეგალური იატაკქვეშა გაზეთისა „Кавказская правда“. დიდი ტირაჟით გამოდიოდა ფურცლები და პროკლამაციები სხვადასხვა ენებზე.

საქართველოს ბოლშევიკები სისტემატურ დახმარებას უწევდნენ დენიკინის ბანდების წინააღმდეგ მებრძოლ ჩრდილო კავკასიელ ხალხებს — აწოდებდნენ იარაღსა და ვაზნებს იქ მოქმედ პარტიზანულ რაზმებს. მათ კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ბედი ბევრად იყო დამოკიდებული ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაზე.

1920 წლის 20 აპრილს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის მიმართვაში ჩრდილო კავკასიის ყველა კომუნისტური ორგანიზაციებისა და ცალკეული ამხანაგებისადმი, წერდა:

---

107 ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 306—307.

108 Архив Дагфилиала ИМЛ при ЦК КПСС, г. Махачкала, Ф. 8, оп. I, д. II, ф. 114—116.

„ამიერკავკასიაში მუშაობასთან ერთდროულად სამხარეო კომიტეტი გაძლიერებულ მუშაობას ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიაშიც განსაკუთრებით უკანასკნელ თვეებში. აჯანყების დასაწყებად მან მოაწყო რაზმები, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები, ყოველნაირად ეხმარებოდა და მხარს უჭერდა აჯანყებებს დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, ოსეთში, ყაბარდოსა და შავი ზღვის გუბერნიებში, ამარაგებდა მათ არა მარტო ფულადი სახსრებით და ლიტერატურით, არამედ აგრეთვე ხალხით, სამხედრო საჭურველით და საექიმო დახმარებით. ამ მუშაობის შედეგი იყო ის, რომ საკმარისი იყო საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარები მხოლოდ მოახლოებოდა ყუბანისა და თერგის საზღვრებს, რომ კონტრრევოლუციონერთა ძალაუფლება ყველა ამ ოლქში წამსვე დამსხვრეულიყო, როგორც ხუხულა ჰაერის შერყევისაგან“[109].

ამგვარად, საქართველოს მენშევიკური მთავრობა, ისევე როგორც ამიერკავკასიის სხვა კონტრრევოლუციური მთავრობები, უარზე იყვნენ ამიერკავკასიაში დენიკინის წინააღმდეგ მიმართული ერთიანი ფრონტის შექმნისა და საქმით გამოდიოდნენ როგორც დენიკინის მოკავშირეები. ამიერკავკასიის მშრომელები კი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ერთად, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, იბრძოდნენ დენიკინისა და ადგილობრივი კონტრრევოლუციური მთავრობების წინააღმდეგ.

საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციურმა მოძრაობამ, ბაქოს პროლეტარიატის გამოსვლებმა და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების შეიარაღებულმა ბრძოლამ განაპირობეს დენიკინის ზურგის სიმსუსტე კავკასიაში, აიძულეს იგი თავისი ძალების ნაწილი გადმოესროლა კავკასიაში, რაც ასუსტებდა მის შეტევას მთავარ ფრონტზე — ჩვენი ქვეყნის გულის, მოსკოვის მიმართულებით.

ამგვარად, კავკასიელი ხალხების რევოლუციურმა ბრძოლამ სამოქალაქო ომის წლებში დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა რუსეთს დენიკინის კონტრრევოლუციური ბანდების საბოლოო განადგურებაში და დააჩქარა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება კავკასიაში.

§ 3. ჩრდილო კავკასიელი რევოლუციონერები საქართველოში

1919 წლის დასაწყისში თერგის ოლქში დროებით დაეცა საბჭოთა ხელისუფლება, დაიწყო სასტიკი რეპრესიები ადგილობრივი მოსახ-

---

[109] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 64, ს. 2, ფ. 1—7.

ლეობის მიმართ. თერგის ოლქის პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ამოწურეს რა მტერთან ბრძოლის ყველა საშუალებანი, იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ დენიკინელების მიერ დაკავებული ტერიტორია და თავი შეეფარებინათ ან ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთისათვის, რომელსაც სამოქალაქო ომის მთელ მანძილზე არ შეხებია დენიკინის უღელი, ანდა გადასულიყვნენ საქართველოში და იქიდან კავშირი დაემყარებიათ ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილ ამხანაგებთან, რომლებიც ურთულეს პირობებში ეწეოდნენ პარტიზანულ ბრძოლას დენიკინელების წინააღმდეგ.

1919 წ. თებერვალში ს. ორჯონიკიძემ, რომელთანაც ერთად იყვნენ ბ. კალმიკოვი, ა. ნაზარეტიანი, ი. ბუტირინი, ი. ფიგატნერი, მ. ეტინგოფი, ალბოგაჩიევი, ი. ზიაზიკოვი, გოიგოვი, კარაშევი, ენეევი, ნასტუევი, შეკიხაჩევი და სხვ. ზამთრის უმძიმეს პირობებში გადალახეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის მთები და თავი შეაფარეს ინგუშეთის აულ მუეიჩნის[110].

11 თებერვალს, როდესაც აულს თეთრები მიუახლოვდნენ, სერგო ორჯონიკიძემ 40 კაცისაგან შემდგარი ჯგუფით გადაწყვიტა საქართველოში გადასულიყო. საქართველოში გადასვლის პირველი ცდა მარცხით დამთავრდა. სერგომ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ინგუშეთის მთებში და იქიდან ეხელმძღვანელა ჩრდილოეთ კავკასიის მთელი მოსახლეობის ბრძოლისათვის.

ინგუშეთის კომუნისტებმა ადგილობრივი ღარიბი გლეხობის დახმარებით დიდი მუშაობა ჩაატარეს თერგის საბჭოთა რესპუბლიკის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკისა და მათი ოჯახების საქართველოში გადაყვანის საქმეში. ინგუშეთში დარჩენილ ამხანაგებს ადგილობრივი მოსახლეობა ყოველგვარ დახმარებას უწევდა.

ამ ამბების უშუალო მონაწილე ა. ნოსოვი იგონებს, თუ როგორ ეხმარებოდნენ პარტიულ მუშაკებს საქართველოში გადასვლაში: „ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ წითელარმიელთა ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან საქართველოში გადასვლის ორგანიზაციაში. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვემსახურებოდით ამხანაგებს საქართველოში გადასვლაში. ამისათვის საჭირო ფული ცოტა გვქონდა. გარკვეულ დახმარებას ამ საქმეში გეიწევდა ადგილობრივი მოსახლეობა. ჩვენს ხელთ 500-მდე ამხანაგმა გაიარა, მათ შორის იყვნენ ა. კოსტერინი, მიხაილიკი მეუღლითურთ, პავლე გიკალო, ტიმჩუკი და ბევრი სხვა“[111].

ყაბარდოს საოლქო პარტიული კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა 30

---

[110] История Кабарды, Москва, 1957, გვ. 209.
[111] А. Ф. Носов, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

კაცისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად ბეთალ კალმიკოვის მეთაურობით თავი შეაფარა საქართველოს.

„ფიგატნერი, ნაზარეტიანი და მე თოვლიანი მთებით გადავედით საქართველოში... ჩვენ მთელი იქ ყოფნის განმავლობაში ვმუშაობდით არალეგალურად და არაერთხელ ვყოფილვართ დაპატიმრებულნი საქართველოს მენშევიკური მთავრობისა და მოკავშირეთა ხელისუფლების განკარგულებით"[112] — იგონებს ბ. კალმიკოვი. მათ კავშირი ჰქონდათ დამყარებული კავკასიის სამხარეო კომიტეტთან და იმ კომუნისტებთან, რომლებიც უაბარდო ბალყარეთში დარჩნენ იატაკქვეშა მუშაობისათვის. კავკასიის სამხარეო კომიტეტი ბ. კალმიკოვისა და მისი ამხანაგების საშუალებით დაკავშირებული იყო უაბარდოსა და ბალყარეთის კომუნისტებთან. მათი მეშვეობით უგზავნიდნენ დენიკინის ზურგში მოქმედ პარტიზანებს იარაღს, ფულსა და სახელმძღვანელო მითითებებს.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობის კურსში და არსებითად ხელმძღვანელობდა იმ ბრძოლას, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა ეწეოდა. ეხმარებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ კომუნისტებს. ინფორმაციას უკეთებდა პარტიის ც. კ.-ს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

„საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელ დასაყრდენს ოსეთში"[113]— წარმოადგენდა მთიანი დიგორია. დენიკინელებმა, მიუხედავად პარტიზანების გმირული ბრძოლისა, შესძლეს მისი დაკავება. შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო და წითელ პარტიზანთა შტაბმა 1919 წ. 15 მაისს გასცა ბრძანება, რათა უარაუგომისა და ღების გადასასვლელებით უკან დაეხიათ და გადასულიყვნენ საქართველოში. პარტიზანებმა და წითელარმიელთა ორმა ასეულმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დ. თოგოევი, ძ. ტაკოევი და სხვ. მოახერხეს საქართველოში გადასვლა"[114].

ოსეთის ბოლშევიკებმა უკან დაიხიეს ცალ-ცალკე ჯგუფებად. ერთ-ერთ ჯგუფში, რომელშიც შედიოდნენ ა. გოსტიევი, დ. გიბიზოვი, ნ. ძეძიევი და სხვ. სულ 9 კაცი უკანდახევისას მუხანათურად მოკლეს ხევსურებმა, რომლებიც პროვოცირებული იყვნენ მღვდელ წიკლაუ-

---

[112] Б. Э. Калмыков, Революционное движение в Кабарде и Балкарии, Нальчик, 1958, გვ. 36.

[113] С. М. Киров, Избранные статьи и речи, М., 1957, გვ. 75.

[114] История Северо-Осетинской АССР, დასახ. ნაშრომი, გვ. 102; М. С. Тотоев, Е. П. Кричина, Народный герой Д. Н. Тогоев (ხელ ნაწერი ინახება ЦГА СОАССР) გვ. 19—20.

რის მიერ. ასე დაიღუპნენ თერგის რესპუბლიკის შესანიშნავი ბოლშევიკები. მათ შორის პარტია „კერმენის“ ორგანიზატორები და წევრები ანდრეი გოსტიევი და დებოლა გიბიზოვი. ხოლო „კერმენის“ ც.კ.-ის თავმჯდომარე, ტიფით დაავადებული გიორგი ცაგოლოვი ხელთ იგდეს დენიკინელებმა და დახვრიტეს[115].

მეორე ჯგუფმა ს. ტაკოევის, ყ. ბორუკაევის, ყ. ბუტაევის, ბ. კესაევის, ა. ბოტოევის, ტ. სოზაევის, კ. დიგუროვისა და სხვათა შემადგენლობით მოახერხა საქართველოში გადმოსვლა[116].

სოფლების მოსახლეობა გულთბილად შეხვდა ჩრდილო ოსეთიდან გადმოსულ ამხანაგებს. მათ ხარი დაუკლეს და ისე გაუმასპინძლდნენ.

ჩრდილო ოსეთიდან გადმოსული ბოლშევიკების ორივე ჯგუფი ონში შეხვდა ერთმანეთს. აქ გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა კ. კესაევი, რომელმაც პარტიზანების სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს გლეხობას იმ გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მათ მოუწყვეს ოს რევოლუციონერებს.

ონში ოს პარტიზანთა რაზმი საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ განაიარაღა და გაგზავნა ქუთაისში, სადაც მოათავსეს სამხედრო უაზარმებში[117].

აქ ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. „მოგვათავსეს სამხედრო უაზარმებში, სადაც ვცხოვრობდით მშიერნი და ტიტველნი, — იგონებს უგალიკ ეძიევი, — დღე-ღამეში გვაძლევდნენ 300 გრამ პურს. სამი თვე ასე ვცხოვრობდით ქუთაისში“[118].

პარტიისა და მშრომელი მასების დახმარებით ოს პარტიზანთა მდგომარეობა გაიგეს სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებმა, რომლებმაც 1919 წლის ივლისში შეკრიბეს და ოს პარტიზანებს დაურიგეს 50.000 მან. ჩრდილო ოსეთის პარტიზანთა მძიმე მდგომარეობა გაიგო ს. გეგეჭკორის ცოლმა, რომელიც ფარულად ნახულობდა მათ და აწვდიდა გაზეთებს, რის საშუალებითაც პარტიზანები იგებდნენ ფრონტზე არსებულ მდგომარეობას[119].

ქუთაისში ლტოლვილთა დასახმარებლად მამია ორახელაშვილმა

---

[115] С. Д. Кулов, Борьба за Советизацию Северной Осетии (ხელნაწერი ინახება Архив СОНИИ, Ф. 21, оп. 1, д. 296) გვ. 287.

[116] Очерки истории Северо-Осетинской партийной организации (Макет для обсуждения), Орджоникидзе, 1965, გვ. 91.

[117] Архив Музея Краеведения СОАССР, Воспоминания В. М. Кесаева, გვ. 13—16.

[118] Партархив СО Обкома КПСС, г. Орджоникидзе, Ф. 1849, оп. 4, ед. хр. 6.

[119] ი ბ ე ვ ე.

მოაწყო საღამო, რომელმაც ბევრი ხალხი მიიზიდა. ამ საღამოს შემოსავალი 5.000 მან. გადასცეს ოს პარტიზანებს[120].

საქართველოში ჩამოსულ ამხანაგებს მეტად ძნელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. მათ მენშევიკური მთავრობა აპატიმრებდა, ან უკან აბრუნებდა ჩრდილოეთ კავკასიაში და დენიკინელებს უგდებდა ხელში. მხოლოდ საქართველოს მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერით და ხელშეწყობით შეეძლოთ ჩრდილოეთ კავკასიელ ამხანაგებს საქართველოში მუშაობა. მძიმე პირობების მიუხედავად, ისინი არ სწყვეტდნენ კავშირს თავიანთ ამხანაგებთან ჩრდილოეთ კავკასიაში და რაზმავდნენ მოსახლეობას დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად.

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში გადმოსულ ამხანაგებს მენშევიკების მთავრობა სასტიკად დევნიდა და ხშირად საკონცენტრაციო ბანაკებში ათავსებდა. იმის დასახასიათებლად, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიელი ლტოლვილები მენშევიკების მიერ შექმნილ საკონცენტრაციო ბანაკებში, მოვიყვანთ წერილს, რომლითაც ინტერნირებულმა წითელარმიელებმა მიმართეს 1919 წლის 27 თებერვალს საქართველოს მენშევიკურ მთავრობას.

„თერთმეტდღიანი გადასვლის შემდეგ, რომელიც მიმდინარეობდა საკვებისა და დასვენების გარეშე, რომელმაც ძალლონე გამოგვაცალა და ზოგიერთ ამხანაგს სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდა, ჩვენ აღმოვჩნდით ტფილისში აუტანელ მდგომარეობაში. იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, განწირულნი ვართ სიკვდილისათვის. ვიმყოფებით ანტისანიტარულ პირობებში (ნესტიან ბინებში, რომელსაც მიწა აქვს იატაკად, ყოველგვარი ლოგინის გარეშე, სიბინძურესა და სიბნელეში) ჩვენ წარმოვადგენთ კარგ ნიადაგს ყოველგვარი ავადმყოფებისათვის, პირველ რიგში პარტახტიანი ტიფისათვის. ყველგან, სადაც დავბინავდით, 10 — 15% ავადმყოფია, მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება, არის სიკვდილის შემთხვევებიც. რაც ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე ვართ, არც ერთხელ არ ვყოფილვართ აბანოში. რასაკვირველია, არც თეთრეული გამოგვიცვლია. ამდენად, ჩვენ, როგორც ავადმყოფობის გამავრცელებელნი, საშიშროებას წარმოვადგენთ არა მარტო ჩვენი თავისათვის, არამედ მთელი ხალხისათვის. მეტეხის კომენდანტმა ზემოდან ბრძანების შედეგად ჩამოგვართვა მთელი ფული, რაც ჩვენ გაგვაჩნდა, არც ჩვენი, არც ადგილობრივი ფული ჯერჯერობით არ მიგვიღია“[121].

---

[120] Гражданская война в Северной Осетии. Воспоминания участников, Орджоникидзе, 1965, გვ. 34.

[121] საქ. ორცსა, ფ. 24, საქმე, 104. ფ. 1.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად გადაწყვიტა საერთოდ ჩაეკეტათ გადმოსასვლელები ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში.

1919 წ. 24 თებერვალს გენ. უეკერი წერდა ნ. ჟორდანიას: „მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ უნდა აუკრძალოთ ბოლშევიკებს საუღელტეხილო გზით საქართველოში გადმოსვლა. ამიტომ მე ვუგზავნი ბრძანებას ინგლისელ ოფიცერს, რომელიც ყაზბეგში ბრიტანეთის რაზმს ხელმძღვანელობს, რომ ხელი შეუშალოს ბოლშევიკების გადმოსვლას ყაზბეგით. ვთხოვე მოხალისეთა არმიას, რათა დანიშნოს თავის ერთი წარმომადგენელი ბრიტანეთის კომენდანტთან ყაზბეგში ბოლშევიკების იდენტიფიკაციის შესამსუბუქებლად. გაძლევთ წინადადებას, რომ საქართველოს მთავრობაც ასევე მოიქცეს. ბრიტანეთის კომენდანტი უარს ეტყვის ყაზბეგის გავლაზე ყველას, ვისი წინააღმდეგიც იქნებიან ბრიტანეთის, საქართველოსა და მოხალისეთა წარმომადგენლები"[122].

მენშევიკურმა მთავრობამ უსიტყვოდ მიიღო ეს წინადადება და დაუყოვნებლივ აცნობა ყაზბეგის კომენდანტს წერეთელს, რომ აღარ გაეტარებინათ ბოლშევიკები. ამ განკარგულებას პოლკოვნიკი წერეთელი მთელი სიმკაცრით ასრულებდა[123].

საქართველოს მენშევიკური მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გაემაგრებინათ გადასასვლელები, რომლებიც საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა, რათა არ მიეცათ საშუალება ჩრდილოეთ კავკასიაში მებრძოლ ბოლშევიკებისა და წითელ არმიელებისათვის თავი შეეფარებინათ საქართველოსათვის. მენშევიკების მიზანი იყო საქართველო მოეწყვიტათ ჩრდილოეთ კავკასიისაგან, მოესპოთ მასთან ყოველგვარი მიმოსვლა. მიუხედავად მენშევიკების ამ ღონისძიებისა, რომელმაც გაართულა კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს შორის, ჩრდილოეთ კავკასიელი ამხანაგები მაინც ახერხებდნენ არალეგალურად საქართველოში ჩამოსვლას, ხოლო კავკასიის სამხარეო კომიტეტი საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში მებრძოლ ამხანაგებს უგზავნიდა გამოცდილ კომუნისტებს, იარაღსა და საჭურველს.

1919 წ. ზაფხულში პარტიზანული რაზმების გამაგრებისათვის და იმისათვის, რომ ისინი შეტევაზე გადასულიყვნენ საჭირო იყო იარაღი, რომელიც მათ არ ყოფნიდათ. ნ. გიკალომ და ა. შერიპოვმა იარაღის

---

122 საქ. ორცსა, ფ. 13, საქმე, 123, ფ. 10.

123 Борьба за победу Советской власти в Грузии (документы и материалы), 1917—1921 гг., Тбилиси, 1958, გვ. 408—409.

ჩამოსატანად გადაწყვიტეს თბილისს გაეგზავნათ ასლანის მამა მაგომედ შერიპოვი.

მიიღო რა ნ. გიკალოსაგან საჭირო დოკუმენტები რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის (რასაკვირველია არა ბოლშევიკების შტაბის სახელით), მაგომედ შერიპოვი გაემართა თბილისისაკენ. მასთან ერთად იყო ესკი ბაიგირეევი სოფ. ვედენოდან, როგორც უზუნ-ჰაჯის წარმომადგენელი. თბილისში მაგომედმა სამხარეო კომიტეტისაგან მიიღო დარკვეული მითითება, რის შემდეგაც მიმართა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას, რათა მას იარაღი მიეწოდებია თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამ წინადადებას საქართველოს მენშევიკური მთავრობა უნდობლად შეხვდა და განაცხადა, რომ რადგანაც ჩეჩნეთი ბოლშევიზმითაა გაჟღენთილი, ამიტომ იარაღით დახმარებას ვერ გაგიწევთო.

„მაშინ მამამ. — იგონებს მაგომედის შვილი სალამი, — განუცხადა მენშევიკურ მთავრობას, რომ იგი არის უზუნ-ჰაჯის მთავრობის წარმომადგენელი და არა ბოლშევიკებისა და თუ საქართველოს მთავრობა არ გაგვიწევს იარაღით დახმარებას, ჩვენ იძულებული ვიქნებით კავშირი შევკრათ თეთრგვარდიელებთან და ვიბრძოლოთ საქართველოს წინააღმდეგ“-ო[124]. (ასეთი დარიგება მაგომედმა მიიღო კავკასიის სამხარეო კომიტეტისაგან).

საქართველოს მენშევიკური მთავრობა დათანხმდა მიეცა იარაღი მხოლოდ იმ პირობით, რომ მაგომედი წაიყვანდა კონტროლისათვის 30 ოფიცერს. ასე ამგვარად იქნა შემოტანილი 500 თოფი, 1,5 მილ. ვაზნა, 2 დაზგის ტყვიამფრქვევი, 8 ხელის ტყვიამფრქვევი, 2000 ხელის ყუმბარა, მედიკამენტები და სხვ[125].

ეს იარაღი მთლიანად ჩაბარდა ნ. გიკალოს შტაბს შატოიში. მენშევიკმა ოფიცრებმა დაახლოებით ერთი თვე დაჰყვეს რაზმში, მაგრამ დარწმუნდნენ, რომ მათ არაფერი საქმე არ ჰქონდათ ბოლშევიკურ ჩეჩნეთში და უკან დაბრუნდნენ.

1919 წლის შემოდგომაზე კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ინგუშ პარტიზანებს გაუგზავნა სამხედრო სპეციალისტთა ჯგუფი და იარაღი. ამ იარაღის ჩამოსატანად საქართველოში წავიდნენ პარტიზანთა საუკეთესო წარმომადგენლები მაჟიკ ოზიევი, ორხო მარხიევი და შოვლახ მარზიევი. ეს ჯგუფი ყაზბეგამდე ცხენებით მოვიდა, ხოლო შემდეგ

---

[124] Партархив ЧИ Обкома КПСС, г. Грозный, Ф. 1491, оп. 1, д. 121, Воспоминание С. М. Шерипова, гз. 8—10.

[125] ი ქ ვ ე.

ფეხით გაიარა საქართველოს სამხედრო გზა და ბოლოს შემხვედრი ტრანსპორტით ჩააღწია თბილისს. უკანაც ამავე გზით დაბრუნდნენ[126].

საქართველოს საზღვარზე გადმოსვლისას მოკლეს ო. მარხიევი და მ. ოზიევი.

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ხ. ორცხანოვს გაუგზავნა მეტყვია-მფრქეველები, მეკავშირეები და მედიცინის მუშაკები. მათ გაჰყვა ძველი ბოლშევიკი მიხეილ სოტნიკოვი[127].

მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, ჩრდილოეთ კავკასიაში მოღვაწე ამხანაგები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ დაერაზმათ მოსახლეობა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად და თუ დენიკინელთა სასტიკი დევნის პირობებში ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ბოლშევიკები მაინც ახერხებდნენ ფართოდ გაეშალათ თავისი მოღვაწეობა და არ ჩავარდნოდნენ ხელში მტერს, დიდი დამსახურება სწორედ ჩრდილოეთ კავკასიის მშრომელ მოსახლეობას მიუძღვის, რომელიც ყოველმხრივ ეხმარებოდა ადგილებზე დარჩენილ ბოლშევიკებს ბრძოლაში.

ამ მხრივ საინტერესოა 1919 წ. 6 ივლისით დათარიღებული დოკუმენტი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ უთხრა ჩეგემის (ყაბარდო) მოსახლეობამ უარი ადგილობრივ ხელისუფალთ გამოეყოთ შეიარაღებული ხალხი იმ ბოლშევიკების დასაკავებლად, რომლებიც მთებით გადადიოდნენ სვანეთში.

„ჩემთან, ჩეგემის საზოგადოების უხუცესთან, — წერს ისხაკ ლოგოევი, — ამა რიცხვის დილით 9 საათზე მოვიდა ცხენოსანი ყროზანტიევი და მომახსენა, რომ გადასასვლელზე დილის 7 საათიდან ჩვენ ცხენოსნებსა და ბოლშევიკ აბრაგებს შორის ადგილი აქვს სროლას, მათ სურთ სვანეთში გადასვლაო. მე ამის გაგებისთანავე ჩეგემის მოსახლეობას მოვთხოვე შეიარაღებული ცხენოსნები, რათა ამით დავხმარებოდი ჩვენ ცხენოსნებს და ხელი შეგვეშალა ბოლშევიკების გადასვლაში, მაგრამ მოსახლეობამ უარი გვითხრა. მე იძულებული ვიყავი თვითონ წავსულიყავი აღნიშნულ ადგილზე, მაგრამ იქ მისვლამდე გზაში შემხვდა ჩემი თანაშემწე ოყრუ კუნიევი, რომელმაც მომახსენა, რომ აბრაგები უკვე გადავიდნენ გადასასვლელებზე და თავი შეაფარეს სვანეთსო“[128].

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მაშინვე დაამყარა კავშირი

---

[126] Абазатов, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[127] იქვე.

[128] ЦГА К-Б АССР, Ф. 197, ед. хр. 27, ფ. 12.

ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულ ამხანაგებთან და დაუსახა შემდგომი მოღვაწეობის ამოცანა.

მეომრებს ხელი შეუწყვეს სხვადასხვა სამუშაოზე მოწყობაში. კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გარკვეული ფულადი დახმარებაც აღმოუჩინა მათ.

ანიშებდა რა დიდ მნიშვნელობას დენიკინის ზურგში პარტიზანულ მოძრაობას, კავკასიის სამხარეო კომიტეტმა, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, შექმნა მთიელთა ცენტრალური რევოლუციური კომიტეტი ჩრდილოეთ კავკასიაში აჯანყების მოსამზადებლად. ამ კომიტეტის შემადგენლობაში შეიდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხების წარმომადგენლები — ს. გაბიევი, ი. ზიაზიკოვი, ტ. სოზაევი, ბ. კალმიკოვი, ს. მამსუროვი, ს. ტაკოევი, დ. კორკმასოვი[129].

1919 წ. აგვისტომდე მთიელთა ცენტრალური რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე იყო სიმონ ტაკოევი. კომიტეტმა გადაწყვიტა გამოეცა იატაკქვეშა გაზეთი, რომლის რედაქტორადაც ს. ტაკოევი დანიშნა, მაგრამ გაზეთის გამოცემა არ მოხერხდა. დაიწყო დაპატიმრებები და სხვებთან ერთად ს. ტაკოევიც დააპატიმრეს[130].

საინტერესოა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური მებრძოლის გ. ანჯიევსკის მოღვაწეობა საქართველოში. ისიც დენიკინელთა დევნის გამო გადმოვიდა საქართველოში.

სოხუმში მენშევიკების წინააღმდეგ მასების დასარაზმავად აქტიური საქმიანობა გააჩაღა ძველმა ბოლშევიკმა გ. ანჯიევსკიმ. მან გაიგო, რომ მენშევიკებს განზრახული ჰქონდათ მოეწვიათ სოხუმის პროფკავშირების კრება, რომლის მიზანი იყო დენიკინელთათვის ჯარის დაქირავების შესაძლებლობის შექმნა. მან მოაწყო მბეჭდავთა არალეგალური კრება, სადაც მან, ვ. ივანოვთან, მ. ხახმიგერთან, ი. ცეხანოვთან და სხვებთან ერთად შეადგინა რეზოლუცია, რომელიც აფხაზეთის მშრომელებს მოუწოდებდა კომუნისტების ხელმძღვანელობით წასულიყვნენ დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად და შემდეგ წითელ არმიასთან შესაერთებლად... ეს რეზოლუცია მუშებს უნდა დაეცვათ პროფკავშირების საქალაქო კრებაზე, რომელიც შედგა 1919 წ. 22 იანვარს. მუშებმა ბოლშევიკების წინადადებით მიიღეს რეზოლუცია დენიკინის

---

[129] Очерки истории Северо-Осетинской партийной организации, დს. ნაშრომი, გვ. 91.

[130] С. Тахоев, К истории революционного движения на Тереке (по личным воспоминаниям), Известия Осетинского Научно-исследовательского института Краеведения, вып. II, июль 1926 г., Владикавказ, გვ. 37—38.

წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ და მეტეხის ციხეში მყოფ კომუნისტთა განთავისუფლების შესახებ[131].

ჩრდილოეთ კავკასიელი ამხანაგები დროს ელოდნენ, როდესაც შეესძლებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნებას და იქ დარჩენილ ამხანაგებისათვის დახმარების გაწევას. მალე ეს დროც დადგა, როდესაც 1919 წ. ოქტომბერში დენიკინელებმა ორიოლის რაიონში სასტიკი მარცხი განიცადეს.

კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით 1919 წ. ბოლოს თბილისში შეიქმნა ინგუშეთის, ჩრდილო ოსეთის და ყაბარდო-ბალყარეთის რევკომები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ თერგის ოლქის წითელ პარტიზანთა ჯგუფის შტაბს[132]. რევკომებს მიეცათ დავალება წასულიყვნენ ადგილებზე (ჩრდილოეთ კავკასიაში), თავი მოეყარათ ყველა არსებული ძალებისათვის და მტრის ზურგში შეიარაღებული აჯანყების მეშვეობით დახმარება გაეწიათ შეტევაზე გადმოსული წითელი არმიისათვის.

პირველი ჯგუფი ოსი ბოლშევიკებისა დ. თოგოევის, კ. კესაევის, ა. ბოტოევის. ძ. ტაკოევის, ნ. ზოლოევის, ნ. სალამოვის და სხვათა შემადგენლობით 1919 წ. ოქტომბერში ყარაუგომის გადასასვლელით დაბრუნდნენ ოსეთში, სადაც დიდი მუშაობა გააჩაღეს პარტიზანული ბრძოლის ორგანიზაციისათვის. 1919 წ. ბოლოსათვის პარტიზანული ჯგუფების რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ პარტიზანული მოძრაობის უფრო კონკრეტული ხელმძღვანელობისათვის საჭირო შეიქმნა გადაჯგუფება მოეხდინათ ხელმძღვანელობაში.

სოფ. ხრისტიანოვსკოეში არალეგალურ თათბირზე აირჩიეს ოსეთის რევკომი და პარტიზანული ძალების ერთიანი სარდლობა. ოსეთის რევკომის შემადგენლობაში შევიდნენ: ყ. ბორუკაევი (თავმჯდომარე), დ. თოგოევი, ყ. ბუტაევი, ა. ბოტოევი, გ. ბარაკოვი, და სხვ. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა გ. თოგოევის პარტიზანულმა რაზმმა. რაზმის მოქმედება მარტო ოსეთით როდი შემოიფარგლებოდა. მან დიდი დახმარება გაუწია მოძმე ყაბარდოელებს თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში[133].

ამ პერიოდში ინგუშეთში გაიგზავნენ ყ. ბორუკაევი, ე. ეშბა და ი. ზიაზიკოვი.

1919 წ. დეკემბერში კავკასიის სამხარეო კომიტეტის წინადადებით

---

131 Г. А. Дзидзария, Очерки истории Абхазии, 1910—1921 гг., Тбилиси, 1963, გვ. 257.

132 ЦГА К-Б АССР, Ф. 195, оп. 3, д. 325, ф. 41—45.

133 М. С. Тотоев, Е. П. Кричина, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

ს. ტაკოევი მიდის ჩრდილო ოსეთში აჯანყების მოსაწყობად. მასთან ერთად გამგზავრების წინადადება მიეცა ყველა მთიელ კომუნისტს, რომელიც ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა.

„მე, ყაზბეგ ბუტაევი და მიხეილ გარდანოვი ქუთაისიდან გავემართეთ რაჭისაკენ, რათა ყარაუგომის გადასასვლელით გადავსულიყავით ოსეთში. ჩვენთან ერთად გამოემგზავრნენ ყაბარდო-ბალყარლები ნაზირ კატხანოვი, ხაჯი მიდოვი და ახმედ მუსაკაევი. სხვა ოსი ბოლშევიკები უნდა მოგვყოლოდნენ ჩვენ, მაგრამ მათ ეს ვერ მოახერხეს და საქართველოში დარჩნენ თერგის ოლქის გასაბჭოებამდე"[134]—წერს ს. ტაკოევი.

1919 წ. ბოლოს ბ. კალმიკოვმა მიიღო პარტიის მითითება საქართველოდან აზერბაიჯანის, მთიანი დაღესტნისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიების გავლით და ამ ტერიტორიაზე გაბნეული ძალების თავმოყრის შემდეგ ჩასულიყო ყაბარდოში, სადაც ჯერ კიდევ დენიკინელები იყვნენ და შეერთებოდა წითელ არმიას, რომელიც ჩრდილოეთიღან მოდიოდა[135].

ბ. კალმიკოვმა ყაბარდოში გამგზავრებამდე მთელი რიგი ღონისძიებანი ჩაატარა, რათა რაზმი მომზადებული ჩაეყვანა ყაბარდოში. ყაბარდო-ბალყარეთის რევკომმა, რომელიც ბ. კალმიკოვის მეთაურობით შეიქმნა თბილისში (მასში შედიოდნენ ხაჟუმარ კარაშევი და ხაჯიმურზა აკაბოვი) მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი შეიარაღებული რაზმის რეორგანიზაციისათვის[136].

ბ. კალმიკოვის მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მატარებლით მიაღწია დაღესტნის საზღვარს, შემდეგ 8 დღე და ღამე იარა ფეხით დაღესტნის მთებში და მივიდა სოფ. ლევაშში. სადაც იმყოფებოდა დაღესტნის პარტიზანთა ჯგუფის შტაბი. აქ ბეთალის ჯგუფს შეუერთდა ბევრი ყაბარდოელი და მათ გზა განაგრძეს ზამთრის მკაცრ პირობებში. ბევრ მეომარს მოეყინა ხელ-ფეხი. გზადაგზა მათი რაზმი ივსებოდა ახალ-ახალი მეომრებით. ასე, რომ როდესაც ჩეჩნეთის საზღვრებს მიუახლოვდნენ, მათი რაზმი უკვე 100-ზე მეტ კაცს ითვლიდა. აქ ისინი შეხვდნენ ნ. გიკალოს რაზმს, რომლიდანაც დაახლოებით 200-მდე ყაბარდოელი შეუერთდა ბ. კალმიკოვს. ახლა ეს რაზმი უკვე გარკვეულ

---

[134] С. Такоев, დასახ. ნაშრომი, გვ. 37—38.

[135] Воспоминания участников Октябрьской революции и Гражданской войны в Кабардино-Балкарии, выпуск I, Нальчик, 1957, გვ. 85.

[136] Воспоминания участников Октябрьской революции..., 2-ое изд, исправленное и дополненное, Нальчик, 1960, გვ. 214.

ძალას წარმოადგენდა, რომელმაც შემდგომში აქტიური მონაწილეობა მიიღო დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში[137].

1919 წ. დეკემბერში თბილისიდან ნ. გიკალოს შტაბში ჩამოვიდა ამხ. მორდოვცევი ინფორმაციითა და ფინანსური დახმარებით. 1920 წ. იანვრის პირველ რიცხვებში ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოდან ჩამოვიდა პარტიულ და სამხედრო მუშაკთა ჯგუფი სულთან დუდაევის. ალექსი კოსტერინის, კოსტოევისა და ოსტაპენკოს შემადგენლობით, რომლებმაც თან ჩამოიტანეს 2 მილ. მანეთი. კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ ყაბარდო-ბალყარელ ამხანაგთა დასახმარებლად გაიგზავნა ჯგუფი—ხაჟუმარ კარაშევის, ბაშირ კატხანოვის, კიშიევისა და კოკოევის შემადგენლობით[138].

ასეთია მოკლედ ჩრდილოეთ კავკასიელი რევოლუციონერების მოღვაწეობა საქართველოში.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ჩრდილოეთ კავკასიელი მოსახლეობა ხელს უწყობდა ბოლშევიკებს მათ საქმიანობაში ჩრდილოეთ კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში გადასვლაში, სადაც ისინი, დენიკინის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის დროებით დაკავების შემდეგ თითქმის მთელი წლის განმავლობაში აფარებდნენ თავს. ამავე ხელშეწყობის შედეგად ისინი ახერხებდნენ იქიდან დახმარებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილ ამხანაგებს და ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობას, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა დენიკინის წინააღმდეგ. ასევე საქართველოში მათ რევოლუციურ მუშაობას, მიუხედავად მენშევიკური მთავრობის რეპრესიებისა, განაპირობებდა ქართველი ხალხის თანაგრძნობა და მხარდაჭერა, რომელიც დენიკინში ხედავდა მშრომელი ხალხის დაუძინებელ მტერს.

თავი IV

დენიკინის დამარცხება და საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა ჩრდილოეთ კავკასიაში

ცარიცინთან გამარჯვების შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტის წინაშე დადგა ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის განადგურებისა

---

[137] Б. Калмыков, Революционное движение в Кабарде и Балкарии, Нальчик, 1957, გვ. 38—39.

[138] Воспоминания участников Октябрьской революции и гражданской войны в Кабардино-Балкарии, второе издание, исправленное и дополненное, Нальчик, 1960, ა. კოსტერინის მოგონებიდან, გვ. 206.

და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების თეთრგვარდიული და უცხო ინ-ტერვენტების უღლისაგან განთავისუფლების ამოცანა.

საბჭოთა ჯარები 1919 წლის აგვისტოს ბოლოდან გადადიან შეტევაზე და სულ უფრო და უფრო ავიწროებენ მტერს. 1919 წ. 15 ოქტომბერს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიიღეს რიგი ღონისძიებებისა სამხრეთის ფრონტის გამაგრების შესახებ. სამხრეთის ფრონტი გამოცხადდა მთავარ ფრონტად, სადაც ამ დროს წყდებოდა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს ბედი. საბჭოთა ჯარებმა 20 ოქტომბერს გაათავისუფლეს ორიოლი, 18 ნოემბერს კურსკი, 12 დეკემბერს — ხარკოვი, 16 დეკემბერს კიევი, ხოლო 1920 წლის 3 იანვარს — ცარიცინი და 9 იანვარს როსტოვი.

დაიწყო დენიკინელთა უკანდახევა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, „სადაც მათ დახვდათ იარაღასხმული აჯანყებული ხალხი... დენიკინის მდგომარეობა მძიმეა; მას საუკეთესო ჯარების ჩაბმა უხდება ბრძოლაში, რადგან უკრაინა ცეცხლის ალშია გახვეული და კავკასიაშიც აჯანყებაა"[1].

XI არმიის შემოსვლამ ჩრდილოეთ კავკასიის ფარგლებში გამოიწვია ნაციონალურ-გამათავისუფლებელი და პარტიზანული მოძრაობის ახალი აღმავლობა თერგის ოლქსა და დაღესტანში, სტავროპოლსა და ყუბანში.

1919 წლის ნოემბერში XI არმიის რევოლუციურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დახმარებოდა აჯანყებულ მთიელებს[2].

წითელი არმიის წარმატებათა კვალობაზე გააქტიურდა ჩრდილო-კავკასიელი ხალხების ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. მათ აჯანყება დაიწყეს დენიკინის დასამხობად.

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის ამ მძიმე დღეებში რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ აღუთქვეს მათ ყოველმხრივი დახმარება:

„მთიელებო! ჩვენ ვიცით, რომ თქვენ სისხლისაგან იცლებით, ჩვენ ვიცით, რომ თქვენი სოფლები და აულები ნადგურდება თეთრი ყაჩაღების მიერ. მაგრამ იცოდეთ, რომ საბჭოთა რუსეთი და მისი სახელოვანი წითელი არმია თქვენთანაა. ჩვენ მოვალთ თქვენს დასახმარებლად... ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მალე შეერთებული ძალებით გავანადგურებთ დენიკინს და კავკასიაში ავაფრიალებთ საბჭოთა ხელისუფლების წითელ დროშას. ვუსურვებთ სრულ წარმატებას თქვენს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 79—80.
[2] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, Ф. 80, оп. 3, д. 4, ф. 4.

იარაღს, რომელიც აღმართულია სამართლიანი საქმის დასაცავად. სიკვდილი მოხალისეთა არმიას! გაუმარჯოს აჯანყებულ კავკასიას"[3].

XI არმია მიიწევდა წინ აჯანყებულ მთიელთა დასახმარებლად, წითელი არმიის წარმატებებს ხელს უწყობდა დენიკინის ზურგში პარტიზანული ბრძოლა და დენიკინის არმიაში მასობრივი დეზერტირობა, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა გაურბოდა დენიკინის არმიაში მობილიზაციას. ამიტომ დენიკინის მოსახლეობის მობილიზაციას აწარმოებდა დამსჯელი ექსპედიციების საშუალებით.

წითელ პარტიზანთა წარმატებით ბრძოლას დიდად უწყობდა ხელს ის დახმარება, რასაც მათ უწევდნენ ჩეჩენ-ინგუშეთის, ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხები. ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ პარტიზანთა რაზმებში 30.000-ზე მეტი კაცი იბრძოდა[4].

XI არმიის სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ ს. კიროვის მეთაურობით გადაწყვიტა გამოეყენებინა ხელსაყრელი მომენტი და დაეწყო მთიელთა საერთო აჯანყება დენიკინის წინააღმდეგ. აჯანყების მომზადებას ხელმძღვანელობდნენ XI არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭო. რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ადგილობრივი კომუნისტები. პარტია და პირადად ვ. ი. ლენინი დიდ ყურადღებას უთმობდნენ აჯანყებას და ყოველმხრივ ეხმაურებოდნენ მას.

ჩრდილო კავკასიის მთიელთა აჯანყების მიზანი იყო ხელი შეეშალა დენიკინისათვის მოსკოვზე გალაშქრებაში, არ მიეცა მისთვის ჯარების გადაჯგუფების საშუალება, გადაეჭრა ის გზები, რომლითაც ის სურსათსა და ფურაჟს ღებულობდა.

აჯანყების გეგმა ასეთი იყო: უნდა აეღოთ ქ. გროზნო, რომელიც გახდებოდა ნიშანი კავკასიის მთიანეთის ყველა ხალხების გამოსვლისათვის.

მთიელები თავის ბრძოლაში ეყრდნობოდნენ საბჭოთა რუსეთის მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას. აჯანყებულთა იარაღით, ფულითა და საჭურველით მომარაგების საქმეში დიდი როლი ითამაშა ს. კიროვმა.

„აჯანყებულ მთიელთა ნაწილების შენახვა წარმოებს XI არმიის ხარჯზე. ამისათვის საჭირო სახსრები ეგზავნება სამხარეო კომიტეტს. ჯერჯერობით კი საჭიროა აღმოუჩინოთ მთიელებს დახმარება რამდე-

---

[3] Борьба за Советскую власть в Чечено-Ингушетии (1917—1920 гг.), Сборник документов и материалов, Грозный, 1958, გვ. 209.

[4] ЦГАСА, Ф. 911, оп. I, ед. хр. 22, ფ. 5.

ნიც შეგიძლიათ" — წერდა ს. კიროვი 1919 წ. 12 ნოემბერს წერილში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს[5].

მეორე წერილში ს. კიროვი რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტს აცნობებდა, რომ მას ეგზავნება ფული. ამ დღეებში თქვენ ამხ. გაბინსკის ხელით გამოგეგზავნათ 3 მილ. მანეთი. გიგზავნით კიდევ 5 მილიონს.

გამოგზავნა გეიანდებოდა ვოლგის დელტაში არსებული მდგომარეობით. აუცილებელია ყველა ზომა იხმაროთ აჯანყებულ მთიელთათვის ფულადი დახმარების აღმოსაჩენად. ამას განსაკუთრებით მოითხოვს ამხ. ვ. ი. ლენინი. ცუდია, რომ თქვენგან არა გვაქვს არავითარი ცნობები. ჩვენი საქმეები სამხრეთის ფრონტზე ბრწყინვალედაა...“[6].

დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას მასებში.

რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1919 წ. სექტემბერში მითითება მისცა ადგილობრივ და ჯარის პარტიულ ორგანიზაციებს სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის გაძლიერების შესახებ ჯარის ნაწილებსა და მშრომელთა ფართო მასებში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სააგიტაციო პროპაგანდისტულ მუშაობას ფრონტის ზურგ ზოლში.

ამ მიზნით რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ჩრდილოეთ კავკასიაში მოავლინა პარტიულ და პოლიტიკურ მუშაკთა ჯგუფი, მათ შორის ცნობილი პარტიული მუშაკები: გორდიენკო, გ. მორდოვცევი, ა. ხოროშევი, მიხეევი და სხვ.[7].

დიდი მუშაობა ტარდებოდა დენიკინის ჯარების გახრწნისათვის. თითქმის ყველგან, ფაბრიკებსა და ქარხნებში, სამხედრო ნაწილებში იქმნებოდა კომუნისტური უჯრედები. განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა გროზნოს პარტიულმა ორგანიზაციამ. მას ჰქონდა თავისი სტამბა, სადაც იბეჭდებოდა მოწოდებანი და სხვადასხვა ფურცლები, რომლებიც ერცელდებოდა მოსახლეობის ფართო მასებსა და ჯარის ნაწილებში. გროზნოს იატაკქვეშა ორგანიზაციას ჰქონდა მჭიდრო კავშირი ნ. გიკალოს რაზმთან. ეს ორგანიზაცია აგზავნიდა მთებში იარაღს, საჭურველს, მედიკამენტებს, გადაჰყავდა იქ ყველა. ვინც დენიკინის დევნას გადაურჩებოდა.

წითელი არმიის წარმატებებმა და ბოლშევიკების აქტიურმა მოღვაწეობამ გამოიწვია ახალ-ახალი გამოსვლები მოსახლეობაში. ამას დე-

---

[5] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, Ф. 80, оп. 3, ед. хр. 8, ф. 1.
[6] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, Ф. 80, оп. 22, ед. хр. 2, ф. 12.
[7] З. Гойгова, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

ნიკინმა დაუპირისპირა რეპრესიები და თეთრი ტერორი. დენიკინელთა ბატონობის პერიოდში მარტო გროზნოში დახვრიტეს 2000 კაცი[8].

დენიკინმა თერგის ოლქში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა.

დენიკინელთა მიმართ მოსახლეობის უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. მასთან ერთად იზრდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პოპულარობა. თუ როგორი იყო მოსახლეობის ფართო მასების განწყობილება, კარგად ჩანს ნ. გიკალოს სიტყვებიდან: „მთიელი ხალხების სიმპატიები, — წერდა იგი 1920 წ. იანვარში, — საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა: ...ყველა მთიელმა-დაღესტნელმა, ჩეჩენმა, ინგუშმა, ყაბარდოელმა იცის, რომ მათი გადამრჩენი საბჭოთა ხელისუფლებაა და მოუთმენლად ელიან წითელი არმიის მოსვლას. მთიელთა ერთადერთი მისწრაფება, ერთადერთი მიზანი — ესაა საბჭოთა ხელისუფლება"[9].

კავკასიის სამხარეო კომიტეტი და XI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო შეუდგნენ მთიელთა საყოველთაო აჯანყების ორგანიზაციას. ამ აჯანყებას ხელი უნდა შეეწყო XI არმიის უფრო სწრაფად და წარმატებით მოქმედებისათვის თეთრგვარდიელებისაგან ჩრდილოეთ კავკასიის გასანთავისუფლებლად.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1919 წ. ოქტომბერში რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა მთიელ კომუნისტს საქართველოდან დაბრუნებულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში იატაკქვეშა მუშაობის ორგანიზაციისა და აჯანყებულთა რაზმების შექმნისათვის. საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში დაბრუნებულმა კომუნისტებმა დიდი როლი ითამაშეს დენიკინის წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების დარაზმვის საქმეში.

1919 წ. ოქტომბერში ოსი ბოლშევიკების ჯგუფთან ერთად საქართველოდან ოსეთში დაბრუნდა პარტია „კერმენის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი ამურხან ბოტოევი. იგი თავის მოგონებებში აგვიწერს ჩრდილოეთ ოსეთში ამ დროს არსებულ მდგომარეობას. „მთელი ჩრდილო ოსეთი მოცული იყო პარტიზანული მოძრაობით. არ იყო არც ერთი სოფელი, საიდანაც არ გამოსულიყვნენ პარტიზანები. პარტიზანული რაზმები ჩამოყალიბდა დიგორიაში და ოსეთის სხვა რაიონებში... 1919 წ. ბოლოსა და 1920 წლის დასაწყისში მთელი ჩრდილო ოსეთი წარმოადგენდა შეიარაღებულ ბანაკს, რომელიც მიმართული იყო დენიკინის თეთრი არმიის წინააღმდეგ"[10].

---

[8] А. Костерин, 1919—1920 гг. в горах Кавказа. Владикавказ, 1921, გვ. 59.
[9] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС. Ф. 80, оп. 3, д. 4, ф. 40.
[10] Архив СОНИИ, Воспоминания А. Ботоева, გვ. 13.

ჩრდილოეთ კავკასიაში იატაკქვეშა მუშაობა დენიკინის ზურგში კარგად იყო ორგანიზებული კომუნისტების მიერ. კავშირი იატაკქვეშელებისა წითელპარტიზანებთან და მთელ მშრომელ მასებთან კარგად იყო დაყენებული, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დენიკინის დამარცხების საქმეში.

ს. კიროვი ბოლშევიკებს აგზავნიდა დენიკინის არმიაში სააგიტაციო მუშაობისათვის. ამან დეზერტირობა დენიკინის არმიაში კიდევ უფრო გააძლიერა. მთიელები მალავდნენ დეზერტირებს, ხოლო შემდეგ აგზავნიდნენ პარტიზანულ რაზმებში.

ჩრდილო ოსეთში პარტიზანული მოძრაობის (პარტიზანული რაზმების შექმნა და ხელმძღვანელობა) საქმეში დიდი როლი ითამაშეს ყ. ბორუკაევმა, დ. თოგოევმა, ა. ბოტოევმა, გ. ბარაკოვმა, ხ. პსხაციევმა და სხვ. მათ სოფლად დიდი სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს[11]. ნ. კატხანოვის თხოვნით ოსეთიდან ყაბარდო-ბალყარეთში გაიგზავნა დ. თოგოევის რაზმი, რომელმაც გმირული ბრძოლის შედეგად გაანადგურა ბეკოვიჩ-ჩერკასკის რაზმი, გაანთავისუფლა ქ. ნალჩიკი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა ყაბარდოში.

თერგის ოლქში სასურსათო მდგომარეობა მძიმე იყო, ხოლო „მოხალისეთა არმიის“ მხეცობამ წარმოშვა საბჭოთა ხელისუფლების ბევრი მომხრე. „ბევრ სტანიცაში განწყობილება ბოლშევიკურია. მიმდინარეობს კომუნისტური აგიტაცია. ერის კავშირი რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტთან“—წერდა გაზ. „პრავდა“ 1919 წ. 15 ოქტომბერს[12].

იმავე წლის 2 ნოემბერს გაზ. „პრავდა“ წერდა, რომ „...ჩაღდება კლასობრივი ბრძოლა კავკასიაში, ხალხი გამოვიდა თავის მტანჯველების — ხანებისა და ბეგების წინააღმდეგ. მთელი ჩრდილოეთ კავკასია მოიცვა წითელ მთიელთა აჯანყების ალმა, რომელიც მიმართულია დენიკინელთა ბანდებისა და ინგლისის იმპერიალისტების წინააღმდეგ. კავკასიის აჯანყებული ხალხები მოდიან საბჭოთა რუსეთს დახმარებისა და მასთან გაერთიანების ლოზუნგით“[13].

ჩრდილოეთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანული რაზმები მრავალრიცხოვანი იყვნენ და ძლიერ ძალასაც წარმოადგენდნენ, მაგრამ მათი სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი მოქმედებდნენ ცალ-ცალკე და არ გააჩნდათ ერთიანი ხელმძღვანელი ცენ-

---

[11] С. Кулов. Борьба трудящихся Северной Осетии против деникинской контрреволюции, Ученые записки СОГ Пединститута им. К. Хетагурова, т. XXII, вып. 3, Орджоникидзе, 1957, გვ. 45.

[12] Газ. «Правда», 1919, 15 ოქტომბერი.

[13] Газ. «Правда», 1919, 2 ნოემბერი.

ტრი. დღის წესრიგში დადგა მათი ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანება. ამ მიზნით ს. კიროვის 1920 წ. 24 იანვრის მითითებით და კავკასიის სამხარეო კომიტეტის დირექტივის თანახმად თერგის ოლქის ყველა აჯანყებული პარტიზანული რაზმები გაერთიანდნენ თერგის ოლქის აჯანყებულთა ჯარების ჯგუფად, რომელსაც სათავეში ნ. გიკალო ჩაუდგა. ამ ჯგუფის ბირთვს წარმოადგენდა გროზნოს პარტიზანული რაზმი. შტაბის უფროსად დაინიშნა ინგუში სულთან დუდაევი, რომელიც იყო XI არმიის წარმომადგენელი, ხოლო პოლიტგანყოფილების უფროსად ა. ნოსოვი. ყველა რევკომები და აჯანყებულთა რაზმები თერგის ოლქის ტერიტორიაზე დაუმორჩილდა ჯგუფის სარდლობას, რომელიც სოფ. შატოიში იმყოფებოდა.

რკპ(ბ) ც. კ.-ს 1920 წ. 4 თებერვლის დადგენილებით შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის ბიურო. ბიუროს თავმჯდომარედ დაინიშნა ს. ორჯონიკიძე, მოადგილედ ს. კიროვი. წევრებად — ბ. მდივანი, ნ. ნარიმანოვი და ა. სტოპანი[14]. ბიუროს კავშირი ჰქონდა აჯანყებულებთან და აწარმოებდა საორგანიზაციო მოსამზადებელ სამუშაოებს.

დენიკინელთა ცდა — 1920 წლის იანვრის დასასრულისათვის ბოლო მოეღოთ თერგის ოლქის აჯანყებულთა ცენტრისათვის, მარცხით დამთავრდა. სოფ. ვოზდვიჟენსკოესთან ბრძოლაში დენიკინელებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. ამ ბრძოლაში დაილუპა სულთან დუდაევი. ამ ბრძოლის შემდეგ მყარდება უფრო მჭიდრო კავშირი აჯანყებულთა ჯგუფის შტაბსა და XI არმიის ხელმძღვანელობას შორის. არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭო აძლევს დავალებებს პარტიზანულ რაზმებს და იატაკქვეშა პარტიულ ჯგუფებს.

პარტიზანული რაზმები და იატაკქვეშა ბოლშევიკური ორგანიზაციები ფაქტიურად გახდნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონნი მთელს თერგის ოლქში. დენიკინელთა ხელისუფლება მხოლოდ ფორმალურად არსებობდა.

აჯანყების უშუალო ხელმძღვანელობისათვის და საორგანიზაციო მუშაობისათვის კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებით მთელ ოლქში შეიქმნა რევოლუციური კომიტეტები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს კონტრრევოლუციონერთა ბანდების განადგურებისა და იმ მძიმე სამეურნეო ვითარების დაძლევის საქმეში, რომელიც დენიკინელთა მცირე ხნის ბატონობის შედეგად შეიქმნა მხარეში.

აჯანყებაში, რომელიც მზადდებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და, რომელსაც თავისუფლება უნდა მოეტანა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალ-

---

[14] ЦПА ИМЛ ПРИ ЦК КПСС, Ф. 80, оп. 3, ед. хр. 5, ф. 1.

ხებისათვის, ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან ერთად დიდი როლი უნდა ეთამაშა კაზაკობას. პარტია დიდ მნიშვნელობას აძლევდა მშრომელი კაზაკების საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოყვანას. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა მშრომელ კაზაკთა 1-ლმა საერთო რუსეთის ყრილობამ, რომელიც 1920 წ. 29 თებერვალს გაიხსნა მოსკოვში. აქ სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც კაზაკობას მოუწოდა მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის, განუმარტა, რომ მათ რუსეთის მუშებსა და გლეხებთან ერთი საერთო გზა აქვთ.

კაზაკობის გადმოსვლას რევოლუციის მხარეზე მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ისინი წარმოადგენდნენ დენიკინის ძირითად დასაყრდენს.

დენიკინის პრესტიჟი სულ უფრო და უფრო ეცემოდა. მას გადაუდგნენ ისეთი ერთგულნიც კი, როგორიც იყვნენ კაზაკობის ზედაფენები.

1920 წლის 20 მარტს გაიხსნა სუნჟის ხაზის კაზაკობის ყრილობა, რომელმაც მხარი დაუჭირა საბჭოთა ხელისუფლებას. კაზაკების განწყობილებას და მათ გადასვლას რევოლუციის მხარეზე კარგად ახასიათებს გაზ. „Вольный горец", იგი წერს: „მოხალისეთა უკანასკნელი დამარცხება გეორგიევსკის რაიონში აიხსნება იმით, რომ კაზაკები უარს ამბობენ ბოლშევიკებთან ბრძოლაზე. ასე მაგალითად, გეორგიევსკის ფრონტიდან წავიდნენ თერგის კაზაკები, მაშინ ყუბანელმა კაზაკებმაც, რომლებიც გეორგიევსკში იმყოფებოდნენ, დასტოვეს ქალაქი და დაბრუნდნენ ყუბანში. ფრონტი დაიშალა და ბოლშევიკები წინააღმდეგობის გარეშე მოიწევენ წინ. ყველაზე არამტკიცენი აღმოჩნდნენ თერგის კაზაკები. მათ პირველებმა უღალატეს „ერთიანი, განუყოფელი რუსეთის" საქმეს, თუმცა ისინი დენიკინის ყველაზე თავგადადებული მომხრენი იყვნენ"[15].

ჩრდილოეთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა აჯანყებისათვის მზადება. ნ. გიკალო 1920 წ. თებერვალში წერდა, რომ მთიელი მოსახლეობის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ყველაზე ძლიერი, ინტენსიური მუშაობა აჯანყების მოსამზადებლად[16]. პირობები საყოველთაო აჯანყებისათვის მომწიფდა... წითელი არმია გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა და უახლოვდებოდა თერგის ოლქს.

1920 წლის მარტის დასაწყისისათვის დენიკინის ზურგში აჯანყება მზად იყო და ნიშანს ელოდნენ გამოსვლისათვის. 1920 წ. 17 მარტს

---

[15] Газ. «Вольный горец», 1920, 22 марта, № 35.

[16] ЦГА Ч-И АССР, Ф. 96, д. 4, ф. 19.

გამოიცა ბრძანება აჯანყებულთა გამოსვლის შესახებ ინგუშეთში. აჯანყებულებს უნდა ემოქმედათ წითელ არმიასთან ურთიერთ კავშირში, რომელიც ამ დროს სულ უფრო და უფრო ავიწროვებდა დენიკინს.

რაზმმა, რომელსაც ნ. გიკალო სარდლობდა, 17 მარტს აიღო გროზნო. 24 მარტს გროზნოში შემოვიდნენ წითელი არმიის ნაწილები. გროზნოში საბჭოთა ხელისუფლება აღსდგა.

გროზნოს მცხოვრებნი ზეიმით შეხვდნენ წითელი არმიის ნაწილების შესვლას ქალაქში. „ძნელია იმ აღფრთოვანების გადმოცემა, რასაც გროზნოს პროლეტარიატი და ყველა მშრომელი განიცდიდა, როდესაც მათ დაინახეს ჩვენი რაზმის შესვლა ქალაქში, — იგონებს ა. ნოსოვი, — შეუძლებელია აღვწეროთ ათასობით ადამიანების სიხარული. ისინი ტიროდნენ და იცინოდნენ, მთელი ძალებით გამოხატავდნენ რა თავის ზეიმს, მათ არ იცოდნენ რით და როგორ გამოეხატათ თავისი გრძნობები“[17].

საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიდნენ ქალაქში დარჩენილი აფშერონის პოლკის ბატალიონი 500 კაცის რაოდენობით და შირვანის პოლკის 3 ასეული.

„გუშინ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქ. გროზნო, ნავთის სარეწები წესრიგშია. დაწვრილებით შემდეგ გაცნობებთ“[18] — წერდა სერგო ორჯონიკიძე ვ. ი. ლენინს 1920 წლის 25 მარტს.

23 მარტს აიღეს ვლადიკავკავი. მეორე დღეს მშრომელთა მიტინგზე, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაატარეს, რევკომმა გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა. მთელი ძალაუფლება ქალაქში დროებით გადავიდა ვლადიკავკავის თავდაცვის რევოლუციურ საბჭოს ხელში.

ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობდა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის აჯანყებულთა ბრიგადა, რომელიც 1918 — 1920 წწ. შეიქმნა სამხრეთ ოსეთში მათე სანაკოევის, ალექსანდრე ჯატიევის და სხვების ხელმძღვანელობით.

აღნიშნული ბრიგადა 1918 — 1920 წწ. ბრძოლას აწარმოებდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

1920 წ. თებერვალში სამხრეთ ოსეთის რევოლუციური აჯანყებულთა ბრიგადა იძულებული იყო დაეტოვებია საქართველო და ზამთრის მძიმე პირობებში მამისონის გადასასვლელით გადასულიყო ჩრდილო კავკასიაში. ბრიგადას მეთაურობდა კომუნისტი მათე სანაკოევი, მეფის არმიის ყოფილი პოდპოლკოვნიკი. მათი დახმარებით

---

[17] А. Носов, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[18] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, Ф. 85, оп. 2, ед. хр. 3, ф. 11.

1920 წ. მარტში განადგურდა ალაგირის ბატალიონი და ალაგირში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება[19].

1920 წ. მარტში სამხრეთ-ოსეთის რევოლუციურ აჯანყებულთა ბრიგადა XI წითელი არმიის მოწინავე ნაწილებთან ერთად შევიდა ვლადიკავკაზში.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩრდილო-ოსეთის პარტიზანული რაზმები და სამხრეთ-ოსეთის ბრიგადა გაერთიანდნენ ერთ რაზმად, რომელსაც მეთაურობდა ამურხან ბოტოევი.

ამგვარად, თერგის ფრონტი ლიკვიდირებულ იქნა. ახლა საჭირო იყო აჯანყებულთა დახმარება დაღესტნისადმი და დაღესტნის განთავისუფლება დენიკინელებისაგან. აჯანყებული დაღესტნელების გვერდით იბრძოდნენ ნ. გიკალოს რაზმის მეომრები და ინგუშთა რაზმი, ხ. ორცხანოვის ხელმძღვანელობით.

25 მარტს აჯანყებულთა რაზმები იკავებენ დერბენტს, 27 მარტს თემირ-ხან-შურას, ხოლო 30 მარტს დენიკინელთა დასაყრდენ პუნქტს კასპიის ზღვამდე — პორტ-პეტროვსკს.

დენიკინის არმიის ნარჩენებმა უკან დაიხიეს ნოვოროსიისკისა და ტუაპსესაკენ, საიდანაც ისინი ინგლის-საფრანგეთის გემებით ყირიმში გადაიყვანეს. ნაწილმა თავი შეაფარა მენშევიკური საქართველოს ტერიტორიას.

ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა აჯანყების მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ მასში ყველაზე უფრო ნათლად გამომჟღავნდა და გაფორმდა მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხობის კავშირი. იგი იყო საერთო მტრის — დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში კავკასიის ხალხებისა და რუსი ხალხის მგეობრობის ნამდვილი დემონსტრაცია. მთიელები დარწმუნდნენ, რომ სწორედ რუსმა ხალხმა და მასთან მეგობრობამ მოუტანა მათ საერთო მტერზე გამარჯვება.

მთელი ჩრდილოეთ კავკასია განთავისუფლდა დენიკინელებისაგან; ამის თაობაზე სერგო ორჯონიკიძე 1920 წელს 2 აპრილს აცნობებდა ვ. ლენინს: „მთელი ჩრდილო კავკასიის, ყუბანის, სტავროპოლის, შავიზღვისპირეთის, თერგისა და დაღესტნის ოლქების განთავისუფლება

---

[19] Гражданская война в Северной Осетии, По воспоминаниям участников, ბ. ბოტოევის მოგონება, გვ. 72—73; ბრიგადის ერთ-ერთ პოლკს მეთაურობდა დიმიტრი თედეევი, რომელიც 1920 წ. ივნისში სამხრეთ ოსეთის ბრიგადასთან ერთად გადმოვიდა სამხრეთ ოსეთში და იბრძოდა მენშევიკთა რაზმების წინააღმდეგ. აქვე უნდა დავასახელოთ დ. აბაევი, ს. თედეევი და სხვ. — იხ. რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენ, საქართველოში, გვ. 262.

თეთრებისაგან მომხდარი ფაქტი გახდა. ოსები, ინგუშები, ყაბარდოელები, დაღესტნელები, ბალყარები გამსჭვალულნი არიან საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების სრული შეგნებით და მისადმი უსაზღვრო ნდობით. მასების რევოლუციური განწყობილება ბევრ ადგილას ისეთ დაძაბულობას აღწევს, რომ მათთან წითელი არმიის მოსვლამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მოსახლეობა საკუთარი ინიციატივით ამხობს თეთრების ძალაუფლებას, ირჩევს რევკომებს, რომლებიც ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტებისაგან შედგება. კავკავმა, გროზნომ, დერბენტმა გააძევეს თეთრგვარდიელები და წითელი არმიის მოსვლამდე შექმნეს თავისი სააჯანყებო რევკომები"[20].

ამგვარად, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა დიდი რუსი ხალხისა და მისი გმირული წითელი არმიის დახმარებით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაამარცხეს დენიკინის თეთრგვარდიული ბანდები და კვლავ აღადგინეს მხარეში საბჭოთა ხელისუფლება. „მსოფლიო იმპერიალიზმის ცდამ — ომის საშუალებით დავეთრგუნეთ, სრული მარცხი განიცადა" — ამბობდა ვ. ი. ლენინი 1920 წლის 5 აპრილს IX ყრილობაზე[21].

რუსეთის მუშათა კლასმა შესძლო თავის ირგვლივ დაერაზმა გლეხებისა და კაზაკობის მშრომელი მასები, არარუსი მოსახლეობის მშრომელი ფენები ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ თეთრგვარდიელთა განადგურება და რევოლუციის გამარჯვება შედეგი იყო გლეხობისა და მშრომელი კაზაკობის მუშათა კლასის მხარეზე გამოსვლისა:

„...ბოლოს და ბოლოს გლეხობაც და მშრომელი კაზაკობაც, რომლებიც დიდხანს მეორე მხარეზე იმყოფებოდნენ, ახლა მუშებისა და გლეხების მხარეზე გადმოვიდნენ, და მხოლოდ ამან გადაწყვიტა საბოლოო ანგარიშით ომი და ჩვენ გამარჯვება მოგვანიჭა"[22].

თეთრგვარდიული ემიგრაცია და ბურჟუაზიული პროპაგანდისტები დასავლეთში ცდილობენ დაამცირონ ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების რევოლუციური ბრძოლის როლი დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში და აღნიშნავენ, რომ თითქოს თერგის ოლქში და საერთოდ კავკასიაში დენიკინელების დამარცხება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება იქ წითელი არმიის შესვლის შედეგი იყო.

სინამდვილეში ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ერთობლივი ბრძოლის გარეშე, მათი ინტერნაციონალური შეკავშირების გარეშე,

---

[20] გ. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.
[21] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 592.
[22] იქვე, გვ. 447

შეუძლებელი იქნებოდა კონტრრევოლუციისა და მასთან გაერთიანებული უცხოელი ინტერვენტების დამარცხება სამოქალაქო ომში და საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნება.

ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები კარგად ხედავდნენ, რომ ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოპოვება შეეძლოთ მხოლოდ რუსი ხალხის ძმური დახმარების პირობებში. ამიტომაც არ დაუზოგავთ თავი და რუსების მხარდამხარ თავდადებული ბრძოლით მოიპოვეს და დაიცვეს ნანატრი თავისუფლება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, იგრძნო და დაინახა, რომ ისინი იცავენ თავიანთ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათთვის და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ადამიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“[23].

დაამარცხეს რა დენიკინი, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები მაშინვე შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების აღდგენას. ამ სამუშაოს ახორციელებდა ჩრდილოეთ კავკასიის რევკომი, რომელიც შეიქმნა 1920 წლის 31 მარტს ვლადიკავკაზში. მისი შემადგენლობა ასეთი იყო: თავმჯდომარე — სერგო ორჯონიკიძე, მოადგილეები — ს. კიროვი და ი. პოლუიანი, წევრები — ბ. მდივანი, ა. სტოპანი, ნ. ნარიმანოვი და ს. გაბიევი[24].

ბოლშევიკებმა დაიწყეს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნა. პარტიული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობისათვის 1920 წლის 31 მარტს ჩრდილო კავკასიის რევკომთან ჩამოყალიბდა პარტიული ბიურო სმილგას (რკპ(ბ) ც. კ.-ის წევრი) თავმჯდომარეობით. ბიუროს წევრები იყვნენ — ს. კიროვი და ბ. მდივანი. პარტიული ბიურო ახორციელებდა უმაღლესი პარტიული ორგანოს ფუნქციებს თერგის ოლქში, რადგანაც ამ დროს კავკასიის სამხარეო კომიტეტი იმყოფებოდა მენშევიკურ საქართველოში არალეგალურ პირობებში და არ შეეძლო ეხელმძღვანელა ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა რაიონებისათვის.

1920 წლის 3 აპრილს გროზნოში მოიწვიეს ჩეჩენი ხალხის ყრილობა. ყრილობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის. მასზე სიტყვებით გამოვიდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი., აირჩიეს რევკომი 5 კაცის შემადგენლობით

---

[23] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 29, გვ. 370.

[24] Борьба за установление и упрочение Советской власти в Дагестане 1917—1921 гг. Сборник документов и материалов, Москва, 1958, გვ. 410.

(თავმჯდომარედ — ტაშტემირ ელდარხანოვი, თავმჯდომარის ამხანაგად — დანილბეკ შერიპოვი, წევრებად — ჩოდა იაშურკაევი, მაგომედ ახტახანოვი, აბუბაკარ უმაროვი)[25].

4 აპრილს ნაზრანში ინგუში ხალხის ყრილობაზე შეიქმნა ინგუშთა რევკომი (თავმჯდომარე — ი. ჩაბიევი, მოადგილე — უ. ალბოგაჩიევი, წევრები — ი. მალსაგოვი, ე. ხამჩიევი, უ. ალტემიროვი).

მთელს თერგის ოლქში მტკიცე საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ჩრდილოეთ კავკასიის რევკომი 1920 წ. 8 აპრილს ქმნის თერგის საოლქო რევოლუციურ კომიტეტს. მას სათავეში ედგა ბ. კვირკველია, მოადგილეები იყვნენ. ტ. ელდარხანოვი და ს. ტაკოევი, წევრები — ა. ზიაზიკოვი, ბ. კალმიკოვი. ა. დიაკოვი, ფ. ნასტუევი, სამხედრო კომისარი ნ. გიკალო შედიოდა საოლქო კომიტეტში, როგორც სრულუფლებიანი წევრი[26].

თერგის საოლქო რევკომი ხელმძღვანელობას უწევდა რევკომებს ადგილებზე და უწევდა მათ დიდ დახმარებას.

რევკომებს უნდა ეწარმოებინათ ბრძოლა გადარჩენილ კონტრრევოლუციურ ბანდებთან, გადაეჭრათ სამეურნეო ამოცანები. რევკომებს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უნდა მოემზადებინათ და ჩაეტარებინათ არჩევნები საბჭოთა ორგანოებში.

1920 წლის 22 აპრილს შეიქმნა ოსეთის რევკომი გ. მამსუროვის თავმჯდომარეობით[27].

1920 წლის 20 მაისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის შითითებისა და ვ. ი. ლენინის ინიციატივით რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი გარდაიქმნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროდ ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის მეთაურობით. მასში შევიდნენ აგრეთვე ა. ნაზარეტიანი, მ. ორახელაშვილი და სხვა გამოჩენილი ბოლშევიკები[28].

კავკასიის ბიურომ დიდი როლი ითამაშა ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და კავკასიის მრავალეროვანი ბალხების მიმართ სწორი პოლიტიკის გატარების საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა მხარეში დანგრეული მეურნეობის აღდგენა.

„ვეურდნობით რა ამ გამარჯვებას, ჩვენ მთელი ძალებით, უნდა

---

[25] З. Голгова, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.
[26] Партархив СО Обкома КПСС, г. Орджоникидзе, ф. истории партии.
[27] Очерки истории Северо-Осетинской партийной организации, გვ. 100.
[28] П. Мосесов, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

განვამტკიცოთ იგი ახლა უკვე სხვა ფრონტზე, უსისხლო ფრონტზე, ნგრევის საწინააღმდეგო ომის ფრონტზე, ნგრევისა, რაც გამოიწვია მემამულეებთან, კოლჩაკთან და დენიკინთან ომმა" — წერდა ვ. ი. ლენინი[29].

თერგის ოლქის კომუნისტებმა ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გააჩაღეს დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კავკასიის შრომის არმიის (Кавказская армия труда) დამსახურება, რომელიც შეიქმნა VIII არმიის ბაზაზე. მას სათავეში ჩაუდგა ი. კოსიორი.

ჩრდილოეთ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიწის საკითხის გადაჭრას. 1920 წ. 19 აპრილს გამოცხადდა მთელი მიწების ნაციონალიზაცია.

რევკომებმა დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში და მოამზადეს მასები საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის უფრო მაღალ ფორმაზე — საბჭოებზე გადასვლისათვის.

1920 წ. 4 აგვისტოს გაიხსნა საბჭოების საოლქო ყრილობა, სადაც ოსეთის, ყაბარდოს, ინგუშეთის, ჩეჩნეთის და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხების წარმომადგენლებმა მშრომელი კაზაკობის წარმომადგენლებთან ერთად შეაჯამეს საოლქო რევკომის მიერ ჩატარებული მუშაობა და აირჩიეს თერგის ოლქის აღმასკომი 18 კაცის შემადგენლობით: თავმჯდომარე — ბ. კვირკველია, მოადგილეები — ნ. გიკალო და ელერდოვი[30].

მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები შეუდგნენ დანგრეული მეურნეობის აღდგენას და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას. კონტრრევოლუციას არ ეძინა. კავკასიის მთებში ყალიბდებოდა კონტრრევოლუციონერთა სხვადასხვა ჯგუფები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე დროს, ჯერ კიდევ არ იყო გამორიცხული მტრის ძალების შემოჭრა საქართველოს მხრიდან, სადაც თავი შეაფარეს დამარცხებულ თეთრგვარდიელთა დიდმა ძალებმა, რომლებსაც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ფართოდ გაუღო კარები. ამ მიზნით 28-ე დივიზიას დაევალა საქართველოს მხრიდან თერგის ოლქში მიმავალი ყველა გზების დაცვა[31].

1920 — 1921 წლების მანძილზე თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულ იქნა კონტრრევოლუციონერთა ბანდები მთელ ჩრდილოეთ

---

[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 477.
[30] Очерки истории Северо-Осетинской партийной организации, გვ. 108.
[31] ЦГАСА, ф. 109, оп. 3, ед. хр. 63, ფ. 33.

კავკასიაში. ამ აქციას ს. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ამიერკავკასიაში, თავის მხრივ, კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლება ჩრდილოეთ კავკასიაში.

1920 წლის 17 ნოემბერს ვლადიკავკავში გაიხსნა თერგის ოლქის ხალხების ყრილობა, რომელიც მიეძღვნა მთიელთა ავტონომიური საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებას.

1921 წლის 20 იანვარს რსფსრ-ს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მთიელთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. მასში შეივიდნენ ჩეჩნეთის, ნაზრანის, ვლადიკავკავის, უაბარდოს, ბალყარეთის და ყარაჩაის ოლქები. შემდეგ ამ ოლქების ბაზაზე ცალკე ჩამოყალიბდა ჩეჩენ-ინგუშეთის, უაბარდო-ბალყარეთის და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ვ. ი. ლენინი სიამაყით წერდა, რომ სოციალისტური რევოლუციის წყალობით „ჩვენ ყველა არარუს ეროვნებას მათი საკუთარი რესპუბლიკა თუ ავტონომიური ოლქი მივეცით"[32]. აჯამებდა რა დენიკინელთა განადგურების შედეგებს, ვ. ი. ლენინი 1920 წლის მარტში წერდა: „ახლა იმპერიალისტებს ჩვენი ეშინიათ და საბუთიც აქვთ ეშინოდეთ, იმიტომ რომ საბჭოთა რუსეთი ამ ომიდან გამოვიდა უფრო ძლიერი, ვიდრე ოდესმე იყო"[33].

ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის მთელი ისტორია არის ნათელი დადასტურება ს. კიროვის იმ სიტყვებისა, რომელიც მან თერგის ოლქის ხალხების II ყრილობაზე წარმოთქვა:

„...მარტო სილამაზე როდი იმალება კავკასიის მთებში. არამედ, ამ ამაყი ქედების ჯაჭვი გახდება ის მძლავრი ზღუდე, რომელზედაც დაიმსხვრევა რეაქციის ყველა ძალა. მთების ველურ ხეობებში ისმის არა მარტო ქარის ზუზუნი, არამედ იქ ისმის დემოკრატიის ჭეშმარიტი შვილების გულში ჩადებული იმედების რევოლუციური სიმღერა"[34].

წითელი არმიის გამარჯვებამ ჩრდილოეთ კავკასიაში, მისი ნაწილების მოახლოებამ ამიერკავკასიასთან გამოიწვია რევოლუციური მოძრაობის შემდგომი აღმავლობა ამიერკავკასიაში. ანტანტა კი ამიერკავკასიას ამზადებდა როგორც პლაცდარმს შეტევაზე გადმოსულ წითელ არმიასთან საბრძოლველად.

მაგრამ ანტანტის დაწოლის მიუხედავად მუსავატელებისა და მენშევიკების მთავრობები, იღებდნენ რა მხედველობაში ხალხის განწყო-

---

[32] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 40.
[33] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 471.
[34] С. М. Киров, Избранные статьи и речи (1912—1934), М., 1957, გვ. 36.

ბილებას და წითელი არმიის გამარჯვებებს, ვერ ბედავდნენ აშკარად ჩაბმულიყვნენ საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ეფარებოდნენ ნეიტრალიტეტის დროშას. მაშინ როდესაც ფაქტიურად დიდ სამსახურს უწევდნენ თეთრგვარდიელებს[36]

ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრრევოლუციონერთა თარეშის პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა მნიშვნელოვანი რევოლუციური დახმარება მიიღეს საბჭოთა რუსეთისა, ამიერკავკასიისა და საბჭოთა ბაქოსაგან. ხოლო როდესაც წითელმა არმიამ გაათავისუფლა ჩრდილოეთ კავკასია და აღადგინა საბჭოთა ხელისუფლება, ვითარება შეიცვალა. ახლა ამიერკავკასიის მშრომელები უდიდეს დახმარებას იღებდნენ საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა ჩრდილოეთ კავკასიიდან[36].

საქართველო მენშევიკების ხელში კვლავ რჩებოდა ინტერვენტებისა და კონტრრევოლუციის ბაზად. აქ ჰპოვეს თავშესაფარი დენიკინისა და ვრანგელის კონტრრევოლუციონერებმა, კონტრრევოლუციურმა „მთიელთა მთავრობამ", „მთიელებისა და თერგის კაზაკობის ბოლშევიკებისაგან განთავისუფლების ხელშემწყობმა კომიტეტმა", დამარცხებულმა მუსავატელებმა, დაშნაკებმა და სხვ. აქ ისინი ახალ ავანტიურებს ამზადებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოს საზღვართან მომწყვდეული დენიკინის არმია მასიურად ბარდებოდა ტყვედ წითელ არმიას და შედარებით მცირე ნაწილმა მოახერხა საქართველოში გადასვლა.

1920 წლის მარტის პირველ რიცხვებში „სამხრეთ რუსეთის მთავრობის" წარმომადგენელმა თბილისში პოლკოვნიკ დენმა მიიღო მითითება დაეწყო მოლაპარაკება საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან, რათა შეემზადებინა ნიადაგი ჩრდილოეთ კავკასიიდან უკუქცეული დენიკინელების საქართველოს ტერიტორიაზე მოსაწყობად[37].

1920 წლის 13 მარტს თბილისში ჩამოვიდა დენიკინელი გენ. ერდელი. იგი ხელმძღვანელობდა დენიკინელთა დაბინავებას საქართველოში და მათ შემდგომ გაგზავნას ყირიმში, გენ. ვრანგელთან.

1920 წ. მარტის შუა რიცხვებში საქართველოს სამხედრო გზით საქართველოში ჩამოვიდნენ დენიკინელთა არმიის ნაწილები. მენშევიკებმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს დენიკინელთა მიმართ, შეუქმნეს კარგი პირობები, მისცეს ტრანსპორტი, საცხოვრებელი ბინები და სურსათი[38].

---

[36] Кадишев, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

[36] Моссесов, დასახ. ნაშრომი, გვ. 318.

[37] ЦГАОР, Ф. 446, оп. 2, д. 32, ფ. 45.

[38] В. Н. Адамия, Из истории английской интервенции в Грузии (1918—1921 гг.), Сухуми, 1961, გვ. 104.

დენიკინელებმა მოიკალათეს ბათუმში, ფოთში, ქუთაისში. ბათუმის ნავსადგურიდან დენიკინელები ყირიმში გადაჰყავდათ, სადაც საბჭოების წინააღმდეგ მზადდებოდა ახალი ავანტიურა. დენიკინის თეთრგვარდიული ნაწილებისათვის თავშესაფრის მიცემის სამაგიეროდ, საქართველოს მთავრობა იღებდა „მოხალისეთა არმიის" მთელ სამხედრო მარაგს და იარაღს[39].

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მენშევიკური კონტრრევოლუციური მთავრობა დენიკინის ერთგულ მოკავშირედ დარჩა მისი დამარცხების შემდეგაც, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანსა და სომხეთში, რუსეთის კონტრრევოლუციური ძალების განადგურებამ და იმ სოციალურ-ეკონომიურმა კრიზისმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს შიგნით, აიძულა საქართველოს მენშევიკური მთავრობა შეეცვალა თავისი ტაქტიკა და დაეწყო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ.

1920 წლის 3 მაისს საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების საწარმოებლად დაინიშნა დელეგაცია დამფუძნებელი კრების წევრის გ. ურუტაძის მეთაურობით.

საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1920 წლის 7 მაისს — საქართველოს მთავრობის სახელით გ. ურუტაძემ, ხოლო საბჭოთა რუსეთის სახელით ლ. კარახანმა. ამ ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ვალდებულებას იღებდა არ ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში.

ხელშეკრულების მეხუთე მუხლით საბჭოთა რუსეთი ვალდებულებას იღებდა საქართველოს ტერიტორიაზე არ დაეშვა სამხედრო ოპერაციების წარმოება, არ ჰყოლოდა იქ სამხედრო ძალა და არ დაეშვა სხვა სახის მოქმედება, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობას. თავის მხრივ საქართველოს მთავრობას არ უნდა დაეშვა ისეთი მოქმედება, რომელიც შესაძლებლობას შექმნიდა საქართველოს ტერიტორია გადაქცეულიყო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ან მისი მოკავშირე სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული ოპერაციების ბაზად.

ამ ხელშეკრულების მეათე მუხლით საქართველო ვალდებულებას იღებდა შეეწყვიტა შემდგომი დევნა ყველა იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოქმედებდნენ კომუნისტური პარტიისა და რუსეთის საბჭოთა

---

[39] ЦПА ИМЛ при ЦК КПСС, ф. 85, оп. 18, д. 47, ф. 1.

ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სასარგებლოდ. საქართველო აგრეთვე ვალდებულებას კისრულობდა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა პატიმრობისაგან ის პირნი, რომლებიც მსჯავრდადებული იყვნენ ზემოთ აღნიშნული საქმიანობისათვის[40]. მიუხედავად ამ ვალდებულებისა, საქართველოს მთავრობა ხელშეკრულების დადების შემდეგაც განაგრძობდა რეპრესიებს კომუნისტების მიმართ და ყველა საშუალებით განაგრძობდა რუსეთის კონტრრევოლუციისათვის დახმარების გაწევას (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დენიკინელთა დამარცხებულ ოფიცერთა ნაწილმა თავი შეაფარა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს, ხოლო ნაწილი გაგზავნილ იქნა ყირიმში ვრანგელის დასახმარებლად).

1920 წ. 9 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ე. გეგეჭკორის სახელზე გამოგზავნილ ნოტაში საბჭოთა რუსეთი პროტესტს აცხადებდა იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა არღვევდა 7 მაისის ხელშეკრულებას „...მთავრობის განკარგულებაში არსებული მკაცრად შემოწმებული ფაქტებით დასტურდება, რომ საქართველოს ციხეები სავსეა იმ პირებით, რომელთა მოღვაწეობაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მეათე მუხლით. უკანასკნელი ცნობებით, უკანასკნელ კვირაში მოეწყო კომუნისტთა დაპატიმრებანი ტფილისსა და ქუთაისში. კერძოდ, დაპატიმრებულია მიხა ცხაკაია.

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას და გთხოვთ მათი განთავისუფლებისთანავე აცნობოთ ამის შესახებ საბჭოთა მთავრობას"[41].

ე. გეგეჭკორი საპასუხო ნოტაში თავს იმართლებდა და იქვე დასძენდა, რომ კომუნისტების ნაწილი განთავისუფლებულია, ხოლო დანარჩენთა განთავისუფლება თანდათანობით მოხდებაო[42].

მართალია საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ მუშებისა და გლეხების დაწოლის შედეგად ხელი მოაწერა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებას, მაგრამ საქართველოს მთავრობა არც ერთ დღეს არ იცავდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მის ტერიტორიაზე კვლავ აფარებდნენ თავს დენიკინელები, ხოლო შემდეგ ვრანგელის არმიის ნაშთები. ე. იაროსლავსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა სტუმართმოყვარულად შეხვდა გერმანელ გენ. ჰოფმანის არმიას, შემდეგში ინგლისელებს. ...აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ

---

[40] საქ. ცსია, ფ. 51, ანაწ. I, საქმე 59, ფ. 11—14.
[41] საქ. ცსია, ფ. 51, ანაწ. I, საქმე 100, ფ. 35.
[42] საქ. ცსია, ფ. 51, ანაწ. 1, საქმე 100, ფ. 36.

მან შეიფარა მუსავატელები, ხოლო შემდეგ სომხეთში დამხობილი დაშნაკები. ამავე დროს კი პირობის მიუხედავად — შეეწყვიტა კომუნისტების დევნა, მან კომუნისტებით აავსო ციხეები, მიუხედავად იმისა, რომ თავის თავს სოციალისტებს უწოდებდნენ[43].

ე. იაროსლავსკის ეს სიტყვები კარგად ახასიათებს საქართველოს მენშევიკებს და მათ მოღალატურ საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო რევოლუციის წინააღმდეგ. უდავო იყო, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობის საქმიანობა ნაკარნახევი იყო უცხოელი იმპერიალისტების მიერ.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა გვერდში ედგა უცხოეთის იმპერიალისტებს, იმის მიუხედავად, რომ ისინი არ სცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

როგორც ცნობილია, საქართველოს მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის ამოსავალი, მისი არსებობის მთელ მანძილზე, მდგომარეობდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაში.

როდესაც 1920 წლის 11 იანვარს მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დე-ფაქტოდ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დენიკინს მოსთხოვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. დენიკინმა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ამ დეპეშაზე შემდეგი რეზოლუცია წააწერა: „საქართველოს დამოუკიდებლობა არავის მიერ არაა ცნობილი. ცნობილია მხოლოდ მისი მენშევიკური მთავრობა"-ო[44]. აღნიშნულ რეზოლუციიდან კარგად ჩანს, რომ დენიკინს აწყობდა მხოლოდ საქართველოს მენშევიკური მთავრობა. რომელიც ყოველმხრივ უწევდა მას დახმარებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, და არა საქართველოს დამოუკიდებლობა[45]. მოტივები კი რითაც ხელმძღვანელობდნენ უცხოეთის იმპერიალისტები, როდესაც მათ სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა დე-ფაქტოდ, კარგად ჩანს სამხედრო ექსპერტის საერთო დასკვნიდან მემორანდუმზე, რომელიც ბრიტანეთის დელეგაციამ წარმოადგინა: „თუ შეუძლებელია ბოლშევიზმის დამარცხება მის საკუთარ ტერიტორიაზე, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს შევაჩეროთ იგი ზოგიერთ საშიშ გზაზე, როგორიცაა მაგ., კავკასია. ამ მიზნით განხილულ უნდა იქნეს კავკასიაში სამხედრო ბარიერის მოწყობის საკითხი. ეიღებთ რა მხედველობაში ადგილობრივ მთავრობათა მდგომარეობის

---

[43] Ем. Ярославский, Третья сила, М., 1932, зг. 56.

[44] ЦГАОР, Ф. 449, оп. 2, д. 36, ф. 115.

[45] დენიკინმა მხოლოდ 1920 წლის 11 თებერვალს სცნო დე-ფაქტოდ საქართველოს დამოუკიდებლობა ე. ი. მაშინ, როდესაც თვითონ განადგურების პირამდე იყო მისული.

არასიმყარეს და მათი სამხედრო ძალების მოუმწიფებლობას, ეს ბარიერი პირველ რიგში უნდა მოეწყოს ევროპის ჯარების დახმარებით"[46].

როგორც იტყვიან, აღნიშნული დასკვნა კომენტარებს არ საჭიროებს. იმპერიალისტებს სურდათ კავკასია გადაექცეთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ბარიერად, მოეწყოთ კავკასიის ოკუპაცია. აი სწორედ ამით აიხსნება მათ მიერ საქართველოს ე. წ. „დამოუკიდებლობის" ცნობა.

ამასთან დაკავშირებით, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიმართა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს შემდეგი სიტყვებით: „...ჟორდანიამ უარი თქვა საბჭოთა მთავრობასთან კავშირზე. მან უარი თქვა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ჟორდანია თავისი მინისტრებით აშკარად გადავიდა ანტანტის და დენიკინის მხარეზე და საჩუქრად ამისა იმპერიალისტური ევროპის წარმომადგენელმა უორდროპმა მიუძღვნა საქართველოს „დამოუკიდებლობა".

ამხანაგებო! თითქმის მთელი ორი წელიწადი საქართველოს მთავრობა უშედეგოდ ეხვეწებოდა იმპერიალისტურ ევროპას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ეცნოთ და ახლა როდესაც დაეცა როსტოვი და რუსეთის პროლეტარიატის ჯარი უახლოვდება კავკასიას, ანტანტა ერთ დღეში სწყვეტს საქართველოსა და ადერბაიჯანის დამოუკიდებლობის საკითხს, ბრძისათვისაც ცხადი უნდა იყოს, რომ „დამოუკიდებლობის" მიძღვნა საქართველოსა და ადერბაიჯანისათვის გამოიწვია იმან, რომ ძლევამოსილმა რუსეთის წითელმა ჯარმა გაანადგურა დენიკინის ბანდები... დროა ბოლო მოეღოს საქართველოს მოღალატე მთავრობას, დროა იარალით ხელში ჩამოაგდოთ მთავრობა, რომელიც ემსახურება ევროპის იმპერიალისტებს და შეჰქმნათ მთავრობა მუშებისა და გლეხებისა"[47].

1920 წლის ბოლოს მენშევიკების სოციალ-ეკონომიური პოლიტიკის შედეგად საქართველოში სამეურნეო ნგრევამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. ამავე წლის ივლისში ინგლისის საოკუპაციო ჯარები გაიყვანეს საქართველოს ტერიტორიიდან.

1921 წლის იანვარში რკპ(ბ) კავკასიის ბიურომ, რომელსაც სერ-

---

[46] Б. Е. Штейн, «Русский вопрос» на Парижской мирной конференции (1919—1920 гг.), М., 1949, гз. 350.

[47] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 12798, оп. 4, д. 237, ფ. 1—3.

გო ორჯონიკიძე ედგა სათავეში, წინადადება მისცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ც. კ.-ს მოეწყო საყოველთაო აჯანყება მენშევიკების დიქტატურის დასამხობად. 11 თებერვალს დაიწყო მენშევიკების წინააღმდეგ ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყება, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა[48]. 16 თებერვალს შეიქმნა საქართველოს რევკომი, რომელიც აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. მენშევიკურმა მთავრობამ დახმარებისათვის მიმართა ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალისტებს. ამიტომ საქართველოს რევკომმა დახმარება სთხოვა წითელ არმიას.

ჩრდილო კავკასიის ხალხებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის ბრძოლაში დიდ დახმარებას უწევდნენ საქართველოს მშრომელები. როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში საბოლოოდ გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, მათ მეგობრული დახმარების ხელი გამოუწოდეს საქართველოს მშრომელებს, რომლებიც შეიარაღებულ ბრძოლას ეწეოდნენ საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

მაგ. დიგორიის (ჩრდ. ოსეთი) მშრომელებმა დახმარება აღმოუჩინეს საქართველოს მშრომელებს, კერძოდ რაჭას. 1921 წ. დიგორია გამოეხმაურა რაჭის მაზრის თხოვნას აღმოეჩინათ დახმარება იმ ბრძოლაში, რომელსაც მაზრის გლეხები ეწეოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ.

დახმარების აღმოჩენის ორგანიზატორი იყო ძანდარ ტაკოევი. მან მალე ჩამოაყალიბა 300 მეომრისაგან შემდგარი „დიგორიის რევოლუციური რაზმი“ და გიორგი ელეკოევთან (რაზმის პოლიტხელმძღვანელი) ერთად გაემართნენ საქართველოს მუშებისა და გლეხების დასახმარებლად. რაზმმა მკაცრი ზამთრის პირობებში შესძლო გადასულიყო ღების (დიგორიის) გადასასვლელით რაჭაში (300 კაციდან გადასვლა შესძლო მხოლოდ 145 კაცმა). რაჭველი გლეხები მხურვალედ მიესალმენ მათ კლასობრივ ძმებს ჩრდილოეთ კავკასიიდან.

დიგორიის რაზმში, გარდა ოსი მებრძოლებისა, იყვნენ მეომრები ყაბარდო-ბალყარეთიდან და ჩრდილო კავკასიის სხვა კუთხეებიდან, მათ შორის ქართველებიც.

ს. კიროვმა ნალჩიკიდან ვლადიკავკაზში თათბირზე გამოიძახა მიხა ლაშხი, კანდიდ გობედაშვილი, ილიკო გობედაშვილი. ილიკო ლობჟანიძე, ანგი ელბაქიძე.

„ჩვენთან ერთად იყვნენ ძანდარ ტაკოევი და გიორგი ელეკოევი,—

---

[48] ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, 1955, № 8, გვ. 256—266.

იგონებს კანდიდ გობედაშვილი[49]. ს. კიროვმა მათ გააცნო მენშევიკურ საქართველოში არსებული მდგომარეობა. ჩვენ დაგვევალა ყოფილ ოს წითელ პარტიზანთაგან ჩამოგვეყალიბებინა რაზმი და დიგორიის (ღების) გადასასვლელით გადავსულიყავით საქართველოში. ჩვენი ამოცანა იყო დაგვეკავებია სოფ. ღები, ჭიორა და რაჭის მაზრის სხვა სოფლები. შემდეგ უწერაში უნდა შევხვედროდით 98-ე ბრიგადას და ერთად დაგვეკავებია ონი. ამის შემდეგ უნდა წავსულიყავით ქუთაისისაკენ, რათა გადაგვეჭრა ბათუმისაკენ მიმავალი გზა"[50].

თათბირზე ამ რაზმს ეწოდა „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმი"; შეიქმნა ამ რაზმის რევოლუციური სამხედრო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ძანდან ტაკოევი, მიხა ლაშხი, კანდიდ გობედაშვილი, ილიკო გობედაშვილი, რაზმის უფროსად დაინიშნა ძანდარ ტაკოევი.

რაზმმა პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა. აიღეს ღები, ჭიორა, უწერა და იქ გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. შემდეგ აღნიშნული რაზმი დანიშნულ დროს შეხვდა 33-ე მსროლელი დივიზიის 98-ე ბრიგადას, რომელთან ერთად შევიდნენ ონში, ტყიბულში, ხოლო 10 მარტს ქუთაისში. მაშინ როდესაც წითელი არმიის გმირული ნაწილები უახლოვდებოდნენ თბილისს, რაჭის მაზრაში უკვე ფრიალებდა რევოლუციის წითელი დროშა.

33-ე მსროლელი დივიზიის 98-ე ბრიგადისა და „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმის" გარდა საქართველოს მშრომელების განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ თერგის ცხენოსანი ესკადრონი და ჩრდილო ოსეთში მყოფი ოსი რევოლუციონერებისაგან შემდგარი სამხრეთ ოსეთის ბრიგადა, რომელიც 900 კაცისაგან შედგებოდა. ბრიგადა შეიარაღებული იყო შაშხანებით, ხელყუმბარებით და ტყვიამფრქვევებით[51].

---

[49] კანდიდ გობედაშვილი სამოქალაქო ომის წლებში აქტიურ პარტიულ მუშაობას ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიაში. იგი შედის მოხალისედ პარტიზანულ ჯგუფში და იარაღით იცავს საბჭოთა ხელისუფლებას. 1919 წ. დასაწყისში იგი პარტიის დავალებით გადადის საქართველოში. აქ იგი მუშაობს რაჭის სამაზრო ბოლშევიკური არალეგალური კომიტეტის ორგანიზატორად. ქმნიდა ბოლშევიკურ უჯრედებს, ეწეოდა რევოლუციურ პროპაგანდას მენშევიკური არმიის ნაწილში, რომელიც რაჭაში იდგა. მენშევიკებმა იგი დაპატიმრეს და მოთავესეს ქუთაისის ციხეში. განთავისუფლების შემდეგ გადადის ჩრდილო კავკასიაში, სადაც მუშაობდა თერგის სამხარეო პარტიულ კომიტეტში — უაბარდო-ბალყარეთში. რაჭის მაზრის განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა მაზრის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარედ. იხ. „Вечерний Тбилиси", 1967 г. 30 октября, № 255.

[50] Гражданская война в Северной Осетии. По воспоминаниям участников, გვ. 361.

[51] სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში. სტატიების კრებული მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი, თბილისი, 1957, გვ. 288.

ეს ბრიგადა გადმოვიდა სამხრეთ ოსეთში და შეუერთდა აჯანყებულ გლეხებს. 9 მარტისათვის მენშევიკებისაგან განთავისუფლდა გორის მაზრა.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმი" დაჯილდოვდა დროშით, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა „რევოლუციური დიგორიის სახელოვან რაზმს მუშურ-გლეხური საქართველოსაგან". დროშა რაზმს გადასცა საშა გეგეჭკორმა. ამჟამად ეს დროშა ინახება ს. კიროვისა და გ. ორჯონიკიძის მუზეუმში ქ. ორჯონიკიძეში.

საქართველოს მშრომელებმა თავის მადლობის გრძნობა „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმი"-ს მეომრებისადმი გამოხატეს თავიანთ მიმართვაში რაზმის სახელზე.

საქართველოს კპ(ბ) რაჭის სამაზრო ბიურო თავის მიმართვაში „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმის" უფროსის ძ. ტაკოევის სახელზე დიდ მადლობას მოახსენებდა რაზმის მეომრებს იმ გმირობისათვის, რომელიც მათ გამოიჩინეს საქართველოს მშრომელების, კერძოდ მათი მეზობელი რაჭველების განთავისუფლების საქმეში. ასევე მადლობას და კომუნისტურ სალამს უძღვნიდნენ დიგორიის რევოლუციურ რაზმს ტყიბულისა და ქუთაისის რევკომები[52].

ამგვარად, საქართველოში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. საბჭოთა ხელისუფლებას დანგრეული სახალხო მეურნეობა დახვდა. საერთო მატერიალური ზარალი, რაც უცხოეთის სამხედრო ინტერვენციამ და მენშევიკების ბატონობამ მოუტანა საქართველოს სამოქალაქო ომის წლებში, არაზუსტი ცნობებით, უდრიდა, 140,5 მილ. მანეთს ოქროთი[53].

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში ახალი ერის დასაწყისი გახდა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში. ამავე დროს მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ფუშავდა იმპერიალისტთა ანტისაბჭოთა გეგმებს და განამტკიცებდა საბჭოთა ქვეყნის საგარეო მდგომარეობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაეცა კონტრრევოლუციის უკანასკნელი ქერა კავკასიაში[54]. საბჭოთა ხელი-

---

[52] С. Таказ, დასახ. ნაშრომი, გვ. 382—385. ს. ტაკოევი თავისი მოგონებების ბოლოს ურთავს დოკუმენტებს — რაჭის, ქუთაისისა და ტყიბულის რევკომების მადლობას „დიგორიის 1-ლი რევოლუციური რაზმისადმი".

[53] ამოღებულია გაზ. «Заря Востока», 1924 г. 24 июля.

[54] 1920 წ. 28/IV-ს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა აზერბაიჯანში, ხოლო 1920 წ. 29/XI-ს — სომხეთში.

სუფლების გამარჯვებამ კავკასიაში კიდევ უფრო განამტკიცა კავკასიელი ხალხების მეგობრობა, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა სამოქალაქო ომის პერიოდში, ხოლო შემდეგ დიდი სამამულო ომის წლებში.

დასკვნა

ოქტომბრის რევოლუციით შობილი ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაირაზმნენ ექსპლოატატორული კლასების ნაშთები — შინაგანი კონტრრევოლუცია და უცხოელი ინტერვენტები. გაჩაღდა სამოქალაქო ომი.

სამოქალაქო ომის პერიოდი ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და შრომელი გლეხობის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში ოქროს ფსოებით ჩაიწერა. რუსი და ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების უმაგალითო გმირულმა ბრძოლამ უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ შესაძლებელი გახადა რევოლუციის მონაპოვრის დაცვა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება.

ჩრდილოეთ კავკასია სამოქალაქო ომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბნად გადაიქცა. ეს განპირობებული იყო არა მარტო მისი დიდი სტრატეგიული მნიშვნელობითა და მდიდარი ბუნებრივი რესურსებით (განსაკუთრებით სურსათის დიდი რაოდენობა), არამედ იმ რთული პოლიტიკური ვითარებითაც, რაც შედეგი იყო აქ არსებული ეროვნული სიჭრელითა და მის საფუძველზე აღმოცენებული ეროვნული წინააღმდეგობებით. ამას ემატებოდა მძაფრი სოციალური წინააღმდეგობანი, რომლებიც განსაკუთრებით გამწვავდა მეფის მთავრობის მიერ ჩრდილო კავკასიაში კაზაკობის პრივილეგირებული ფენების დანერგვის შედეგად. ისინი დასახლდნენ ადგილობრივ მკვიდრთა მიწებზე და კონტრრევოლუციისათვის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდნენ. აქვე დიდი რაოდენობით მოიყარეს თავი რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასების ნაშთებმა, მეფის ოფიცრობამ.

მაგრამ თუ ჩრდილოეთ კავკასია კარგ ნიადაგს უქმნიდა კონტრრევოლუციას, იგი ასევე კარგ ნიადაგს ჰქმნიდა რევოლუციური ბრძოლისათვის. დიდი ხნის მანძილზე ცარიზმის მიერ ჩაგრული და ექსპლოატირებული მთიელები აღდგნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საბრძოლველად.

ჩრდილოეთ კავკასიაში რევოლუციური ბრძოლის ავანგარდს წარმოადგენდა მუშათა კლასი, რომელიც ძირითადად თავმოყრილი იყო ელადიკავკაზში, გროზნოში, პიატიგორსკსა და სხვა ქალაქებში. მის

დასაყრდენს წარმოადგენდნენ რუსი და მთიელი ღარიბი გლეხობა, კაზაკთა უღარიბესი ფენები. მათ ბრძოლას წარმართავდნენ ბოლშევიკები რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც მენშევიკური მთავრობის ბატონობის უღელქვეშ აღმოჩნდნენ, მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე რევოლუციურ ბრძოლებში.

ჩრდილოეთ კავკასიაში ადრევე გამოიკვეთა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის შეურიგებელი ბრძოლის სურათი. 1918 წ. აგვისტოში კონტრრევოლუციური კაზაკობის ამბოხების ჩასახშობად მხარდამხარ იბრძოდნენ რუსების, ინგუშების, ოსების, ქართველებისა და სხვ. რაზმები.

მაგრამ განსაკუთრებით ნათლად საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა რევოლუციური თანამეგობრობა გამოვლინდა საბჭოთა ხელისუფლების უბოროტესი მტრის, უცხოეთის იმპერიალიზმის ერთგული აგენტის, მეფის გენერალ დენიკინის ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დენიკინელებმა დაიპყრეს მთელი სამხრეთ რუსეთი, ჩრდილო კავკასია და საფრთხე შეუქმნეს მოსკოვს. მის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა როგორც რუსეთის, ასევე ჩრდილო კავკასიის მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა წითელი არმია გმირულად ებრძოდა დენიკინის კონტრრევოლუციურ ბანდებს, რომელთაც ანტანტა უხვად ამარაგებდა იარაღითა და ამუნიციით. ყველგან, მათ ზურგში, ფართოდ ჩაღდებოდა პარტიზანული ბრძოლა. დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უბნად გადაიქცა ჩრდილო კავკასია. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ამ ბრძოლას მხურვალედ უჭერდნენ მხარს საქართველოს მშრომელები.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მენშევიკური მთავრობა, საბჭოთა რუსეთისადმი სიძულვილით დაბრმავებული, ფაქტიურად დენიკინის მოკავშირედ გამოდიოდა, საქართველოს მუშათა კლასმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დიდი საპროტესტო მოძრაობა გააჩაღა საქართველოში. თბილისის, ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის, სოხუმის და სხვ. მშრომელები მთავრობისაგან მოითხოვდნენ აშკარად გამიჯნოდა დენიკინს და დაეწყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებში მყოფი ქართველი ბოლშევიკები სისტემატურად ეხმარებოდნენ ჩრდილო კავკასიაში მოქმედ პარტიზანულ რაზმებს იარაღითა და ვაზნებით. მათ კარგად ესმოდათ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ბედი ბევრადაა დამოკიდებული ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებაზე.

ასეულობით ქართველი უშუალოდ მონაწილეობდა ჩრდილო კავკასიაში დენიკინელების წინააღმდეგ წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. ს. ორჯონიკიძის მეთაურობით მათ არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩასწერეს სამოქალაქო ომის გმირულ ისტორიაში. ბევრი მათგანი დაეცა ამ წმიდათა წმიდა ბრძოლაში. მრავალი ქართველი რევოლუციონერი ენერგიულად იღწვოდა ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ორგანიზაციის საქმეში.

მენშევიკური მთავრობის რეპრესიების მიუხედავად, საქართველოს მშრომელები თავშესაფარს აძლევდნენ ჩრდილო კავკასიელ რევოლუციონერებს, რომლებიც კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში წარუმატებლობის შემთხვევაში იძულებული ხდებოდნენ დაეტოვებინათ ჩრდილო კავკასია. საქართველოდან ისინი განაგრძობდნენ ურთიერთობას თავის ამხანაგებთან და შესაძლებლობისთანავე ბრუნდებოდნენ უკან და ახალი ძალით ებმებოდნენ ბრძოლაში. თავის მხრივ, მენშევიკებისაგან დევნილი ქართველი ბოლშევიკებიც ხშირად აფარებდნენ თავს ჩრდილო კავკასიას და იქ აქტიურ რევოლუციურ ბრძოლას განაგრძობდნენ.

საქართველოს მშრომელთა პირდაპირმა და არაპირდაპირმა დახმარებამ ჩრდილო კავკასიის ხალხების რევოლუციური ბრძოლის წარმატების საქმეში დიდი როლი ითამაშა. დენიკინის ბანდების განადგურების შედეგად ჩრდილო კავკასიაში აღდგა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც ძმური დახმარების ხელი გაუწოდა მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ხალხს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით „დაეცა კონტრრევოლუციის უკანასკნელი კერა კავკასიაში. ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, რომელიც მტკიცედ გამოიჭედა დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობიანი განვითარების პირობებში ამ ხალხების მჭიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საფუძველი გახდა.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3
შესავალი, წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა 5
თავი I. ჩრდილოეთ კავკასია დენიკინელთა ავანტიურის წინ 17
თავი II. ქართველების მონაწილეობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩრდილოეთ კავკასიაში . . . . . .
§ 1. ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა დენიკინელების მიერ 31
§ 2. ქართველები დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში . . . 46
თავი III. საქართველოს მშრომელების ბრძოლა დენიკინელთა ავანტიურის წინააღმდეგ . . . . . .
§ 1. საქართველოს მენშევიკური მთავრობა და დენიკინელები 88
§ 2. საქართველოს მშრომელთა გამოსვლები დენიკინელთა ავანტიურის წინააღმდეგ 101
§ 3. ჩრდილოეთ კავკასიელი რევოლუციონერები საქართველოში . 130
თავი IV. დენიკინის დამარცხება და საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა ჩრდილოეთ კავკასიაში 141
დასკვნა 164

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ზ. ანჩაბაძე

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ლ. ჯეგენავა
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 18.2.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.5.1970;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 10,5; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 9,32; უე 01324; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 435;
ფასი 93 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15